


00000000
30.03.2019

სამართლებრივი კურსები

ISSN 0868-4537



1999
1999 №5

მაცნეობები

კურსების დაწესებება

პრაქტიკა

საქართველო, თბილისი



ეგრძელ «სამარტალი» სავიზიტო ბარათი**"SAMARTALI"** journal visit-card**

გამოსვლის თარიღი – 1926 წელი.
სტატუსი – იურიდიული პროფილის
 ერთადერთი რეცენზირებადი გამოცემა
 საქართველოში.
პერიოდულობა – წელიწადში გამოდის 12
 ნომერი
ფირავა – 1000 ეგზემპლარი
დამფუძნებელი – საქართველოს იურისტთა
 კავშირი (1999)
იურიდიული მისამართი – 380046, საქარ-
 თველო, ქ. თბილისი, რუსთაველის
 გამზირი 30.

ეურნალის მიზნები:

- ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე
 სასამართლო რეფორმის განხორციელებას და
 მის წარმოჩენას;
- დაეხმაროს პრაქტიკოს-იურისტებს (მოსამარ-
 თლებებს, პროკურორებს, ადვოკატებს, ნოტარი-
 უსებს და სხვა) ახალი კანონმდებლობის უკეთ
 შემცენებაში;
- ქართველი და უცხოელი სპეციალისტების
 მეშვეობით გაცნოს საქართველოს იურიდიულ სა-
 ზოგადოებას საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე
 სამართლებრივი პროცესები;
- ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამართლებრივი
 კულტურისა და ცნობიერების დონის ამაღლებას;
- იურიდიული მეცნიერების, იურიდიული გა-
 ნათლების რეფორმირებისა და სტუდენტთა სასწავ-
 ლო პროცესისათვის ხელშეწყობა.

განხორციელების ფორმები:

- ქართველ და უცხოელ იურისტ მეცნიერთა და
 პრაქტიკოს-იურისტთა შემოქმედებითი პროდუქციისა
 და მათი საქმიანობის ამსახველი მასალების გამო-
 ქვეყნება;
- ნორმატიული მასალის გამოქვეყნება და ახალი
 კანონმდებლობის პროპაგანდა;
- ადამიანის უფლებათა ეკროპის სასამართლოსა
 და საქართველოს საერთო სასამართლოების გადა-
 წყვეტილებების გამოქვეყნება;
- სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის
 გათვალისწინებული იურიდიული კონსულტა-
 ციების გამოქვეყნება;
- სასწავლო და აკადემიური მასალის გამოქ-
 ვენება.

Date of issuance – year 1926**Status** – the only reviewed legal-profile edition in Georgia**Periodicity** – 12 editions annually**Circulation** – 1000 units**Founder** – Georgian Lawyers Union (1999)**Legal address** – 380046, Rustaveli 30,
 Tbilisi, Georgia**Objectives of the journal are:**

- To promote effectuation of the judicial reform which is under way in Georgia;
- To assist practician lawyers (judges, prosecutors, advocates, notaries and others) in better cognition of new legislation;
- To get Georgian legal society acquainted with the judicial process in foreign countries by means of Georgian and foreign specialists.
- To promote raising legal culture and legal consciousness of the population;
- To promote reforms of legal science and legal education and to foster students' study process.

Forms of effectuation

- Publication of materials resembling activity and creative production of Georgian and foreign scientist and practician lawyers;
- Publication of normative materials and propaganda of new legislation;
- Publication of decisions rendered by the European Court of Human Rights and by Georgian courts;
- Judicial practice review;
- Publication of legal consultations foreseen for juridical and natural persons;
- Publication of studying and academic materials.

* Term "SAMARTALI" in English means "Law"

«ს ა მ ა რ თ ა დ ი»

“S A M A R T A L I”

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Scientific-practical juridical journal

№5 1999 წლის ოქტომბერი

ISSN 0868-4537

© ჟურნალი „სამართალი“, 1999 წ.

მთავარი რედაქტორი
პაათა ცნობილებე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა ბერძენიშვილი

სარედაქციო საბჭო:

EDITORIAL COUNCIL:

რომან შენგელია – (თავმჯდომარე)
ჯამლეთ ბაბილაშვილი
ნინო ბურჯანაძე
ავთანდილ დემეტრაშვილი
კახა თარგამაძე
გივი ინტსკირველი
ნუგზარ საჯაია
მინდია უგრეხელიძე
ჯონი ხეცურიანი
ლადო ჭანტურია

EDITOR IN-CHIEF
PAATA TSNOBILADZE

VICE-EDITOR IN-CHIEF
GELA BERDZENISHVILI

ROMAN SHENGELIA - (chairman)
JAMLET BABILASHVILI
NINO BURDJANADZE
AVTANDIL DEMETRASHVILI
KAKHA TARGAMADZE
GIVI INTSKIRVELI
NUGZAR SADJAIA
MINDIA UGREKHELIDZE
JOHN KHETSURIANI
LADO CHANTURIA

სარედაქციო კოლეგია:

EDITORIAL BOARD:

გელა ბერძენიშვილი
ნინო გვევეგიძე
მზია ლეკვეიშვილი
ვალერიან გეგრეველი
გიორგი ტყეშელიძე
შალვა ჩიკვაშვილი
პაათა ცნობილებე
გია ხუბუა

GELA BERDZENISHVILI
NINO GVENETADZE
MZIA LEKVEISHVILI
VALERIAN METREVELI
GEORGE TKESHELIADZE
SHALVA CHIKVASHVILI
PAATA TSNOBILADZE
GIA KHUBUA

რედაქციის მისამართი: 380046 თბილისი, რუსთაველის გამზ. №30.

ტელ: 99 02 45, 93 41 50, 99 51 01

ფაქსი: (995 32) 99 02 45

„საქართველოს საქანონმდებლო მაცნე”

თბილისი, რუსთაველის გამზ. 30.

სადღეო სო თემა

იუსტიციის სამინისტრო – ქვეყნის
სახელმწიფო უძრავი აღმშენებლობის ახალ
პირობებში (მთავარი რედაქტორის ინტერვიუ
საქართველოს იუსტიციის მინისტრთან,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ,
პროფესიონალი ჯონი ხეცურიანთან) 5

სასამართლო რეფორმა –სრულყოფის გზები

იური გაბისონია – საგამოძიებო კოლეგიის
ინსტიტუციურ-კომპეტენციური და
ორგანიზებული სრულყოფის ზოგიერთი
ასპექტი (თეორია, კანონმდებლობა, პრაქტიკა) ... 11

საკონსტიტუციო სამართლი

გია ზუბუა – ფედერალიზმი და
სუფსიდიარობის პრინციპი 19

დავით კერესელიძე – საქართველოში
ანტიკორრუფციული სახელმწიფო პოლიტიკის
სამართლებრივი საფუძვლების შექმნისათვის 25

მანანა ზვედელიძე – საქართველოს
თანამედროვე სასაზღვრო პოლიტიკის
ზოგიერთი საკითხი 33

სამოქალაქო სამართლი, პროცესი

ბესიკ შაკიაშვილი – პროდუქტის ცნება
საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 37

ზვიად გაბისონია – იურიდიული პირები,
როგორც უცხოური ინვესტიციების
ობიექტები 42

ნანა მაისურაძე – სარჩელზე უარის თქმა და
მისი სამართლებრივი შედეგები 48

სამართლი და საერთაშორისოურთიერთობები

ვ გიორგი წერიალაშვილი – უცხოეთის
საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა
და აღსრულების საერთაშორისო
სამართლებრივი მექანიზმები 51

მედიცინა და სამართლი

მარინა კვაჭაძე – ბიომედიცინაში ადამიანის
უფლებების დაცვის ზოგიერთი საკითხი
1996 წლის ევროსაბჭოს კონვენციის
მიხედვით 60

Today's theme:

Ministry of Justice – In new conditions
of state construction of the country.
(Interview of Editor-in-chief with the Ministry
of Justice of Georgia, Doctor of Legal
Sciences, Professor John Khetsuriani) ... 5

Judicial Reform – Ways of
improvement

Iuri Gabisonia – Several aspects of
computational and organizational
improvement of the investigation board.
(Theory, legislation, practice) 11

Constitutional Law

Gia Khubua – Federalism and
subsidiary principle 19

David Kereselidze – For creation of legal
base for anti-correctional State policy in
Georgia Common Law 25

Apolon Kalandia – Several Greek
customs in Western Georgia 33

Civil Law, Procedures

Besik Shakiashvili – Notion of product
in Civil Code of Georgia 37

Zviad Gabisonia – Juridical persons as
objects of foreign investment 42

Nana Maisuradze – Rejection of suit
and its legal consequences 48

Law and InternationalRelations

George Tskrialashvili – International-legal
mechanisms for recognition and enforcement
of decisions of foreign arbitration courts 51

Medicine and Law

Marina Kvachadze – Several questions of
Human Rights in biomedicine according
of the European Convention of 1996 60



სისხლის სამართლი და

კრიმინოლოგია

ნაირა გიგიტაშვილი – ნარკოლანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის	68
ალექსანდრე ქვაშილავა – სახელმწიფო და კოლექტური ქონების გატაცებასთან ბროლის სისხლის სამართლებრივი პროცედურები	75
ზაზა ნანობაშვილი – სასჯელის უფლება	82

სისხლის სამართლის პროცესი.

კრიმინალისტიკა

✓ აპოლონ ფალიაშვილი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედდა, მაგრამ მასში კვლავ უნდა შევიდეს ცვლილებები	86
დარეჯან ლეკიაშვილი – საიდუმლო თანამშრომლის როლი და მნიშვნელობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში	94
გიორგი რობაქიძე – სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება	99

სამართლის ისტორია

გიორგი დავითაშვილი – „მიცვალებულისადმი შეწირვა“, როგორც სასამართლო მტკიცებულების ელემენტი ქართულ ჩვეულებით სამართალში	105
აპოლონ კალანდია – ზოგიერთი ძველბერძნული წეს-ჩვეულება დასავლეთ საქართველოში	114

ადამიანის უფლებების ევროპის

სასამართლოში	
ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: კირაკვლარი თურქეთის წინააღმდეგ	118

კანონმდებლობა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „სასჯელადსრულების სისტემის რეფორმის შესახებ“	124
---	-----

ხსოვნა

ოთარ კაციტაძე	128
ზურაბ ახვლევანი	129
ორბიუმე	130
მილოცვა	133

Criminal Law and Criminology

Naira Gigitashvili – for improvement of criminal legislation against drug crimes	68
---	----

Aleksandr Kashilava – Criminal legal problems in struggle against stealing of State and collective property	75
---	----

Zaza Nanobatvili – The Right of punishment	82
---	----

Criminal Procedure Criministics

Apolon Paliashvili – Georgian Criminal Procedure Code is in force, but it still needs to be amended	86
---	----

Darejan Lekiašvili – Role and importance of secret co-operation in operational-search activities	94
--	----

Georgie Robakidze – Criminalistic characterization of crimes committed on railway transport	99
---	----

History of Law

George Davitashvili – “Sacrifice to a dead” as an element of legal evidence in Georgia Common Law	105
---	-----

Apolon Kalandia – Several Greek customs in Western Gerogia	114
---	-----

In ECHR

Decision of ECHR on case Kiraklar vs Turkey	118
--	-----

Legislation

Decree of the Georgia “About reform of the penitentiary system”	124
--	-----

Memory

Otar Katsitadze	128
-----------------------	-----

Zurab Akhvlediani	129
-------------------------	-----

REZUME	130
--------------	-----

CONGRATULATION	133
----------------------	-----

ს ა დ ღ ე ი ს თ თ ე ბ ა



0 შ ს ტ ი ც ი 0 0 ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ი -

შ ვ ე ყ ნ ი ს ს ა ხ ე ლ მ ა ზ ი ფ ი ვ ი ბ რ ი 0 8 0

ა ღ მ შ ე ნ ე ბ ლ რ ბ ი ს ა ხ ა ლ

პ ი რ ი ბ ე ბ შ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე ე რ ი ა ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი გ ა წ ე ვ რ ი ა ნ ე ბ ა მ ა ხ ა ლ ი ი მ ა უ ლ ს ე ბ ი ს შ ე მ ა ტ ა რ ე ფ ი რ მ ა ტ უ ლ ი ა რ ი ც ე ს ე ბ ი ს გ ა ნ ე ი თ ა რ ე ბ ა ს . დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ შ ი დ ა დ გ ა ა ხ ა ლ ი ი ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ე ბ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა . რ ა მ ა ც ს ა თ ვ ე უ ნ დ ა დ ა უ დ ღ ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს მ ი ე რ თ ვ ი ს ი ფ უ ნ კ ც ი ე ბ ი ს უ კ ე თ გ ა ნ ხ ე რ ც ი ლ ე ბ ა ს დ ა მ ა რ თ ვ ი ს გ ა ც ი ლ ე ბ ი ს ქ მ ე დ ი თ მ ე ქ ა ნ ი ზ მ ე ბ ი ს ჩ ა მ ი ყ ა დ ი ბ ე ბ ა ს . ა მ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ე ბ ი შ ე ე ხ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ს რ უ ლ ყ ა ფ ა ს ი უ ს ტ ი ც ი ი ს დ ა რ გ შ ი . ა ღ ნ ი შ ნ უ ლ თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ გ თ ვ ა ზ რ ბ ი თ ი ნ ტ ე რ ვ ი უ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი უ ს ტ ი ც ი ი ს მ ი ნ ი ს ტ რ თ ა ნ . ი უ რ ი დ ი უ ლ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა დ ღ ქ ტ რ პ ა რ ი ფ ე ს ტ რ ჯ ა ნ ი ხ ე ც უ რ ი ა ნ თ ა ნ .

- ბ ა ტ ი ნ ი ჯ ა ნ ი , თ ქ ვ ე ნ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა -
ნ ე ლ ი ბ ი თ ი ს ე თ უ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი ვ ა ნ ე ს მ მ ა რ თ ვ ე -
ლ ი ბ ი თ რ გ ო ლ ს , რ ო გ ო რ ი ც ა ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს
ი უ ს ტ ი ც ი ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ი . ს ა ი ნ ტ ე რ ე ს თ ა ,
რ ო გ ო რ ი ა დ ღ ე ს დ ღ ე რ ი ბ ი თ მ ი ს ი ს ტ რ უ ქ ტ უ -
რ ა დ ა ს ა ქ ა დ რ ი შ ე ს ა ძ ღ ე ბ ლ ი ბ ე ბ ი ს პ ო ტ ე ნ -
ც ი ა ლ ი ?

- ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ი უ ს ტ ი ც ი ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ხ ე ლ ი ს უ -
ფ ლ ე ბ ი ს მ ა რ თ ლ ა ც უ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი ვ ა ნ ე ს ი რ გ ო -
ლ ი ა . მ ი ს ი რ ლ ი დ ა მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი ბ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ე ბ რ ი ვ ი
ა ღ მ შ ე ნ ე ბ ლ ი ბ ი ს ა ხ ა ლ პ ი რ ი ბ ე ბ შ ი კ ი დ ე ვ უ ფ რ ი მ კ ვ ე თ რ ა დ გ ა ი ზ რ დ ე -
ბ ა . ა მ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ი ბ ა ს თ ვ ი თ ა ხ ა ლ ი დ რ ი ი ს
ა ხ ა ლ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი გ ვ კ ა რ ნ ა ხ ო ბ ს .

დ ღ ე ს უ კ ვ ე ი უ ს ტ ი ც ი ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ი ი ს
ა ღ ა რ ა რ ი ს , რ ა ც ს უ ლ რ ა მ დ ე ნ ი მ ე წ ლ ი ს
წ ი ნ ი ყ ო . მ ა ნ შ ე ი ძ ი ნ ა ა რ ა ე რ თ ი ა ხ ა ლ ი
ფ უ ნ ქ ც ი ა , თ უ მ ც ა ს ა მ წ უ ხ ა რ ლ დ , ზ ო გ ი ე რ თ ი
მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი ვ ა ნ ი ფ უ ნ ქ ც ი ა ც დ ა კ ა რ გ ა . ა მ მ ხ რ ი ვ
მ თ ა ვ ა რ ი ს ი ა ხ ლ ე ა პ ე ნ ი ტ ე ნ ც ი უ რ ი ს ი ს ტ ე -
მ ი ს გ ა დ მ ი ს ვ ლ ა ი უ ს ტ ი ც ი ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ი ს
გ ა ნ მ გ ე ბ ლ ი ბ ა შ ი , ა გ რ ე თ ვ ე , ე ვ რ ი ს ა ბ ჭ ი შ ი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს გ ა წ ე ვ რ ი ა ნ ე ბ ი დ ა ნ გ ა მ მ ძ -
დ ი ნ ა რ ე , ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს წ ა რ მ მ ა დ გ ე ნ ლ ი ს
ფ უ ნ ქ ც ი ი ს შ ე ძ ე ნ ა , მ ო ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს ა დ ა ი მ ი -
გ რ ა ც ი ი ს ს ა კ ი თ ხ თ ა გ ა ნ ხ ი ლ ვ ა - გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ს ა
დ ა ა მ ს ფ ე რ ი შ ი მ ო ქ მ ე დ ი კ ა ნ ი ნ მ დ ე ბ ლ ი ბ ი ს
შ ე ს რ უ ლ ე ბ ა ზ ე კ ო ნ ტ რ ი ლ ი ს ფ უ ნ ქ ც ი ა , ს ა ს ა -
მ ა რ თ ლ ი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა თ ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ი ს

სრულიად ახლებური ორგანიზაცია, საზღვარგარეთის ქვეყნებში მსჯავრდებულ საქართველოს მოქალაქეთა ექსტრადაციის საკითხთა გადაწყვეტა, სახელმწიფო სანებართვო ფუნქცია და ა.შ.

მიუხედავად მზარდი ფუნქციონალური დატვირთვისა, სამინისტროს ჯერჯერობით ძალზე მცირერიცხოვანი შტატებით უხდება მუშაობა. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულია მხოლოდ 55 საჯარო მოსამსახურე. იუსტიციის სამინისტროს დღევანდელი სტრუქტურული მოწყობა ვერ აკმაყოფილებს მის წინაშე მდგარ მოთხოვნებს. ამიტომ დაგეგმილია გარკვეული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რაც თავისთავად თვითმიზანი არ არის, მაგრამ შემდგომში სამინისტროს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ამის გაკეთება აუცილებელია.

– სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და სამართლებრივი რეფორმის პროცესში ხშირად იცვლება სახელმწიფო ორგანოთა როლი და ფუნქციები, მათი კომპეტენციის მოცულობა. რა ცვლილებებია ამ მხრივ მოსალოდნელი იუსტიციის სამინისტროში?

– როგორც უკვე აღვნიშნეთ, იუსტიციის სამინისტრომ ბოლო წლების განმავლობაში ზოგიერთი ფუნქცია დათმო, თუმცა მისი კომპეტენციის მოცულობა მთლიანობაში არა თუ არ შემცირებულა, პირიქით გაიზარდა და მომავალშიც კიდევ უფრო გაიზრდება.

ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და ძირითადი სფერო, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ჩამოშორდა, გახლავთ სასამართლო ორგანოებისადმი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა. იგი ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმის შედეგად ახლად შექმნილ ორგანოს – იუს-

ტიციის საბჭოს გადაეცა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სასამართლოს მოქმედებებით უკმაყოფილო პირები, რატომდაც, კვლავ ინტენსიურად მიმართავენ იუსტიციის სამინისტროს, რაც თავისთავად ნიშანდობლივი ფაქტია. იგივე ითქმის, მაგალითად, შეწყალების საკითხთა სამსახურზე, რომელიც სამინისტროში 1991-1992 წლებში ჩამოყალიბდა, მოქალაქეობის საკითხთა განყოფილებასთან ერთად, შემდგომში კი სამინისტროს განმგებლობას ისიც ჩამოაშორეს. იუსტიციის სამინისტროს პოზიცია, ამასთან დაკავშირებით, შემდეგში მდგომარეობს:

აღნიშნული ფუნქციები უნდა განახორციელოს იმ სახელმწიფო ორგანომ, ვისაც, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე, უკეთ ხელეწიფება მაქსიმალურად დაიცვას ადამიანის უფლებები ამ მნიშვნელოვან სფეროებში, ამასთან, შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს საზღვარგარეთის სახელმწიფოთა გამოცდილებას, სადაც იუსტიციის სამინისტრო უმნიშვნელოვანესი ფუნქციებით აღჭურვილი ორგანოა.

ჩვენს სამინისტროში ახლო მომავალში მოსალოდნელია სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც, პირველ რიგში, დაკავშირებულია შეს სისტემიდან სასჯელადსრულების დაწესებულებათა ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოსვლის პრაქტიკულ განხორციელებასთან, რაზედაც სამინისტრო ამჟამად ინტენსიურად და დიდი ყურადღებით მუშაობს.

ამ სისტემის პრაქტიკულ რეფორმირებას წინ უძლვის დაძაბული მუშაობა სათანადო ნორმატიული ბაზის შესაქმნელად. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სამინისტროში მო-

მზადდა მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც აუცილებელია ამ ურთულესი და მეტად საპასუხისმგებლო სფეროს სრულიად ახალ პრინციპებზე ჩამოსაყალიბებლად. სამინისტროში გასატარებელი სტრუქტურული ცვლილებები, პირველ რიგში, სწორედ ამ სისტემის გადმოცემას უკავშირდება.

- და მაინც, რამდენად ეფექტური იქნება იუსტიციის სამინისტროს მიერ ასეთი მძიმე ტვირთის მიღება საქუთარ თავზე. ბოლოს და ბოლოს თვითმიშანი ამ შემთხვევაში ის ხომ არ არის, რომ შეიცვალოს პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელის მისამართი, არამედ ის, რომ კარდინალურად გაუმჯობესდეს თვით ამ დაწესებულებაში არსებული მძიმე მდგომარეობა. რამდენად შესძლებს იუსტიციის სამინისტრო ამ მისის შესრულებას?

- პენიტენციური სისტემის ამგვარად ფორმირება ობიექტური აუცილებლობით არის განპირობებული და იგი დამოკიდებული არ არის ვინმეს პირად სურვილზე. ამის აუცილებლობას გვპარნახობს თვით ევროსტრუქტურებში საქართველოს ინტეგრირების პერსპექტივები.

ადამიანის უფლებათა დაცვას სასჯელადსრულებით დაწესებულებებში, უდაოდ ხელს შეუწყობს ამ სისტემის არსებობა ისეთ ნეიტრალურ სამთავრობო დაწესებულების დაქვემდებარებაში, როგორიც იუსტიციის სამინისტროა.

- როგორც ცნობილია, იუსტიციის სამინისტრო, სხვა ფუნქციებთან ერთად, აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობასაც ახორციელებს. რომელი მნიშვნელოვანი კანონპროექტი მომზადდა სამინისტროს მიერ და რომელი კანონპროექტი მზადდება ამჟამად?

- კანონშემოქმედებით საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება. ცალკე უნდა აღინიშნოს სამინისტროში შექმნილი სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის საქმიანობა, რომლის შედეგიცაა არაერთი ფუნდამენტური, კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტის (კოდექსების) მომზადება.

საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით, საქართველოს პარლამენტში განსახილველად შესული კანონპროექტების დიდი ნაწილი იუსტიციის სამინისტროს უშუალო მონაწილეობით მომზადდა. მათ შორის გამოვყოფთ ისეთ რეფორმატორულ კანონპროექტებს როგორიცაა: „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“, „პატიმრობის შესახებ“, „სამეცარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“, „იარაღის შესახებ“, „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტები. მუშაობა მიმდინარეობს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან პროექტებზეც („შრომის კანონთა კოდექსი“, „ადვოკატურის შესახებ“, „იურიდიული განათლების შესახებ“ კანონპროექტებზე და ა.შ.). „სასჯელადსრულების სისტემის რეფორმის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის ბრძნებულების შესაბამისად, ახალი პენიტენციური კანონმდებლობის მოქმედების სამართლებრივი საფუძვლების მოწესრიგების მიზნით, იუსტიციის სამინისტროში ყოველდღიური მუშაობა მიმდინარეობს მრავალი ახალი საკანონმდებლო აქტის შესამუშავებლად და ზოგიერთ მოქმედ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შესატანად, რამაც უნდა უზრუნველყოს სისტემის რეფორმირების მყარი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება.

ამ მიზნით, მუშავდება კანონპროექტი „სკეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ კანონში დამატებების შეტანის თაობაზე, კანონქვემდებარე აქტის პროექტი: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ და ა.შ. ერთი სიტყვით, მთელი ყურადღება გადატანილა იმაზე, რომ იუსტიციის სამინისტრო მაქსიმალურად მომზადებული შესვლეს მისთვის ჯერჯერობით უცხო, ახალი სისტემის მიღებას და მართვას.

— ბატონო ჯონი, სამწუხაროდ, საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ მიღებული 600-ზე მეტი კანონიდან მნიშვნელოვანი ნაწილი მკვდრადშობილია, ე.ო. ან ვერ ხდება მათი პრაქტიკული რეალიზება ან ვერ ასახავს თანამედროვეობის მოთხოვნებს. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამის თაობაზე?

— გეთანხმებით, მიღებული კანონების ცხოვრებაში გატარების საკითხი კვლავ ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება. კანონის ეფექტიანობის განმსაზღვრელი უმთავრესი კრიტერიუმი სწორედ ის არის, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია იგი. ამასთან, აუცილებელია ამაღლდეს იმ სახელმწიფო ორგანოთა პასუხისმგებლობა, რომლებსაც მათი ცხოვრებაში დანერგვა და განუხრელად დაცვა ევალებათ. იგივე ითქმის მოსახლეობის, თითოეული მოქალაქის მართლშეგნების ამაღლების აუცილებლობაზე. ამასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დგას მოქმედი კანონმდებლობის აღსრულების კონტროლის ქმდითი მექანიზმის ჩამოყალიბება. მოგეხსენებათ, რომ კანონების მიღება სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მხრივ პირველი

ნაბიჯია. მთავარია მათი ცხოვრებაში განხორციელება.

საქართველოს პარლამენტის მიერ 600-ზე მეტი კანონის მიღებით დასრულდა სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი ეტაპი. მიღებულია ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების თითქმის ყველა ძირითადი სფეროს. მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები. შემდგომში, ვფიქრობთ, პრიორიტეტული უნდა გახდეს არა კანონების რაოდენობრივი ზრდა, არამედ უკვე მიღებულის კორექტირება მათი პრაქტიკული აპრობაციის გათვალისწინებითა და განუხრელი შესრულების მიზნით.

კანონის შესრულების აუცილებელი გარანტი მათი მოსახლეობამდე გასაგები ენით მიტანაა. ამ ამოცანის გადაჭრა პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. თითოეულ მოქალაქეს საშუალება უნდა ჰქონდეს გაიცნობიეროს თავისი ძირითადი უფლებები და მოვალეობები, რათა თავიდან ავიცილოთ კანონის უცოდინრობით გამოწვეული დარღვევები.

სახელმწიფომ, თავის მხრივ, უნდა იზრუნოს საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფის, იურიდიული ტერმინოლოგიის დახვეწისა და ქართული სამართლის ტრადიციების შეძლებისდაგვარად აღორძინებისათვის, რაშიც იუსტიციის სამინისტრომ თავისი სიტყვა უნდა თქვას.

— რამდენიმე წლის წინ იუსტიციის სამინისტროს უშუალო ფუნქციაში შედიოდა მსჯავრდებულ პირთა შეწყალების საკითხთა მომზადება. შემდეგ ეს ფუნქცია გადაეცა სახელმწიფო კანცელარიის შეწყალების საკითხთა განყოფილებას. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში პენიტენციური სისტემის გადმოსვლის ფონზე ხორა ფიქრობთ, უფრო მართებული და ეფექ-

ტიანი იქნებოდა აღნიშნული ფუნქციის სამინისტროსათვის კვლავ დაბრუნება?

– როგორც ზემოთაც აღნიშნავდით, ამ ეტაპზე მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართულია პენიტენციური სისტემის უმტკივნეულოდ და თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით რეფორმირებისაკენ.

რაც შეეხება ზოგიერთი დაკარგული ფუნქციის აღდგენის საკითხს, მათ შორის, მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხის განხილვის ფუნქციას, სრულიად გეთანხმებით იმაში, რომ იუსტიციის სამინისტროში პენიტენციური სისტემის გადმოსვლის ფონზე, მართლაც უპრიანი იქნებოდა ამ ხასიათის სამსახურის ჩვენს სამინისტროში აღდგენა, რაც ხელს შეუწყობდა მსჯავრდებულ პირთა შეწყალების საკითხთა უფრო ოპერატიულ განხილვას. ამასთან, სამინისტრომ შეიძლება იკისროს შეწყალების საკითხთა მხოლოდ წინასწარი განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს პრეზიდენტისათვის მასალების წარდგენის ფუნქცია, ასევე, კონტროლი პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე. ამ მხრივ პროცედურა დაახლოებით ისეთი შეიძლება იყოს, როგორცაა, მაგალითად, მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის დღესათვის მოქმედი წესი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეობის საკითხებს წინასწარი წესით განიხილავს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო მისგან წარდგენილი მასალის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლს კი იუსტიციის სამინისტრო განახორციელებს. სხვათა შორის, ეს უკვე კარგად დახვეწილი, აპრობირებული მექანიზმია.

– ბაჟონო ჯონი, უურნალის ფართო მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება საკითხი იუსტიციის სამინისტროსა და ნოტარიუსთა პალატის ურთიერთობის შესახებ. ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც თვისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მმართველობას აღნიშნულ სფეროში, და მეორე მხრივ, ნოტარიუსთა თვითმმართველობის ორგანო, რომელიც თვითმმართველობის ფარგლებში წყვეტს გარკვეულ საკითხებს. რამდენად ქმედითია ასეთი „ორგანისუფლებიანობა“ და ხომ არ არის მოსალოდნელი რაიმე ცვლილებები ამ მიმართებით?

– მოქმედი კანონმდებლობა მკვეთრად განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტროს როლს საქართველოს სანოტარო სისტემაში. ნოტარიუსთა საქმიანობა დამყარებულია თვითმმართველობის პრინციპზე, რომლის ხელმძღვანელობა ხორციელდება ნოტარიუსთა პალატის მეშვეობით, ხოლო სახელმწიფო ზედამზედველობას, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა, ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო. ნოტარიუსი თავისი სანოტარო მოქმედებით ახორციელებს სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებას. კანონის მიხედვით ნოტარიატი საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტია, რაც სულაც არ უშლის ხელს ნოტარიუსს თავისი უფლებამოსილების აბსოლუტურად დამოუკიდებლად განხორციელებაში. ამ მხრივ იგი ოდნავადაც კი არ არის შეზღუდული სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფოსთან ნოტარიუსის დამოკიდებულება ძირითადად მისგან ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობაში გამოიხატება.

რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებას, ამ მიმართულებით უახლოეს მომავალ-

ში, ალბათ, თვით ნოტარიუსთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს განვიხილავთ და შევეცდებით კიდევ უფრო სრულვყოთ ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, ლათინური ნოტარიატის პრინციპების გათვალისწინებით.

— გარდა წმინდა მმართველობითი საქმიანობისა, სამინისტრო გარევეულწილად აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო ფუნქციით, რაც გამოიხატებოდა მის სისტემაში დასაქმებული მუშაკებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების არსებობაში. რა ძღვომარეობაა ამ მხრივ დღეს?

— იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ე.წ. კვალიფიკაციის ამაღლების კურსები დღეისათვის, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებს. მის ბაზაზე შექმნილია იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რომელსაც გარდა სახელწოდებისა, საერთო არაფერი აქვს იუსტიციის სამინისტროსთან. ახლო მომავალში, საჭიროა განხორციელდეს მისი იმდაგვარი რეორგანიზაცია, რათა ჩამოყალიბდეს იუსტიციის მუშაკთა ფართო პროფილის საგანმანათლებლო ცენტრი.

— თქვენი სამომავლო გეგმები?

— სამომავლო გეგმებსა და ძირითად პერსპექტივებს ნაწილობრივ ზემოთ უკვე შევეხეთ. აქვე დავძენთ, რომ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის კვალდაკვალ, სულ უფრო მნიშვნელოვან, ფუნქციონალურად მრავალმხივ საინტერესო სახელმწიფო სტრუქტურად ფორმირდება. მთელი რიგი ახალი სფეროები, რაც სამინისტროს დაქვემდებარებაში გადმოვიდა, ან უახლოეს მომავალში უნდა გადმოვიდეს, კერძოდ, პენიტენციური სისტემა, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების კონტროლი, იურიდიული განათლების კოორდინაცია, ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებით შექნილი სრულიად ახალი ფუნქცია და პასუხისმგებლობა, იუსტიციის სამინისტროს კიდევ უფრო მნიშვნელოვან პერსპექტივებს უსახავს. ამის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების შესატყვისი, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომლის სასიკეთო გავლენა, პირველ რიგში, საზოგადოებას, მის კეთილდღეობას უნდა დაეტყოს. ყოველი რეფორმის მთავარი დანიშნულებაც სწორედ ეს არის.

სასამართლო ჩეფთორია - სოულუონის გზები

იური გაბისონია

საბამოძიებო კოლეგიის ინსტიტუციურ-კომპეტენციური

და ორგანიზაციული სრულყოფის ზობიერთი ასამშტი

(თეორია, კანონმდებლობა, პრაქტიკა)*

9. ქონებაზე ყადაღის დადების გასახიერების „უცნაურობანი“ (თემის ქონებაზე ული გაგრძელება). სსსკ-ის 193-ე მუხლის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დასაბუთებულ შუამდგომლობას 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ადგენს და სასამართლოს წარუდგენს მომკვლევი, გამომძიებელი ან პროკურორი. მოსამართლე ამავე მუხლის შესაბამისად, ე.ი. არაუგვიანეს 24 საათისა, იხილავს შუამდგომლობას და, თუკი მას გაიზიარებს, თავისი ბრძანებით ადებს ყადაღას ქონებას. ეს - საზოგადოდ. რაც შეეხება საგამონაკლისო შემთხვევებს, კერძოდ, გადაუდებელ აუცილებლობას, მომკვლევს პროკურორის თანხმობით, გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, რომლის აღსრულებიდან 24 საათის განმავლობაში ატყობინებს მოსამართლეს, რომელიც ან ადასტურებს ამ დადგენილების კანონიერებას, ან კიდევ უკანონოდ ცნობს და აუქმებს ქონებაზე ყადაღის დადებას (მუხ. 195). სწორედ ამის შემდეგ მოდის ის ზემოხსენებული „უცნაურობანი“. კერძოდ:

თანახმად მე-200 მუხლის პირველი ნაწილისა, მომკვლევის, გამომძიებლის და პროკურორის დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დამცველმა, კანონიერმა წარმომადგენელმა, აგრეთვე სამოქალაქო მოქასუხემ შეიძლება გასაჩივროს სასამართლოში გამოძიების წარმოების ადგილის მიზედვით, ე.ი. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში /ვადა მითითებული არ არის/. მართალია, კოდექსში დაკონკრეტებული არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს ამავე სასამართლოს მოსამართლის ბრძანებით, წინასწარი ნებართვის (სანქცირების) წესით დადებული ყადაღა, რადგან ამავე მუხლის მე-2 ნაწილში საგანგებოდაა მითითებული, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მისი აღსრულებიდან 14 დღის განმავლობაში მე-200 მუხლში მითითებულმა, ზემოთ ჩამოთვლილმა პროცესის მონაწილეებმა შეიძლება გასაჩივრონ მოსამართლესთან - ცხადია, საუბარია იმავე (რაიონული ან საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეზე. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ორივე

* დასასრული. დასაწყისი იხ. №4-ში

ამგვარ საჩივარს განიხილავს 234-242-ე მუხლებით დადგენილი წესით. მაგრამ აქ „წყალს ამღვრევს“ შემდეგი მომენტები:

როგორც ზემოთ ითქვა, პირველ შემთხვევაში მოსამართლის მიერ აქ უკვე გაცემულია წინასწარი ნებართვა შესაბამისი ბრძანებით, მეორე შემთხვევაში ყადაღის დადების დადგენილება 24-საათიან ვადაში წარდგენილია მოსამართლესთან და დაკანონებულია (ამიტომაც საჩივრდება – მისი აღსრულებიდან 14 დღის განმავლობაში). ამდენად, გამოდის, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე სასამართლო ორჯერ (მეორედ უკვე საჩივრის საფუძველზე) იხილავს საკითხს, ოღონდ მეორედ უკვე წყვეტს არა მარტო მომკვლევის, გამომძიებლისა თუ პროკურორის დადგენილების, არამედ მისივე რანგის, მის გვერდით მომუშავე მოსამართლის აქტის (ბრძანების, დადგენილების) კანონიერების საკითხს. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, ძალზედ უხერხულია თუნდაც მოუკერძოებლობის პრინციპის თვალსაზრისით, მისი დაცვის აშკარა ფსიქოლოგიური სიძნელეების გამო. ამ არა-ასასურველ ფაქტორებს კი არსებითად მოხსნიდა ამგვარ საჩივართა განხილვის საგამოძიებო კოლეგიისათვის დაკისრება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტისაკენ გვიბიძებს ზემოხსენებული 234-242-ე მუხლების სულისკვეთებაც. მაგალითად, 238-ე მუხლის („საჩივრის განხილვის ზოგადი

წესი“) პირველ ნაწილში მითითებულია, რომ „საჩივრის განხილვა არ შეიძლება დაევალოს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება, აგრეთვე იმ ორგანოს ან პირს, რომელმაც დაამტკიცა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.“

10. საგამოძიებო კოლეგიაში საჩივრისა და შუამდგომლობის შეტანა. სსსკ-ის 243-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ²² მისი გამოცემიდან (გამოტანიდან) 48 საათის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საგამოძიებო კოლეგიაში. კერძოდ, საჩივარი შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამცემ (გამოტან) მოსამართლესთან, რომელიც „ამ საჩივარსა და საქმის მასალებს“ დაუყოვნებლივ უგზავნის საგამოძიებო კოლეგიას, რომელიც საჩივარს იხილავს საქმის მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათისა. ეს დებულებები პრაქტიკაში აყენებს რამდენიმე „უხერხულ“ საკითხს. კერძოდ:

ა) ნათლად არ ჩანს, თუ რა იგულისხმება საჩივართან ერთად საგამოძიებო კოლეგიაში გასაგზავნ „საქმის მასალებში“, რის გამოც ზოგიერთი სასამართლოდან შემოსულ წერილში (მომართვაში) კი „საქმედ“ მიჩნეულია მოსამართლის ის წარმოება (მასალები), რომელიც შეიქმნა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის მიერ ბრძანების (დადგენილების) გაცემის (გამოტანის) პროცესში. მეტიც, ზოგიერთი მოსამართლის მომართვაში ერთმანეთშია არეული სისხლის სამართლის საქმე და წარმოება (ეს უკანასკნელი რატომდაც მიჩნეულია სისხლის სამართლის საქმის ტომ-

22. საპროცესო კოდექსირატომდაც არაფერს ამბობს აქტის გასაჩივრებაზე, რომლითაც მოსამართლემ უარი უთხრა ბრალდების მხარეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე (გამოყენებაზე), რაც აშკარა ხარვეზად მიმაჩნია, რაღაც პრაქტიკაში პროკურორის ამგვარი საჩივარი გვხდება. ჩემი აზრით, ამგვარი საჩივარი, კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანამდე, უნდა გადაწყვდეს პრინციპების საფუძველზე, „სამოსამართლეო სამართლის“ გამოყენებით, რისი შემთხვევაც ამ წერილის ავტორს ჰქონდა კიდეც.

ად), რაც უკვე ძნელდა ასახსნელ კურიოზთა რიგს მიეკუთვნება, ისევე როგორც ის, რომ არაერთი მოსამართლე საგამოძიებო კოლეგიის სახელზე მასთან შესულ საჩივარს კოლეგიაში აგზავნის თავის წარმოებაში ჩაკერებული სახით. თითქოსდა უმნიშვნელო ეს „ტექნიკური ხარვეზი“ კი იწვევდეს ამ წარმოების დაშლისა და საჩივრის (რომელიც, ცხადია, უნდა დარჩეს საგამოძიებო კოლეგიაში) ამოღების შემდეგ მისი ხელახლა შეკერვის ყოვლად უაზრო, ზედმეტ პროცედურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უმჯობესი იქნებოდა ხსენებულ მუხლშიც სიტყვები „ამ საჩივარსა და საქმის მასალებს“ შეცვლილიყო სიტყვებით: „ამ საჩივარს და შესაბამისი სასამართლო წარმოების მასალებს სისხლის სამართლის საქმეთან ერთად“.

ბ) გაურკვევულია, თუ რას ნიშნავს აქ „დაუყოვნებლივ“, ანუ რა ჩაითვლება „დაუყოვნებად“. კერძოდ, ითვლება თუ არა მასში არასამუშაო საათები, დასვენების და უქმედლები, რადგან აღნიშნულ პერიოდში საჩივრისათვის მსვლელობის მიცემა დაკავშირებულია ორივე რგოლის სასამართლოთა არასამუშაო საათებსა და დღეებში ფუნქციონირებასთან თუნდაც მინიმალურად აუცილებელი შემადგენლობით მაინც (ექსპერიციის და კანცელარიის მუშაკთა ჩათვლით). ეს კი გასაგებ ობიექტურ სირთულეებს უქმნის არა მარტო იმ განაპირა რაიონების სასამართლოებს, რომლებშიც თითო-თროლა მოსამართლე და ტექნიკური მუშაკია მეტად მწირი მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო უზრუნველყოფით, არამედ თვით დედაქალაქის და მეორე ინსტანციის სასამართლოებსაც. ამიტომ, ვფიქრობ, სიტყვა „დაუყოვნებლივ“ უნდა შეიცვალოს, ვთქვათ, თორმეტი ან ოცდაოთხსაათიანი ვადით (ვა-

რიანტი: „დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა საჩივრის მიღებიდან“), ამასთან, ცალსახად გადაწყდეს დასვენებისა და უქმედლების ამ ვადიდან გამორიცხვა-არგამორიცხვის საკითხი არსებული რეალიების გათვალისწინებით, თუნდაც კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესიდან დროებითი გამონაკლისის დაწესების გზით.

11. საპროცესო ვადებთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა პრობლემის შესახებ. ანალოგიური სირთულეები, დაკავშირებული სწორედ მეტისმეტი „შემჭიდროებულობის“ გამო არარეალურ საპროცესო ვადებთან, მკაფიო ზოლად გასდევს მთელს შემდგომ „მინიპროცესს“. კერძოდ:

თანახმად სსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ საჩივარი უნდა განიხილოს არაუგვიანეს 72 საათისა. ამ ვადის დინება იწყება მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის (აქაც, ნაცვლად „სისხლის სამართლის საქმისა“ მითითებულია იმავე ამორფულ „საქმის მასალებზე“) მიღების მომენტიდან. ამ ვადის დაცვის მდგომარეობა განსაკუთრებით კრიტიკული ხდება, როცა, მაგალითად, ამ ვადის ბოლო ორი მესამედი მოდის შაბათ-კვირაზე, როცა პროცესის ორგანიზება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება, განსაკუთრებით - საპატიმრო საქმეებზე. კერძოდ, მხარეთა მოწვევის სირთულეების გარდა, დგება პატიმრის პროცესზე წარმოდგენის მმაფრი პრობლემა, - განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭირო ხდება მისი შორი რაიონიდან ეტაპირება (რაც, ცხადია, უსახსრო პოლიციისაგან სოლიდურ ხარჯებს მოითხოვს). არადა, დასახელებული მუხლის მე-4 ნაწილის ძალით ბრალდებულს, ისევე როგორც დაზარალებულს,

მინიჭებული აქვს საჩივრის განხილვაში მონაწილეობის უფლება. სამწუხაროდ, პრაქტიკამ, მათი გამოძახების სირთულეთა გამო, ფაქტობრივად უარი თქვა დაზარალებულთა ამ უფლებაზე, – ისინი პროცესში მონაწილეობენ მხოლოდ მაშინ, თუ თვითონვე გამოიჩენენ დროულ ინიციატივას. თუ ეს ასე გაგრძელდა, გონიერ კანონმდებელს ისლა დარჩენია, პერმანენტულად შეუსრულებადი (დარღვევადი) ნორმა გააუქმის ან მასში შეიტანოს შესაბამისი კორექტივი (ნორმა, რომელიც გარდაუვალად, გამუდმებით ირღვევა – ვერ სრულდება, როგორც ცნობილია, შეუდარებლად უარესია ე.წ. „მკვდარ ნორმაზე“ – პირველი, მეორისაგან განსხვავებით, მეტად აქტიურად უთხრის ძირს კანონ-სამართლის ავტორიტეტს!...).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 243-ე მუხლი ლაპარაკობს მხოლოდ აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებულ საჩივრებსა და მათი განხილვის ვადებზე. საგამოძიებო კოლეგის კომიტენტის მიკუთვნებული სხვა ზემოხსენებული საჩივრების განხილვის ვადებს კოდექსში ვერ შეხვდებით, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ საჩივრების უმეტესობის განხილვაზე კოდექსი ავრცელებს 243-ე მუხლით დადგენილ წესებს (იხ. 185-ე, 428-ე, 680-ე მუხლები; გამონაკლისისა მხოლოდ 332-ე მუხლი, რომელშიც რატომდაც არც განხილვის ვადაა მითითებული და იგი არც 243-ე მუხლზე უთითებს), უნდა ვივარაუდოთ (სჯობდა კი, კოდექსში ეს პირდაპირ ჩაწერილიყო), რომ მათზე ვრცელდება განხილვის 72-სათანანი ვადა. ხოლო, თუ ეს ასეა, მით უფრო გაუგებარია ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადადება, რომელშიც მითითებულია, რომ „წინასწარი

გამოძიების სტადიაზე წარმოშობილ სამართლებრივ დავაზე საჩივარს საგამოძიებო კოლეგია განიხილავს არა უგვიანეს 7 დღისა მისი მიღების დღიდან.“ ისე კი, ჩემი აზრით, ეს ვადა ჩვენს პირობებში დიაზაც პატიმალური იქნებოდა – იგი საშუალებას მისცემდა მეორე ინსტანციის სასამართლო ორგანოს – საგამოძიებო კოლეგიას, უფრო გულდინჯად, საქმის წინასწარ ღრმად შესწავლით და პროცესის ჯეროვნად ორგანიზებით, გამოწვლილვით განეხილა საჩივარი და მიეღო აწონილ-დაწონილი, მართებული გადაწყვეტილება. აქ კანონმდებლის ამგვარი აჩქარება ჩემთვის გაუგებარია: ბრალდებულის მიმართ ნაჩქარევად (24 საათში) ხომ უკვე თქვა სიტყვა პირველი ინსტანციის სასამართლო ორგანომ და ახლა საჭიროა მხოლოდ მისი მართებულის კვალიფიციურად გადამოწმება, რასაც, ცხადია, სათანადო დრო სჭირდება!..

შედარებით რეალური ვადაა დაწესებული პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გამომძიებლის შუამდგომლობის (რომელსაც მხარს უჭერს პროკურორი) განსახილველად – არა უგვიანეს 5 დღისა საგამოძიებო კოლეგიის მიერ მისი სისხლის სამართლის საქმითურთ მიღებიდან (მუხ. 163, ნაწ. 1-2).

12. ზოგიერთი პროცედურულ-კომპეტენციური „უცნაურობის“ შესახებ. აღკვეთის ღონისძიების (მათ შორის პატიმრობის) თაობაზე საჩივრებისა და პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის განხილვის პროცედურათა შედარებისას უწინარესად თვალში გვხდება შემდეგი:

ა) 243-ე მუხლის მე-4 ნაწილი აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვაში მონაწილეობის უფლე-

ბას ანიჭებს ბრალდებულს, მის დამცველს და კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს. პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა. 163-ე მუხლის თანახმად კი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ „შუამდგომლობა განიხილება... პროკურორის, ბრალდებულის ან (!) მისი დამცველის და (?!?) კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით“. 140-ე მუხლში კი უკვე ლაპარაკია როგორც ბრალდებულის, ისე მისი დამცველის და კანონიერი წარმომადგენლის (და არა ერთ-ერთის, როგორც 163-ე მუხლშია!) უფლებაზე - მიიღონ მონაწილეობა სასამართლო სხდომაში. ამასთან, აქ ჩნდება კიდევ ერთი სუბიექტი - „იმ ორგანოს წარმომადგენელი (?!), რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს“ (ნაწ. 6). დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლების შესაბამისი უფლება აქ ნახსენებიც კი არ არის! ბუნებრივად ისმის კითხვა: რატომაა კოდექსში ეს ერთტიპური საკითხები ასე განსხვავებულად, ლოგიკურად და კონცეფტუალურად გაუგებრად და გაუმართლებლად გადაწყვეტილი?! რატომ არის იგნორირებული 140-ე მუხლში დაზარალებულის უფლება, - უფლება კანონით ბრალდებულთან თანასწორი მხარისა?!

ბ) პროკურორის მონაწილეობის სავალდებულობა ცალსახად გამოკვეთილია მხოლოდ 243-ე მუხლში (ნაწ. 4), ამასთან, არჩნს მისი გამოუცხადებლობის შედეგი. არადა, ვინაიდან საგამოძიებო კოლეგიას საჩივრის და შუამდგომლობის განხილვისათვის გააჩნია ზემოთ მითითებული, - მკაცრად განსაზღვრული და მეტად შემჭიდროებული, - ვადები, სხდომის გადადება

პროკურორის გამოუცხადებლობით ან სხვა რაიმე მოტივით არარეალურია - ვადა, როგორც წესი, დაირღვევა. 140-ე მუხლი, მართალია, მიუთითებს, რომ „შუამდგომლობის აღმდევრელისა და მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას“, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნათელყოფს საკითხს, რადგან კოდექსს არ გააჩნია ერთგვაროვანი, ცალ-სახა პასუხი კითხვაზე: პროკურორი არის თუ არა იქ მხარე? კერძოდ, 44-ე მუხლისაგან განსხვავებით, 243-ე მუხლის მე-4 ნაწილი მას განაცალკევებს მხარეთაგან, როცა მიუთითებს, რომ „საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივრის განხილვის ერთპიროვნულად, ... პროკურორისა და (!) მხარეთა მონაწილეობით“. შემდეგ მითითებულია, რომ „მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას“, მაგრამ არაფერია ნათქვამი პროკურორის გამოუცხადებლობის შედეგზე. ამავე მუხლის მე-7 ნაწილში კი პროკურორი, დაზარალებულთან და მის წარმომადგენელთან ერთად, მიჩნეულია „ბრალდების მხარედ“! რახან სიტყვამ მოიტანა, ბარემ აქვე ვიტყვი განმწერიგებელ სხდომაზე პროკურორის „უცნაური ამპლუის“ შესახებაც: განსახილველ საქმეზე სხდომის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ „სასამართლო მოუსმენს პროკურორს და სასამართლო სხდომაზე დაბარებულ პირებს, მოუსმენს მათ, განცხადებული შუამდგომლობის გამო. განცხადებული შუამდგომლობების გამო მოსამართლე (სასამართლო) მოისმენს პროკურორის დასკვნას“ (მუხ. 423) 23.

ამგვარად, პროცესის სხვა მონაწილეთაგან განსხვავებით, პროკურორს უსმენენორჯერ, ამასთან მეორედ პროკურორი იძლევა არა, ვთქვათ, განმარტებას ან

მოსაზრებას, როგორც ვთქვათ, დაცვის მხარე, არამედ სხვათაგან განსხვავებულ „სუბსტანციას“ - **დასკვნას**. აშკარაა, რომ აქ პროკურორის ამპლუა (უფლებამოსილება) აშკარად აღემატება სხვა მხარეებისას, რაც ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის მე-15 მუხლში აღიარებულ შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელიც სწორედ მხარეთა თანასწორობის პოსტულატზეა დაფუძნებული.

13. შინაპატიმრობის პროცედურული ხარვეზები - ასპარეზი „სამოსამართლეო სამართლისათვის“. ჩვენი კანონმდებლობისათვის აღკვეთის ახალი ღონისძიების - შინაპატიმრობის პროცედურული წესები აშკარად ხარვეზიანია. კერძოდ, სსსკ არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რა ვადით წესდება იგი პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ, რა წესით გრძელდება შემდგომში მისი ვადა და სხვა. ამიტომაც იყო შემთხვევა, როცა მაგალითად, საგამოძიებო კოლეგის წინაშე დააყენეს საკითხი მისი ვადის 7 თვემდე გაგრძელების შესახებ. აღნიშნული შუამდგომლობის განხილვისას ამ სტატიის ავტორი, როგორც საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე, დადგა „სამოსამართლეო სამართლის“ მოშველიების აუცილებლობის წინაშე, რაც ჩვენში ჯერჯერობით იშვიათი ხილია, ამიტომ თავს ნებას მივცემ მოვიტანო ვრცელი ამონარიდი ჩემი შესაბამისი ბრძანებიდან (13.10.1999წ.):

„მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (166-ე და სხვა მუხლები) არ არის მითითებული, თუ რა ვადით შეიძლება დანიშნოს შინაპატიმრობა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ, ვინ და რა ვადით აგრძელებს ამ აღკვეთის ღონისძიების ვადას, მაგრამ,

ვინაიდან ამავე კოდექსის 152-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 162-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 243-ე მუხლის მე-11 ნაწილი შინაპატიმრობაზე ავრცელებს პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, სამართლებრივ რეჟიმს (243-ე მუხლის მე-11 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ „პატიმრობის ან შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების კანონიერება და დასაბუთებულობა არ გასაჩივრდება“, ე.ი. შინაპატიმრობის ვადის გაგრძელება დადგენილია იმავე რეჟიმში, როგორშიც პატიმრობისა, სხვა ზემონენებული მუხლების ძალით კი შინაპატიმრობის ვადა, ისევე, როგორც პატიმრობისა, არ შეიძლება აღემატებოდეს 9 თვეს, ამასთან, შინაპატიმრობის ვადა ითვლება პატიმრობის ვადაში), მისი ვადის დაწესებასა და გაგრძელებაზე უნდა გავრცელდეს პატიმრობის ვადის დაწესებისა და გაგრძელების რეჟიმი. აღნიშნული კოდექსის 162-ე მუხლის მე-3 ნაწილის ძალით კი საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს უფლება აქვს ბრალდებულის პატიმრობის ვადა გააგრძელოს მხოლოდ 6 თვემდე, 6-დან 9 თვემდე ვადის გაგრძელება კი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის პრეროგატივაა“.

14. საგამოძიებო კოლეგიის საპროცესო აქტების ბრძანება, დადგენილება და კერძო დადგენილება (ეს უკანასკნელი დარღვევებზე რეაგირების ფორმაა). დადგენილება, როგორც შესაბამისი ნორმების ანალიზიდან გამომდინარეობს (თუმცა საკმაოდ ბუნდოვნად!), საგამოძიებო კოლეგიის მიერ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა განიხილება საჩივარი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან

გაუქმების შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების ან გამოტანილი დადგენილების (ეს უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ გაუქმებისას!) თაობაზე, აგრეთვე, როგორც „ირიბად“ შეიძლება დავასკვნათ, – სხვა კატეგორიის საჩივრების განხილვის დროსაც. პატიმრობის ან შინაპატიმრობის ვადის გაგრძელებისას კი გამოიცემა ბრძანება. ვფიქრობ, კანონმდებლმა საკმაო საფუძვლის გარეშე ორივე ინსტანციაში ზედმეტად გაართულა სიტუაცია – სხვადასხვა სახელწოდების აქტების დაწესება აქ არანაირი კონცეფტუალური საფუძვლით ან საპროცესო აუცილებლობით არ არის გამოწვეული. როგორც ცნობილია, სასამართლოთა საპროცესო აქტების სახელწოდება, ფორმა თუ გამოყენების არეალი მეტნაწილად ფრიად პირობითია, რაც დასტურდება როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების, ისე ჩვენი შესაბამისი პრაქტიკით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ, მაგალითად, ბრძანების ბრძანებითვე გაუქმება რაიმე იურიდიულ პროცესის არ ქმნის რიგ სახელმწიფო ორგანოთა თუ თანამდებობის პირთა პრაქტიკაში. ამიტომ, ვფიქრობ, კანონმდებლობის უნიფიკაციის, მისი გამარტივების მიზნით ამ სფეროში – ყველა რგოლში და ყველა საკითხზე, გარდა კერძო დადგენილების საკითხებისა, – უნდა დაწესდეს ერთიანი აქტი, ვთქვათ, ბრძანება.

15. პრაქტიკის ზოგიერთი ტიპური ხარვეზის შესახებ. ანალიზი გვიჩვენებს, რომ შედარებით ხშირად გვხვდება შემდეგი ხარვეზები და ნაკლოვანებები:

ა) ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების და მისი ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლებების ხშირად არ არის მითი-

თებული აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების იმ საფუძვლების არსებობაზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 140-ე მუხლით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 163-ე მუხლით და სხვა ნორმებით. სახელდობრ, ლაპარაკია ერთდროულად როგორც ფორმალურ (საპროცესო), ისე ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძვლებზე.²³ კერძოდ, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შეფარდების და მისი ვადის გაგრძელების სპეციალური (დამატებითი) საფუძვლებია „დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დაემალება გამოძიებასა და სასამართლოს, ანდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გამოხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას“ (მუხ. 151, ნაწ. 3.). პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობაში, გარდა ამისა, მითითებული უნდა იყოს „გამოძიების გაჭიანურების მიზეზები, გარემოებანი, რომელთა შემოწმებაც საჭიროა“ (მუხ. 163, ნაწ. 1), ე.ი. კიდევ რა არის გასაკეთებელი საქმეზე. ჩემი აზრით, შუამდგომლობის ავტორმა არა მარტო უნდა მიუთითოს ვადა, რომელსაც ითხოვს, არამედ ისიც, თუ რატომ ითხოვს სწორედ ამ ვადას, – ვთქვათ, 2 ან 3 თვეს.

ბ) შინაპატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, შეფარდების საკითხის დაყენებისას ხშირად არ ითვალისწინებენ იმას, რომ 166-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, ეს აღკვეთის ღონისძიება შეიძლება შეფარდოს მხოლოდ საგამონაკლისო პერ-

23. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების (შეფარდების), მისი ვადის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების ფორმალური (საპროცესო) და ფაქტობრივი (მტკიცებულებით) საფუძვლების (მათს ერთობლობაში!) საკითხი მეტად რელიეფური და აქტუალური საკითხია, რის გამოციგი ცალკე განხილვას მოითხოვს.

სონალური თვისებების მქონე პირებს (პირები ან მე-2 ჯგუფის ინვალიდები, მძიმე ქრონიკული ან ინფექციური სნეულებით დავალდებულნი, 12 კვირაზე მეტი წელის ორსული ქალები, მძიმე ოჯახური მდგომარეობის მქონენი).

გ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლენი, ნაცვლად პერსონალური (ინდივიდუალური) მიდგომისა, ზოგჯერ „შტამპავენ“ ბრძანებებს ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შესახებ, რის გამოც ზემდგომ ინსტანციებში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იცვლება ან უქმდება – მეტწილად შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების ზედმეტი სიმკაცრის, უფრო იშვიათად კი – გაუმართლებელი ლმობიერების „შეუსაბამობის“ გამო.²⁴

დ) არაიშვიათად საგამოძიებო კოლეგიაში გამოსაგზავნ საჩივარს მათი ავტორები უწოდებენ „საპელაციო საჩივარს“, „კერძო საჩივარს“ ან „კერძო საპელაციო საჩივარს“, რაც უსწოროა, რადგან საგამოძიებო კოლეგიაში შესატან ამ კატეგორიის ყველა დოკუმენტს საპროცესო კოდექსი უწოდებს უბრალოდ „საჩივარს“.

ე) კანონი (სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-4 ნაწილი) შუამდგომლობის ავტორს ავალდებულებს, რომ მან შუამდგომლობაში აღნიშნოს ზუსტი მონაცემები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც გამოითხოვება ბრძანება სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოსაყენებლად.

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ არ უთითებენ ბრალდებულთა დემოგრაფიულ მონაცემებს, დაკავების, ბრალდების წაყენების და რაიონული სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თარიღებს, საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და ა.შ. მეტიც, ზოგჯერ შუამდგომლობაში მითითებულია, რომ თითქოს პირს ჩადენილი აქვს მძიმე დანაშაული მაშინ, როცა ბრალდებულის სახით პასუხისებაში მიცემის დადგენილებაში მითითებული დანაშაული, სსკ-ის მე-8¹ მუხლის ძალით, არ მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რაც ხელოვნურად უმბიმებს მდგომარეობას ბრალდებულს და შესაძლოა სასამართლო შეცდომის წყაროც გახდეს. ამიტომ სასამართლომ საზოგადოდ და, კერძოდ, საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ, ასეთ ფაქტებზე, როგორც წესი, უნდა გააკეთოს რეაგირება კერძო დადგენილების გამოტანა, ისევე როგორც შეუძლებელია ყველა იმ მსხვილი თუ წვრილი პრობლემის ამთავითვე აღნუსხვა და მოწესრიგება, რომელიც წამოიჭრება ამ ჩვენთვის სრულიად ახალი ინსტიტუტის დაფუძნების ობიექტურად რთულ, წინააღმდეგობრივ და მტკიცენულ პროცესში, განსაკუთრებით კი მის „სასტარტო“ ეტაპზე.

იური გაგისონია,
თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

24. მაგალითად, თბილისის საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ, რომელიც წარმოდგენილია სულ 4 მოსამართლით: თ. კაპანაძე – თავმჯდომარე, პ. ქობულაძე, ო. ჯორგებაძე და ამ სტატიის ავტორი, მისი ფუნქციონირების დაწყებიდან – 1999 წლის 15 მაისიდან დაახლოებით 4 ოვეში განიხილა 72 საჩივარი, რომელთა საფუძველზე გაუქმდა მოსამართლეთა 6 აქტი, შეიცვალა – 18 (მათ შორის 4 – უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით).

საკონსტიტუციო სამართლი

გია ხუბუა

ფედერალიზმი და სუბსიდიარობის

პრინციპი

სუბსიდიარობის ცნების
საკითხისათვის

სუბსიდიარობა წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „subsidiū“, რაც დახმარებას, ხელშეწყობას ნიშნავს.¹ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით სუბსიდიარობა უფრო სამხედრო ტერმინოლოგიაში გამოიყენებოდა და აღნიშნავდა იმ ნაწილებს, რომლებიც მნიშვნელობით შემთხვევაში ერთვებოდნენ ბრძოლაში. რომაელების სამხედრო ტერმინოლოგიაში „subsidiarii cohortes“ განსხვავდებოდა „prima agiesa“-გან, რომლებიც პირველი ებმებოდნენ ბრძოლაში.²

იურიდიულ კონტექსტში სუბსიდიარობა, როგორც მეთოდური კრიტერიუმი პირველად სწორედ „დახმარების“ მნიშვნელობით იყო გამოიყენებული. სუბსიდიარობის პრინციპს განსაკუთრებული დახმარების გაწევა შეეძლო იურიდიულ ნორმათა კონკურენციის შემთხვევაში.³ ნორმათა კონკურენციის დროს საქმე გვაქვს ე. წ.

¹ Rauscher, A., Subsidiarität -Sozialethik, in: Görres-Gesellschaft (Hrsg.), Staatslexikon, 7. Auflage, 5. Band (Sozialindikatoren-Zwingli), Freiburg, Basel, Wien 1989, Spalte 386-388.

² Pieper, Stefan Ulrich, Subsidiarität: Ein Beitrag zur Begrenzung der Gemeinschaftskompetenzen, München, 1994, S.30.

³ Hollerbach, Spalte 389.

ლოგიკურ სუბსიდიარობასთან, რომლის თანახმად ზოგადი ნორმა გამოიყენებული უნდა იყოს მნიშვნელოდ უფრო სპეციალური ნორმის არარსებობის ან მისი გამოიყენების შეუძლებლობის შემთხვევაში.⁴ სუბსიდიარობის ცნება ამ მნიშვნელობით გამოიყენება თანამედროვე გერმანულ იურიდიულ მეცნიერებაში, როდესაც ლაპარაკია „კონსტიტუციური სარჩელის სუბსიდიარობაზე“. გერმანული კანონმდებლობით, კონსტიტუციური სარჩელი დაიშვება მნიშვნელოდ მაშინ, როდესაც მოსარჩელეს მისი, სავარაუდოდ დარღვეული, ძირითადი უფლებების აღდგენა არ შეუძლია სხვა საშუალებებით, თუ არა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე.⁵

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნორმათა კონკურენციასთან მიმართებაში სუბსიდიარობის პრინციპის შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. სუბსიდიარობა იძლევა სხვადასხვა სამართლებრივ ნორმებს, მაგრამ არა თვითონ ამ უფლების მატარებელთა, შორის არსებული კონკურენციის გადაწ-

⁴ Pieper, S. U., Subsidiarität, Ein Beitrag zur Begrenzung der Gemeinschaftskompetenzen, S.30.

⁵ Hesse, K., Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 20. Auflage, Heidelberg, 1995, S.342.

ყვეტის შესაძლებლობას.⁶ ამიტომ სუბსიდიარობა არის მხოლოდ იურიდიული ტექნიკის საშუალება და არა უშუალოდ იურიდიული ცნება. მართალია, გერმანიულმა კანონმდებელმა ძირითად კანონში სცადა პოზიტიური სამართლის მეშვეობით განესაზღვრა სუბსიდიარობის პრინციპის შინაარსი, მაგრამ უშედევოდ.⁷

სუბსიდიარობის პრინციპი არ შემოიფარგლება მარტოოდენ შიდასახელმწიფოებრივი სისტემით და იგი არის ფართო სოციალური შინაარსის მქონე ცნება. სუბსიდიარობის პრინციპის მოქმედება ვრცელდება როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო გაერთიანებებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე.⁸ შემთხვევით არაა, რომ სუბსიდიარობის პრინციპის ფორმულირებაზე დიდი გავლენა იქონია ჰაინრიხ პეშის მიერ განვითარებულმა ნაციონალური ეკონომიკის თეორიამ. პეში, მართალია უშვებდა ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო ჩარევას, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. პეშის მოწაფეების მიერ სუბსიდიარობის, თავისი არსით წმინდა ეკონომიკური, მოთხოვნა, მოგვიანებით გადატანილი იყო სოციალურ სფეროზე.⁹

სუბსიდიარობის პრინციპამა განვითარება პოვა კათოლიკურ სოციალურ მოძღვრებაში, განსაკუთრებით პაპ პიუს 1-ის ენციკლიკაში „Quadragesimo anno“, რომელიც გამოქვეყნდა 1931 წლის 15 მაისს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სუბსიდიარობის პრინციპი ამ ენციკლიკაში პირველად არ იყო ფორმულირებული. კათოლიკური ეპლესია, მას შემდეგ, რაც იგი აქტიურად

იყო დაკავებული სოციალური საკითხებით, მუდამ მიუთითებდა სუბსიდიარობის პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე. ზემოაღნიშნულმა ენციკლიკამ მხოლოდ დაადასტურა სუბსიდიარობის პრინციპი, როგორც კათოლიკური სოციალური მოძღვრების ფუნდამენტი.¹⁰ თავის 1991 წლის სოციალურ ენციკლიკაში „Centesimus Annus“ პაპმა ითხოვს პავლე II-მ, კიდევ ერთხელ მიუთითა სუბსიდიარობის პრინციპის ხელშეუხებლობასა და დიდ მნიშვნელობაზე.¹¹

სოციალურ ენციკლიკაში სუბსიდიარობის პრინციპის მნიშვნელოვანი როლის აღიარება განაპირობა ფაშიზმის გაძლიერებამ ევროპაში და კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცებამ საბჭოთა კავშირში. სუბსიდიარობის პრინციპის მოშველიებით ეკლესიამ უარყო საზოგადოების ტოტალიტარული ორგანიზაციის ორივე ფორმა. ტოტალიტარიზმის მზარდი საშიშროების ფონზე ეკლესიამ სცადა, ჩამოყალიბებინა სოციალური წესრიგის ისეთი პრინციპი, რომელიც ერთი მხრივ, დაძლევდა ლიბერალური კაპიტალიზმის ანარქიას, ხოლო მეორე მხრივ, წინააღმდევობას გაუწევდა მარქსისტულ და ფაშისტურ დიქტატურას. სუბსიდიარობის პრინციპს სურდა დაედასტურებინა, რომ ადამიანზე ორიენტირებული საზოგადოებრივი წესრიგი არ შეიძლება ეფუძნებოდეს არც ინდივიდუალიზმის და არც კოლექტივიზმის იდეოლოგიას. ეკლესიის აზრით, სამართლიანი წესრიგი უნდა ეფუძნებოდეს პიროვნების ღირსებას, სტრუქტურებულ და საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედ

⁶ Isensee, J., Subsidiaritätsprinzip und Verfassungsrecht. Eine Studie über des Verhältnisses von Staat und Gesellschaft, Berlin, 1968, S.87.

⁷ Harbich, J. Der Bundesstaat und seine Unantastbarkeit, Berlin, 1965, S. 117.

⁸ იქვე.

⁹ Pieper, Subsidiarität, S.36.

¹⁰ Nell-Breuning, Oskar von, Baugesetze der Gesellschaft: Solidarität und Subsidiarität, Freiburg i. Br., 1990, S.69 ff.

¹¹ Kuttenkeuler, Benedikt P., Die Verankerung des Subsidiaritätsprinzips im Grundgesetz. Ein Beitrag zur Bedeutung des Subsidiaritätsprinzips für die Kompetenzabgrenzung im Bundesstaat, 1998, S.28.

საზოგადოებას და საერთო კუთილდღეობის
იდეას.¹²

სუბსიდიარობის პრინციპი აღიარებს, რომ
არ შეიძლება საზოგადოებამ ადამიანს ჩამო-
ართვას იმის გაკეთების უფლება, რაც ერ-
თულ ინდივიდსაც ხელეწიფება და არ
მოითხოვს საზოგადოებრივ გაერთიანებათა
ჩარევას; ის, რისი შესრულებაც ხელეწიფება
საზოგადოებრივი გაერთიანების დაბალ
დონეს, არ შეიძლება მითვისოს ზემდგომ-
მა გაერთიანებამ; უზენაესმა სახელმწიფო
ავტორიტეტმა კი უნდა იკისროს პასუხ-
ისმგებლობა იმისათვის, რომ ცალკეულ
ინდივიდთა საქმიანობა და საზოგადოების
სტრუქტურულ ერთობათა ინიციატივა
დაექვემდებაროს საყოველთაო კუთილდღე-
ობის და საერთო სოციალური სიკეთის
მოთხოვნებს.

სუბსიდიარობის პრინციპს გააჩნია სხვა-
დასხვა ასპექტი:

— კომპეტენციათა განაწილების სისტე-
მის თვალსაზრისით სუბსიდიარობის პრინ-
ციპი პი მოითხოვს განსაზღვრულ ფუნქცია-
თა და კომპეტენციათა უმდაბლეს საფეხ-
ურზე უზრუნველყოფას. ფედერალიზმთან
მიმართებაში ეს ნიშნავს, რომ სახელმწი-
ფომ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი
საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირე-
ბისაგან და როგორც „სათადარიგო მოთა-
მაშე“, უნდა ჩაერიოს მხოლოდ იქ, სადაც
უფრო მცირე გაერთიანებებს დამოუკიდე-
ბლად არ შეუძლიათ კონკრეტული საკ-
ითხის მოვარება. უნდა აღინიშნოს, რომ
თანამედროვე ლიტერატურაში სუბსიდიარ-
ობას უფრო პრაგმატული შინაარსი ენიჭე-
ბა. კერძოდ, სუბსიდიარობა განიხილება სახ-
ელმწიფო ფუნქციათა განხორციელების
ეფექტიანობის მნიშვნელობით და შედარე-
ბით ნაკლები ყურადღება ექცევა მაქსიმალუ-

რად დაბალ საფეხურზე მათი რეალიზაცი-
ის მოთხოვნას;

— თავისუფლების უზრუნველყოფის ფუნ-
ქციის თვალსაზრისით სუბსიდიარობის
პრინციპი აღიარებს, რომ შედარებით პატ-
არა გაერთიანებებს უფლება აქვთ, მოითხ-
ოვონ მხოლოდ იმ ამოცანების რეალიზა-
ცია, რომელთა დამოუკიდებლად განხორ-
ციელებაც მათ რეალურად ძალუმთ;

— სუბსიდიარობის პრინციპს აქვს ღია-
მიური ხასიათი — ფუნქციათა განაწილების
დონის არჩევა დამოკიდებულია იმაზე,
თუ რამდენად შესაბამებიან ეს დონეები
შესაბამისი ამოცანების ეფექტიანი რეალ-
იზაციის მოთხოვნებს.¹³

ფედერალიზაციის და სუბსიდიარობის არიტეიას სამართო და განვასხვავები ნიშნები

სუბსიდიარობის პრინციპს ყოველთვის
განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ფედ-
ერალიზმის თეორიაში.¹⁴ ალტუზიუსი, ფედ-
ერალური სოციალური ფილოსოფიის
ფუძემდებელი, საზოგადოებრივი ხელშეკ-
რულების კონცეფციიდან გამომდინარე, ავი-
თარებდა ბუნებით-სამართლებრივი საზოგა-
დოებრივი სტრუქტურის იდეას, რომელიც
არსებითად სუბსიდიარობის პრინციპზე იყო
დაფუძნებული. ალტუზიუსის მიერ განვი-
თარებული მოდელის შესაბამისად, ინდივი-
დი და სახელმწიფო აყალიბებენ ისეთ
ორგანულ კორპორაციას, სადაც ყოველი
შემდგომი უფრო დიდი გაერთიანება მოიცავს

¹² იქვე, გვ. 29.

¹³ Stewning, C., Subsidiarität und Föderalismus in der Europäischen Union, 1992. Peter Häberle, Das Grundgesetz zwischen Verfassungsrecht und Verfassungspolitik. Ausgewählte Studien zur vergleichenden Verfassungslehre in Europa, 1996, S. 401 ff.

¹⁴ უფრო დაწვრილებით იხ. Deuerlein, E., Der Föderalismus. Die historischen und philosophischen Grundlagen des föderativen Prinzips, München, 1972, S. 22 ff.

შედარებით უფრო მცირე გაერთიანებებს. ალტუზიუსის აზრით, სწორედ ეს მცირე გაერთიანება, როგორც ჭეშმარიტი და თვითმყოფი ერთობა, აყალიბებს ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების განსაკუთრებულ სფეროს. ის არის პირველადი, საწყისი, მაშინ, როცა ყველა ზემდგომი გაერთიანებების უფლებამოსილები წარმოებული ხასიათისაა. ზემდგომ გაერთიანებებს განსაზღვრული უფლებამოსილებები გადაეცემა მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია მათი სპეციფიკური ფუნქციების განსახორციელებლად.¹⁵

ალტუზიუსის მიერ განვითარებული საზოგადოების ფედერალური მოდელი ეფუძნებოდა როგორც მაშინდელი გერმანიის იმპერიის ფილოსოფიურ სისტემას, ასევე გერმანიის და ნიდერლანდების გერმანური შტატების პოლიტიკურ მდგომარეობას მე-17 საუკუნეში. ალტუზიუსის პოლიტიკურ თეორიაში ასახვა პოვა რეალურად არსებული კორპორაციული გაერთიანებების მრავალფეროვნებამ. ამავე დროს ალტუზიუსის თეორია იმთავითვე გამოიჩინა კორპორაციების შესახებ შუა საუკუნეებში გავრცელებული მოძღვრებებისაგან. თუ შუა საუკუნეების დოგმატიკას, არისტოტელესეული უნივერსალიზმის საფუძველზე, მთელის შემადგენლი წევრის არსებობა გამოკყავდა საზოგადოებრივი გაერთიანების ზემდგომი სტრუქტურიდან, ალტუზიუსი, როგორც ანთროპოცენტრისტული მიმდინარეობის წარმომადგენელი, ავითარებს რადიკალურად განსხვავებულ აქსიომას, რომლის თანახმადაც პოლიტიკური წესრიგი ეფუძნება ერთეულ ინდივიდს. პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმაცია ალტუზიუსის თეორიაში სოციალური ხელშეკ-

რულების საფუძველზე მიმდინარეობს „ქვემოდან ზევით“. ალტუზიუსის მოძღვრება მნიშვნელოვნად განსხვავდება მე-17 და მე-18 საუკუნის მიჯნაზე არსებული რაციონალურ-ინდივიდუალისტური ბუნებითი სამართლის თეორიებისგანაც. ალტუზიუსის თეორიაში საზოგადოებრივი ხელშეკრულების მხარე არის არა ავტორკიული, იზოლირებული ადამიანი, არამედ ადამიანი, რომელიც *a priori* დეტერმინირებულია თავისი ბუნებითი არსებობის, თავისი ყოფის მდგომარეობით.¹⁶

ფედერალური სტრუქტურები და სუბსიდიარობის პრინციპი ეფუძნება იმ ფაქტობრივად მოცემულ გარემოებას, რომ სახეზეა საზოგადოების სტრუქტურული ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის სხვადასხვა დონეები მყაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამასთანავე, არსებითია ის ფაქტი, რომ თვითონ ეს სტრუქტურა წარმოშობილია განსხვავებული, საფეხუროვანი სტრუქტურის მქონე ორგანიზაციული ფორმებიდან.¹⁷

სუბსიდიარობა და ფედერალიზმი არიან მონათესავე, მაგრამ არა სინონიმური ცნებები. ფედერალიზმი მოიცავს პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესს, მის სტრუქტურას, ერთმანეთის გვერდით არსებულ ავტონომიებს. სუბსიდიარობის პრინციპი, პირიქით, შეეხება ამოცანათა გადანაწილებას ერთი, განსაზღვრული სტრუქტურის შიგნით, შეეხება პროცესს, რომელიც მიმდინარეობს „ქვემოდან ზევით“.¹⁸

სუბსიდიარობის პრინციპის სრული მოცულობით რეალიზაცია შესაძლებელია მხ-

¹⁶ იქვე, გვ. 38.

¹⁷ Kühnhardt, L., *Föderalismus und Subsidiarität. Betrachtungen zu einer deutschen und europäischen Frage*, in: *Aus Politik und Zeitgeschichte B* 45/91, S.42.

¹⁸ Frenkel, M., *Föderalismus und Bundesstaat. I Band, Föderalismus*, 1984, S.86.

¹⁵ ციტ. Isensee, J., *Subsidiaritätsprinzip und Verfassungsrecht*, S.37.

ოლოდ ფედერალური სტუქტურების მეშვეობით. სუბსიდიარობის პრინციპი, შეიძლება ითქვას, შინაგანად არის დამახასიათებელი მართვის ფედერალური მოდელისათვის.¹⁹ ასეთი იმანენტური კავშირიდან და იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ფედერალიზმი მთლიანად ეფუძნება სახელმწიფოს ტერიტორიულ ორგანიზაციას „ქვემოდან ზევით“, ცალკეული ავტორები არ აღიარებენ რამე პრინციპული ხასიათის მქონე განსხვავებას ფედერალიზმსა და სუბსიდიარობას შორის.²⁰

მიუხედავად ასეთი მჭიდრო კავშირისა, ფედერალიზმი არ არის სუბსიდიარობის პრინციპის რეალიზაციის აუცილებელი წანამდლვარი.²¹ სუბსიდიარობის პრინციპი შესაძლებელია განხორციელდეს ისეთ სახელმწიფო ზელისუფლებათა ორი ან მეტი დონე. მართვის ფედერალური სტრუქტურა აყალიბებს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული საქმიანობის ზელისურელ გარემოს. ამავე დროს, სუბსიდიარობის პრინციპი სავსებით შესაძლებელია რეალიზებული იყოს უნიტარული სახელმწიფოს პირობებში, იგივე დეცენტრალიზაციის ფორმით.²²

ფედერალიზმსა და სუბსიდიარობას შორის არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ფედერალიზმი არ გულისხმობს უფლებამოსილებათა აუცილებელ გადანაწილებას იმ სქემით, როგორც ამას მოითხოვს სუბსიდიარობის პრინციპი. განსხვავებულია

ფედერალიზმის და სუბსიდიარობის პრინციპის ფუნქციონალური მიზნებიც. კლასიკური ფედერალიზმის ძირითადი ფუნქციაა, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ინტეგრაციულ ძალებს, განსხვავებული კუთხების გაერთიანებას და ამავდროულად, ამჯგუფების ინდივიდუალობის და დამოუკიდებლობის დაცვას. ფედერალური, ინტეგრალური პრინციპების რეალიზაციისათვის ყოველთვის არ არის აუცილებელი (ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე სასურველიც), რომ განსაზღვრული სახელმწიფო ფუნქციის შესრულება აუცილებლად მოხდეს უმდაბლეს დონეზე (როგორც ამას მოითხოვს სუბსიდიარობის პრინციპი). ფედერალიზმის დროს განსაზღვრული სახელმწიფო ფუნქცია, რომელიც შეიძლება შესარულოს უფრო მცირე გაერთიანებამ, შესაძლებელია განხორციელდეს ზელისუფლების უფრო მაღალი დონეების მიერ. ცხადია, ფუნქციათა რეალიზაციის დონის შერჩევის ფედერალური სისტემა არ ნიშნავს, რომ დარღვეულია ფედერალიზმის მთავარი მიზანი და ფუნქცია: ფედერაციის სუბიექტების ავტონომიური დამოუკიდებლობა და ამ სუბიექტების ინდივიდუალურ თავისებურებათა შენარჩუნება.²³

ფედერალიზმის თეორიაში სრულყოფილად არ არის დამუშავებული ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ცალკეული ფუნქციები უნდა გადაეცეს სახელმწიფო ზელისუფლების შედარებით უფრო მაღალ დონეებს. ფედერალური მართვის სისტემა მხოლოდ მოითხოვს, რომ არ დაიშვება ფედერალურ კავშირში გაერთიანებულ სუბიექტთა დამოუკიდებლობის და ინდივიდუალური განსაკუთრებულობის ნიველირება. ფედერალიზმის ამ საყოველთაოდ

¹⁹ Lecheler, H., Das Subsidiaritätsprinzip: Strukturprinzip einer Europäischen Union, in: Soziale Orientierung, Band 8, Berlin 1993, S.39.

²⁰ Hesse, Grundzüge des Verfassungsrechts, S. 97

²¹ Dennewitz, B., Der Föderalismus, 1947, S. 87.

²² Frenkel, M., Föderalismus und Bundesstaat, S.87.

²³ o.b. Pieper, S. U., Subsidiarität, Ein Beitrag zur Begrenzung der Gemeinschaftskompetenzen, S. 57.

ცნობილი პრინციპისაგან განსხვავებით, სუბსიდიარობის შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გადატანილია მართვის სრულიად განსხვავებულ ასპექტებზე. კერძოდ, სუბსიდიარობის პრინციპი მოითხოვს, რომ განსაზღვრული ფუნქციების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადაეცეს ხელისუფლების უფრო მაღალ დონეებს, როდესაც შედარებით უფრო პატარა გაერთიანებას არ ძალუმს მათი რეალიზაცია.

ცალკეული ავტორების აზრით, სუბსიდიარობის პრინციპის რეალიზაცია ავტომატურად გულისხმობს, რომ ხდება მთელი რიგი უფლებამოსილებების რეალიზაციის წახალისება ფედერაციის სუბიექტთა დონეზე. თუმცა ფედერაციულ სახელმწიფოში გვხვდება მთელი რიგი ისეთი ფუნქციები, რომლებიც, იგივე სუბსიდიარობის მოთხოვნათა საფუძველზე, აუცილებლად უნდა გადაწყდეს ცენტრალურ დონეზე. სახელმწიფო ფუნქციების ცენტრალიზებული სისტემა, ცხადია მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს ფედერაციის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიული ერთეულების მიერ მათი დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობებს. სუბ-

სიდიარობის პრინციპი ასევე მოითხოვს შედარებით პატარა გაერთიანებათა შესაძლებლობების მაქსიმალურად განმტკიცებას, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი კომპეტენციათა ცენტრალიზაციის აუცილებლობა. ფედერაციის სუბიექტთა კომპეტენციების დაცვა უნდა ემსახურებოდეს არა ამ გაერთიანებათა ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის, არამედ პოლიტიკის „გაადამიანურების“, პოლიტიკაში მოსახლეობის ფართო მონაწილეობის ინტერესებს.²⁴

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სუბსიდიარობა და ფედერალიზმი ლოგიკური აუცილებლობით არ მოითხოვნენ ერთმანეთს. ამავე დროს, ფედერალიზმი და სუბსიდიარობა ხელს უწყობენ სახელმწიფო ფუნქციათა რეალიზაციის ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბებას. ერთის მხრივ, თავისთვის მხოლოდ ფედერალური სისტემის არსებობა არ გულისხმობს, რომ სუბსიდიარობის პრინციპი უკვე ავტომატურად რეალიზებულია. მეორეს მხრივ, არ შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ სუბსიდიარობის პრინციპი, მართვის ფედერალური მოდელის პირობებში დაცლილია რეალური შინაარსისაგან.

გვ. ხებუა,

საქართველოს მცირერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

²⁴ Weber, K., Kriterien des Bundesstaates. Eine systematische, historische und rechtsvergleichende Untersuchung der Bundesstaatlichkeit der Schweiz, der Bundesrepublik Deutschland und Österreichs, 1980, Wien, S. 36.

ჩავით კერესელიძე

ପାଶାକରଣବୀଳଗଣୀ ଅନ୍ତିମଟି

კოლეგიას სამართლებრივი საფუძვლების

Համարուսաթզու

აჯარო მოხელეთა კორუფცია გან-
საკუთრებით მტკიცნეული პრობლემაა
იმ ქვეყნისათვის, რომელიც არც თუ
ისე დღიდ ხნის წინ გაემიჯნა ტოტალი-
ტარული სახელმწიფოს მემკვიდრეობას და
დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმ-
წიფოს მშენებლობის გზას დაადგა. მთელი
რიგი ობიექტური და სუბიექტური ხასია-
თის ფაქტორებით განპირობებულ საჯარო
მოსამსახურეთა შრომის დაბალ ანაზღაუ-
რებას, მათი და მათი ოჯახის წევრების
სოციალურ დაუცველობას და ამასთან ერ-
თად, მოსამსახურეთა ქცევის სტანდარტე-
ბის ერთიანი სისტემისა და მყარი მაკონ-
ტროლებელი მექანიზმების არარსებობას
შედეგად მოაქვს კორუფციის გამძაფრება.
„დღეკადი“ ეკონომიკა, საკუთრების ერთი
ფორმიდან მეორეზე გადასვლის შესაძლე-
ბლობა — იურიდიულად მისი ერთი სუბ-
იექტიდან მეორე სუბიექტის ხელში გადა-
სვლით ქმნის მეტად კეთილისმყოფელ გარე-
მოს საჯარო სექტორში კორუფციული ტენ-
დენციების გააქტიურებისათვის, რაც უკვე
კელარ თავსდება მხოლოდ „მექრთამეობის“
ცნების ჩარჩოში. ამასთან, ჩრდილოვანი
ეკონომიკის სტრუქტურების „ლეგალიზა-
ცია“ ცვლის საკუთრების სხვადასხვა ფორ-
მის ურთიერთთანაუზარდობას და იმავდროუ-
ლად ცვლის მათი ზემოქმედების ხარისხს
კორუფციაზე.

ଶତକର କ୍ଷେତ୍ରବ୍ୟାହିରେ

კორუფციას მრავალნაირი ფორმა გააჩნია და პრაქტიკაში მას ყველა სახის ხელისუფლება ეჯახება, კარგად დაძვრით დაუღილებული დემოკრატის ჩათვლით. მას საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ დაწესებულებებში აღმოვაჩენთ, ისევე როგორც კერძო სექტორის საქმიანობის ყველა სფეროში. კორუფცია ექსკლუზიურად რომელიმე ეთნიკურ, სოციალურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს არ უკავშირდება. მიუხედავად ამისა, მისი დონე, მასშტაბი და გავლენა სხვადასხვა ქვეყანაში დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამ მიმართებით შესაძლებელია ერთ ქვეყანაში ორ ადგილს შორისაც იყოს განსხვავება. და მაშინ, როცა კორუფციის ესათუ ის გამოვლინება ყველა საზოგადოებაში არსებობს, მის დონეზე და მასშტაბურობაზე სახელმწიფო მართვის სისტემა დიდ გავლენას ახდენს. ამ სისტემას შეუძლია ხალხში კორუფციული „მოთხოვნილების გაღვიძება“ იმ შემთხვევაში, თუ თავად ხალხი არ მოახდენს სისტემაზე ანტიკორუფციულ „დემარშს“.

კორუფცია ძირს უთხრის სახელმწიფოს უმთავრეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინსტიტუტებს, მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს, საჯარო ხელისუფლების ავტორიტეტს, მისდამი ნდობას, იწვევს სახ-

ელმწიფო სტრუქტურების კრიზისს. ცხადია, მსგავსი მდგომარეობიდან თავის დაღწევის ეფექტიანი საშუალებაა კორუფციის წარმომშობი მიზეზების პროფილაქტიკა და პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იქნებოდა „სახაზინო დაწესებულებებში“ დასაქმებული მოსამსახურების და მათი ოჯახის წევრების მატერიალური პირობების და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფისაკენ. ამასთან საჭიროა კორუფციის აღკვეთის, კორუფციულ სამართლდარღვევათა გამოვლენის და დამნაშავე პირების მხილების მიზნით კომპლექსური ხასიათის საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება, რომელიც გამიზნული იქნება შესაბამისი პრევენციული და კონტროლის მექანიზმების, სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკის ნორმებისა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის სტანდარტების შემოღებასა და ამოქმედებისაკენ, კორუფციასთან ბრძოლის სფეროში არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფისაკენ.

ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, ამ მიმართებით სერიოზულ საწყის ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ისტორიაში კორუფციასთან ბრძოლის სფეროს მოწესრიგების პირველი საკანონმდებლო ცდა – კანონი „საქართველოში ინტერნეთი შეუსავსებლობისა და კორუფციის შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის დებულებათა ცხოვრებაში დამკვიდრებისა და ამოქმედებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ახალი სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ მექანიზმების სათანადო გააზრება და გაანალიზება, გამოყენებული ცნებების კომპლექსურად სისტემაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ კორუფციის ინსტიტუტის სამართლებრივი შინაარსის ღრმად გაგებას, კორუფციულ სამართლდარღვევათა

სპეციფიკისა და თავისებურებების გააზრებას. ამისათვის კი არსებითია იმ ზღვრებისა და პარალელების გავლება და დამკვიდრება, რაც არსებობს კორუფციულ სამართლდარღვევასა და სხვა სახის სამართლდარღვევებს შორის.

– ზოგადად როგორ განსაზღვრავენ კორუფციას?

ტერმინი „კორუფცია“ ადამიანთა საქმიანობის ფართო დიაპაზონს მოიცავს. ეკონომიკაზე და პოლიტიკურ სისტემაზე მისი გავლენის გააზრებისათვის ტერმინის გაშივვრა დიდ როლს თამაშობს.

ლიტერატურა კორუფციის მრავალ განსაზღვრებას იძლევა, რადგან ავტორებს ყოვლისმომცველი, ხან კი მხოლოდ ერთ ასპექტზე ფოკუსირებული ტერმინი აინტერესებთ. უმეტესობა განსაზღვრებებისა კორუფციას უკავშირებს სახელმწიფო მოხელის ქმედებას, რომელიც კორუფციის საგანი შეიძლება იყოს. „კორუფცია სახელმწიფო აგენტისათვის არაკანონიერი გადასახადია, რომელიც მას სარგებელს მისცემს და ხელფასის არარსებობის შემთხვევაში იგი მას ან დაიმსახურებდა ან ვერა“ – ამბობს ცნობილი ექსპერტი როუზ აკერმანი¹, ან „კორუფცია მთავრობის წარმომადგენლის მიერ პირადი სარგებლობისათვის განხორციელებული სახელმწიფო გაყიდვაა.“² OSCD-ს სამუშაო ჯგუფებისათვის ყურადღება მექრთამეობაზეა გადატანილი: „ნებისმიერი დაუმსახურებელი საფასურის ან სხვა უპირატესობის მიცემის პირობა, აგრეთვე აღნიშნულის მიცემა პირდაპირ ან შუამავლის საშუალებით სახელმწიფო მოხელის სასარგებლოდ, რათა მან შეასრულოს, ან უარი განაცხადოს მისი ოფიციალური მოვალეობის შესრულებაზე“. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევრო-

¹⁻² შლეიფერი დი ვიენი, „კორუფცია“, ეკონომიკური ჟურნალი, 1993, №10.

პული ბანკის (EBRD) ექსპერტთა აზრით, „კორუფციის პრაქტიკა ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფალის ან სხვა პირის მოქრთამვას შეუსაბამო კომერციული და სხვა სახის უპირატესობის მიღების მიზნით“. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული განმარტების მიხედვით კი, „კორუფცია არის პირადი სარგებლობისათვის საზოგადოებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენება“. მიუხედავად ამისა, „არ არსებობს ზუსტი განსაზღვრება, რომელიც კორუფციის ყველა ფორმას, სახეს და ხარისხს ესადაგება, ან რომელიც უნივერსალურად მისაღები იქნებოდა ყველა ქმედებისათვის, რაც იურიდიულად კორუფციაში წვლილის შეტანად ითვლება³“. – ვკითხულობთ ევროპის საბჭოს ერთ-ერთ დოკუმენტში.

ჩვენი ქვენის კანონმდებლობით ჩამოყალიბებული კორუფციის განსაზღვრება ბოლომდე ორიგინალური არ არის. იგი შეირჩა, რადგან შედარებით ზუსტია და საკმაოდ ფართო, რათა მან ყველა შესაბამისი ფორმა მოიცვას. სხვა უმეტესი განსაზღვრებების მსგავსად, იგი სახელმწიფო (საჯარო) სექტორის ფენომენს ცნების ცენტრში ათავსებს. კანონის მიხედვით, „კორუფცია საჯარო სამსახურში არის თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სახის სიკეთის მიღების მიზნით, აკრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა“.

რაც შეეხება კორუფციულ სამართალდარღვევას, კანონის თანახმად იგი „არის ქმედობა, რომელიც შეიცავს კორუფციის

ნიშნებს და რომელისთვისაც კანონით გათვალისწინებულია დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი ჰასუხისმგებლობა“.

თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კორუფცია, როგორც, სამართლებრივი ინსტიტუტი, პოლიტიკური თუზისი არ არის და იგი ბევრად უფრო ფართო ცნებაა,⁴ ვიღრე სხვა ხასიათის სამართალდარღვევა თუ მოვლენა, რადგანაც თვით სუბიექტთა წრე საკმაოდ ნაირგვარია და ამასთან, კორუფციული ქმედობისათვის შეიძლება კანონით გათვალისწინებულ იქნას, როგორც სისხლის სამართლებრივი, ისე ადმინისტრაციული ან დისციპლინური ჰასუხისმგებლობა. სისხლის სამართლის თვალთახედვით კორუფცია, როგორც მოვლენა, შეიძლება აღვიქვათ განსაზღვრულ, კონკრეტულ დანაშაულთა კომპლექსად აგებულ შენართად. მას შეიძლება მიეკუთვნოს ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ქრთამის აღება და მიცემა, სამსახურებრივი სიფალე... მაგრამ ხაზგასასმელია, რომ ამ კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობის კორუფციასთან პირდაპირი გაიგივება არამართებულია, რადგან უკანასკნელი ბევრად უფრო მრავლის მომცველია. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დიდი მნიშვნელობა კორუფციულ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების კუთხით. „აუცილებელია სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის კიდევ უფრო სრულყოფა. ეს პროცესი უნდა დაეფუძნოს სოციალური, ეკონომიკური, კრიმინოგენური მდგომარეობის, ისტორიული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს და მოიცვას ორი ძირითადი მიმართულება.“

³ ევროსაბჭოს ეკიდით 1997 წლის ნოემბერში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მასალები (პროგრამა OCTAPUS. კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს დელგაცია კაბაკურაძისა და დ. კერესელიძის მონაწილეობით).

⁴ Системы общегосударственной этики поведения - Пособие Транспаренси интернейшнл.

პირველი – თვითონ კორუფციულ დანაშაულთა შესახებ ნორმების სრულყოფა და გამკაცრება (ისეთი დანაშაულები, როგორიცაა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა, ზოგადად „სამოხელეო დანაშაულები“). მეორე კი – სრულყოფა იმ ნორმებისა, რომლებიც ასრულებენ გარკვეულ პროფილაქტიკურ ფუნქციას კორუფციის პირობებისა და მიზეზების ნეიტრალიზებისათვის (გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, დეკლარირებისაგან თავის არიდება, ანტიმონპოლიური კანონმდებლობის დარღვევა და სხვა)“⁵. მოცემულ ასპექტში იდენტურად შეიძლება მივიჩნიოთ კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემატიკის მიმართება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან და შესაბამის სამართლებრივ პოლიტიკასთან, მთე უფრო, რომ საქართველოში დღის წესრიგში დგას და რეალურად უკვე ხორციელდება ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმა, რაც ანტიკორუფციული სტრატეგიის ერთ-ერთი ბერკეტი უნდა გახდეს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო ოუ კერძო სექტორში არ შეიძლება განხილულ იქნას სხვა პრობლემებისაგან მოწყვეტით. ეს პროცესი უნდა ატარებდეს კომპლექსურ და ტრანსპარენტულ ხასიათს, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო სამსახურის მთელი სისტემის სასურველ სტანდარტებამდე მიყვანას – რეფორმით განხორციელდება ეს ოუ სხვა უფრო ეტაპობრივი ფორმით. „კორუფცია უპირველესად ავთვისებიანი სიძირვესავით ედება სახელმწიფო აპარატის ქსოვილს და კლავს მას.“⁶ ბიუროკრატია-

ში ხდება მიუკერძოებლობის, პატიოსნების, საჯარობის, ეფექტიანობისა და სხვა ღირებულებებისა და ღირსებების ნიველირება. სწორედ ამიტომ კორუფციასთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ენიჭება სახელმწიფო სამსახურის ჯანსაღ სისტემას, მის ეთიკურ მდგრად წყობას. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შეიძლება გამოყოფილი იქნას სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი ბიუროკრატიული აპარატის ანტიკორუფციულად რეფორმაცია – ადაპტაციისა, მაგრამ მე მაინც ხაზს გავუსვამ საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ უგანდის მაგალითს. ეს ქვეყანა პოსტკოლონიზაციის შემდგომ ეტაპზე იყო მსოფლიოში ერთ-ერთი უფრო ყველაზე კლეპტოკრატიული სახელმწიფო, სადაც ყვაოდა კორუფციული გარემო (იდი ამინის მმართველობისას). 1986 წლის სამოქალაქო ომის შემდგომ, უგანდას ახალმა მთავრობამ, პრეზიდენტ ოვერი მუსევენტის თაოსნობით, გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აყვანილ კორუფციას, რაც ძირითადად განხორციელდა საჯარო სამსახურში მიმდინარე რეფორმით, ახალი ანტიკორუფციული სახელმწიფო რეფორმების შექმნით (ისეთი ორგანოები, როგორიც არის პარლამენტთან არსებული შესაბამისი კომიტეტი, გენერალური ინსპექტორის ინსტიტუტის დაფუძნება ფართო უფლებამოსილებით, მათ შორის გამოიიდებისა).

ლოგიკური იქნება, თუ თვალს გადავავლებთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას ამ მიმართებით. კერძოდ კი, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოში იქმნება გარემო სახელმწიფო სამსახურის რეალური რეფორმაციისათვის, რასაც

⁵ Dieter Frisch – “The Effects of Corruption on Development”, 1994.

⁶ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წლის 10 ივლისი №172(2872), ღ. კერძესლიძე – რუბრიკა „კორუფციის წინააღმდეგ“.

7. Ayodel Aderrinwale – “Corruption, Democracy and Human Rights in West Africa” (ALF Publiceitions, Ibadan, 1995).

საფუძველი ჩაუყარა 1997 წელს მიღებულმა კანონმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ (ბატონ თედო ნინიძესთან ერთად გახლავართ მისი ავტორი). ამ საკანონმდებლო აქტმა ბიძგი მისცა სტატიკურ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფო აპარატს, რათა თვითონ ეპოვა გზა მოდერნიზაციისა და ჯანსაღი პროცესისაკენ. ყოველივე ამას საფუძვლად დაედო კანონის დებულებით რეგლამენტირებული ისეთი სამართლებრივი მექანიზმები და ინსტიტუტები, რომელთა რეალიზებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ მათი ცხოვრებაში დანერგვის წარმატებულ მცდელობად უნდა აღვიქვათ ის ტენდენციები, რომლებსაც უკვე აღილი აქვს მრავალ სახელმწიფო – სახაზინო დაწესებულების მენეჯმენტში. მაგალითად გამოდგება საქართველოს პარლამენტი, სადაც შეიძლება ითქვას, აპონბაცია გაიარა საკონკურსო – საატესტაციო ისტემამ, ასევე იუსტიციის სამინისტრო, სახელმწიფო კანცელარია და სხვა.

ზოგადად, მსოფლიო პრაქტიკას თუ გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ ანტიკორუფციული რეფორმების წარმატება იშვიათია, მარცხი კი ხშირი. მაგრამ ეს ფაქტორი არ უნდა გახდეს პესიმიზმისა და შეძრწუნების საბაბი, არამედ პირიქით, ივი უნდა იქცეს შესწავლის საგნად გამოცდილების გასამდიდრებლად.

ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი გაკვეთილი, რაც კი შეიძლება აღნიშნული გამოცდილების შესწავლის შედეგად იქნას გამოტანილი, არის ის, რომ კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ძალისხმევა კრახისათვის არის განწირული შემდეგი ფაქტორებით:

ა) ხელისუფლების შესუსტებით (და არა დეცენტრალიზაციით და დეკონცენტრაციით) ზედა ეშელონებში, როდესაც მთავრობას სურს კორუფციის განადგურება, მაგრამ მემკვიდრეობით მას ერგო უკვე

კორუმპირებული ბიუროკრატია, რომელიც ხელს უშლის ამ პროცესს;

ბ) მმართველი ძალის მოვალეობა – პასუხისმგებლობის არარსებობით;

გ) ზედმეტად ამბიციური დაპირებებით, რომელსაც მივყავართ არარეალურ და მიუღწეველ მოლოდინამდე, რასაც თან მოსდევს საზოგადოებრიობის ნდობის დაკარგვა;

დ) ხშირი და არაკოორდინირებული რეფორმებით, რომელთა წარუმატებლობისათვის არავის პასუხი არ მოეთხოვება;

ე) რეფორმებით, რომელთა მიმდინარეობისას ბოროტად იყენებენ იძულებით უფლებამოსილებებს, რასაც მივყავართ რეპრესიებამდე და იწვევს ხელახალ კორუფციას;

ვ) რეფორმებით, რომლებიც არ ეხება მმართველ „ზედა ეშელონებს“ და კონცენტრირებულია მხოლოდ დაბალ საფეხურზე მყოფი სუბიექტებისათვის;

ზ) ისეთი ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნის შეუძლებლობით, რომლებიც ამ რეფორმის ავტორებსა და სულისხამდგმელებზე დიდხანს იარსებებდნენ;

თ) ხელისუფლების ქმედუუნარობით რეფორმების პროცესში ჩართოს საზოგადოებრიობა და კერძო სექტორი.

სწორედ ამიტომ, სერიოზული და თანმიმდევრული რეფორმების შემადგენელი ელემენტები უნდა იყოს შემდეგი:

1. პილიტიკური ლიდერების სწრაფვა კორუფციის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლისა, სადაც უნდა ჰქონდეს მას აღვილი;

2. ყოვლისმომცველი ანტიკორუფციული კანონმდებლობის მიღება, რომლის რეალიზაცია განხორციელდება „განწმენდილი“ სახელმწიფო აპარატის მეშვეობით სათანადო კონტროლის ქვეშ;

3. ხელისუფლების, სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობის სფეროებისა და კომპეტენციის მკაცრი რეგლამენტაცია,

ყოველგვარი დუბლირებისა და პარალელ-
იზმის გამორიცხვა;

4. საკანონმდებლო აქტებისა და ადმინ-
ისტრაციული პროცედურების გადასინჯვა
ანტიკორუფციული მოტივაციით;

5. ისეთი პროგრამის ამოქმედება, რომელ-
იც საჯარო მოსამსახურეთათვის უზრუნვე-
ლყოფს დაკავებული თანამდებობისა და მინი-
ჭებული კომპეტენციის შესაბამისი პასუხ-
ისმგებლობის არსებობას (და არა არაადეკ-
ვატურს), აგრეთვე მათი ხელფასებისა და
მატერიალური უზრუნველყოფის საუკეთე-
სო თანაშეფარდებას კერძო სექტორთან;

6. იურიდიული და ადმინისტრაციული
საშუალებების ანალიზი და შესწავლა სა-
თანადო შედეგის მისაღწევად;

7. ხელისუფლებასა და სამოქალაქო სა-
ზოგადოებას შორის თანამშრომლობის დამ-
ყარება, კერძო სექტორის, პროფესიონალური
თუ რელიგიური გაერთიანებების ჩათვლით;

8. კორუფციის გადაქცევა რისკიან და
არამომგებიან საქმიანობად.

ყველა ამ მომენტის გათვალისწინებით,
მასშტაბური ანტიკორუფციული სტრატეგია
უნდა მოიცავდეს იერიშს რამდენიმე ფრონტზე
ერთდროულად. საჭიროა სხვადასხვა ტაქ-
ტიკურ სვლებს შორის არსებული ორგანუ-
ლი კავშირის გააზრება. მაგალითად, პრე-
სისა და მასშტაბის თავისუფლებაზე კონტრ-
ოლის გაუქმება უშედევო დარჩება, თუ უუ-
რნალისტებს არ ექნებათ სათანადო „შეხება
და სახლოვე“ სამთავრობო ინფორმაცია-
სთან, ისევე როგორც, ანტიკორუფციული
კანონმდებლობა იმოქმედებს მხოლოდ დე
იურე, თუ დე ფაქტო არ ამუშავდა და
გამკაცრდა შესაბამისი სამართლებრივი კა-
სუხისმგებლობა.

მრავალ ქვეყანაში მოქმედებს ისეთი ან-
ტიკორუფციული სტრატეგია, როდესაც ძარ-
ითადი დატვირთვა გადადის კორუფციის
წინააღმდეგ მებრძოლ ცალკე სპეციალურ
დაწესებულებაზე, სახელმწიფო იქნება ის

თუ საზოგადოებრივი. რამდენადაც კორუფ-
ცია თანდათან სულ უფრო ნაირგარი ხდე-
ბა, სამართალდამცავი ჩვეულებრივი ორგა-
ნობის ნაკლებად ქმედუნარიან სახეს იძენენ
კორუფციასთან დაკავშირებული რთული
საქმეების გამოვლენისა და გამოძიებისას.
უფრო მეტიც, საზოგადოებაში, სადაც კო-
რუფცია ორგანული სენია, ჩვეულებრივი
იძულების მექანიზმებს შეიძლება თვითონ
გააჩნდეთ კორუმპირებული ელემენტები.
სწორედ ამიტომ, მრავალ ქვეყანაში დღის
წესრიგში დადგა (და დღესაც დგას) ახალი
სპეციალური, ქმედითი ანტიკორუფციული
სამსახურების ჩამოყალიბების საკითხი. არ-
სებობს ამის რამდენიმე ვარიანტი. კერძოდ:
შეიძლება ამ სახის დაწესებულება შეიქ-
ნას ობუდცმენის – სახალხო დამცველის
სამსახურთან, როგორც ეს უგანდასა და
გვინეაში გაკეთდა.⁸ მაგრამ სავსებით მარ-
თებული იქნება მოსაზრება ამ ორი სამსახ-
ურის საქმიანობის სპეციფიკას შორის თვი-
სობრივი განსხვავების არსებობასთან დაკავ-
შირებით.

შეიძლება, ანტიკორუფციული ორგანოს
შექმნა იუსტიციის სამინისტროს სისტემა-
ში, როგორც ეს აფრიკის რამდენიმე ქვეყანა-
შია პრობირებული (მალაკია...). მაგრამ, ამ
შემთხვევაში ალბათ ირლევე ხელისუფლების
განშტოებათა შორის ბალანსი;

ასევე შესაძლებელია პონენგის პრაქტიკის
გაზიარება, სადაც 1974 წლიდან საკმაოდ
წარმატებით მოქმედებს კორუფციასთან მე-
ბრძოლი დამოუკიდებელი კომისია (ICC).
ამ კომისიამ თავის საქმიანობაში ძირითადი
აქცენტი გააკეთა საზოგადოებასთან ურთ-
იერობაზე, ნდობის მოპოვებაზე. მისი
თაოსნობით სახელმწიფოში დაინერგა ისე-
თი ფორმალური პროცედურები, რომლებიც
უზრუნველყოფენ საზოგადოებრიბის მონაწ-
ილეობას პოლიტიკის განსაზღვრისას. ასე-

⁸ World Development Report, 1997.

თი პროცედურის შემოღება, რომელმაც შეიძლება მიიღოს იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი „საზოგადოებრივი კომიტეტის“ ფორმა, დიდად უწყობს ხელს ანტიკორუფციული ორგანოსა და სხვა დაწესებულებათა ანგარიშგებას საზოგადოებისადმი⁹.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ ცნობილი მოდელია სინგაპურის გარისტი, სადაც ანტიკორუფციული კომისია შექმნილია პრემიერ-მინისტრის სამსახურში. სწორედ პრემიერის (ლი კუიან იუ) დიდ ძალის ხელვაზე იყო დამოკიდებული ის წარმატება, რომელსაც მიაღწია სინგაპურმა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მრავალი ექსპერტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებასაც, რომ ეს სააგენტო მოქმედებს მთავრობის ხელმძღვანელის – ქვეყნის პირველი პირის სამსახურში. იმავდროულად იგი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ისევე, როგორც ომბუცმენი. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ავსტრალიაში, ახალი სამხრეთ უელსის გამოცდილება, რომელიც მეტად საყურადღებოა. კერძოდ, მოსულმა ახალმა სახელმწიფო ადმინისტრაციამ სახელმწიფო პრემიერის ხელმძღვანელობით დააფუძნა კორუფციასთან მებრძოლი სამსახური (იდენტური სტატუსით, როგორც სინგაპურში). სამსახურმა ისეთი შემართებით დაიწყო საქმიანობა, რომ მისი პირველი „მსხვერპლი“ გახდა თვითონ სახელმწიფო პრემიერი, რომელიც იყო ამ სამსახურის შექმნის ორგანიზატორი¹⁰.

ამ გამოცდილების გაცნობისა და ანალიზის შემდგომ, საკმაო გაკვირვებას იწვევს ის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, რომელიც მოჰყვა საქართველოს პრეზიდენ-

ტის ინიციატივას კორუფციასთან მებრძოლი სპეციალური სამსახურის შექმნის თაობაზე. ყოველმხრივ გაუმართლებელი იქნებოდა ამ სამსახურის შექმნისა და დანიშნულების ეჭვის ქვეშ დაყენება, ვინაიდან დღევანდელმა რეალობამ საკმარისი წინაპირობა შექმნა ასეთი სახელმწიფო რგოლის ჩამოყალიბების აუცილებლობისათვის. ამაზე მეტყველებს საერთაშორისო გამოცდილებაც. აუცილებელია კარგად იქნას გათვლილი, თუ როგორ შეიძლება ანგარიშვალდებული (მხოლოდ ცივილიზებულ ფორმებში) იყოს ასეთი ძლევამოსილი და დამოუკიდებელი დაწესებულება, ასევე როგორ უნდა იქნას დაყვანილი მინიმუმადე კორუფციის შესაძლებლობა თვითონ ამ ორგანოს სტრუქტურაში. ერთ-ერთი ვარიანტი არის პონკონგის კარგად ნაცადი მექანიზმი, როდესაც საზოგადოებრიბის ფართო ფენების მონაწილეობით იქმნება სამეთვალყურეო კომიტეტი, რომლის თანხმობის გარეშეც ანტიკორუფციულ კომისიას არ შეუძლია საქმის დახურვა და გამოძიების შეწყვეტა. იმავდროულად ეს კომისია „კონტროლირებადია“ საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან.¹¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ ბოლომდე გაურკვეველი მიზეზების გამო შეიმჩნევა ტენდენცია, რომლის მიზევითაც კორუფციასთან მებრძოლი ორგანოები უფრო წარმატებით ართმევენ თავს მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა სინგაპური, მალაიზია, ტაივანი, უგანდა და პონკონგი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. აქ ერთი ფაქტორი ნათელია: ყოველ ამ სახელმწიფოში ანტიკორუფციული ორგანოები სარგებლობებს პოლიტიკური და სახელისუფლებო ხელმძღვანელობის აშკარა და უპირობო მხარდაჭერით ამით

⁹ N. Mhembere - Fraud and Corruption: Experiences of other African Countries, Institute of PAM, 1992.

¹⁰ Записки проф. Роберта Клитгарда, "For a Country Program Against Corruption". DSE 1994.

¹¹ Michael Hendershman, "Methods for the Investigation of Corruption", 1994.

აიხსნება, მაგალითად ის, რომ ტანზანიაში მოქმედი კორუფციასთან ბრძოლის ბიურომ (მას ასევე „უწოდებები „კომანდოს““), რომელიც ნიერერას მმართველობის წლებში შედიოდა პრეზიდენტის აპარატში, სახელი გაითქვა აზია-წყნარიოკეანეთის ოევინის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ შემდგომ ეტაპზე მან დაკარგა პოლიტიკური მხარდაჭერა ხელისუფლებისაგან და მყის მოექცა საზოგადოების კრიტიკის ქარცეცხლში.¹² სწორედ ამ ასპექტში, ალბათ მხოლოდ მისალმებასა და გვერდში დგომას იმსახურებს საქართველოს დღევანდელი მმართველი ძალის და პირადად პრეზიდენტის დიდი მონდომება ქვეყანაში ანტიკორუფციული გარემოს შესაქმნელად, რაც ერთგვარი გარანტი უნდა გახდეს ამ მიმართულებით სათანადო წინსვლისა.

დაბოლოს, მინდა ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩამოვაყალიბო ის რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპი, რომლის ბაზეც საქართველოში უნდა აღიმართოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი კომპლექსი:

1. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა ერთ-ერთი არსებითად ახალი კონცეპტუალური საფუძველი, ორგანული ნაწილი უნდა იყოს დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთიანი პროგრამისა;

2. პოლიტიკური კურსის სტაბილიზაცია, სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმირების ეფექტიანი და საიმედო მექანიზმების შექმნა;

3. ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ფორმების სისხლის სამართლებრივი და აღმინისტრაციული გააზრება, მათი საკანონმდებლო რეგლამენტაცია;

4. ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის სფეროების მკაცრი განსაზღვრა და შესაძლებლობის ფარგლებში „შეზღუდვა“, მათი კომპეტენციისა და უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობის მკაცრი რეგლამენტაცია;

5. სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის ჯანსაღი „კონკურენტული გარემონტის“ შექმნა;

6. ორგანიზაციული ღონისძიებების სახით – ახალი სპეციფიური ანტიკორუფციული სტრუქტურის შექმნა, მისი უწყებრივი დაქვემდებარებისა და აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწევრების გამორიცხვა, თანამშრომლების უზრუნველყოფა რეალური სამართლებრივი და სოციალური დაცვით, მთლიანი სტრუქტურის უზრუნველყოფა პოლიტიკური მხარდაჭერით;

7. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სათანადო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობის წარმოჩენით, ანტიკორუფციული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე სუბიექტთათვის შესაბამისი იმიჯის შექმნა;

8. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივი ინსტიტუტების აქტივური ჩართვა და მათი მხრიდან პროცესზე ქმედითი კონტროლის მექანიზმების დანერგვა.

დაგით კერძესლიმა,

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის
პირველი თანაშემწე – სამდივნოს უფროსი, იუსტიციის უმც. მრჩეველი,
თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი.

¹² „კორუფცია და ეკონომიკური განვითარება“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 1997.

მანანა ხვედელიძე**საქართველოს თანამედროვე სასაზღვრო****პოლიტიკის ზოგიერთი****საკითხი**

უაქართველოს სახელმწიფო ბრივი აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. საქართველოსათვის ამ სასიცოცხლო ამოცანის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფოს სწორმა სასაზღვრო პოლიტიკამ.

საზღვარი აბსტრაქტული ცნება არ არის. იგი, როგორც წესი, სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მოიაზრება და ამდენად მისი სუვერენიტეტის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

ყველა დიდი თუ პატარა ერი თავისი სახელმწიფო ბრივი განვითარების პირველივე დღიდან მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარებას საზღვრების დადგენით იწყებდა. ეს ვითომცდა მშვიდობიანი ღონისძიება იოლი და ადვილად გადასაწყვეტი არასდროს ყოფილა, მას მუდამ ახლდა ცხოვრებისეული კატაკლიზმები, სისხლისმღვრელი ომები და დიპლომატიური გართულებები (რაც ხშირად დამარცხებული ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის დაკარგვით მთავრდებოდა).

ამ მიმართებით არც საქართველოა გამონაკლისი. იგი დიდი სასაზღვრო ტრადიციების მქონე სახელმწიფოა, რომლის არსებობას და სახელმწიფო ბრივი მართვის

ჩუნებას, სხვა მნიშვნელოვან პირობებთან ერთად, ხელსაყრელ გეოსტრატეგიულ მდებარეობას, რთულ ისტორიულ პერიპეტიებში ქართველი ხალხის შემართებასა და სასაზღვრო პოლიტიკის სწორად გატარებას უნდა ვუმადლოდეთ. იმისათვის, რომ ჩავწერ ამ პრობლემას და სწორად აღვიქვათ იგი, დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის ჯერ კიდევ 1919 წელს საქართველოს საზღვრის შესახებ გამონათქვამს მოვიშველიებთ: „საქართველოს მჭიდროდ შემოფარგლული საზღვრები აქვს, როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფო ბრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა. თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველი ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოვოდ გარემოზღუდვილ ქვეყანას წარმოადგენს. სხვათაშორის, ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიული არსებობის დროს მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქარ-

თვეელოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის ჩამოშორებაც უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივი საზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენივრად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ“ („საქართველოს საზღვრები“, გვ. 3).

დიდი მეცნიერის ამ სიტყვებს, მიუხედავად იმისა, რომ საქმაო წნის წინ დაიწერა, აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს. პირიქით, იგი საზღვრისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს სრულად ესადაგება.

ეს სტატია, საქართველოს დღევანდელობას და პირველ რიგში მის სასაზღვრო პოლიტიკას ეხება. დავიწყებთ იმით, რომ XX საუკუნის ბოლო ათწლეული საქართველოსათვის დიდი გარდაქმნებისა და დემოკრატიული აღმავლობის პერიოდი გახდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლას საქართველო შეხვდა გაურკვეველი პოლიტიკური სტატუსით და მძიმე სოციალურეკონომიკური მდგომარეობით, რითაც კარგად ისარგებლეს, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებულმა ქვეყნისადმი მტრულად განწყობილმა ძალებმა. აშკარა და ფარული ჩარევით გამოიწვიეს ის პოლიტიკურ, ეთნიკურ და სხვა ნიადაგზე გამოწვეული კატაკლიზმური მოვლენები, რაც ჩვენში მოხდა და რომელთა შედეგებისგან ჯერაც ვერ დაგვიღწევია თავი, ვინაიდან ამ უარყოფით პრობლემებთან ბრძოლას ართულებდა და ართულებს კატაკლიზმური მოვლენების თანმდევი ბუნებრივი, უფრო მეტად კი ზელოვნურად შექმნილი პირობები. ყოველივე ეს ნეგატიურ გავლენას ახდენდა საზღვრების დაცვის ხარისხზე, მით უმეტეს, რომ

დამოუკიდებლობის პირველ წლებში ჩვენი ქვეყნის საზღვრებს ყოფილი იმპერიის მემკვიდრე – რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარები აკონტროლებდა. მას შემდეგ, რაც ამ ფუნქციას საქართველოს მხარე ასრულებს, შედეგიც გამოჩნდა – ქვეყნის საზღვრების დაცვა ეტაპობრივად საქართველოს იურისდიქციაში გადავიდა, მას ჩვენი სასაზღვრო ძალები იცავენ.

სახელმწიფო საზღვრები შემოფარგლავენ საქართველოს ტერიტორიას (ხმელეთის, წყლების, წიაღისა და საპატიო სივრცეს) და ამიტომ მისი დაცვის, პირველ რიგში, საზღვარზე სახელმწიფო ინტერესების დაცვის საკითხებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, სახელმწიფო საზღვარი ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბერის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს კანონის „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (თავი I, მუხლი 1) შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შედგება ყოფილი სსრკ-ის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრისა და ყოფილი სსრკ-ის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სახელმწიფო საზღვრის იმ მონაკვეთისაგან, რომელიც ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო საზღვრის

საქართველოს ნაწილშია. დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან საქართველოსთან რუსეთის ფედერაციის, სამხრეთიდან – თურქეთის რესპუბლიკის, აღმოსავლეთიდან – აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის, მოსაზღვრეობის გამო აშკარად გაიზარდა საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკისადმი საერთაშორისო ინტერესი, გაფართოვდა ინტერესების სფეროც.

საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანების წინაპირობაა სახელმწიფოთა სამართლიანი გამიჯვნა, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, მისი პრინციპებია სახელმწიფოთა სუვერენიტეტისადმი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობისადმი ურთიერთპატივისცემა, სასაზღვრო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემა.

ცნობილი მეცნიერი პეტრე სურგულაძე წერდა: „თავისებურობა ეთნოგრაფიული, თავისებურობა ბუნების მიერ გამოწვეული, თავისებურობა პოლიტიკურ-სოციალურ პირობების შედეგი ყოველ ერს აძლევს თავისებურ, განსხვავებულ აგებულებას, თავისებურ ხასიათს, რომელიც პპოვებს სოციალურ გამოხატულობას სხვათაშორის მის სამართალში“ („ისტორიული არიტეტები“, გვ.136).

საქართველოს არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები სხვა სახელმწიფოსადმი. მისი მიზანია თანმიმდევრულად და უკონფიგურდ დაასრულოს თავისი სახელმწიფო საზღვრის დადგენის საერთაშორისო სამართლებრივი პროცესი, შექმნას ახალი და სრულყოს უკვე არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან ითანამშრომლოს ტრანს-სასაზღვრო ორგანიზებული დამაშავეობის, არალეგალური მივრაციის, ტერორიზმის, მეკობრეობის, კონტრაბანდის, რადიაქტი-

ური ნივთიერებების, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სახელმწიფოთაშორის სასაზღვრო თანამშრომლობას საფუძვლად უდევს საქართველოს, მისი მეზობელი და სხვა სახელმწიფოების ინტერესების თანხვედრა, ამ სახელმწიფოთა მიზანია სასაზღვრო პრობლების გადაჭრის საქმეში კოორდინაციისა და ურთიერთმოქმედების თანამიმდევრული გაღრმავება.

საქართველოს ხელსაყრელმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ, სახელმწიფოს მიერ გატარებულმა დემოკრატიული პოლიტიკის საჯაროობამ, რთული საკითხების კონფლიქტების გარეშე გადაწყვეტამ და მდგომარეობის სტაბილიზაციისაკენ სწრაფვამ, იგი თანამედროვე ეტაპზე საზღვარგარეთის სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში მოაქცია. დღეს უკვე რეალურად არსებულ ბისეკისა და ტრასეკას პროექტებში გამოიკვეთა საქართველოს ვალდებულებები. გეოგრაფიული მდებარეობის გამო მას გარდამავალი პოზიცია უკავია ევროპას შორის, შავი ზღვის ერთერთი მენაპირე სახელმწიფოს სტატუსით. სწორედ საქართველოზე გადის აბრეშუმისა და ნავთობის უმოკლესი გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, აღნიშნულმა ფაქტორმა კიდევ უფრო გამოკვეთა საქართველოს როლი სასაზღვრო პოლიტიკაში, ევროპისა და აზიის საზღვარზე საპატიო ადგილის დაკავებით.

შემთხვევითი არ არის, რომ საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპი პად სახელმწიფო საზღვრების, მათ შორის საზღვაო საზღვრების ურღვეობაა აღიარებული.

შავი ზღვის საკითხი დღეს განიხილება, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული რესურსისა, ხოლო სატრანსპორტო ეკო-

ნომიკური დერეფნის დატვირთვა უშუალო გავლენას იქონიებს საზღვაო საზღვრის როლსა და მნიშვნელობაზე. უკვე მყარდება განსაკუთრებული ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. საქართველო პატარა სახელმწიფოა. იგი საერთაშორისო თანამეგობრობაში მხოლოდ მშვიდობიანი თანამშრომლობის მომხრეა და ნებისმიერი საკითხის საერთაშორისო აქტებით უზრუნველყოფას ირჩევს. იმავდროულად საშუალება ეძლევა თავისი საკუთრება შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე საერთო ეროვნული ინტერესებისათვის გამოიყენოს.

დღეს საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ აღიარა, ბევრ მათგანთან, ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები გვაკავშირებს, ხოლო ევროპის საბჭომ თავის რიგებში სრულუფლებიან წევრად მიგვიღო. ამასთან ერთად, დღითიდღე ფართოვდება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო კონტაქტები. თბილისში და ქვეყნის სხვა ქალაქებში თავმოყრილია მრავალი დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა, სწრაფი ტემპით იზრდება უცხოური კაპიტალდაბანდება, ინტენსიურად არის დატვირთული ქვეყნის სატრანსპორტო დერეფანი. ამან მკვეთრად გაზარდა მიმოსვლა ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებზე, იმავდროულად საჭირო გახდა საზღვრის თანამედროვე დონეზე კეთილმოწყობა და მისი დაცვის გაუმჯობესება. საქართველო მზად არის ითანამშრომლოს

ნებისმიერ სახელმწიფოსთან და გამოხატოს კეთილი ნება მათთან ურთიერთობაში, ასევე დიდია საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების წვლილი, როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო საზღვრის დასაცავად საქართველოსთვის საჭირო ტექნიკური საშუალებების უსასყიდლოდ გადმოცემასა და სასაზღვრო-საბაჟო კონტროლის ორგანიზებული სისტემის შექმნაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარტო გეოპოლიტიკური მდგომარეობის მეოხებითა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით საწადელს ვერ მივადწევთ, თუ ჩვენს ერთერთ უპირველეს საზრუნვად არ გავიხდით სასაზღვრო რეგიონების სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას, იქ მობინადრეთა კეთილდღეობისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას, რათა ევრაზის დერეფნის სრული დატვირთვით ამოქმედებამ არ გამოიწვიოს მთიანი რეგიონების დაცლა და ბარად ჩამოსვლა.

ყოველი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზის გამკვლევი მისი მეცნიერებაა. რადგან ქართველმა მეცნიერებმა კარგად იციან ქართული ყოფისა და ცნობიერების არსი, განსაკუთრებული სიტყვა უნდა თქვან ჩვენი სასაზღვრო რეგიონების შენარჩუნებასა და განახლებაზე, სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა დასაქმების უპირატეს როლსა და მნიშვნელობაზე, რათა ჩვენმა სახელმწიფომ უფრო მყარად დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში, როგორც ევრაზის გასაყარზე მდებარე საიმედო საზღვრის მქონე ქვეყანამ.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი

ბესიკ შაკიაშვილი

პროდუქტის ცნება საქართველოს სამოქალაქო

კოდექსი

უ აბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პირობებში ხშირად წამოიჭრება უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დადგენის პრობლემები. უხარისხო პროდუქტით ზიანდება ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება. ტრადიციული სამართლებრივი საშუალებები ზოგჯერ ადეკვატურად ვერ აწესრიგებენ საქონლის რეალიზაციის ურთიერთობებს და პირადი თუ ქონებრივი ზიანის წარმოშობისას მომხმარებლის ინტერესების დაცვა როგორდება მრავალსაფეხურიანი ურთიერთობების გამო, რადგან საქონელმა, სანამ მომხმარებლამდე მიაღწევდეს, საკმაოდ როგორ გზა უნდა გაიაროს. ამავე დროს, მასიურ სამომხმარებლო წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვაც ამძაფრებს უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის პრობლემას!

¹ იხ. დაწვრილებით: Crosby, , Cutting the Cost of Quality – Industrial Education Institute, 1997; Fussel, A Formular Methodology for Fault Free Construction and Product Liability, New York 1996; Harald, Produkthaftung nach Neuem EG-Recht, Landsberg 1997; Lukes, Reform der Produkthaftung, München 1990; Eiber, ABC der Produkthaftung, Wien 1998 და სხვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი მოცემულ საკითხს, ბევრი სხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებისაგან განსხვავებით, უშუალოდ აწესრიგებს. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობას არეგულირებს კოდექსის 1009-1016-ე მუხლები.

კოდექსის თანახმად, პროდუქტი ითვლება უხარისხოდ, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან და იგი არ მიიჩნევა უხარისხოდ მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უკეთესი პროდუქტი შეიტანეს ბრუნვაში. პროდუქტის ხარისხი არის უპირველესად, მისი თვისებების ერთობლიობა, რომელიც მას, როგორც მოცემულ პროდუქტს, ახასიათებს. ხარისხის ტექნიკურ-ეკონომიკური გაგება პროდუქტის იმ თვისებებს მოიცავს, რომლებიც მას სასარგებლოს და დანიშნულების მიზნით გამოსაყენებელს ხდის.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით პროდუქტიად მიიჩნევა ყველა მომრავი ნივთი. იგი უნდა იყოს ადამიანის საქმიანობის, წარ-

მოქმედის ან არსებული ნატურალური პროდუქტის გადამუშავების შედევი, მაგალითად, ყველანაირი მოხმარების საქონელი, ტექნიკური მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, ქიმიური ნაწარმი, საკვები (ნატურალური პროდუქტების გარდა), შესაფუთი მასალები და ა.შ.

ჩვენი აზრით, პროდუქტია აგრეთვე კომპიუტერული პროგრამები, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო შეხედულება,² რაც იმ მოსაზრებას ემყარება, რომ ინტელექტუალური საკუთრება არ არის ნივთი.

სადაც და აქტუალურია, აგრეთვე, ამ მიმართებით ადამიანის ორგანოებისა და სხეულის ნაწილების სამართლებრივი შეფასების პრობლემა.³ ცოცხალი ადამიანის სხეული არაა ნივთი, მაგრამ ნივთები და შესაბამისად, პროდუქტია სხეულის შემადგენელი ხელოვნური ორგანოები (მაგალითად, ხელის, ფეხის ან კბილის პროთეზი). გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ადამიანის ცალკეული ორგანოების (გული, თირკმელი, ღვიძლი და სხვა) გასხვისება, ტრანსპლანტაციის მიზნით, არ განიხილება საკუთრებით ურთიერთობად და, შესაბამისად, არც ეს ორგანოებია ნივთები.⁴

უფრო სწორად მიგვაჩნია საწინააღმდეგო მოსაზრება,⁵ რომელიც ნივთებად და მაშას-ადამე, პროდუქტებად მიიჩნევს ადამიანის

ორგანოებსა და სხეულის ნაწილებს სხეულიდან მოკვეთის შემდეგ. ამ მიმართებით პროდუქტია ადამიანის სისხლი და მისი კომპონენტები, ჩანასახისა და ნაყოფის ორგანოები, რეპროდუქციული ორგანოები (საკვერცხე, სათესლე ჯირკვალი, კვერცხუჯრედი, სპერმა), კბილი, თმა და ა.შ.⁶ რასაკვირველია, დონორი, მწარმოებლის მსგავსად, არ აგებს პასუხს. პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, როცა ასეთი პროდუქტი განკუთვნილი არ არის გაყიდვისა და სხვა სახის ანაზღაურებისათვის და მისი გასხვისება ხდება პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.⁷

სხვაგვარი მდგომარეობაა სადონორო სისხლისა და ადამიანის სხეულის ორგანოების საცავების, ე.წ. ბანკების შემთხვევაში. აქ, მაგალითად, ჩაბარებული სისხლი გადამუშავდება სისხლის პლაზმად. წარმოიქმნება ახალი პროდუქტი, რომლის მწარმოებელი სადონორო სისხლის ბანკია და პასუხი მან უნდა აგოს.

სამოქალაქო კოდექსი არ მოიხსენიებს პროდუქტის წარმოების სახეებს. პროდუქტი შეიძლება იწარმოებოდეს ქარხნული ან ხელოსნური წესით, ან ნაწარმოები იყოს მხოლოდ ერთადერთი პროდუქტი (ხელოვნების ნიმუში). მაგალითად, უმაღლეს სასწავლებელში დადგმული სკულპტურა სტუდენტებს აზიანებს არასაკმარისი მდგრადობის გამო.

პრობლემატურია აგრეთვე ქიმიური, ფარმაცევტული და სხვა სახის საწარმოო ნარჩენების საკითხი. არის თუ არა ეს ნარჩენები პროდუქტი? ისინი მოძრავი ნივთებია და მთავარი მასალის ან ნახევარფაბრიკატის

² F. G. v. Westp halen, das neue Produkthaftungsgesetz, in: NJW 1990, Heft 2, S.87.

³ დაწვრილებით იხ: ლ. ჭაბურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, გვ. 137.

⁴ იქვე.

⁵ Ch. Landscheidt, Das neue Produkthaftungsrecht, Berlin 1990, S.53 ff.; C Lehm, Die Haftung für fehlerhafte Produkte nach deutschem und französischem Recht, Heidelberg 1993, S.29 f.

⁶ H. Schünemann, Die Rechte am menschlichen Körper, Frankfurt/M, Bern, New York 1985; S.157 ff.

⁷ Ch. Landscheidt, დასახელებული ნაშრომი, S.54.

გამოუყენებელი ნაწილებია. ნარჩენები, ჩვეულებრივად, ნადგურდება ან ერთად მოგროვების შემდეგ მთავარ მასალად გამოიყენება. ნარჩენებიდან შეიძლება მეორადი გადამუშავების პროდუქტების წარმოება. ასეთი პროდუქტის უხარისხობით მიყენებული ზიანის დროს დგება პასუხისმგებლობა. აგრეთვე ის, ვინც საწარმოო ნარჩენებს აკროვებს, ახარისხებს და „ახალ“ მასალად გააქვს ბაზარზე, ექვემდებარება პასუხისმგებლობას. მაგალითად, ჯართით მოვაჭრე ფირმა რენტგენის აპარატის ნაწილებს ყიდის როგორც კეთილშობილ ლითონს.

განსაზღვრული მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტები შემდგომში შეიძლება ნარჩენები გახდნენ, მაგალითად, როცა მფლობელს თავისი სურვილისამებრ ან განსაკუთრებული თვისებების გამო მათი თავიდან მოცილება სურს. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ უნდა გამოირიცხოს იმით, რომ უხარისხო პროდუქტი ნარჩენად გადაქცევის ფაზაში იწვევს ზიანს.⁸

სამოქალაქო კოდექსი პროდუქტის ცნებაში მოიხსენიებს აგრეთვე ელექტროდენს, რაც იმითაა განპირობებული, რომ ეს უკანასკნელი არ არის ნივთი სამოქალაქო კოდექსის გაგებით. მიმწოდებელი პასუხს აგებს უხარისხო ელექტროენერგიის მიწოდებისათვის (მაგალითად, ძაბვის ცვალებადობა). მომხმარებლისათვის ელექტროდენის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევა პრაქტიკულად უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ მიმართებით პასუხისმგებლობას არ იწვევს, რადგან ელექტროდენის მიუწოდებლობა ცნებობრივად აღარ არის პროდუქტი.

გაზი მიიჩნევა სხეულებრივ მოძრავ ნივთად

და შესაბამისად, პროდუქტად. საკამათოა, არის თუ არა გათბობის სისტემიდან მიწოდებული სითბო პროდუქტი.⁹ რასაკვირველია, გათბობა კი არ უნდა განვიხილოთ პროდუქტად, არამედ მისი მატარებელი (წყალი და წყლის ორთქლი).

კანონის მიხედვით, პროდუქტია მოძრავი ნივთი მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ნივთის ნაწილია. პასუხისმგებლობა დგება იმ ნივთებით მიყენებული ზიანისათვის, რომლებიც გამოიყენება მიწაზე მყარად მდგარ შენობა-ნაგებობებში ან მათშია ჩაშენებული. მიწის ნაკვეთზე მყარად მდგარი შენობა-ნაგებობა, როგორც უძრავი ნივთი,¹⁰ თავისთავად არ არის პროდუქტი. მაგალითად, იმ უხარისხო სამშენებლო მასალების მწარმოებლები, რითაც საცხოვრებელი სახლი აშენდა, პასუხს აგებენ სახლის ნგრევის შედეგად დამდგარი ზიანისათვის, ხოლო სამშენებლო საწარმო, რომელმაც სახლი მოწოდებული მასალით ააშენა, პასუხს აგებს არა კოდექსის 1009-ე მუხლის მიხედვით, არამედ დელიქტური სამართლის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს სამშენებლო მასალების, როგორც უხარისხო პროდუქტის, გამოყენებას შენობის ასაგებად, მაგრამ უმნიშვნელოა ის საკითხი, მოცემული გამოყენებული მასალა კიდევ არსებობს თუ არა. მაგალითად, ცემენტი, აგური, წებო, სამშენებლო ხსნარი და ა.შ. მაშინაც ითვლება დამოუკიდებელ პროდუქტად, როცა სხვა მასალასთანაა შერეული და მათი იდენტიფიცირება აღარ ხერხდება.¹¹ კანონმდებელს სურს, რომ ამ დროს

⁸ M. Zollner, Die Produkthaftung des Importeurs, Baden-Baden, 1992, S.109 f.

⁹ იქვე S.124.f

¹⁰ იხ. დაწერილებით, ლ. ჭანტურია, დასახელებული ნაშრომი, გვ.139-142.

¹¹ Ch. Landscheidt, დასახელებული ნაშრომი, S.58 f.

სამშენებლო საწარმო, რომელთანაც, ჩვეულებრივად, სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობს, ბრალისაგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპს დაუქვემდებაროს.

იზოლირებული (განყონებული) მომსახურებაც არ მიიჩნევა პროდუქტად, რადგანაც პასუხისმგებლობა პროდუქტის წარმოებას ან გადამუშავებას უკავშირდება. სხვაგვარად წყდება საკითხი, თუ პროდუქტი ერთობლივი მომსახურების პრიცესის საფუძველზე იწარმოება. მაგალითად, რესტორნის მფლობელი ა, თვეში ერთხელ, წინასწარი მოთხოვნის საფუძველზე ხაჭაპურს აწვდის ბ კაფე-ბარს. რადგანაც ხაჭაპური ციმბირის წყლულით დაავადებული ძროხის ყველისაგან დამზადდა, სამი პიროვნება დასწულდა. გ-მ ხაჭაპური მიირთვა კაფე-ბარში, დ-მ — რესტორანში, ხოლო ე-მ რესტორნიდან წაიღო და სახლში შეექცა. გ-სთვის ა-ს მომსახურება არ გაუწევია, მაგრამ მან აწარმოა უხარისხო პროდუქტი, რაზეც პასუხი უნდა აღოს. ნ-მ მხოლოდ მომსახურება გაუწია გ-ს, ხოლო ა მომსახურა დ-ს და ე-ს. ამ უკანასკნელ შემთხვევებში პრობლემა წარმოიშვება. ამიტომაც ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, ¹² რომ მომავალში უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის დროს სასადილოების, კაფე-ბარების, რესტორნებისა და კვების სხვა ობიექტების მფლობელნი ბრალისაგან დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას უნდა დაუქვემდებარონ.

როგორც აღვნიშნეთ, კოდექსში არ არის გამიჯნული პროდუქტის წარმოების სახეები. ასე რომ, მნიშვნელობა არ უნდა

ჰქონდეს, მწარმოებელს პროდუქტი განსაზღვრული მომსახურების საფუძველზე შემოაქვს თუ არა ბრუნვაში. ზემოთ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ასეთ შემთხვევაში, მწარმოებელმა, ბრალისაგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, პროდუქტი შეიძლება „მომსახურების პაკეტის“ ფარგლებში შემოგვთავაზოს, რაც შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენებას გაართულებს.

სამოქალაქო კოდექსი პროდუქტს არ მიაკუთვნებს ჯერ კიდევ გადაუმუშავებულ მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, ნადირობის შედეგად და მიწათმოქმედებიდან მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს (ნატურალური პროდუქტები). ეს დებულება დაწვრილებით ახსნა-განმარტებას მოითხოვს, რადგან ნატურალურ პროდუქტს მიეკუთვნება აგრეთვე მიწიდან მიღებული დაუმუშავებელი პროდუქტიც, როგორიცაა, მაგალითად, ჰიდროკულტურები, ტყის და სხვა სახის პროდუქტი (ველური კენკრა, სოკო, ტორფი, ხავსი...).¹³ კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ასეთ პროდუქტს გააჩნდეს თავისი ბუნებრივი დასრულებული მდგრამარეობა პირველად გადამუშავებამდე. მაგალითად, მინდვრის მწიფე ზილმა, გამდინარე წყლებიდან შხამიანი ნივთიერების შეწოვის გამო, შეიძლება მოწამლოს მომზარებელი.

ფერმერი პასუხს აგებს არა უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების, არამედ დელიქტური სამართლის საფუძველზე. შესაბამისად, პასუხისმგებლო-

¹² U. Foerste, Das neue Produkthaftungsrecht, in: JA 1990, Heft 6, S. 178 ff.

¹³ R. Hettich, Produkthaftung, München, Münster 1986, S.56.

ბა უნდა დაეკისროს აგრეთვე მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, სასუქებისა და ვეტერინარული მედიკამენტების მწარმოებლებსაც.

ბრალისაგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა გამოიყენება მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები პირველადი გადამუშავება განიცადა, ე.ი. ნატურალური პროდუქტი გარდაისახა. მაგალითად, რძისაგან კარაქის, მაწონის, ყველის, ზაჭოს წარმოება, ხორბლის დაფქვა ფქვილად, ფურძნის დაწურვა ღვინოდ, საქონლის დაკვლა, თევზის შებოლვა...

გასუფთავება, დახარისხება ანდა საწყობში მოთავსება და შენახვა, ჩვეულებრივად, არ არის გადამუშავება, თუმცადა ეს გადასაწყვეტია ცალკეულ შემთხვევაში.¹⁴ პროდუქტის გაყინვა, მისი შენახვის მიზნით, პირველად გადამუშავებად უნდა განვიხილოთ, რადგან იგი პროდუქტის ბუნებრივ მდგომარეობაზე ზემოქმედებს. გადამუშავებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე პროდუქტის

მექანიკური გაშრობა, სტერილიზება, საქონულის გამოშიგვნა და სხვ. ასეთი გადამუშავების შედეგად პროდუქტის შეიძლება წარმოეშვას რისკის ფაქტორები, რაც ბუნებრივ მდგომარეობაში არ გააჩნდა.

ნატურალური პროდუქტის პირველადი გადამუშავების საფუძველზე მისი გადამამუშავებელი უნდა განვიხილოთ როგორც პროდუქტის მწარმოებელი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს იმის მიუხედავად, ნაკლოვანი იყო მთავარი მასალა თუ პროდუქტის რომელიმე ნაწილი.

უხარისხო პროდუქტის ცნების დადგენა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა საქართველოში მკვიდრდება ახალი სამართლებრივი აზროვნება და შესაბამისი ნორმების განმარტება უცნობია როგორც ბევრი მომხმარებლის, ასევე მწარმოებლისა და გამყიდველისათვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხის სრულყოფილად შესწავლა ვრცელ გამოკვლევას საჭიროებს.

გეიცა შაპიაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

¹⁴ Ch. Landscheidt, დასახულებული ნაშრობი, S.64 f.

ზოიად გაბისონია

იურიდიული პირები როგორც უცხოშრი

იურისტიკის სპეციალის სტატუსი



ცხოური ინვესტირების მთავარი და უმნიშვნელოვანესი სუბიექტები იურიდიული პირები არიან. იურიდიულ პირს ინვესტორად მსოფლიოს განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები, როგორც წესი, შეუზღუდავად აღიარებენ.

ფიზიკური პირებისაგან განსხვავებით, იურიდიული პირის ცნებას რომის სამართლი არ იცნობდა. კერძო სამართალში არსებული, სამართლებრივად დამოუკიდებელი ორგანიზებული წარმონაქმნების შესახებ რომაელ იურისტებს რაიმე მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი მოძღვრება არ შეუქმნიათ, თუმცა მისი შექმნის საფუძველი მაინც სწორედ რომ რომის კერძო სამართლიდან წამოვიდა. ჯერ კიდევ უძველეს დროში რომში არსებობდნენ კერძო კორპორაციები: რელიგიური გაერთიანებები (sodalitaires, collegia sodalicia), ხელოსანთა პროფესიული კავშირები (faborum, pistorum). გაიუსის მიხედვით, XII ტაბულის კანონები რელიგიური მიზნებისათვის შექმნილ კავშირებს უფლებასაც კი აძლევდა თავიანთვის წესდება შეექმნათ, თუ იგი კანონს არ ეწინააღმდეგებოდა¹.

როგორც გერმანული მეცნიერი მაქს კაზერი აღნიშნავს, იუსტინიანეს სამართალში მოცემული წესები დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციების (piae causae), პოსპიტლებისა და საავადმყოფოების შესახებ იურიდიულად ნაკლებადაა დამუშავებული და არც მყარ ტერმინოლოგიასა და ცნებებს ემყარება².

პირთა გაერთიანებების (universitas) შესახებ დასრულებული მოძღვრების შექმნა შეუა საუკუნეებში – Ius Commune-ს ეპოქაში ხდება, მაგრამ თვითონ „იურიდიული პირის“ ცნება გერმანული წარმოშობისაა (iuristische Person) და პირველად გერმანულმა იურისტებმა გუსტავ ჰუგომ (1798 წელს) და გეორგ არნოლდ ჰაიზემ (1807 წელს) გამოიყენეს. ეს ახალი ინსტიტუტი შემდგომში იმდენად პოპულარული გახდა ცივილურ სამართალში, რომ მის შესახებ თეორიებიც კი შეიქმნა (მაგალითად, ფიქციის თეორია, რეალური კავშირის თეორია, მიზნობრივი ქონების თეორია და ა. შ.).

თანამედროვე კერძო სამართალში ამ

¹ Kazer, Max, Das römische Privatrecht, Bd. I, №72; Bd. II, №214. ციტირებულია: ლ. ჭანტურია., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 204.

¹ Римское частное право. Учебник под ред. Проф. И.Б. Новитского и И.С. Перетерского, М., 1996, с. 115-116.

ორგანიზებული წარმონაქმნის აღსანიშნავად გამოიყენება ოფიციალური პირის (გერმანია, შვეიცარია, პოლანდია, რუსეთი, საქართველო და ა. შ.), ისე მორალური პირის (საფრანგეთი, ავსტრია და ა.შ.) ცნებები.

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით³, „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩევედ და მოპასუხედ“. დაახლოებით ანალოგიურად, ოღონდ რუსული სამართლისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით განმარტავს იურიდიულ პირს რუსეთის ახალი სამოქალაქო კოდექსის 48-ე მუხლი: „იურიდიულ პირად მიიჩნევა ორგანიზაცია, რომელსაც საკუთრებაში, სამეურნეო წარმოებაში ან ოპერატიულ მართვაში გააჩნია განცალკევებული ქონება და პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე ამ ქონებით, შეუძლია თავისი სახელით შეიძინოს და განახორციელოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იყოს მოსარჩევე და მოპასუხე სასამართლოში. იურიდიულ პირებს უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებელი ბალანსი ან ხარჯთაღრიცხვა“⁴.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობებში სამეწარმეო იურიდიულ პირთა საქმიანობა არ შემოისაზღვრება ერთი სახელმწიფოთ, ამასთან, ასეთ კომპანიათა

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირებით ნაწილი.

⁴ Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части первой. Под ред. проф. Садикова О.Н., 1997, с. 78.

რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. კაპიტალის ექსპორტს მივყავართ იქამდე, რომ საწარმოები, რომლებიც შექმნილია ერთი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთლიანად ან ნაწილობრივ ხდებიან სხვა სახელმწიფოთა კომპანიების საკუთრება.

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში საერთაშორისო მონოპოლიებს და ტრანსნაციონალურ კომპანიებს (კორპორაციებს)⁵ სამ ჯგუფად ჰყოფენ. პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ იმ ეროვნულ საზოგადოებებს, ტრესტებს, კომპანიებს, რომლებსაც საზღვარგარეთ მრავალრიცხოვანი ფილიალები და შვილობილი საწარმოები გააჩნიათ. საუბარია ისეთ მონოპოლიებზე, რომლებიც ნაციონალური არიან თავიანთი კაპიტალით, ხოლო საერთაშორისო — საქმიანობის სფეროთი. ასეთ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ჯგუფს აშშ-ში მიეკუთვნება „ჯენერალ მოტორსი“, „ფორდ მოტორსი“, „ინტერნეშნლ ბიზნეს მეშინზ“ და სხვ. ევროპის ქვეყნებში უმსხვილეს საერთაშორისო მონოპოლიურ კორპორაციებად ითვლებიან „ფოლკსვაგენი“, „სიმენსი“ (გერმანია), „ფილიპ კსი“ (პოლანდია), „ბრიტიშ პეტროლეუმი“ (დიდი ბრიტანეთი), „ნესტლე“ (შვეიცარია) და ა.შ. ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება კონცერნები და ტრესტები, რომლებიც საერთაშორისოდ ითვლება არა მარტო საქმიანობის სფეროში, არამედ კაპიტალის მიხედვითაც. პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით, ისინი მიეკუთვნება რამდენიმე ქვეყნის კაპიტალს. ასეთებია, მა-

⁵ ტრანსნაციონალური კომპანია (ტრ) არის საწარმო, რომელიც თავისი საქმიანობის ძირითად ოპერატორის თავისი ქვეყნის გარეთ, რამდენიმე ქვეყნის ახორციელებს (იხ. ბოლშoi юридический словарь, M., «Инфра-М», 1997, с. 701).

გალითად, ანგლო-პოლანდიური ნავთობის კონცერნი „როიალ დატჩ-შელი“, ანგლო-ამერიკულ-კანადური ნიკელის ტრესტი „ინტერნეშნლ ნიკლ კომპანი ლფ კენადა“, გერმანულ-ბელგიური ფოტოქიმიური საქონლის ტრესტი „აგფა-გევერტი“ და ა.შ.⁶

პირველი ორი ჯგუფის საერთო ნიშანია ის, რომ ისინი შექმნილია როგორც ერთი ქვეყნის იურიდიული პირები, ხოლო სხვა ქვეყნებში მათ გააჩნიათ ფილიალები და შვილობილი საწარმოები. რაც შეეხება ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მესამე ჯგუფს, მათ მიეკუთვნება მრავალრიცხოვნი კარტელები და სინდიკატები, რომლებიც იურიდიულ პირებად არ ითვლებიან.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ზემოთ დასახელებული პირველი ორი ჯგუფის მონოპოლიები არ უნდა ჩაითვალოს ე.წ. „საერთაშორისო იურიდიულ პირებად“, თუმცა ზოგჯერ ტერმინი „საერთაშორისო“ მათ ოფიციალურ საფირმო სახელწოდებაშიც ფიქსირდება.

ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების ტენდენცია მოწმობს, რომ ისინი სულ უფრო ცდილობენ შეაღწიონ და აითვისონ ნაკლებადგანვითარებული ქვეყნების ბაზრები. 70-იანი წლების დასაწყისში მონოპოლიების პოლიტიკა (განსაკუთრებით აშშ-ს, საფრანგეთის, გფრ-ის, იაპონიისა და კანადის) მიმართული იყო განვითარებადი ქვეყნების გადამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტიციების დაბანდებისაკენ⁷. ასე, მაგალითად, 1972 წელს ტნ-ს მიერ განვითარებად ქვეყნებში განხორციელებულმა პირდაპირმა კერძო ინვესტიციებმა შეადგინა: ნავთობის მრეწველობაში -35%, მეტალურგ-

იასა და სამთომომპოვებელ მრეწველობაში -9,8%, გადამამუშავებელ მრეწველობაში -30,3% და ა.შ. განსაკუთრებით გაიზარდა ტნ-ს მიერ გადამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა არგენტინა (65%), ბრაზილია (76,5%), კოლუმბია (44,2%), მექსიკა (77,5%), ინდოეთი (92%), ინდონეზია (57%), სამხრეთ კორეა (80%), ტაილანდი (93%)⁸. რაც შეეხება 90-იანი წლების დამლევს, ტრანსნაციონალურ კორპორაციების როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო იზრდება. ისინი თანამედროვე ეკონომიკაში ითვლება მდიდარი ქვეყნების გავლენის სფეროების გაფართოების ინსტრუმენტად. კომპანიები ერევიან ინვესტიციების მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში, ცდილობენ კორუფციის გზით მოიპოვონ დიდი საინვესტიციო შეღავათები. ამის გამო 1975 წელს განვითარებადი ქვეყნების (ე.წ. „ჯგუფი 77“; – დღეისათვის მასში შედის 100-ზე მეტი სახელმწიფო) მოთხოვნით გაეროში შეიქმნა ტნ-ების შესახებ კომისია და სპეციალური კვლევითი ცენტრი, რომელიც შეისწავლიდა ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენას სხვა სახელმწიფოთა ეკონომიკაზე, განიხილავდა კოლექტიურ სარჩელებს, შეიმუშავებდა ტნ-ს ქცევის კოდექსს და სხვ.⁹

ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საერთაშორისო მონოპოლიების პრობლემაზეც კვლევისას წარმოიშობა სირთულე იმის გარკვევაში, თუ რომელი ქვეყნის იუ-

⁶ M.M. Богуславский. Международное частное право, М. 1994, с. 118.

⁷ S. Rollie. The International Corporation, 1969, p.140.

⁸ Transnational Corporation in World Development: A: Re-Examination. UN.N.Y., 1978, p. 259-260. ციტირებულია წიგნიდან: . Организация объединенных наций. Сборник документов. М., 1981, с. 98.

⁹ ანტორმაცია ამოღებულია ინტერნეტის ქსელიდან. იხ. <http://www.christurex>.

რიდიულ პირად უნდა ჩაითვალონ ისინი. მაგალითად, თუ ორმხრივ სავაჭრო ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები ერთმანეთის იურიდიულ პირებს ანიჭებენ უპირატესი ხელშეწყობის ან ეროვნულ რეჟიმს, აუცილებელია გაირკვეს, თუ ორმელი იურიდიული პირები უნდა ჩაითვალონ მოცემული სახელმწიფოების იურიდიულ პირებად¹⁰. გარდა ამისა, ერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა ამა თუ იმ ორგანიზებულ წარმონაქმნის მიიჩნევს იურიდიულ პირად, ზოგი კი მათ ჩვეულებრივ ფიზიკურ პირთა გაერთიანებად მიიჩნევს. ასე, მაგალითად, ინგლისური კანონმდებლობის მიხედვით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (Partnership) არ ითვლება იურიდიულ პირად, ხოლო ფრანგული, გერმანული, ქართული, რუსული და ზოგიერთი სხვ. კანონმდებლობა სპს-ს იურიდიულ პირად აღიარებს. ამიტომაც თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინაში წარმოიშვა იურიდიული პირის „ეროვნულობის კანონი“ (lex societatis)¹¹, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, თუ ორმელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა ჩაითვალოს იურიდიული პირის „პირად კანონად (სტატუტად)“. კომპანიის პირადი სტატუტით კი განისაზღვრება ისეთი სამართლებრივი საკითხები, როგორიცაა უფლებაუნარიანობის მოცულობა, იურიდიული პირის ლიკვიდაციის წესები და ა.შ. ზემოთ მოყვანილი მაგალითის დროს, თუ ამხანაგობის (საზოგადოების) პირადი სტატუტი იქნება ინ-

გლისური კანონმდებლობა, მაშინ ის არ ჩაითვლება იურიდიულ პირად, თუ ფრანგული – საზოგადოება ჩაითვლება იურიდიულ პირად.

იურიდიული პირის „ეროვნულობა“ საერთაშორისო კერძო სამართალში პირობით ხასიათს ატარებს და მასში იგულისხმება პირის მიკუთვნება განსაზღვრული სახელმწიფოსადმი. ეს საკითხი იმდენად რთულია, რომ მის მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არსებობს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს კანონმდებლობაში იურიდიული პირის „ეროვნულობის“ განმსაზღვრული კრიტერიუმი მისი დაარსების ადგილია, ანუ ის ქვეყანა, სადაც კომპანია დაარსდა, დაამტკიცა თავისი წესდება და რეგისტრაცია გაიარა. ინგლისელი ავტორები ამ კანონს ინკორპორაციის კანონს უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ თუ იურიდიული პირი დაარსდა დიდ ბრიტანეთში და იქ დაამტკიცა თავისი წესდება, ის ითვლება ინგლისური სამართლის იურიდიულ პირად (ინკორპორაციის პრინციპი).¹²

ინგლისურ-ამერიკული სამართლისაგან განსხვავებით, კონტინენტური სამართლის სისტემის ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია და სხვ., მხარს უჭერენ იურიდიული პირის ე.წ. „ბინადრობის“ პრინციპს (sie ge social), რაც, როგორც წესი, ადმინისტრაციული ცენტრის ადგილმდებარების (იურიდიული პირის მმართველობის ადგილის) მიხედვით განისაზღვრება. საერთაშორისო ბრუნვის წესებთან ადაპტირებული ეს კრიტერიუმი საკმაოდ ფართო აღიარებით სარგებლობს. „იგი საშუალებას იძლევა თავიდან

¹⁰ М.М. Богуславский. Международное частное право, М., 1994, с. 120.

¹¹ Л. А. Лунц. Международное частное право, М., 1970, с. 183.

¹² М.М. Богуславский. Международное частное право, М., 1994, с. 122.

იქნეს „აცილებული სიტუაცია, როცა იურიდიული პირის დაარსება არსებითად დაყვანილია „საფოსტო ფუთის“ ფიქსაციამდე, აქვს მეტად პირობითი, ფორმალური ხასიათი“¹³. კომპანიის ადმინისტრაციის პრიციპს მხარს უჭერს საქართველოც. კერძოდ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 29 აპრილის კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, „იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც“¹⁴.

ზემოთ აღნიშნული ორი თვალსაზრისის დაახლოების ტენდენცია აისახა ჰავაგის 1956 წლის კონვენციაში „იურიდიული პირების უცხოურ კომპანიებად მიჩნევის შესახებ“, რომელიც გამოდის იმ თვალსაზრისიდან, რომ იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვროს „რეგისტრაციის ადგილის“ და იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც მისი ადმინისტრაცია იმყოფება.¹⁵

„ინკორპორაციისა“ და „კომპანიის ადმინისტრაციის“ თეორიების გარდა, ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთმა ქვეყანამ განავითარა იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრის მესამე დოქტრინა, რომლის მიხედვითაც კომპანიის ეროვნულობის განსაზღვრის მთავარი კრიტერიუმია საწარმოს სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის ფაქტობრივი განხორციელების ადგილი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ექსპლუატაციის

ცენტრი“. აღნიშნულ ნორმებს შეიცავს ეგვიპტის 1948 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი და სირიის 1949 წლის ანალოგიური კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი.¹⁶ ამ პრინციპს, ძირითადად, მხარს უჭერს იტალიაც, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იტალიური კანონმდებლობა არ შემოიფარგლება იურიდიული პირის პირადი სტატუტის რომელიმე ვარიანტით. შესაბამისი კანონის მიხედვით, „საზოგადოებები, ასოციაციები, ფონდები და ნებისმიერი სხვა საჯარო თუ კერძო იურიდიული პირები ექვემდებარებიან იმ სახელმწიფოს კანონმდებლობას, რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდა დაფუძნების პროცედურა“. მიუხედავად ამისა, იტალიური კანონმდებლობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მისი მართვის ორგანოები ან/და საქმიანობის საგანი იტალიაში იმყოფება.¹⁷

„კომპანიის ადმინისტრაციის“ პრინციპისაგან განსხვავებით, „ექსპლუატაციის ცენტრის“ პრინციპი ვერ სარგებლობს ფართო მხარდაჭერით. ამ კრიტერიუმის სისუსტე უპირველეს ყოვლისა იმაში ვლინდება, რომ იურიდიული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მისი ადმინისტრაციული ცენტრის მდებარეობის ადგილზე ხორციელდება.¹⁸

მიუხედავად ამ სამი პრინციპის აღიარებულობისა, ხშირად სასამართლო პრაქტიკა უარს ამბობდა ამ პრინციპებით საქმის გადაწყვეტაზე – მიუთითებდნენ, რომ ისი-

¹⁶ იქვე, გვ. 185.

¹⁷ ბ.ა. ბასისტი. რეფორმა სამართლის მეცნიერებაზე. საქმიანობის ფაქტობრივი განხორციელების ადგილი, რომ ისი

¹³ В.П. Звеков. Международное частное право (курс лекций), М., изд. «норма», 1999, с.215.

¹⁴ იხ. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, თბ., 1999, გვ.11.

¹⁵ ლ.ა. ლუნცის დასახელებული მონოგრაფია, გვ.184.

¹⁸ В.П. Звеков. Международное частное право (курс лекций), М., изд. «норма», 1999, с.216.

ნი ხშირად უფრო ფორმალურ კრიტერიუმებს ეყრდნობა და პრაქტიკაში ხშირად გამოუყენებელიც ხდება. ამიტომაც სასამართლო პრაქტიკამ, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს განავითარა ე.წ. „კონტროლის თეორია“ და მას, ძირითადად, „მტრულად განწყობილი უცხოელების შესახებ“ კანონმდებლობის დარღვევების წინააღმდეგ იყენებდნენ. ეს მიღომა პირველად ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში დაფიქსირდა ცნობილი „Daimler Co v. Continental Tyre and Rubber Co“ (1915 წ.) საქმის განხილვის დროს. კერძოდ, ინგლისში საბურავების სარეალიზაციოდ დაარსდა კომპანია, რომლის კაპიტალი 25 ათასი აქციისაგან შედგებოდა, რომელთაგან მხოლოდ ათასი ეკუთვნოდა ინგლისელს, ხოლო დანარჩენი გერმანელთა საკუთრებაში იყო. კომპანიამ რეგისტრაცია გაიარა ინგლისური კანონმდებლობის მიხედვით, ამიტომ ინკორპორაციის პრინციპის მიხედვით, იგი ინგლისურ საწარმოდ უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ ინგლისის სასამართლომ აღიარა, რომ ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი უნდა იყოს ის, თუ ვინ აკონტროლებს იურიდიულ პირს და უპირატესობა „ფაქტობრივი კუთვნილების“ პრინციპს მიანიჭა. გარდა ინგლისისა, აღნიშვნული პრინციპი ეფექტიანად გამოიყენა შვედეთში თავის

1916 წლის 30 მაისის და 1925 წლის 18 ივნისის კანონებში. აღნიშვნული კანონები მიმართული იყო იმ კომპანიების მიერ მიწებისა და საბადოების შეძენის წინააღმდეგ, რომლებიც თუმცა შექმნილი იყო შვედეთში, მაგრამ ფაქტობრივად კონტროლდებოდა უცხოელთა მიერ.¹⁹

შემდგომში კონტროლის თეორია აიტაცეს რიგმა სახელმწიფოებმა. ისინი „მტრულად განწყობილ იურიდიულ პირებად“ მიჩნევდნენ იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც „მტრული ეროვნების მქონე“ პირებისაგან კონტროლდებოდა. ეს პრინციპი ფართოდ გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, თანამედროვე პირობებში კი იგი, ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად, მოქნილად გამოიყენება.²⁰

იურიდიული პირების რომელიმე ქვენისადმი მიკუთვნების საკითხს, გარდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა, საერთაშორისო ხელშეკრულებებიც წყვეტის. სახელდობრ, ერთ შემთხვევაში (მაგ., გერმანიასა და ესპანეთს შორის 1970 წელს დადებული ხელშეკრულება) უპირატესობას ანიჭებენ ინკორპორაციის პრინციპს, მეორე შემთხვევაში კი (მაგ., გერმანიასა და რუსეთს შორის 1993 წელს დადებული ხელშეკრულება) პირის ადმინისტრაციის განთავსების ადგილს ანიჭებენ პრიორიტეტს.

გვიად გაბისონია,

იურისტი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის სპიკერი, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი.

¹⁹ М. Вольф. Международное частное право, М., изд. «иностранный Лит.», 1948, с.336-337.

²⁰ М.М. Богуславский. Международное частное право, М. 1994, с. 122-123.

ნანა მაისურაძე

სარჩელზე შარის თქმა და მისი

სამართლებრივი შედეგები

უ აქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია დისპოზიციურობის საწყისებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს შეუძლით თავისუფლად განკარგონ თავიანთი საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი უფლებები.

დისპოზიციურობის პრინციპი ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მრავალ მუხლშია განმტკიცებული, მაგრამ ყველაზე უფრო რელიეფურად იგი დამკვიდრებულია მე-3 მუხლის ამ მუხლის თანახმად მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. ამავე მუხლში მითითებულია ისიც, რომ მოსარჩელეს, რომელმაც აღმრა სარჩელი სასამართლოში, შეუძლია შემდგომში უარი თქვას მის მიერვე აღმრულ სარჩელზე. ამ მუხლში დამკვიდრებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულება:

პირველი. გადაწყვეტილებას იმის შესახებ, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად თუ არ მიმართოს – იღებს უშუალოდ ამ უფლების მქონე პირი. ვინმე სხვა პირი მის ნაცვლად ამ გადაწყვეტილებას ვერ მიღებს, ხოლო თუ სხვა ვინმე მაინც მიღებს ასეთ გადაწყვეტილებას,

სასამართლო არ მიღებს მისგან სარჩელს.

მეორე. დავის საგანს, ე.ი. იმას, თუ რას ეღავება სარჩელის (განცხადების) აღმძვრელი პირი მოპასუხეს, თვითონ ეს პირი (მოსარჩელე, განცხადებელი) განსაზღვრავს. სასამართლოს უფლება არ აქვს გასცილდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი. სასამართლოს უფლება არ აქვს აგრეთვე მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (248-ე მუხლი).

მესამე. მოსარჩელეს შეუძლია არამარტო შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, არამედ უარი თქვას სარჩელზე.

სარჩელზე უარის თქმა მოსარჩელის მხრივ შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს გამოწვეული. სარჩელზე უარის თქმა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მოსარჩელემ უბრალოდ ხელი აიღო თავის მოთხოვნაზე მოპასუხის მიმართ, აჩუქა მას ის, რისი მიღების უფლება ჰქონდა. სარჩელზე უარის თქმა შეიძლება გამოწვეული იყოს იმითაც, რომ მოსარჩელე დარწმუნდა მის დაუსაბუთებლობაში და ა.შ

მაგრამ რა მოტივებითაც არ უნდა ხელმძღვანელობდეს მოსარჩელე, როდესაც იგი უარს ამბობს სარჩელზე, მას არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ აქვს. უფრო

შეტიც, სასამართლო საერთოდ უფლება-
მოსილიც არაა გამოიკვლიოს, თუ რატომ
ამბობს უარს მოსარჩელე თავის სასარჩელო
მოთხოვნაზე, თავის სარჩელზე. სასამართლო
პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა,
როდესაც სასამართლოში საქმის განხილვის
პროცესში, მოპასუხე ნებაყოფლობით
აკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას.
ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს აღარ აქვს
ინტერესი გაგრძელდეს საქმის განხილვის
პროცესი და გამოტანილ იქნეს გადაწყვე-
ტილება. იგი მიმართავს სასამართლოს
თხოვნით შეწყვიტოს საქმის წარმოება და
უკან დაუბრუნოს სასამართლომ სარჩელი,
ან კიდევ აღარ განიხილოს ეს სარჩელი.
აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში არც
სარჩელის უკან დაბრუნება და არც სარ-
ჩელის განუხილავად დატოვება არ შეიძ-
ლება, ასეთ რამეს სამოქალაქო საპროცესო
კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. თუ
მოსარჩელემ მოპასუხისავან მიიღო ის,
რასაც იგი მოითხოვდა და ამიტომ აღარ
მოითხოვს სარჩელის განხილვასა და
გადაწყვეტას, სასამართლომ ამ ვითარებას
უნდა დაუკავშიროს ის შედეგი, რასაც
საპროცესო კანონმდებლობა უკავშირებს
სარჩელზე უარის თქმას.

სარჩელზე უარის თქმას კანონი უკავ-
შირებს უაღრესად სერიოზულ შედეგს:
საქმის წარმოების შეწყვეტას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, სასა-
მართლო „შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ
მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე“ (272-ე
მუხლის “გ” პუნქტი).

საქმის წარმოების შეწყვეტას, თავის
მხრივ, უკავშირდება ასევე ძალიან სერი-
ოზული შედეგი. 273-ე მუხლის მე-2 პუნქტის
თანახმად, „საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის
ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს

შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით
არ შეიძლება“.

ამრიგად, სარჩელზე უარის თქმით მოსარ-
ჩელეს სამუდამოდ ერთმევა უფლება კვლავ
მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით.

სასამართლოს განჩინებაზე საქმის წარ-
მოების შეწყვეტის შესახებ შეიძლება კერძო
საჩივრის შეტანა.

საქართველოს ახალი სამოქალაქო საპრო-
ცესო კოდექსით საინტერესოდაა გადაწყვე-
ტილი საკითხი კერძო საჩივრის განხილვის
შესახებ.

კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იყოს
იმ სასამართლოში, რომელმაც გასაჩივ-
რებული განჩინება გამოიტანა. მაგრამ ეგ
კიდევ არაფერი. კერძო საჩივარი ჯერ უნდა
განიხილოს ამ კერძო საჩივრით გასაჩივ-
რებული განჩინების გამომტანმა სასამარ-
თლომ. თუ ეს სასამართლო კერძო საჩივარს
დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს,
მაშინ ის აკმაყოფილებს კერძო საჩივარს,
მაგრამ თუ მას ეს საჩივარი დაუშვებლად
ან დაუსაბუთებულად მიაჩნია, მაშინ მას,
საქმის მასალებთან ერთად, ზემდგომ
სასამართლოს უგზავნის, რომელსაც გამო-
აქვს საბოლოო გადაწყვეტილება კერძო
საჩივრის დაკმაყოფილების, ან ასეთ
დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან
სასამართლოს, თუ იგი აკმაყოფილებს კერძო
საჩივარს, გამოაქვს განჩინება, მაგრამ თუ
იგი საჩივარს არ აკმაყოფილებს, მას
გამოაქვს აგრეთვე განჩინება კერძო საჩივრის
დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და საქმის
მასალების სააპელაციო (საკასაციო) სასა-
მართლოში გადაგზავნის შესახებ.

ასეთია, მოკლედ, სარჩელზე მოსარჩელის
მიერ უარის თქმის სამართლებრივი შედეგები
და ამასთან დაკავშირებით საქმის წარ-
მოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს
განჩინების გასაჩივრებისა და განხილვის წესი.

განხინების ნიმუში

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ
ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის
რაიონული სასამართლოს მიერ
1999 წლის 10 სექტემბერი

განხინება

მოსარჩელე ნ. ქებაძის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის
წარმოების შეწყვეტის შესახებ

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო მოსამართლე ნ. გაგნიძემ
განვიხილე ნ. ქებურიას სარჩელი ა. ცინცაძის მიმართ ჯანმრთელობის
დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

გამოვარკვი

ა. ცინცაძემ დააჯახა მანქანა „ვოლვო” ფეხით მისიარულე ნ. ქე-
ბურიას, რითაც მიაყენა სხეულის დაზიანება. ნ. ქებურიამ თავისი
სარჩელით მოითხოვა სამედიცინო დასკვნების თანახმად აუცილებელი
მკურნალობისათვის 5.000 ლარის გადახდევინება მოპასუხისავან.

ამ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზა-
დების სტადიაზე მოსარჩელე ნ. ქებურიამ უარი თქვა თავის სარჩელზე.
ვიზელმძღვანელე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
209-ე და 272-ე მუხლის “გ” პუნქტით.

დავადგინე

შეწყდეს საქმის წარმოება ნ. ქებურიას სარჩელის გამო ა. ცინცაძის
მიმართ ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების
შესახებ. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მისი მხა-
რისთვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე ნ. გაგნიძე.

ნანა მაისურაძე,

საქართველოს იუსტიციის სასწავლო
ცენტრის გამგეობის წევრი.

საძალთალი და საერთო მიზანისთვის უნიკალური გენერაცია

უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების

საერთაშორისო- სამართლებრივი მაჟანიზმები

უ აერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საყოველთაო გლობალიზაციის პროცესი თავისთავად წარმოშობს შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების არსებობის აუცილებლობას. ამასთან, მსოფლიო ბაზრის ინტენსიური და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია, რომ მისი ფუნქციონირების ხელშეწყობი იურიდიული ბერკეტები ერთნაირად მისაღები იყოს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებისა და ტრადიციების მქონე სახელმწიფოთა წარმომადგენელთათვის. საქმიანი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების ნეიტრალურ გარემოში მიუკერძოებლად და ეფექტურად გადაწყვეტის მექანიზმების არსებობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს, აღმოფხვრავს რა ისეთ დამაბრკოლებელ გარემოებებს, როგორიც არის უცხო ქვეყნის სამართლის არასათანადო ცოდნა, მართლმართებების სხვა სისტემის იურისდიქციის ქვეშ მოქცევის შიში და მისდამი უნდობლობა, დავების გადაწყვეტის შესაძლო გაჭიანურება, ენობრივი ბარიერები და სხვ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ საერთაშორისო კომერციული (კერძო) არბიტრაჟი საერთაშორისო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განუყოფელ ნაწილად და აუცილებელ აზრიბუტად გადაიქცა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, სახელმწიფო
მართლმსაჯულებასთან შედარებით, საერ-
თაშორისო კომერციულ არბიტრაჟს მთე-
ლი რიგი უპირატესობები გააჩნია, რასაც
შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

• მიუკერძოებლობა

საერთაშორისო კერძო არბიტრაჟი, პოლი-
ტიკური და ეროვნული კუთვნილების თვალ-
საზრისით, დავების გადაწყვეტის აბსოლუ-
ტურად ნეიტრალური მექანიზმია, რასაც
ხშირ შემთხვევაში ვერ ვიტყვით ამა თუ იმ
ქვეყნის სასამართლო სისტემაზე. ხშირად,
მხარეს უბრალოდ ეშინია მოქალაქეს მისდამი
დაპირისპირებული მხარის სახელმწიფოს
სასამართლო იურისდიქციის ქვეშ. მხოლოდ
არბიტრაჟი იძლევა დავის განხილვის ნეი-
ტრალური გარემოს შერჩევის შესაძლებლო-
ბას ისე, რომ სავალდებულო არ იყოს დავის
მიმართ მისი განხილვის ადგილის მატერი-
ალური და პროცესუალური სამართლის
გამოყენება. ამასთან, უდიდესი მნიშვნელო-
ბა ენიჭება იმ გარემოებას, რომ მხარეებს
თავად შეუძლიათ შეარჩიონ არბიტრები,
რომლებსაც ისინი წარმოშობილი დავის
გადაწყვეტას მიანდობენ.

• პროცედურული მოქნილობა

არბიტრაჟი მხარეებს დავის განხილვის მოქნილ და გამარტივებულ მექანიზმებს სთავაზობს. მათი სურვილისამებრ დავა შეი-

ძლება განხილულ იქნას მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მხარეთათვის მისაღებ დროს და მათ მიერ დადგენილ ვადებში, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებზე დაყრდნობით და არა სამართლის ნორმებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და სხვ.

• კონფიდენციალურობა

მხარეებს შორის წარმოშობილი დავების საარბიტრაჟო წესით განხილვისას დაცულია საქმის კონფიდენციალურობა როგორც მისი მიმდინარეობის, ასევე საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე, რაც სახელმწიფო მართლმსაჯულების შემთხვევაში, ამ უკანასკნელის საჯარო ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

• არბიტრთა პროცესორნალიზმი

მხარეებს თავად შეუძლიათ შეარჩიონ ის არბიტრები, რომლებსაც ამა თუ იმ სფეროში მაღალი კვალიფიკაცია და პროფესიული ცოდნა გააჩნიათ. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რთული ტექნიკური და სპეციფიური დარგობრივი დავების განხილვისას, რაც მსოფლიო პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად გვხვდება.

• სისწრაფე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა

არბიტრაჟი, სახელმწიფო მართლმსაჯულებასთან შედარებით, ბევრად უფრო სწრაფი და ზოგიერთ შემთხვევებში იაფიც შეიძლება იყოს. მაშინ როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება ხშირად შეიძლება გასაჩივრდეს, რაც საქმის დამთავრებას გაურკვეველი ვადით წელავს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილები, როგორც წესი, საბოლოოა.

• საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულების მექანიზმების ეფექტიანობა

უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების შესაბამისად და სხვ.

გამოტანილი განაჩენის სხვა ქვეყანაში აღსრულება ხშირად ბევრად უფრო რთულია, ვიდრე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება. ამას განაპირობებს უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების სფეროში არსებული საერთაშორისო კონვენციებისა და ორმხრივი შეთანხმებების სიმრავლე და ეფექტიანობა.

საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის პოზიტიურ მხარეებსა და მიმზიდველობაზე საუბრისას ყურადღებიდან არ უნდა გამოვრჩეს არც მისი ნაკლოვანი მხარეები. საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ისეთი დავების საარბიტრაჟო განხილვა, რომლებშიც ორზე მეტი მხარე მონაწილეობს! ანდა, ის, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, სასამართლოსაგან განსხვავებით, უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების ბევრად უფრო ნაკლებად ეფექტიანი საშუალებები გააჩნია.¹

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მიმზიდველობისა და პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო დამადასტურებელი საბუთი მისი პოპულარობაა. დღეს მსოფლიოში ვაჭრობისა და სხვა სახის ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში დადგებული საერთაშორისო ხელშეკრულებების უმრავლესობა შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ გარიგებიდან გამომდინარე, დავების განხილვა და გადაწყვეტა სწორედ საარბიტრაჟო წესით ხორციელდება.

¹ Dore, Theory and Practice of Multiparty Commercial Arbitration (with special reference to the UNCITRAL framework), London, 1990; M. Diesselhorst, Mehrparteienschiedsverfahren – Internationales Schiedsverfahren unter Beteiligung von mehr als zwei Parteien, Frankfurt, 1994;

² A. Bösch, Einstweiliger Rechtsschutz in der internationalen Handelsschiedsgerichtsbarkeit, Bern, 1989.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულება

სტატიის მოცულობიდან გამომდინარე, მნელია მოიცვა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟთან, მისი ფუნქციონირების პრინციპებსა და მექანიზმებთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ დავების გადაწყვეტის საარბიტრაჟო მექანიზმის ისეთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილზე, როგორიც არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება.

ზემოთ უკვე აღნიშნეთ, რომ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მიმზიდველობის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს უცხოეთში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სხვა ქვეყანაში ცნობისა და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების არსებობა განაპირობებს. მართლაც, არანაირი აზრი არ ექნებოდა დავის საარბიტრაჟო განხილვას, რომ არ არსებოდეს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიები.

უცხო სახელმწიფოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა და ეს ძალზედ შრომატევადი და რთული პროცესი იყო. ამის მიზეზი ეროვნულ კანონმდებლობებს, სხვადასხვა სამართლებრივისტემებსა და პოლიტიკურ ბლოკებს შორის არსებული განსხვავებები, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის გარკვეულ შეზღუდვასთან დაკავშირებული პრობლემები, ეროვნულ კანონმდებელთა მოუქნელობა, სახელმწიფო მართლმსაჯულების წარმომადგენელთა მხრიდან ზოგადად არბიტრაჟის დამკვიდრებისადმი წინააღმდეგობა და სხვა მრავალი გარემოება გახლდათ. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო სისტემის ჩამოყალიბების და ჰარმონიზაციის

პროცესი სისტემატურად პროგრესირებდა. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ უწევის 1927 წლის კონვენცია³ უნდა მივიჩნიოთ. ეს კონვენცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული „საარბიტრაჟო დათქმების შესახებ“ უწევის პროტოკოლთან,⁴ რომელიც ერთა ლიგამ 4 წლით ადრე – 1923 წელს მიიღო. ამ ორი აქტის სრული ურთიერთინტეგრირების მისაღწევად რამდენიმე ხერხი გამოიყენებოდა: კონვენციაზე ხელის მოწერის უფლება პქონდა მხოლოდ პროტოკოლის მონაწილე სახელმწიფოს; კონვენცია ეყრდნობოდა პროტოკოლით განსაზღვრულ ცნებებს და დადგენილ ნორმებს; კონვენციას უკუქცევითი ძალა პქონდა და მისი დებულებები პროტოკოლის მიღების შემდეგ დადებულ გარიგებებზე ვრცელდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე შეთანხმება ერთობლიობაში საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის განვითარებისათვის განხორციელებული დიდი ძალის სტატუსი საკმაოდ შეზღუდული იყო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სახელმწიფოებს კვლავ დარჩათ ფართო უფლებამოსილება თავად განესაზღვრათ, თუ უცხოეთში გამოტანილი რომელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ექვემდებარებოდა მათ ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კონვენციის თანახმად, სავალდებულო აღსრულებას არ ექვემდებარებოდა მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაშიც კი,

³ ი. H.Smit & V. Pechota, International Arbitration Treaties, გვ. 17; H.-W. Greminger, Die Genfer Abkommen von 1923 und 1927 über die internationale private Schiedsgerichtsbarkeit, Wintherthur, 1957.

⁴ იქვე, გვ. 2.

როდესაც დავა კონვენციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს შორის წარმოებდა. მაგალითად, თუკი კონვენციის მონაწილე ფრანგულ და შვეიცარულ კომპანიებს შორის წარმოშობილი დავა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე განიხილებოდა (აშშ კონვენციაში არ მონაწილეობდა), მაშინ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საფრანგეთსა და შვეიცარიაში სავალდებულო აღსრულებას არ ექვემდებარებოდა. ამას გარდა, აღსრულების შუამდგომლობის დამყენებულ მხარეს ეკისრებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია საქმის განხილვის აღვილის (სახელმწიფოს) საარბიტრაჟო კანონმდებლობის შესაბამისად და რომ ეს გადაწყვეტილება იმ ქვეყანაში, სადაც ის იქნა გამოტანილი, საბოლოოა. ეს და მრავალი სხვა ნაკლოვანებები საშუალებას აძლევდა წაგებულ მხარეს გაეჭიანურებინა ანდა სულაც წარმატებით შეეშალა ხელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განსაკუთრებულმა ინტენსიფიკაციამ დღის წესრიგში დააყენა ზოგადად საარბიტრაჟო სისტემისა და კერძოდ უცხოეთში გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების ბევრად უფრო სრულყოფილი, პრაქტიკულად განხორციელებადი, ერთიანი და ეფექტური საერთაშორისო სტანდარტებისა და მექანიზმების შექმნის აუცილებლობა. 1953 წელს ამ სფეროში ახალი მრავალმხრივი შეთანხმების შექმნის ინციდენტივით გამოვიდა საერთაშორისო სავაჭრო პალატა. გაერთიანებული ერგის ორგანიზაციის ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ აღნიშნული პრობლემატიკის შესწავლის მიზნით სპეციალური დროები-

თი სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომელსაც დაევალა საკითხის განხილვა და წინადაღებების წარმოდგენა. სპეციალისტები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ახალი მრავალმხრივი კონვენციის შემუშავება, რომელიც გასცდებოდა უნივერსიტეტის კონვენციის ფარგლებს და აღმოფხვრიდა მის ნაკლოვანებებს, მაგრამ, ამავე დროს, არ დაარღვევდა სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და არ ხელყოფდა სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტი განსახილველად წარედგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზირებულ კონფერენციას, რომელიც 1958 წელს ნიუ-იორკში შედგა.⁵ კონფერენციის მონაწილენი შეთანხმდნენ უნივერსიტეტის კონვენციები 1923 და 1927 წლის კონვენციები ახალი, უფრო სრულყოფილი და ყოვლის მომცველი სამართლებრივი რეჟიმით შეეცვალათ. ასე იქნა მიღებული 1958 წლის 10 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“. ნიუ-იორკის კონვენციად წოდებული, იგი მიჩნეულია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სფეროში მოქმედ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ინსტრუმენტად და ძირითად ქვაკუთხედად.⁶ ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ დღეისათვის კონვენციის მონაწილეა მსოფლიოს 140-ზე მეტი სახელმწიფო,⁷ მათ შორის საქართველოც.⁸

⁵ კონფერენციის მასალები იხ. Martin Domke, The United Nations Conference on International Commercial Arbitration, 53 American Journal of International Law, გვ. 414, 1959.

⁶ იხ. A. Van den Berg, The New York Convention of 1958, Deventer/Boston, 1994, გვ.11.

⁷ 1999 წლის 1 ივნისის მონაცემებით.

⁸ საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილება ნიუ-იორკის კონვენციასთან მიერთების თაობაზე.

ციუ-იორკის პრინციპები მიმოსილვა

1. ზოგადი პრინციპები

ციუ-იორკის კონვენციაში ბევრად უფრო განამტკიცა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ძირითადი პრინციპი — მხარეთა ავტონომიის პრინციპი.⁹ მიუხედავად დიდი დებატებისა, კონვენციის ტექსტის ავტორებმა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს საარბიტრაჟო პროცედურის იმ ქვეყნის სამართლისადმი დაქვემდებარება, სადაც ეს უკანასკნელი ტარდება. ციუ-იორკის კონვენცია სწორედ საარბიტრაჟო ადგილის სამართლის იურისდიქციაზე დამოკიდებულების აღმოფხვრას ისახავს მიზნად და იგი მხარეთა ავტონომიის პრინციპს უდაო პრიმატს ანიჭებს.¹⁰

კონვენცია ბევრად უფრო ზედმიწევნით განსაზღვრავს საარბიტრაჟო პროცედურაში სახელმწიფო სასამართლო ხელისუფლების ჩარევის ფარგლებს, ვიღრე ეს უწევის კონვენციის შემთხვევაში იყო. ახლებური მიდგომის თანახმად, ასეთი ჩარევის უფლება, ფაქტობრივად, მხოლოდ იმ ქვეყნის კომპეტენტურ სასამართლოს გააჩნია, რომელშიც ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

2. გამოყენების სფერო

ციუ-იორკის კონვენციის სრულიად ახლებური მიდგომა და მოქმედების ბევრად უფრო ფართო არეალი იმაშიც გამოიხატება, რომ კონვენციის დებულებები მოქმედებს ყველა იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც გამოტანილია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე (ე.ი. ნებისმიერი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, მნიშვნელობა არა აქვს კონვენციის მონაწილეა იგი თუ არა).

⁹ იხ. K. Böckstiegel, in FS Beitzke, გვ. 445;

¹⁰ იხ. van den Berg, Yearbook of Commercial Arbitration, 1987 (XII), გვ. 405, 460.

სწორედ ამაზე მეტყველებს კონვენციის 1-ლი მუხლი: „ეს კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთ გადაწყვეტილებათა აღსრულება”. ასე რომ, კონვენცია ერთნაირ მდგომარეობაში აყენებს როგორც კონვენციის მონაწილე, ისე არამონაწილე სახელმწიფოებში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ე.წ. უნივერსალურობის პრინციპი არ იქნა საყოველთაოდ გაზიარებული. სახელმწიფოთა ნაწილის მოთხოვნით, დაშვებულ იქნა აღნიშნულ საკითხზე სპეციალური დათქმის გაკეთების შესაძლებლობა. მართლაც, კონვენციის მონაწილე მხარეთა ნაწილმა გამოიყენა აღნიშნული უფლება და ნაცვალების საფუძველზე განაცხადა, რომ იგი ამ კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის. ზოგიერთმა ხელმომწერმა ქვეყანამ ისიც განაცხადა, რომ ამ კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ ისეთ სახელშეკრულებო ან სხვა სამართალუროებრობათა საფუძველზე წარმოშობილი დავების მიმართ, რომლებიც მათი ეროვნული კანონმდებლობით კომერციულ ურთიერთობად ითვლება. უნდა აღნიშნოს, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს კონვენციასთან მიერთებისას არცერთი დათქმა არ გაუკეთებია და იგი ჩვენი ქვეყნისათვის სრული მოცულობით მოქმედებს.

კონვენციის გამოყენების სფერო, უწევის კონვენციისაგან განსხვავებით, არ იზღუდება მხარეთა ეროვნული კუთვნილების პრინციპის საფუძველზე. მაგალითად, საქართველოს სასამართლომ უნდა გამოიყენოს ნიუ-

იორკის კონვენცია იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისას, რომელიც გამოტანილია საფრანგეთში ქართული და ეთიოპიური მხარის დავის განხილვისას, მიუხდავად იმისა, რომ ეთიოპია კონვენციის მონაწილე არ არის.

კონვენციის მოქმედების სფეროს ძალზედ ფართო განსაზღვრა, ზოგიერთ შემთხვევებში, გარკვეულ სირთულებსაც იწვევს. მაგალითად, მისი გამოყენებისათვის აუცილებელი არ არის, რომ საარბიტრაჟო დავა, რომელზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, საერთაშორისო ხასიათისა იყოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონვენცია გამოიყენება იმ გადაწყვეტილებათა მიმართაც, რომელიც გამოტანილია უცხო სახელმწიფოში ერთი და იმავე ქვეყნის ორ წარმომადგენელს შორის წამოჭრილი დავის თაობაზე. მაგალითად, ორ ქართულ ფირმას შორის არსებულ დაგაზე ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება საქართველოში ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად უნდა მოხდეს. თუმცა, ასეთი შემთხვევები მსოფლიო პრაქტიკაში არც თუ ისე ზშირად გვხვდება.

ნიუ-იორკის კონვენცია გამოიყენება როგორც დროებითი, ანუ კონკრეტული საარბიტრაჟო დავის განსახილველად სპეციალურად შექმნილი (ეწ. Ad Hoc), ისე მუდმივმოქმედი (ინსტიტუციონალური) საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მიმართ (მუხლის I (2)). ამასთან, აღნიშნული დავების მონაწილენი შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები (მუხლი I.1). ამ შემთხვევაში, იურიდიულ პირს შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო საწარმოც, თუკი იგი გამოდის კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგება საერთაშორისო საჯარო-სამართლებრივ ხასიათის არ არის.

3. საარბიტრაჟო შეთანხმება და მისი აღიარება

საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის აღიარებასთან დაკავშირებული დებულებების ნაწილი ნიუ-იორკის კონვენციის უწყევის კონვენციიდან იქნა გადმოტანილი. მაგალითად, ხელშეკვრული მხარეები იღებენ ვალდებულებას, ცნონ შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის წარმოშობილი დავები განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს. ამ თვალსაზრისით, სიახლეა საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმის მოთხოვნა (მუხლი II (2)). აღნიშნული ცნების განმარტებას მუხლის შემდეგი პუნქტი ახდენს, სადაც ნათქვამია, რომ წერილობითი შეთანხმებაა როგორც საარბიტრაჟო დათქმა (რომელიც, როგორც წესი, თავად ხელშეკრულებაში შედის), ისე მხარეებს შორის ხელმოწერილი ან წერილებისა და დეპეშების გაცვლით დადებული ცალკე საარბიტრაჟო შეთანხმება (მუხლი II (2)). აღნიშნული დებულების კონვენციის ტექსტში ჩართვა მიზნად ისახავდა ერთგვაროვანი წესის ჩამოყალიბებას, რისი აუცილებლობაც საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით ეროვნულ კანონმდებლობებში არსებული დიდი განსხვავებებით იყო გამოწვეული.

კონვენციის მეორე მუხლშივე განმტკიცებულია სახელმწიფო მართლმსაჯულების არბიტრაჟში ჩაურევლობის პრინციპი. ხელშეკვრული სახელმწიფოთა სასამართლები, თუკი მათთან შედის სარჩელი იმ საკითხზე, რომელიც მხარეთა შეთანხმების თანახმად არბიტრაჟის ქვედებარეა, ვალდებული არიან, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, ისინი გააგზავნონ არბიტრაჟში. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება გაუქმებულია, ძალადაკარგულია ან შეუძლებელია მისი შესრულება.

4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების
აღსრულება

1958 წლის კონვენციის უმთავრესი
მიზანი, რაღა თქმა უნდა, საარბიტრაჟო
გადაწყვეტილებების სწრაფი და უპრობ-
ლემო აღსრულების გარანტიების შექმნაა.
კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები
კისრულობენ ვალდებულებას სავალდებუ-
ლოდ ცნონ და აღასრულონ მათ ტერიტო-
რიაზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები
საკუთარი პროცესუალური ნორმების მიხედ-
ვით. ამასთან, იმ საარბიტრაჟო გადაწ-
ყვეტილებათა მიმართ, რომლებიც კონვენციი-
ს მოქმედების სფეროში ექცევა, არ შეი-
ძლება გამოყენებულ იქნეს არსებითად უფრო
მძიმე პირობები ან უფრო მაღალი ბაჟი ან
მოსაკრებელი, ვიდრე შიდა (ეროვნული)
საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა
და აღსრულების მიმართ.

წინამორბედი საერთაშორისო შეთანხმებებისაგან განსხვავებით, ნიუ-იორკის კონკრეტია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის არ მოითხოვს ორმაგი სასამართლო განჩინების ან სააღსრულებო ფურცლის არსებობას. მაგალითად, უენევის 1927 წლის კონვენციის თანახმად, მოგებულ მხარეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ესაჭიროებოდა ორი სააღსრულებო განჩინება: ერთი გამოტანილი საარბიტრაჟო განხილვის ადგილის კომპეტენტური სასამართლოს, ხოლო მეორე – აღსრულების ადგილის სასამართლოს მიერ. ახლა კი აღსრულებისთვის საკმარისია მხოლოდ აღსრულების ადგილის კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

კონვენცია ადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საკმაოდ გამარტივებულ პროცედურას. აღსრულების მომთხოვნება მხარემ, შესაბამისი შეამდგომლობის შეტანისას, სასამართ-

ლოს უნდა წარუდგინოს საარბიტრაჟო
გადაწყვეტილების დედანი ან მისი სათანა-
დოდ დამოწმებული ასლი, თავად საარბი-
ტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სა-
თანადოდ დამოწმებული ასლი. თუკი საარ-
ბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება
შედგენილი არ არის იმ ქვეყნის სახელმ-
წიფო ენაზე, სადაც ხდება ამ გადაწ-
ყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე
შუამდგომლობა, მაშინ დაინტერესებული
მხარე წარადგენს ზემოთ აღნიშნული დო-
კუმენტაციის შესაბამის თარგმანს. კონვენ-
ცია განსაზღვრავს იმასაც, რომ ასეთი
თარგმანი მოწმდება ოფიციალური მთარგ-
მნელის ან დიპლომატიური/საკონსულო
დაწესებულების მიერ.

1958 წლის კონვენციამ კიდევ ერთი სიახლე დაამკვიდრა. უნევის კონვენციის მიხედვით, წაგებულ შხარეს შეეძლო გაესაჩივრებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არა მხოლოდ თავად კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არამედ ამისათვის შეეძლო გამოეყენებინა საარბიტრაჟო განხილვის აღგილის მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმებიც. იუ-იორკის კონვენციამ ამის შესაძლებლობა კამორიცხა და ამომწურავად განსაზღვრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები. კონვენციის V მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო კადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მხარე აღსრულების ადგილის მიხედვით კომპეტენტურ სასამართლოს წარუდგენს იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ:

1. მხარეები ქნედუუნარონი იყვნენ/არიან
ან მათი საარბიტრაჟო შეთანხმება ბათოლია
შის მიმართ მოქმედი სამართლის მიხედვით;
 2. ადგილი პქონდა საარბიტრაჟო განხ-

ილვის პროცედურის დარღვევას (მაგალითად, მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის დაწყების თაობაზე, ან სხვა რაიმე მიზეზით ვერ შესძლო თავისი ახსნა-განმარტებების წარდგენა);

3. აღნიშული გადაწყვეტილება მიღებულია ისეთ დავაზე, რომელიც სცდება საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებს;

4. არბიტრაჟის (საარბიტრაჟო ტრიბუნალის) შემადგენლობა ან საარბიტრაჟო პროცესი არ შეესაბამებოდა მხარეთა მიერ დადებულ შეთანხმებას, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც წარმოებდა საარბიტრაჟო განხილვა;

5. გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო ან მისი აღსრულება შეჩერდა იმ ქვეყნის კომპეტენტური დაწესებულების მიერ, რომლის სამართალიც იყო გამოყენებული საარბიტრაჟო დავის მიმართ.

კონვენცია განსაზღვრავს იმ შემთხვევებსაც, როდესაც თავად იმ ქვეყნის კომპეტენტურმა სასამართლომ, რომელსაც ეთხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, შეიძლება განაცხადოს უარი. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩათვლის, რომ:

1. ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დავის ობიექტი არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

2. გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის მართლწესრიგსა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას (odre public).

კონვენციის მიმართება სხვა საერთაშორისო უთავებადთან

1958 წლის კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს უტოვებს საარბიტრაჟო გადაწ-

ყვეტილებების სხვა მრავალმხრივი თუ ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე აღსრულების უფლებას. VII მუხლის თანახმად, კონვენციის დებულებები არ ეხება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მიმართ დადებულ მრავალმხრივ და ორმხრივ შეთანხმებათა ნამდვილობას. თუკი ნიუ-იორკის კონვენციის დებულებები კოლიზიაში მოდის სხვა საერთაშორისო შეთანხმებასთან, მაშინ მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, შეუძლია აირჩიოს მისთვის უფრო ხელსაყრელი ვარიანტი.

თუმცა, საერთაშორისო შეთანხმებების ამ რიცხვში არ შედის საარბიტრაჟო დათქმების შესახებ უნივერს 1923 წლის პროტოკოლი და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ უნივერს 1927 წლის კონვენცია. ნიუ-იორკის კონვენციის VII (2) მუხლის თანახმად, ეს ორი შეთანხმება ძალადაკარგულად ითვლება ხელშემკვრელი სახელმწიფოთა მას შემდეგ, რაც მათთვის ძალაში შევა ნიუ-იორკის კონვენცია. აღსანიშნავია, რომ უნივერს პროტოკოლისა და კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა შეუერთდა ნიუ-იორკის კონვენციას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენცია გარკვეულწილად იჭრება ნიუ-იორკის კონვენციის რეგულირების სფეროს ფარგლებში. ეს, ძირითადად, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სპეციფიური მიმართულებების მარეგულირებელი შეთანხმებებია, კერძოდ, ვაშინგტონის 1965 წლის კონვენცია „სახელმწიფოებსა და მესამე სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახ-

ებ”,¹¹ მოსკოვის 1972 წლის კონვენცია „ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში წამოჭრილი სამოქალაქო-სამართლებრივი დავების საარბიტრაჟო წესით გადაწყვეტის შესახებ”¹² და 1975 წლის შიდაამერიკული კონვენცია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ.¹³

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნიუ-იორკის კონვენციამ შექმნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საერთაშორისო აღსრულების ძალზედ ეფექტიანი მექანიზმები და საფუძვლიანი გარანტიები. ეს, თავის მხრივ, ახალ გასაქანს აძლევს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ინტენსიური განვითარებისა და სრულყოფის პროცესს, რაც მსოფლიო ბაზრისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების

გაფართოების საწინდარია. თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე, კონვენციამ იმპლემენტაცია პოვა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში, შეიქმნა დიდი მოცულობის სასამართლო პრაქტიკა,¹⁴ დაიწერა კომენტარები და მონოგრაფიები.¹⁵

დღეისათვის ნიუ-იორკის კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომიტეტის (UNCITRAL) მიერ მოგვიანებით შემუშავებულ მოდელურ საარბიტრაჟო წესებთან¹⁶ და საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ მოდელურ კანონთან¹⁷ ერთად, ქმნის საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების სამართლიანი და ეფექტიანი გადაწყვეტის ეფექტიან საერთაშორისო-სამართლებრივ საფუძვლებს.

გილგაზი წპრიბლაშვილი,

ეკონომიკური და სამართლებრივი პოლიტიკის ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე.

¹¹ საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 1992 წლის 7 აგვისტოს; კომენტარისათვის იხ. J. Cristian, *Investment Contracts and Arbitration - The World Bank Convention on the Settlement of Investment Disputes*, Leiden, 1975.

¹² Tadeusz Szurski, *The Problems and Future of the Moscow Convention*, in *International Commercial Arbitration in Europe-Special Supplement*, The ICC International Court of Arbitration Bulletin, November 1994.

¹³ Ch.R. Norberg, *Inter-American Commercial Arbitration* (Dobbs Ferry and Paris, 1989).

¹⁴ მსოფლიო მასშტაბით ნიუ-იორკის კონვენციის თაობაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების მიმოხილვა ყოველწლიურად ქვეყნდება *Yearbook of Commercial Arbitration*.

¹⁵ H. Smit & V. Pechota, *Commercial Arbitration – an International Bibliography*, Sweet & Maxwell, London, 1995.

¹⁶ K.-H. Rauh, *Die Schieds- und Schlichtungsordnungen der UNCITRAL*, Köln, Berlin, München, 1983.

¹⁷ Howard M. Holtzmann & Joseph E. Neuhaus, *A Guide to the UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration - Legislative History and Commentary*, Kluwer Law and Taxation Publishers, Deventer/Boston, T.M.S. Asser Institut, the Hague, 1994; აღნიშნულ თემაზე იხ. აგრეთვე ავტორის სტატია „უსიტრადის მოდელური კანონის როლი საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის განვითარების საქმეში”, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1999 წლის I-II კვარტალი, გვ. 50.

ქართული და საქართველო

მარინა კვაჭაძე

გიორგი ბინაში ადამიანის უფლებების დაცვის

ზოგიერთი საპითხი 1996 წლის ეპროსაბჭოს

კონვენციის მიხედვით

XX საუკუნე მედიცინაში მნიშვნელოვანი აღმოჩენებით აღინიშნა. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა საშუალება მისცა მეცნიერების ამ დარგს ზემოქმედება მოეხდინა ადამიანის სიცოცხლესა და მის განვითარებაზე. მედიცინის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები სამართალსაც შეეხო. განსაკუთრებით გამოიკვეთა ეთიკური და სამართლებრივი საკითხების ურთიერთობა მედიცინის ისეთ დარგებში როგორიცაა: ტრანსპლანტოლოგია, გენეტიკა, ბიოსამედიცინო გამოკვლევები, ადამიანის ფსიქიკაზე არასანქციონირებული ზემოქმედება და სხვა. თავი იჩინა ახალმა პრობლემებმა, რომლებიც ორგანულად დაუკავშირდა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს. ნიურნბერგისა და ტოკიოს პროცესებმა (1946-1949 წწ.) გამოავლინა ადამიანის უფლებების დაცვის და მედიცინის ურთიერთკავშირის გაფართოების აუცილებლობის საკითხი.

ჯანმრთელობაზე უფლებამ თავისი ასახვა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიღებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში პოვა. 1948 წლს „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის“ მიღების შემდეგ, მსოფლიო სამედიცინო ასოციაციამ ამავე წლს მედიცინისა და ჯანდაცვის სფეროში ყველა ადამიანის თანას-

წორუფლებიანობა აღიარა, რაც უნივერს დეკლარაციამ განამტკიცა. ამ დოკუმენტმა მკაცრად განსაზღვრა ექიმის მოვალეობა. დეკლარაციით ექიმს ეკრძალება პაციენტის ყოველგვარი დისკრიმინაცია პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების, სოციალური, ეთნიკური, სქესობრივი ნიშნის მიხედვით. დეკლარაციაში გამოიკვეთა მოთხოვნა, რათა არ მოხდეს პაციენტის დისკრიმინაცია ასაკის ან პათოლოგიისა და არაქმედითუნარიანობის გამო.

1948 წლიდან მოყოლებული ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უფლება მოცემულია ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო სამართლებრივ აქტში.

1966 წლის „საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ ყველა ადამიანისათვის ისეთი პირობების შექმნას აღიარებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარებასა და სამედიცინო მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში (მე-12 მუხლი). მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის უფლების აღიარება ამით არ ამოიწურება, ეს საკითხი განხილულია სხვა საერთაშორისო უნივერსალური და რეგიონალური ხასიათის დოკუმენტებში, ასევე ცალკეული საერთაშორისო ორგანიზაციების აქტებში, ესე-

ნია: 1982 წელს მიღებული „სამედიცინო ჟოურნალის“ პრინციპები, რომლებიც შეეხება ჯანდაცვის მუშაობა, განსაკუთრებით ექიმების როლს, პატიმართა და დაკავებულ პირთა წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯისაგან დაცვის საქმეში“ (181-ე მუხლი); ამავე საკითხს განიხილავს „პატიმრებისადმი მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები“ (1977 წ., 22-26-ე და 83-ე მუხლები); „ამა თუ იმ ფორმით პიროვნების დაპატიმრების ან დაკავების პრინციპების კრებული“ (1988 წ., 22-ე მუხ.).; უნივერსიტეტის 1949 წლის ოთხივე კონკრეტურა და 1977 წლის დამატებითი ოქმები; კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ“ (1979 წ. 11, „ი“, „ვ“, „დ“ 3). 1996 წლის ევროსაბჭოს მიერ მიღებულმა კონვენციამ „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ თანაფარდობაში მოიყვანა ისეთი დებულებები, როგორიცაა ადამიანთა უფლებების დაცვა და თანამედროვე მედიცინის მიღწევები. 1997 წლის იუნესკოს კონვენცია „ადამიანის გენომისა და ადამიანის უფლებების შესახებ“ პირველი საერთაშორისო კეტია, რომელმაც აკრძალა ადამიანის დისკრიმინაცია მისი გენეტიკური მონაცემების ჰითედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, რომლებიც იცავენ სამედიცინო მომსახურეობის თანაბრად მიღების უფლებას, ყურადღებას ამახვილებენ ცალკეულ სუბიექტთა უფლებების დაცვაზე. მაგალითად, 1975 წლის „დეკლარაცია ინვალიდთა უფლებების შესახებ“, 1971 წლის „დეკლარაცია გონიერებისა და ჩამორჩენილ პირთა უფლებების შესახებ“, 1989 წლის „ბავშვთა უფლებების დეკლარაცია“.

ჯანდაცვის სისტემის განვითარებამ, მედიცინაში მიმდინარე პროგრესმა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ თავისი გამოხატ-

ულება ადამიანის სოციალური და ინდივიდუალური უფლებების დაცვაშიც პოვა. ეს უკანასკნელი კი შიდასახელმწიფო ებრივ სამართლის ნორმებშიც აისახა. XIX საუკუნის კონსტიტუციებში ამგვარ ტერმინს საერთოდ არ ვხვდებით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სხვა უფლებები მათში აღიარებულია. დღეს ჯანმრთელობის დაცვის უფლება მოცემულია თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციებსა და ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც არეგულირებენ სამედიცინო სფეროში წამოჭრილ პრობლემებს.

90-იანი წლებში ბიომედიცინისა და სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოება ახალი პრობლემების წინაშე დაყენა. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხო ტრანსპლანტაციის განვითარებას, ხელოვნურ განაყოფიერებაში ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვას, გენური ინჟინერიის სწრაფ წინსვლას.

სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა 1996 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის მიერ ახალი კონვენციის მიღება, სახელწოდებით - კონვენცია ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ. კონვენციას საფუძვლად დაედო ევროპის საპარლამენტო ასამბლეის 1991 წლის 1160 რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა ბიოეთიკის კომიტეტის შექმნას.

კონვენცია პრეამბულის, 14 თავისა და 38 მუხლისაგან შედგება. პრეამბულაში ჩამოთვლილია ის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომელსაც აღიარებს და ეფუძნება აღნიშნული კონვენცია. ეს აქტებია: 1948 წლის ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, 1950 წლის კონვენცია ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ, 1961 წლის ევროპის სოციალური ქარტია, 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახ-

ებ, 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 1989 წლის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ.

კონვენციის I თავი ზოგად დებულებებს შეიცავს. მასში განსაზღვრულია კონვენციის რეგულირების საგანი და მიზანი. კერძოდ, კონვენციაში მონაწილე მხარეები იცავენ ადამიანის პიროვნებას, მის ღირსებას, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს ბიომედიცინაში (მუხლი I). კონვენციამ აღიარა ადამიანის ინტერესების და კეთილდღეობის უზენაესობა საზოგადოებისა და მეცნიერების ინტერესებზე (მე-2 მ), და აღნიშნა, რომ ნებისმიერი ჩარევა ადამიანის ჯანმრთელობაში, მათ შორის სამეცნიერო კვლევებიც, უნდა განხორციელდეს პროფესიული მოვალეობებისა და სტანდარტების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და მკურნალობის ახალი მეთოდების დასანერგად (მე-4 მ).

კონვენციაში განხილულ საკითხთა წრე მოიცავს სამედიცინო და ხმარებისას ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს; ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებს გენეტიკაში, ბიოსამედიცინო ექსპერიმენტებში, ტრანსპლანტაციაში, საექიმო საიდუმლოების დაცვის საკითხებს.

პაციენტის თანხმობის საკითხები სამედიცინო და ხმარების აღმოჩენისას. კონვენციაში ყურადღება დაეთმო სამედიცინო და ხმარების აღმოჩენისას პაციენტის თანხმობის საკითხებს.

ადამიანის ჯანმრთელობის სფეროში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანი განაცხადებს თავისუფლად გამოხატულ, ე.წ. „ინფორმირებულ“, თანხმობას.

ინფორმირებული თანხმობა ეთიკური ნორმიდან გადაიზარდა სამართლებრივ მოთხოვნად და მან თავისი გამოხატულება პოვა

როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. კერძოდ, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი მიუთითებს: „...არც ერთ პირზე, თუ არ იქნა მისი თავისუფლადი თანხმობა, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება“. მსგავსი მოთხოვნა გვხვდება პელისინგის 1964 წლის (1975, 1989 წლებიდან დაქციებით) დეკლარაციაში, 1997 წლის ევროსაბჭოს კონვენციასა და ოუნისკოს 1997 წლის დეკლარაციაში, უნევის სამართალში. ასეთივე მოთხოვნაა შიდასახელმწიფოებრივ სამართალის აქტებშიც. მაგალითად, 1997 წელს საქართველოს კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მითითებულია: „სამკურნალო, საღიანოზო, სარეაბილიტაციო, საპროფილაქტიკო პროცესებში პაციენტის მონაწილეობის აუცილებელი პირობაა მისი ზეპირი ან წერილობითი თანხმობა“ (მე-8 მ). კანონმდებელი მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ პირი არის ქმედითუნარიანი და მან გარევეულ ასაკს მიაღწია. დაუშვებელია მასზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება. თავისუფალი, ინფორმირებული თანხმობის გაცხადება ადამიანს შეუძლია იმ შემთხვევაში, როდესაც ის დებულობს ამომწურავ ინფორმაციას სამედიცინო ღონისძიებების შესახებ.

კონვენციის თანახმად, პირს, რომელიც დათანხმდა სამედიცინო ჩარევაზე, უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოითხოვოს თავისი თანხმობა.

კონვენცია თავისებურად უდგება საკითხს იმ პირთა დაცვის შესახებ, რომელთაც არა აქვთ საშუალება გამოხატონ თავისი თანხმობა.

კონვენციის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობაში მისი ნებართვის გარეშე ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ მისივე საკეთილდღეოდ. ეს დასაშვებია, როდესაც ადამიანი უგონო მდგომარეობაშია და მას სასწრაფო

ესაჭიროება სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვანს არ შეუძლია განაცხადოს თავისი თანხმობა სამედიცინო ჩარევაზე, მის ნაცვლად თანხმობას იძლევა მისი წარმომადგენელი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანის აზრი სამედიცინო მანიპულაციის თაობაზე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, არასრულწლოვანის ასაკისა და მომწიფების ხარისხის გათვალისწინებით.

კონვენციამ უყურადღებოდ არ დატოვა ფსიქიურად დაავადებული პირის უფლებები. მის ნაცვლად თანხმობას განაცხადებს არაქმედუნარიანი პირის წარმომადგენელი, ხელისუფლების ორგანო ან კანონით გათვალისწინებული ინსტანცია (მე-6 მ.) ფსიქიურად დაავადებულ პირებმა შეძლებისდაგვარად უნდა მიიღონ მონაწილეობა თანხმობის მიცემის პროცედურაში. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისაგან განსხვავებით, კონვენციის ეს დებულება წინ გადადგმული ნაბიჯია ფსიქიურად დაავადებულ პირთა უფლებების დაცვის საქმეში.

კონვენციაში გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც სამედიცინო ხასიათის მოქმედებების ჩასატარებლად არ ხერხდება თანხმობის მიღება. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლში საუბარია შემთხვევებზე, როდესაც სერიოზული ფსიქიური დაავადებების გამო, პირს შეიძლება დაენიშნოს იძულებითი მკურნალობა. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მკურნალობაზე უარის თქმა საფრთხეს უქმნის ფსიქიურად ავადმყოფი პირის და გარშემო მყოფ ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. კონვენცია კატეგორიულად მითხოვს ფსიქიურად დაავადებული პირის უფლებები და ინტერესე-

ბი დაცული იქნას ასეთ შემთხვევებშიც. თუ რა იგულისხმება ამ უფლებებში და ინტერესებში და როგორ უნდა მოხდეს მათი დაცვა, მითითებულია 1971 წლის „დეკლარაციაში გონიერი და ჩამორჩენილ პირთა უფლებების შესახებ“.

კონვენციით ნებადაროტულია ექსტრემალურ სიტუაციებში, პაციენტის თანხმობის გარეშე სამედიცინო დახმარების აღმოჩენა (მე-8 მ.).

კონვენციაში პირველად არის აღიარებული პირის უფლება არ მიიღოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ, თუკი მას ამის სურვილი არ გააჩნია (მე-10 მუხლის მე-2 პ.). ეს საკმაოდ საინტერესო კონსტრუქციაა, რომელიც პირველად არის დეკლარირებული სამართლებრივ ნორმაში. ანალოგიური უფლება აღიარებულია 1997 წლის იუნესკოს დეკლარაციაში „ადამიანის გენომის და ადამიანის უფლების შესახებ“. კონვენციის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია ამგარი უფლებების შეზღუდვა. ჩვენი აზრით, ინფორმაციის მიღება საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია. კერძოდ: 1. პირის ჯანმრთელობა საფრთხეს უქმნის გარეშე პირებს. მაგალითად, ვენერიული სნეულების დროს აუცილებელია პირის გაფრთხილება, რათა ავადმყოფმა მიიღოს ზომები და გამოიჩინოს გარკვეული სიფრთხილე სხვა პირთა მიმართ; 2. იმ შემთხვევებში, როდესაც სავალდებულოა პირისაგან მკურნალობაზე თანხმობის მიღება. მაგალითად, ორგანოთა გადანერგვისას აუცილებელია პაციენტის ან მისი ახლობლებისა ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა. მიგვაჩნია, რომ ასევე უნდა იყოს ინფორმირებული ავადმყოფი, რომელზეც ტარდება კლინილური ექსპრიმენტი; 3. პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა იმ შემთხვევებშიც, თუკი არსებობს რაიმე შანსი მისი

ჯანმრთელობის აღდგენის ან სიცოცხლის გადასარჩენად. ვფიქრობთ, რომ სამედიცინო პერსონალის მიერ თავის მართლება იმ მოტივით, რომ პაციენტს არ სურს იცოდეს თავისი დიაგნოზი, არ ათავისუფლებს მათ სამედიცინო დახმარების აღმოჩენისაგან. მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი არ არის მძიმედ დაავადებული და მის ჯანმრთელობას არ ემუქრება სერიოზული საფრთხე, სამედიცინო ჩარევა შეიძლება ჩაითვალოს პიროვნების უფლების დარღვევად.

ამასთან, პირველ და მეორე შემთხვევაში ავადმყოფის გაფრთხილება უნდა მოხდეს ოფიციალურად, წერილობითი ფორმით და მას ხელშეკრულების სახე მიეცეს.

ადამიანთა უფლებების დაცვა გენეტიკაში. კონვენციაში, სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებისაგან განსხვავებით, პირველად არის აღიარებული ადამიანის გენეტიკური ნიშნის მიხედვით დისკრედიტაციის აკრძალვა. უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლის იუნესკოს მიერ მიღებული დეკლარაცია „ადამიანის გენომისა და ადამიანთა უფლებების შესახებ“ ეხმანება ევროსაბჭოს 1996 წლის კონვენციის მე-11 მუხლის მოთხოვნას, რომელშიც ხაზგასმულია: „ვერავინ ვერ იქნება დისკრიმინირებული გენეტიკური ნიშნის მიხედვით“. ჩვენი აზრით, მედიცინის განვითარებასთან ერთად მომავალში შესაძლებელია ადამიანის უფლებას – სქესის, ეროვნების, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური შეხედულებებისა და სხვა ნიშნებით დისკრიმინაციის აღკვეთას, ადამიანის გენეტიკური მონაცემებით დისკრიმინაციის აღკვეთაც დაემატოს.

თანამედროვე გენეტიკის განვითარების დონე გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოსალოდნელია გენეტიკის მიღწევათა ბოროტად გამოყენება. ამის დასტურია გენური ინჟინერიის სფეროში გამოკლევებზე დადებული აკრძალვა, რომელიც დიდი

დებატების შემდეგ მოხსნილია 1975 წელს ასილომარის საერთაშორისო კონფერენციაზე. ეს ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც გენების მანიპულაციის გზით განხორციელდა ცოცხალი არსებების კლონირება. კერძოდ, 1997 წელს წარმატებით იქნა კლონირებული ცხვარი, მანამდე ანალოგიური ექსპერიმენტები მიმდინარეობდა ბაყაყებზე, თაგვებსა და სხვა ცხოველებზე. აღნიშნული ექსპერიმენტების შემდეგ ნათელი გახდა, რომ შესაძლებელია ადამიანის კლონირება. ამის საპასუხოდ, 1997 წელს აშშ-ის კონგრესმა, შემდეგ კი მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, კანადა) ეროვნული კანონმდებლობებით აკრძალეს ადამიანის კლონირება.¹

ევროსაბჭოს 1996 წლის კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით, გენეტიკური გამოკვლევების ჩატარება დაიშვება მხოლოდ სამედიცინო მიზნით, რათა დადგინდეს გენეტიკაში ამა თუ იმ დაავადების ხასიათი და შემუშავდეს მისი მკურნალობის მეთოდები. ადამიანის გენეტიკაში ჩარევა დაიშვება მხოლოდ პროფილაქტიკური, თერაპიული და დიაგნოსტიკური მიზნებით. კონვენციის ავტორებს დაუშვებლად მიაჩნიათ ადამიანზე ზემოქმედება მისი მემკვიდრეობის შეცვლის მიზნით (13-ე მ), აკრძალულია სამედიცინო საშუალებებით ბავშვის სქესის არჩევა (შეცვლა). გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გენეტიკაში ამგვარი ჩარევა საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული გენეტიკური ხასიათის დაავადებები.

გენურ ინჟინერიაში მანიპულაციები – ქიმიერების შექმნა, ადამიანის კლონირება, გენეტიკურ დონეზე სქესის შერჩევა – აკრძალულია, როგორც ევროსაბჭოს კონვენციის

¹ М. Квачадзе. Эксперименты в сфере генной инженерии и правовые вопросы. Московский журнал международного права, М., 1999, с. 7.

ით, იუნესკოს დეკლარაციითა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აქტებით, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით. ამის დასტურია, ესპანეთის 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 თავი, რომელიც მთლიანად ეძღვნება განეტიკაში ჩადენილ დანაშაულებს.² კერძოდ, დანაშაულად არის გამოცხადებული ადამიანის გენოტიპში ცვლილებების შეტანა სამჯერნალო მიზნის გარეშე, გენეტიკის უხეშად გამოყენება ადამიანის რეპროდუქციულ საქმიანობაში და სხვა არასამედიცინო დანიშნულების საქმიანობა გენურინიერიაში (159-162მმ).

ბიოსამედიცინო კვლევების ჩატარება და ადამიანთა უფლებები. მედიცინის განვითარება სამედიცინო ექსპერიმენტების გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ, მედიცინაში ექსპერიმენტების განხორციელება უნდა მიმდინარეობდეს მორალის, ეთიკის, სამართლის ნორმების დაცვით, უნდა გამოირიცხოს და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სხეულის დაზიანება, პაციენტის ფსიქიკის დაზიანება, ან მისი სიკვდილი. მედიცინის ისტორია არა ერთ შემთხვევას იცნობს, როდესაც დაშვებულმა შეცდომამ ან მორალურად გაუმართლებელმა ექსპერიმენტებმა საფუძველი დაუდო ახალ აღმოჩენებს მედიცინაში.

თანამედროვე მედიცინაში ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ ძირითად მარეგულირებელ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ნიურნბერგის კოდექსი (1947წ.), რომელმაც დასაბამი მისცა ახალ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შემუშავებას სამედიცინო სფეროში. შემდგომში ნიურნბერგის კოდექსის დებულებებმა თავისი განვითარება პოვა საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებში: ტოკიოს დეკლარაციაში (1949 წ.), უნევის

დეკლარაციაში (1948 წ.), ჰელსინკის დეკლარაციაში (1981 წ.), ვენეციის დეკლარაციაში (1983 წ.), უნევის კონვენციებში (1949 წ.), 1977 წლის დამატებით ოქმებში (1977 წ.), 1996 წლის ევროსაბჭოს კონვენცია, 1997 წლის იუნესკოს დეკლარაცია და სხვა აქტები.

1996 წლის კონვენციამ მოგვცა იმ შემთხვევების ზუსტი ჩამონათვალი, როდესაც დაიმვება ადამიანზე ბიოსამედიცინო გამოკვლევების ჩატარება ექსპერიმენტის ობიექტის (ადამიანის) თანხმობის გარეშე: 1) როდესაც არ არსებობს ადამიანის გამოკვლევის სხვა უფრო ეფექტიანი, აღტერნატიული მეთოდები და ექსპერიმენტი ერთადერთი საშუალებაა დაავადებასთან ბრძოლის ხასიათის დასადგენად; 2) რისკი არ უნდა აღემატებოდეს იმ პრობლემის მნიშვნელობას, რომლის მისაღწევადაც ტარდება ბიოსამედიცინო კვლევა; 3) კვლევაში მონაწილე პირი არ არის ამის წინააღმდეგი; 4) ბიოსამედიცინო კვლევა ვერ ჩატარდება ჯანმრთელ ადამიანზე; 5) კონვენციით გამკაცრდა ბიოსამედიცინო ექსპერიმენტებზე კონტროლი. კერძოდ, ექსპერიმენტების პროექტები დამტკიცებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოების მიერ, შესწავლილი და შეფასებული უნდა იყოს ექსპერიმენტის სამცნიერო ღირებულება, მიზნები, საშუალებები, ეთიკური მხარე.

ადამიანს, როგორც ბიოსამედიცინო კვლევის ობიექტს, წინასწარ უნდა მიეწოდოს სრული ინფორმაცია კვლევის მიზნების, მეთოდების და საშუალებების, მოსალოდნელი შედეგების, კვლევის რისკის შესახებ. პირს ექსპერიმენტის დაწყებამდე ექსპერიმენტის ჩატარებელმა უნდა აცნობოს მისი უფლებების შესახებ.

ადამიანის უფლებათა დაცვა ტრანსპლანტოლოგიაში. ტრანსპლანტოლოგია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის და ჯანმ

² Уголовный кодекс Испании, М., 1998, с.56.

როლობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება გახდა. მან ეთიკურ, მორალურ, რელიგიურ პრობლემებთან ერთად წარმოაჩინა სამართლებრივი პრობლემებიც. ტრანსპლანტოლოგის სამართლებრივი ასპექტები ფართო და მრავალფეროვანია. ის ეხება სამართლის სხვადასხვა დარგს: სისხლის სამართალს, სამოქალაქო სამართალს, საერთაშორისო სამართალს და განსაკუთრებით, ადამიანის უფლებების დაცვას.

მედიცინის კლინიკურ პრაქტიკაში ორგანოთა და ქსოვილთა გადანერგვა დაკავშირებულია ორი პირის – დონორისა და რეციპიენტის ბედოან, ორმელთა უფლებები რეგლამენტირებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპით და იმ სახელმწიფოთა ეროვნული საკანონმდებლო აქტებით, სადაც ტრანსპლანტოლოგიაა განვითარებული. მაგალითად, აშშ-ში მიღებულია „ნაციონალური აქტი ტრანსპლანტოლოგის შესახებ“; რუსეთში – „კანონი ადამიანის ორგანოებისა და/ან ქსოვილების ტრანსპლანტაციის შესახებ“; ვენესუელაში – „კანონი ორგანოებისა და ანატომიური მასალების გადანერგვის შესახებ“; იტალიაში – „კანონი თირქმლების გადანერგვის შესახებ“; შვეციაში – „კანონი გარდაცვლილ პირთა ქსოვილებისა და ორგანოების გადანერგვის შესახებ“ და სხვა.

ევროსაბჭოს 1996 წლის კონვენციამ „ადამიანთა უფლებების და ბიომედიცინის შესახებ“ უკადღება დაუთმო ტრანსპლანტაციის პრობლემებს. კონვენცია შემოიფარგლა მხოლოდ ცოცხალი დონორის უფლებების დაცვის საკითხებით. ცოცხალი დონორიდან ორგანოს ან ქსოვილის ამოღება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არ არსებობს გარდაცვლილი დონორის შეთავსებადი ორგანო ან მკურნალობის მეთოდები არაეფექტიანია (მე-19 მ). კონვენცია მოითხოვს დონორის ინფორმირებულ,

გაცხადებულ, ნებელობით თანხმობას გადანერგვაზე. კონვენციაში, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებისაგან განსხვავებით, მოცემულია დონორთა საკმაოდ შეზღუდული წრე. კონვენცია დასაშვებად მიიჩნევს რეგულირაციული ორგანოს დასახულის მოპოვებას დონორიდან მისი თანხმობის გაცხადების გარეშე, მაგრამ განსაზღვრული პირობების დაცვით. კერძოდ, კონვენციის მე-20 მუხლში მითითებულია, რომ ტრანსპლანტაცია დაიშვება, თუკი არ არსებობს სხვა შეთავსებადი დონორი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა განაცხადოს თანხმობა; 2) დონორი არის რეციპიენტის და ან ძმა; 3) გადანერგვამ ხელი უნდა შეუწყოს რეციპიენტის სიცოცხლის შენარჩუნებას; 4) თანხმობა მიცემულია საკუთარი ნებით და წერილობითი ფორმით; 5) პოტენციური დონორი არ არის ამის წინააღმდეგი. კონვენციამ შეზღუდა პოტენციურ დონორთა წრე. კერძოდ, დონორებად მოხსენებულია მხოლოდ რეციპიენტის და და ძმა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 1989 წლის სახელმძღვანელო პრინციპების მიხდვით, დონორად გამოცხადებული იყო ნებისმიერი გენეტიკური ნათესავი, რომლის ორგანოც შეთავსებადი იქნებოდა რეციპიენტის ორგანიზმთან და რომელიც განაცხადებდა თანხმობას.³

კონვენციამ აღიარა რა და-ძმა პოტენციურ დონორებად, ვერ გასცა პასუხი საკმაოდ პრობლემურ საკითხს – გულისხმობს თუ არა და-ძმაში არაგენტიკურ, ნაშვილებ და-ძმასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი საკმაოდ პრობლემურია ტრანსპლანტაციის მიზანის და მიზანის შემთხვევაში.

³ დონორთა წრის შეზღუდვა გვხვდება მუსულმანურ ქვეყნებშიც. მაგალითად, საუდის არაბეთის ქვეყნებში, ომანში, ერაყში ორგანოების გადანერგვა დაიშვება მხოლოდ მუსულმანი ნათესავებიდან, არ დაიშვება ორგანოს გადანერგვა მუსულმანიდან არამუსულმანისათვის. Al Otabi. A.J. Sundy medicine. 1985. N 6., p.217.

პლანტოლოგიაში და მასზე პასუხი არ არის გაცემული ეროვნულ კანონმდებლობებშიც. ნაშეიღები შვილები ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც ბიოლოგიური შვილები, მაგრამ ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, საუბარია ქონებრივ ან პირად არაქონებრივ უფლებებზე. თუკი, საქმე ეხება გენეტიკური დონორის გამოყენებას, როგორ გადაწყდება ეს საკითხი? ჩვენი აზრით, კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ეს პრობლემა, დართოს ნება ამგვარ შემთხვევაში ნაშვილები და-მმის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის მიზნით გამოყენებას, მაგრამ დააწესოს მკაცრი კონტროლი, რადგან არ მოხდეს შვილად აყვანის ინსტიტუტის დანაშაულებრივი მიზნით გამოყენება.

კონვენციით აკრძალულია ადამიანის ორგანოებითა და ქსოვილებით ვაჭრობა (21-ე მ.).

თანამედროვე მსოფლიოში ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უმწვევეს პრობლემად სწორედ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა ითვლება. 1989 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ასამბლეის 42-ე სესიაზე, განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა ტრანსპლანტაციის კომერციალიზაციის საკითხი. ამავე ორგანიზაციის 1991 წლის სესიაზე კი ხაზი გაესვა აღნიშნულ საკითხში ბავშვთა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი

ფენების გამოყენების საშიშროებას. რეზოლუციის პრემბულაში ნათქვამია, რომ დონორის ორგანოთა სიმცირე მსოფლიოში იწვევს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის შემთხვევების ზრდას და ორგანოთა მოპოვებას დონორებიდან, რომელთაც გენეტიკური კავშირი არ გააჩნიათ რეციპიენტთან. 1991 წლის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ არსებობს უტყუარი ფაქტები იმისა, რომ ბოლო წლებში მსოფლიოში ტრანსპლანტაციის მიზნით მიმდინარეობს ამგვარი ვაჭრობა და ამასთან დაკავშირებით ადამიანებით ვაჭრობა. ტრანსპლანტაციის სფეროში დარღვევები აღინიშნა მთელ რიგ ქვეყნებში. მაგალითად, ბრაზილიაში, არგენტინაში და სხვ. ისევე როგორც სახელმძღვანელო პრინციპები, 1996 წლის კონვენციაც კრძალავს ადამიანის (როგორც ცოცხალის, ასევე გარდაცვლილის) სხეულის ნაწილებით ვაჭრობას, მათი კომერციული გარიგების საგნად გადაქცევას. კანონმდებელი გამოდის იქიდან, რომ ამორალურია ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა. გარდა ამისა, ეს ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველი ფენების ჩართვას კრიმინალურ ბიზნესში.

კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

მარინა კვაჭაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მსოფლიოს სამართლებრივი სისტემის კათედრის
გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.





სისხლის სამართლი და კომინოლოგია

ნაირა გიგიტაშვილი

ნარკოდანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის

პაციენტების სრულყოფისათვის

6 არკოტიკული საშუალების ბოროტად გამოყენება, მისი უკანონო ბრუნვა უკანასკნელი ათწლეულის მსოფლიო გლობალურ პრობლემად იქცა. სწორედ მან განაპირობა სახელმწიფოთა მიერ ურთიერთ-შეთანხმებულ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობა საერთაშორისო მასშტაბით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაითვალისწინა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედებისაგან საზოგადოების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობა და 1961-1971 წლებში მიიღო კონვენციები ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ. მავე 1988 წელს მიიღო კონვენცია ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ეს კონვენციები ამჟამად რატიფიცირებულია მსოფლიოს 149 ქვეყნის მიერ. აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის გააქტიურების მიზნით, გაერომ 1990 წელს მიიღო პოლიტიკური დეკლარაცია – მოქმედების მსოფლიო პროგრამა, რის საფუძველზეც მიმდინარე საუკუნის 90-იანი წლები ნარკომანიასთან ბრძოლის ათწლეულად გამოცხადდა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვამ არნახული მასშტაბები შეიძინა, რამაც შეიძლება ითქვას, ეროვნული კატასტრო-

ფის წინაშე დაგვაყენა. ბოლო 10 წლის განმავლობაში ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით აღმრულია 7 ათასზე მეტი სისხლის სამართლის საქმე, ხოლო მსჯავრდებულთა რიცხვმა 8500-ს მიაღწია. განსაკუთრებით საგანგაშოა ნარკოდანაშაულის გავრცელება მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის. ნარკოტიკული საშუალების მომზარებელთა 2/3-ი 16-დან 30 წლამდე ასაკისაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს სტატისტიკა მიახლოებითაც არ ასახავს რეალურ სურათს, ადვილი წარმოსადგენია, რა კატასტროფის წინაშეც ვლგავართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ნარკოტიკული საშუალების მწარმოებელი ქვეყანა არა ვართ და საქართველოში ამჟამად მისი უდიდესი ნაწილი ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოდის, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, სასაზღვრო ზოლის სათანადო დაუცველობა, საბაჟო კონტროლის არასათანადო ფუნქციონირება, ჩვენს ქვეყანას ნარკოტიკული საშუალების სატრანზიტო ქვეყნად გახდომის საშიშროებას უქმნის. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ჩვენთან ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლის სამართლებრივი ბაზა საგრძნობლად ჩამორჩება თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებს. ყოველივე ეს არც ახალი სისხლის სამართლის კოდექსის (1999 წ.) შედგენის დროს იყ სათანადოდ გათვალისწინებული, რაც

კვიქრობთ, საგრძნობლად შეასუსტებს სისხლის სამართლის წესით ნარკოლანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს დღეს მოქმედ (1961 წლის რედაქცია) და ახლად მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსში ნარკოლანაშაული პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

1. დანაშაული, რომელიც მიმართულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გავრცელებისაკენ და გავრცელება (260-261, 266-268 მუხლები); 2. დანაშაული, მიმართული ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მოხმარებისაკენ (271-273-ე მუხლები) და 3. დანაშაული, რომელიც ხელს უწყობს ნარკოტიკული და მისი მსგავსი საშუალებების გავრცელებას ან (და მოხმარებას. მართალია, ზემოაღნიშნულ დანაშაულთა შემადგენლობები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ, ძირითადად, მიმართულნი არიან ნარკოტიკული საშუალების გასაღების ან) და მოხმარებისაკენ.

სადავო არ არის, რომ პირველი ორი კატეგორიის დანაშაულები არსებითად განსხვავდებიან თავიანთი სიმბიმით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით და, რაღა თქმა უნდა, ასეთი დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში სასჯელის აღეკვატური უნდა იყოს. სხვანაირად სასჯელი თავის მიზანს ვერ მიაღწევს.

ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ კანონების მიღების დროს საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ცხარე კამათი მიმდინარეობდა იმის თაობაზე, დასჯადი უნდა ყოფილიყო თუ არა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, მით უმეტეს, რომ მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში ასეთი ქმედება აღარ ისჯება. ჩვენმა კანონმდებლებმა მიიჩნიეს, რომ ნარკოტიკუ-

ლი საშუალების მოხმარება, თავისი საზოგადოებრივი საშიშროების გამო, დანაშაულია და შესაბამისი ნორმებიც შეიტანება სს კოდექსში. ჩვენი აზრით, ამ მიმართებით სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოლანაშაულის თავით გათვალისწინებული ზოგიერთი ნორმა. მხედველობაში გვაქვს ამ ნორმების როგორც დისპოზიციები, ისე სანქციები, რაც დაუკონვებლივ რეაგირებას და გამოსწორებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკის უამრავ შეცდომასთან გვექნება საქმე, რამაც საბოლოოდ შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. კერძოდ, სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 10 წლამდე, ხოლო 261-ე მუხლის პირველი ნაწილით ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით 3 წლამდე.

აღნიშნული მუხლების პირველი ნაწილების დისპოზიციებით ირკვევა, რომ თუ პირმა ზემოაღნიშნული ნივთიერებები დაამზადა, შეიძინა, შეინახა და ა.შ., გასაღების მიზნის გარეშე, ე.ი. მოხმარების მიზნით (რადგან სხვა მესამე მიზანი არ შეიძლება არსებობდეს, პირი თუ შერაცხადია და კანონით აკრძალულ ნივთიერებას დაამზადებს, გადაზიდვას და ა.შ., მას, ცხადია, რაიმე მიზანი უნდა ამოძრავებდეს), უნდა დაისაჯოს ისევე, როგორც ამ ნივთიერების გამსაღებელი პირი. გამოდის, რომ ნებისმიერი

სახის და ნებისმიერი რაოდენობის ნარკოტიკული საშუალების (გარდა მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობისა) მოხმარების მიზნით ზემოაღნიშნული მოქმედების ჩამდენი პირი, გამსაღებლის აღეკვატურად უნდა დაისაჯოს, რაც აშკარა უსამართლობა იქნებოდა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული საკითხი გაცილებით უკეთესად არის მოწესრიგებული, თუმცა ხარვეზებისაგან არც ის არის დაზღვეული (იგულისხმება სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის III ნაწილი), კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულია „ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნით, აგრეთვე უკანონო გასაღება“ და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 10 წლამდე.

ჩემი აზრით სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილს და 261-ე მუხლის I ნაწილს სიტყვების წინ „ან გასაღება“, უნდა დაემატოს სიტყვები „გასაღების მიზნით“.

ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებაში, როგორც ცნობილია, იგულისხმება ასეთის გავრცელებისათვის გამიზნული ნებისმიერი მოქმედება: გაყიდვა, ჩუქება, გაცვლა, ვალში მიცემა, ნეშის გაკეთება სხვა პირისათვის და ა.შ., რის შედეგადაც სხვა პირი ხდება ამ ნივთიერების მფლობელი. მოქმედი და ახალი სს კანონმდებლობითაც გადაცემის ფორმა დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს და სასჯელიც ერთნაირია, მიუხედავად იმისა, თუ რა მოტივით ხდება კანონით აკრძალული ნივთიერების სხვა პირისათვის გადაცემა. ასეთი გადაცემა შესაძლებელია გამოწვეული იყოს შეცოდების გრძნობით, მაგ., თუ პირის მეგობარი აბსტინენციის მდგომარეობაშია და ვერაფრით შეელის, ან უბრალოდ მოაწ-

ევინა, რომ იტყვიან, მეგობრულად „გაუმართა ხელი“. ამასთან შესაძლებელია ნარკოტიკული საშუალების ან მისი მსგავსი ნივთიერების სხვა პირისათვის გადაცემა გამოწვეული იყოს ანგარების მოტივით, ქონებრივი გამორჩენის მიღების სურვილით.

ამიტომ, მიგვაჩნია, რომ თუ ნარკოტიკული საშუალების და მისებრი სხვა ნივთიერების გასაღება ჩადენილია ანგარებით, ეს მოქმედება, ისევე როგორც სისხლის სამართლის ახალი კოდექსით გათვალისწინებულ ზოგიერთ სხვა შემთხვევაში (მაგ., 109-ე მუხლის „ი“ პუნქტი, 117-ე მუხლის II ნაწილის „ი“ პუნქტი და სხვ.), მიჩნეულ იქნას პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად და სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით და 261-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებებს პირველ პუნქტად დაემატოს „იგივე ქმედება ჩადენილი ანგარებით“.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა „პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეცურსორის მცირე ღდენობით უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის, ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, რომელიც ჩადენილია ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ. მაშინ, როდესაც ამავე კოდექსში არ არის მუხლი, რომელშიც კონკრეტულად იქნებოდა გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ანალოგიური მოქმედების, კერძოდ, მნიშვნელოვანი ღდენობით ნარკოტიკული საშუალების დამზადების, შეძენის, შენახვის ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის. ცნობილია, რომ ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების უმნიშვნელო რაოდენობაც კი, მისი ძლიერი ზემოქმედების გამო,

დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება. მაგ., საქართველოს შე სამინისტროს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1997 წლის №399 და №151 ობრძანების შესაბამისად 0,12 გრამი ნორფენი ითვლება დიდ ოდენობად, ხოლო 1,2 გრამი – განსაკუთრებით დიდ ოდენობად; 1 გრამი კოკაინი – დიდ ოდენობად, 10 გრამი კი – განსაკუთრებით დიდ ოდენობად; 1 გრამი ჰეროინი დიდი ოდენობაა, 10 გრამი კი – განსაკუთრებით დიდი ოდენობა. ამით იმის თქმა მინდა, რომ აღნიშნული სახის (რა თქმა უნდა, სხვა სახისაც) და რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებები ადვილი შესაძლებელია პირმა შეიძინოს პირადი მოხმარების მიზნით და რასაკვირველია, სს პასუხისმგებლობაც უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე მცირე ოდენობით მიჩნეული ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შემთხვევაში. ამასთან, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, დამანაშავის მოქმედების კვალიფიკაციის და სასჯელის განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ რა მიზნით ხმარობდა პირი ნარკოტიკულ საშუალებას – ტკივილების გასაყიჩებლად თუ ეიფორიის განცდის მისაღწევად.

ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ნარკოტიკული საშუალების გამოყენება, თუნდაც ექიმის დანიშნულების გარეშე, მაგრამ ავადმყოფობის გამო (იგულისხმება რაიმე ორგანული დაავადება), რომლის განკურნება პირს უნდოდა ნარკოტიკული საშუალების გამოყენებით, არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად, იმდენად, რამდენადაც ასეთი ქმედება არ ხელყოფს კანონით დაცულ ობიექტს - მოსახლეობის ჯანმრთელობას და უშუალო ობიექტს - კონკრეტული ადამიანის ჯანმრთელობას.¹ რა თქმა

უნდა, ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ადამიანის რომელიმე ორგანოს დაავადების მკურნალობა შესაძლებელია სხვა, კანონით ნებადაროული სამკურნალო პრეპარატებითაც, რომლითაც უნდა ემკურნალა პირს, ასეთი დაავადების შემთხვევაში. ნარკოტიკული საშუალება კი არ არის სამკურნალო პრეპარატი, იგი დროებით ხსნის ტკივილს, საბოლოოდ კი იწვევს ჯანმრთელობის მოშლას, პიროვნების დეგრადირებას და ამდენად ზიანს აყენებს კანონით დაცულ როგორც გვარეობით, ისე უშუალო ობიექტს. ამასთან, ზემოაღნიშნული გარემოებები აუცილებლად უნდა მივიჩიოთ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, რაც სათანადოდ უნდა აისახოს შესაბამის ნორმაში.

ახალი კანონმდებლობით უნდა დავძლიოთ ის არსებითი ხარვეზი, რაც დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მხრივ. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, როგორც წესი, კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის III ნაწილით, რომლის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: “ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნის გარეშე”. თუ პირს აღმოაჩნდა ნარკოტიკული საშუალება და ვერ დაუდასტურდა გასაღების მიზანი, მისი მოქმედება ფაქტობრივად კვალიფიცირდება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებად, მაშინაც კი, როდესაც ასეთი პირი ნარკოტიკულ საშუალების ზეგავლენის ქვეშ არ იმყოფებოდა და ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად ნარკომანი არ არის. ასეთ შემთხვევაში იგი (ეჭვმიტანილი, ბრალდებული) ითვალისწინებს რა სასჯელის სიმბიმეს, მისი ქმედების

¹ П. Панфилов, В. Мальцев - об. ответственности за незаконное приобретение или хранение наркотических средств, ж. "Сов. Юстиция", М., 1990. №5, ст.14-15.

გასაღების მიზნით დაკვალიფიცირების შემთხვევაში და იმის შიშით, რომ აღნიშნული ქმედებისათვის არ გაასამართლონ, იბრალებს, რომ არის ნარკოტიკული საშუალების ეპიზოდური მომზმარებელი, რაც შესაძლებელია ნარკოლოგიური შემოწმების დროს არც გამოვლინდეს. ასეთ შემთხვევებში საქმის მწარმოებელი ორგანო „ბრმად“ იზიარებს პირის ჩვენებას ნარკოტიკული საშუალების მოზმარების შესახებ და სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მესამე ნაწილით სდებს მსჯავრს, მაშინ, როდესაც სულ სხვა ქმედებასთან გვაქვს საქმე.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ უამრავი
მაგალითის მოყვანა შეიძლება საგამოძიებო
და სასამართლო პრაქტიკიდან.

ჩვენი კანონმდებლების მიერ გასათვალ-
ისწინებელია ის გარემოება და ლოგიკუ-
რიც არის, რომ გასაღების მიზნის გარეშე
ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახ-
ვა, დამზადება, გადაზიდვა და გადაგზავნა
აუცილებლად არ ნიშნავს ასეთის მოხმარე-
ბას, აღნიშნული მოქმედებები შესაძლებე-
ლია ჩადენილი იყოს ნარკოტიკული საშუ-
ალების მოხმარების მიზნით, რასაც ჩვენი
პრაქტიკოსი მუშაკები რატომძაც “გვერდს
უვლიან”. აღნიშნული კი, ძირითადად, გან-
პირობებულია იმ გარემოებით, რომ ბუნ-
დოვანია თვით ნორმის ამ ნაწილის (252-
III) შინაარსი, თუ კონკრეტულად რა დან-
აშაულებრივი ქმედება იგულისხმება ამ
შემთხვევაში.

ამასთან დაკავშირებით სრულიად მართებულად მიგვაჩნია პროფესორ ა.გაბიანის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შეძენა და შენახვა (იგულისხმება 252-ე მუხლის III ნაწილი) უნდა შეფასდეს, როგორც დანაშაულისათვის მზადება და რადგან ეს დანაშაული (ნარკოტიკული საშუალების მოხმარება) არ არის მძიმე კატ-

ეგორის, მისი მომზადება დასჯალი არ უნდა იყოს.²

თუ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში კვლავ განმეორდება ძველი შეცდომები და ამჯერად ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებლის ან ასეთის მოხმარების მიზნით შემძენი პირის დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა“, რისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით 10 წლამდე, კვლავ უსამართლო განაჩენთან და უკანონო მსჯავრდებასთან გვექნება საქმე. ამიტომ საჭიროა კანონმდებელმა დააკონკრეტოს და ზუსტად განსაზღვროს ის ნორმა, რომლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მიზნით შემძენი, დამამზადებელი და ა.შ. ან მისი მოხმარებლის დანაშაულებრივი ქმედება, რაც მომავალში თავიდან აგვაცილებს გაუგებრობებს და საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები იძულებულნი აღარ გახდებიან პირის დანაშაულებრივი ქმედება „როგორმე მოარგონ“ მუხლის დისპოზიციას.

ჩემი აზრით, თუ პირს აღმოაჩნდება ნარკოტიკული საშუალება და ვერ დაუდასტურდება მისი გასაღების მიზანი, ე.ი. თუ პირმა ნარკოტიკული საშუალება შეიძინა მოხმარების მიზნით და ჯერ არ მოუხმარია, ასეთი მოქმედება ჩაითვალოს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის მზადებად და ამასთან, თუ ნარკოტიკული საშუალების დიდ ან განსაკუთრებით დიდ ოდე

² Габиани А.А. - Криминалистические аспекты потребления наркотиков, ж."Сов. гос и право", 1987, №7, с.64-69.

ნობასთან არ გვექნება საქმე, მის მიმართ შეწყდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოება სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, ხოლო თუ ნარკოტიკული საშუალების დიდ ან განსაკუთრებით დიდ ოდენობასთან გვექნება საქმე, მისი მოქმედება, როგორც მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი, ჩაითვალოს მძიმე დანაშაულად და ასახოს შესაბამის ნორმაში.

შეიძლება დაისვას საკითხი, თუ რატომ უნდა დაისაჯოს უფრო მკაცრად მზადება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის (იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობა), ვიღრე ასეთის მოხმარება, როგორც დამთავრებული დანაშაული. აღნიშნული დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია პირს ნარკოტიკული საშუალების შეძენის ან გადაზიდვის დროს არ გააჩნდეს გასაღების მიზანი, მაგრამ დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობის შემთხვევაში აღბათობაც დიდია, რომ შესაფერის სიტუაციაში გაასაღებს მას.

ამდენად, საჭიროდ მიმაჩნდა ახალ სისხლის სამართლის კოდექსს (რომელიც ჯერ არ ამოქმედებულა) დაემატოს 261¹ მუხლი, შემდეგი რედაქციით:

მუხლი 261¹. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა მოხმარების მიზნით დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით, აგრეთვე მოხმარება.

1 ნაწ. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მოხმარება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე.

2. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა მოხ-

მარების მიზნით, დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6 წლამდე.

3. ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარება იმ პირის მიერ, ვინც ნარკოტიკულ საშუალებას ხმარობს ორგანული დაავადებით გამოწვეული ტკივილების მოსახსელად ან ნარკომანით დაავადდა სამედიცინო დაწესებულებაში ნარკოტიკული საშუალებით მკურნალობის შედეგად, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე ან ჯარიმით.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში სანქცია აშკარად შეუსაბამოა დანაშაულის სიმძიმესთან. მხედველობაში მაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლი. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა, რომლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია სანქცია, თავისუფლების აღკვეთა ვადით 3 წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით 2 წლამდე.

ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი იგივე ქმედება ჩადენილი ჯგუფურად, ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან იმ პირის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოტიკული დანაშაული, - ისჯება თ/აღკვეთით ვადით 5 წლამდე.

ანალოგიური სანქციებია დაწესებული სისხლის სამართლის კოდექსის 271-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, კერძოდ, ზემოაღნიშნული ნივთიერების მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 271-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, მასზე გაც-

იღებით უფრო მძიმეა 266-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რადგან ნარკოტიკული საშუალების წარმოება, ცხადია, გულისხმობს მისი დამზადების მრავალგზის, სერიულ ხასიათს და მიზნად ისახავს ნარკოტიკული საშუალების გავრცელების შედეგად მოგების მიღებას. ასეთი დანაშაულისათვის აშშ-ს კანონმდებლობით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით 20 წლამდე, ან ჯარიმა 500 ათას დოლარამდე, ხოლო დამამბიმებელ გარემოებებში, კერძოდ, განმეორებისას, სასჯელის მინიმუმი განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთით ვადით არანაკლებ 20 წლისა და მაქსიმუმი უვადო თავისუფლების აღკვეთით.³

განსაკუთრებული სიმკაცრით ისჯება აღნიშნული დანაშაული სხვა ქვეყნებშიც. ჩვენი კანონმდებლობით კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ დანაშაულის სანქცია, ფაქტობრივად, გათანაბრებულია სისხლის

სამართლის კოდექსის 271-ე მუხლის სანქციასთან, რაც აშკარად შეუსაბამოა დანაშაულის სიმბიმესთან. ნარკოტიკული საშუალების წარმოების მიზნით ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა, თუნდაც ასეთი პირი წარმოებაში უშუალოდ არ მონაწილეობდეს, მანც მწარმოებელი პირების თანამონაწილეა დამხმარის (შესაძლოა ორგანიზატორის) სახით და შესაბამისად უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობაც.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმართდა, აგრეთვე რომ სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლის სათაურს და მის პირველ ნაწილს “ან შენახვას” შემდეგ დაემატოს სიტყვები “ან ასეთ საწარმოში მონაწილეობა”, რომლის ლოგიკური გაგრძელება იქნება ამავე მუხლის მეორე ნაწილი “იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან იმ პირის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი, აქვს ნარკოდანაშაული”.

ნაირა გიგიზაშვილი,

თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე



3 А.А. Маковский - Борьба с наркоманией по уголовному законодательству США, Великобритании, Франции, ФРГ, М., 1989, с.11.

ალექსანდრე კვაშილავა

სახელმწიფო და კოლექტიური ქონების

გატაცებასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი

პროგლემები

ქმუამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სახელმწიფო და კოლექტიურ ქონებას, ისევე როგორც სხვა ქონებას, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, გატაცებისაგან იცავს 91-96^ე მუხლებით, ხოლო ახალმა სს კოდექსმა იგი ამ დანაშაულისაგან უნდა დაიცვას 177-189 მუხლებით. მართალია, აღნიშნულ კოდექსებში მითითებული არ არის სახელმწიფო და კოლექტიური ქონების გატაცებაზე, მაგრამ სხვისი ქონება, რომელზედაც ეს კოდექსები მიუთითებენ, მოიცავს ნებისმიერი მესაკუთრის ქონებას, გარდა იმ პირისა, რომელიც იტაცებს მას. გამომდინარე აღნიშნულიდან, ზემოთ მითითებული მუხლების შინაარსი მოიცავს სახელმწიფო და კოლექტიური ქონების სისხლისსამართლებრივი წესით დაცვის უზრუნველყოფასაც. ვინაიდან ქონების გატაცებასთან სისხლისსამართლებრივი ბრძოლის ეფექტიანობა დაკავშირებულია არა მარტო სსკ კერძო ნაწილის ზემოთ აღნიშნულ მუხლებთან, არამედ ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ მუხლებთანაც, რომელთა მოთხოვნების გათვალისწინებითაც გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმები, საჭიროდ მიგვაჩნია ზემოთ აღნიშნული სსკ კერძო ნაწილის ნორმების შესაძლებლობა-

თა განხილვა შესაბამისი ზოგადი ნაწილის ნორმებთან ერთად, მაგრამ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საკუთრების დაცვის პრობლემებზე მსჯელობა დღევანდელ პირობებში, მიზანშეწონილია დავიწყოთ თვით საკუთრების ცნებიდან. იგი მთელ საბჭოურ პერიოდში გარკვეული არ იყო და მისი ცნება ზუსტად, ერთმნიშვნელოვნად და გასაგებად დღესაც არ არის ჩამოყალიბებული. ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა საკუთრებად მიიჩნევდა ზოგჯერ მულობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებათა ერთობლიობას ქონებაზე, ხოლო ზოგჯერ თვით ქონებას (სსრკ 1997 წლის კონსტიტუციის მე-10, 11 მუხ.; მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისი მუხლები; იმავე პერიოდის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 89-152-ე მუხლები, მოქმედი კონსტიტუციის 21-ე მუხლი და საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 170-173-ე მუხ.).

ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი საკუთრების ცნებას ასახელებს, მაგრამ მასში არავითარი გარკვეულობა არ შეუტანია. იგი ძველებურად მიაჩნია მესაკუთრის უფლებათა ერთობლიო-

ბად ქონებაზე (ნივთზე), ე.ი. მესაკუთრეს ანიჭებს მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას. იურიდიული და კონომიკური მეცნიერებების, კანონმდებლობის, ლექსიკონების მიერ მოცემული ცნებები საკუთრების შესახებ სხვადასხვანაირია.¹ იურიდიული ლიტერატურისა და კანონმდებლობის მიხედვით საკუთრება არის მატერიალურ ფასეულობათა მითვისების ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმა, რომელიც გამოხატავს ადამიანთა ურთიერთობას, საზოგადოებრივი წარმოების პროცესში; ქონება, რომელიც ეკუთვნის ვინმეს ან რამეს; ცალკეული პირების ან კოლექტივების ურთიერთობა საწარმოო საშუალებებთან და შრომის პროდუქტებთან; ეკონომიკური ურთიერთობანი; ისტორიულად განვითარებადი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც ახასიათებენ მატერიალური სიმდიდრის, როგორც ნივთების განაწილების (მითვისების) ელემენტებს; სუბიექტის (ცალკეული პირის, კოლექტივის, სახელმწიფოს) კუთვნილი ობიექტი (ნივთი, ქონება), ეკონომიკური სისტემის საფუძველი; უმნიშვნელო-

ვანები ეკონომიკური ურთიერთობა; ხალხის ურთიერთობა საწარმოო საშუალებებისა და მათი დახმარებით წარმოებული მატერიალური სიკეთის მითვისებასთან დაკავშირებით; ქონება, რომელიც ეკუთვნის ვინმეს და იმყოფება მის განკარგვაში; გატაცების და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულის ობიექტი; ბატონობა ნივთზე და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ცნება გარკვეულწილად სწორი და შესაბამისად საფუძვლიანია, მაგრამ ჩემი აზრით, არც ერთი მათგანი სრულყოფილად არ მოიცავს საკუთრების ცნების შინაარსს, რაც ვფიქრობთ, საკმაოდ დადასტურებული გვაქვს ქუთაისის საერო ინსტიტუტ „გელათის“ 1998 წლის №3 „მოამბეში“ (გვ. 98-106) და ამიტომ გამეორების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნულის დასაბუთებას არ შევუდგებით. გავიმეორებთ მხოლოდ იმას, რომ ვერ ვეთანხმებით მოსაზრებებს საკუთრების ორმაგი გაგების შესახებ, ე.ი. იმის მტკიცებას, რომ თითქოს საკუთრების ცნება ეკონომიკურად ერთია, იურიდიულად კი - მეორე. ვერც იმათ ვეთანხმებით, რომლებიც საკუთრებას ეკონომიკურ კატეგორიად მიიჩნევენ და ვერც იმათ, ვისაც იგი იურიდიული კატეგორია ჰქონია. ჩემი აზრით, საკუთრება ეკონომიკურ-იურიდიული კატეგორიაა, რომლის ცნებაც უნდა მოიცავდეს საკუთრების, მესაკუთრის, მისი უფლებამოსილების არსებობას, რაც უშუალოდ და აუცილებელ კავშირშია ქონების არსებობასთან. ქონების გარეშე რომ ვერ იარსებებს ვერც საკუთრება და ვერც მესაკუთრე, ჩემი აზრით, სადაცო არ არის. ქონებას როგორც წესი, გააჩნია მესაკუთრე და იგი ამ უკანასკნელის საკუთრებაშია, მაგრამ ქონების არსებობა მესაკუთრისა და

¹ Квашлава А.К. Понятие собственности и права собственности, ქუთაისის საერო ინსტიტუტი „გელათი“-ის მამაკ, №3, 1998, გვ. 98-102; Коржанский Н.И. – газета, «Юридическая практика» №11-12, 1996, Киев, с. 14; Комментарий к УК РФ, М., изд. «Группа инфра», М., Норма, 1997, с.332; Политическая экономия, словарь, М., Политиздат, 1984, с.404; Чкванава З.К. - Методические Указания к разъяснению отдельных понятий политэкономии, Научно-методический кабинет обучения общественных наук и идеально-политического воспитания студентов и молодежи, Тбилиси, «Мецниереба», 1983, с. 78-79; Коллектив авторов, Основы теории Экономики, Тбилиси, Техн. университет, 1991, с. 92-93; Энциклопедический словарь правовых знаний, М., Советская Энциклопедия, 1965, с.348; Юридический Энциклопедический словарь, М., Советская Энциклопедия, 1984, с.276, тоже М., 1987, с.353.

საკუთრების გარეშე შესაძლებელია. ყოველ-
თვის, როცა ლაპარაკია საკუთრებაზე, იგ-
ულისხმება ქონების არსებობა (ეკონომიკური
კატეგორიის ელემენტი) და კუთვნილება,
ე.ი. ის, თუ ვის ეკუთვნის ქონება (იურიდ-
იული კატეგორიის ელემენტი), ხოლო
ორივეს ნაერთი გვაძლევს ერთ ეკონომიკურ-
იურიდიულ კატეგორიას, რომელიც სრუ-
ლებით შეესაბამება საკუთრების ცნებას.
აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, საკუთრება
არის ეკონომიკურ-სამართლებრივი ცნება,
რომელიც განსაზღვრავს მატერიალური
სიკეთის (ქონების) კუთვნილებას, მე-
საკუთრება, მის უფლებებს ამ ქონების მიმა-
რთ (მფლობელობის, სარგებლობისა და
განკარგვის უფლებებს), მესაკუთრის მარ-
თლზომიერად შეცვლის ან მისთვის კანონ-
საწინააღმდეგოდ თვისი ქონების მიმართ
მესაკუთრის უფლებამოსილების განხორ-
ციელების პრაქტიკული შესაძლებლობის
მოსპობის სამართლებრივ შედეგს.

საკუთრების ასეთი ცნება, ჩემი აზრით,
შეესაბამება მასზე წაყენებულ მოთხოვნებს
შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საკუთრების შინაარსი ყოველთვის
მოითხოვს პასუხს კითხვაზე: რა და ვისი?
იგი ყოველთვის მოითხოვს საკუთრების
ობიექტის, ე.ი. ქონებისა და სუბიექტის, ე.ი.
მესაკუთრის არსებობას მისი უფლებებით
(მფლობელობა, სარგებლობა, განკარგვა);

2. საკუთრების ცნება მოიცავს ეკონო-
მიკური და სამართლებრივი კატეგორიების
ნიშნებს, ქონებისა და მისი მესაკუთრის
არსებობას, ასახავს ქონების კუთვნილებას,
ე.ი. იმას, თუ ვის ეკუთვნის იგი;

3. საკუთრება სამართლებრივი დაცვისა
და რეგულირების ობიექტია. როგორც სა-
მართლებრივი დაცვის ობიექტი, მისი ში-
ნაარსი გამოიხატება მესაკუთრის უფლება-

თა დაცვის უზრუნველყოფაში, ხოლო
როგორც სამართლებრივი რეგულირების
ობიექტი, აწესრიგებს ურთიერთობებს მე-
საკუთრება და სხვა პირთა შორის ქონების
შესახებ. მხოლოდ მესაკუთრებს აქვს უფლება
გადაწყვიტოს მისი ნივთის ბედი, ხოლო ამ
უფლების დარღვევისათვის სანქცია დაწესე-
ბული, რაც სამართლებრივი რეგულირების
სფეროს მიეკუთვნება.

4. მესაკუთრებს შეუძლია მოიხმაროს
თავისი ქონება, მოსპოს იგი ისე, რომ სხ-
ვისი ინტერესი არ დააზიანოს;

5. საკუთრების სამართლებრივი უზრუნ-
ველყოფა მესაკუთრის უფლებების დაცვის
გარანტიას იძლევა. ამიტომ მესაკუთრის
უფლებების დარღვევის შედეგი უნდა აისახ-
ოს საკუთრების ცნებაში;

6. საკუთრების ცნების დაყვანა ადამიან-
თა შორის ურთიერთობამდე ნივთის შესახ-
ებ ან მისი ჩათვლა ნივთთან ურთიერთო-
ბად, ჩემი აზრით, არ შეიძლება, რადგანაც
იგი არ არის არცერთი მათვანის სრული
კომპლექსი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს მივყავართ
დასკვნამდე, რომ საკუთრების ცნება მოიცავს
ქონებას, მის არსებობას მესაკუთრის კუთვ-
ნილებაში, მესაკუთრის უფლებამოსილებებს
მისი ქონების მიმართ, ხალხის ურთიერ-
თობას მესაკუთრის მიმართ ამ ქონების გამო,
მესაკუთრისა და სხვა პირთა მიმართ წარ-
მოშობილ სამართლებრივ შედეგებს კანონ-
იერად ან უკანონოდ ამ ქონების დაუფლებ-
ის, მისით სარგებლობის ან მისი განკარგვის
შემთხვევაში. საკუთრების ამგვარი გაგება,
ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს მის წინააღმ-
დეგ მიმართულ დანაშაულებთან და მათ
შორის ქონების გატაცებასთან ბრძოლას.
საბჭოურ პერიოდში ერთი და იგივე ქონე-
ბა ერთდროულად ზოგჯერ ორი, ზოგჯერ

სამი სუბიექტის საკუთრებად იყო გამოცხადებული, რაც როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, არც თუ იშვიათად განაპირობებდა დანაშაულის არასწორად დაკალიფიცირებას, დაზარალებულისა და სამოქალაქო მოსარჩევეს არასწორად განსაზღვრას და ზარალის ანაზღაურებაში შეცდომების დაშვებას. მიგვაჩნია, რომ ერთ ქონებას არ შეიძლება ყავდეს ერთზე მეტი მესაკუთრე წინააღმდეგ შემთხვევაში ერთმა მესაკუთრებ თუ გამოიყენა მისი უფლებები, სხვა დარჩება საკუთრების გარეშე. თანამესაკუთრე შეიძლება იყოს რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირი, მაგრამ ერთი ქონების მესაკუთრე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი; თანამესაკუთრე მთლიანი ქონების ბედს ვერ წყვეტს; უკეთეს შემთხვევაში მან შეიძლება განკარგოს მხოლოდ თავისი წილი და ისიც თანამესაკუთრების მიერ დადგენილი წესით და განსაზღვრულ პირობებში. ჩემი აზრით, სახელმწიფო ქონების საერთო სახალხო საკუთრებად გამოცხადებაც არ იყო სწორი საბჭოურ პერიოდში მაშინ, როდესაც ამ ქონების 10 ათასი მანეთის ზევით გატაცებაზე კანონი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა, ხოლო ამ სახალხო ქონებიდან გამტაცებელს რამდენი ეკუთვნოდა, ამას არავინ ანგარიშობდა. უფრო მეტიც – პასუხისმგებლობა დაწესებული იყო არა სახალხო ქონების გატაცებაზე, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებაზე. მოკლედ და პირდაპირ რომ ვთქვათ, კონსტიტუციით სახალხოდ გამოცხადებული ქონება მართლა ეკუთვნოდა ხალხს, მაგრამ ხალხის განკარგვაში ის არასოდეს არ ყოფილა. როგორც შემდგომ რევოლუციურმა გარდაქმნამ გვიჩვენა, სახალხო ქონებას განკარგავდნენ სკპ ლიდერები. სკპ გენერალურმა მდივანმა ნ. ხრუშ-

ოვმა ორი ვაგონი საუკეთესო ხარისხის ხალიჩა კუბის ლიდერს კასტროს აჩუქა სენაკის ხალიჩების ფაბრიკიდან, ხოლო თამარ მეფის ოქროს ქოშები ზუგდიდის დადიანის სახელობის მუზეუმიდან ინგლისის დედოფალს უძღვნა. მან ერთპიროვნულად გადაწყვიტა საკითხი ამ ე.წ. სრულიად სახალხო საკუთრების მიმართ. იქ, სადაც საკუთრების ცნება რეალურად არის ასახული, იგი ხალხის მიერ სწორად არის გაგებული და ხალხი იცავს თავის საკუთრებას, ასეთი თვითნებური გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ არსებობს, ანდა საკმაოდ შეზღუდულია. ამიტომ საკუთრების ცნება უნდა იყოს საკანონმდებლო წესით ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული და სამართლებრივი ნორმებით სრულყოფილად დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტის შემქმნელი, ხალხი, ე.ი. ნამდვილი მესაკუთრე ზარალს ვერ აიცდენს.

არანაკლებ საზიანოა სისხლისსამართლებრივი ნორმის არასწორი ჩამოყალიბებაც. მოქმედი სსკ 94-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დამნაშავისათვის მინდობილი ან გამგებლობაში მყოფი ქონების მითვისების, გაფლანგვის ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით გატაცებისათვის. ეს მუხლი, ჩემი აზრით, იმდენად არასწორად არის ჩამოყალიბებული, რომ კანონის კანონიერად გამოყენების პირობებში, იგი ვერ იმოქმედდებდა და არც უნდა მოქმედებდეს შემდეგ გარემოებათა გამო: 1. მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას იმ ქონების გატაცებისათვის, რომელიც მინდობილი ან გამგებლობაში ჰქონდა დამნაშავეს, საუბარია იმ ქონებაზე, რომლის გატაცებისთვისაც გამტაცებელი უნდა დაისაჯოს. გამოდის, რომ კანონის პირს დამნაშავედ უწოდებს უფრო ადრე,

ვიდრე იგი ამ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ჩაიდენს. ამიტომ ეს მუხლი ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპს, ე.ი. საქართველოს კონსტიტუციის მე-40, სსკ მე-4, სსკ მე-10 მუხლებს;²

2. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით მოქმედი კოდექსით გათვალისწინებულია, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი კოდექსში საბჭოურ პერიოდში დაუსაბუთებლად შეიტანეს. მისი, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულის არსებობა, ჩვენი აზრით, ნიშნავს დანაშაულით დანაშაულის ჩადენას. კერძოდ, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ქონების გატაცებას, რაც პრაქტიკულად შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც თანამდებობის ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში, მაშინ, როდესაც სახელმწიფო და სხვა ქონების გატაცება შეიძლება მხოლოდ მოქმედებით. რაც შეეხება მითვისებას ან გაფლანგვას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (ახალი სსკ 182-ე მუხ.), ეს დასაშვებად მიგვაჩნია, რადგანაც ამ შემთხვევაში კანონი მიუთითებს არა დანაშაულად მიჩნეული ქმედებით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) დანაშაულის ჩადენაზე, არამედ დანაშაულის ჩადენაზე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად

გამოყენება მოქმედი სსკ 186-ე, ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ახალი სსკ 332-ე მუხლით დამოუკიდებელ დანაშაულად არის გათვალისწინებული. სწორედ ამიტომ, ეს დანაშაულები არ შეიძლება ჩაითვალოს სხვა დანაშაულის ჩადენის ხერხად. სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით კი შეიძლება სხვისი ქონების მითვისებაც, გაფლანგვაც, ქრთამის და კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებაც, სამსახურებრივი სიყალის, სამსახურებრივი გულგრილობისა და სხვა დანაშაულის ჩადენაც.

ჩემი აზრით, არ შეესაბამებოდა საქართველოს ინტერესებს სსკ პროექტიდან გაფლანგვის ამოღება, ხოლო ახალი სსკ 182-ე მუხლით მისი გათვალისწინება ჩვენს მიერ აღრე შეთავაზებულ რეკომენდაციას ზუსტად დაემთხვა, რაც საკუთრების დაცვის გამაძლიერებელ ღონისძიებად მიგვაჩნია.

საერთოდ, მოქმედი კოდექსის 94-ე მუხლათან შედარებით ახალი კოდექსის შესაბამისი მუხლი 182-ე დახვეწილია, რაც გამოიხატება არასწორად გამოყენებული სიტყვა: „დამნაშავისა“ და სიტყვათა წყობა: „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ქონების გატაცების“ ამოღებაში და გაფლანგვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის აღდგენაში.

ჩემი აზრით, სჯობდა ახალი კოდექსის 177-179, 182-ე მუხლებში მოძრავი ნივთის ნაცვლად, გამოყენებული იყოს სიტყვა „ქონება“. მაშინ 177-178-ე მუხლების შინაარსი იქნებოდა სხვისი ქონების ფარულად გატაცება, ე.ი. ქურდობა, ძარცვა, ე.ი. სხვისი ქონების აშკარა გატაცება და ა.შ. რა თქმა უნდა, მისაკუთრების მიზნით.

ვინაიდან გატაცების საგანი მხოლოდ მოძრავი ნივთით არ შემოიფარგლება, შეი-

² უფრო ვრცლად იხ. ა. კვაშილავას მოხსენების ოზისები თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მე-5 სამეცნიერო კონფერენციაზე, თბ., 1999, გვ. 11-12; იგივე ავტორი, საკუთრების დაცვის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები, თბ., „მესხეთი“, 1997, გვ. 210-216.



ძლება უძრავი ქონების ქურდობაც, ძარცვაც და სხვა ფორმით გატაცება, აგრეთვე პირუტყვის გატაცებაც, რომელიც საერთოდ არ არის ნივთი, ჩემი აზრით, ზემოთ აღნიშნულ მუხლებში და, საერთოდ, სსკ XXV თავში (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ) აჯობებდა „მოძრავი ნივთის“ ნაცვლად სიტყვა „ქონების“ გამოყენება, რაც უფრო მკაცრად დაიცავდა საკუთრებას და მოსპობდა კანონის სხვადასხვანაირად განმარტების, გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობას. ახალი კოდექსი გაუმჯობესებულად უნდა ჩაითვალოს იმიტომაც, რომ ქონების გატაცება დიდი ოდენობით პასუხისმგებლობის გამამკაცრებელი გარემოების სახით არის შეტანილი იმ მუხლებში, რომლებიც ითვალისწინებუნ პასუხისმგებლობას გატაცების ცალკეული ფორმებისათვის. მოქმედი კოდექსის 96¹ მუხლი ათანაბრებს სასჯელს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის ყველა ხერხით, რაც დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, სასჯელის განსაზღვრის პრინციპის დარღვევაა. იგივე კოდექსის 211-ე 212-ე, 240-ე, 242-ე, 243-ე, 252-ე, 264-ე, 280-ე და 281-ე მუხლებში ქმედების საშიშროება სათანადოდ შეფასებული არ არის. აქ ამ საკითხის დეტალურად განხილვის საშუალება არა გვაქვს, მაგრამ დავასახელებთ ზოგიერთ აშკარად შესამჩნევ გარემოებას. დოკუმენტების, მკაცრი აღრიცხვის ბლანკების, ბეჭედის, შტამპის გატაცებისათვის ნებისმიერი ხერხით პასუხისმგებლობა ერთნაირია (211-212-ე მუხ.). ერთი მოტოციკლისა და ქვეყანაში არსებული ყველა ავტომობილის, ტრაქტორის, თვითმავალი მანქანების, ტრამვაი-ტროლეიბუსების, გატაცება ერთნაირად უნდა დაკვალიფიცირდეს (მუხ. 243). სამხედრო ქონების გაყიდვის, დაგირავებ-

ის, გაფლანგვისა და შენახვის წესების დარღვევის გამო გაფუჭებისათვის ერთნაირი სასჯელია დაწესებული, მიუხედავად ქონების ოდენობისა. ეს სასჯელიც, ჩემი აზრით, უმნიშვნელოა (სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა) მაშინ, როდესაც უფრო ნაკლები მნიშვნელობის ქონების გატაცებისათვის, ამავე კოდექსით, უფრო მკაცრი სასჯელია დაწესებული. უფრო მეტი მნიშვნელობის ქონების გატაცებისათვის სასჯელი, ჩემი აზრით, უფრო მკაცრი უნდა იყოს. ამ საკითხების უფრო რაციონალურად მოგვარების შესაძლებლობა რჩება ახალ სსკ კოდექსშიც.³

ახალი კოდექსის ზოგადი ნაწილი არა მარტო საკუთრების სისხლის სამართლებრივი წესით დაცვის მიზნით სსკ კერძო ნაწილის ნორმების გამოყენების შესაძლებლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, არამედ საერთოდ, ჩემი აზრით, სჯობია ძველი კოდექსის შესაბამის ნაწილს. უფრო ღიფერენცირებულია შერაცხადობის, დანაშაულში თანამონაწილეობის, დანაშაულის მომზადებისათვის პასუხისმგებლობისა და სხვა საკითხები. კოდექსი თავისუფალია დანაშაულის ზოგადი ცნებით გადატვირთვისაგან, რადგანაც არ არსებობს ზოგადი დანაშაული, ყველა დანაშაული კონკრეტულია, რომელსაც გააჩნია თავისი სახელწოდება, შინაარსი, ყველა დანაშაული მეტნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ერთ ცნებაში მათი მოთავსება შეუძლებელია, არ არის საჭირო ისეთი ცნების შემუშავება და დაკანონება, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება.

³ ამ სტატიაში განხილულ საკითხებზე დეტალური პასუხები გამოქვეყნებული გვაქვს მონოგრაფიაში, საკუთრების დაცვის სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრიბლები, თბ., „მესხეთი“, 1997, გვ. 250.

ჩვენს ახალ კოდექსში (მუხ. 7) საუკეთე-
სოდ არის ჩამოყალიბებული სისხლის სა-
მართლის პასუხისმგებლობის საფუძველი.
ეს არის დანაშაული, ე.ი. სისხლის სა-
მართლის კოდექსით გათვალისწინებული
მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული
ქმედება. რუსეთის სს კოდექსის მე-8 მუხ-
ლის მიხედვით, სისხლის სამართლის პა-
სუხისმგებლობის საფუძველია აბსტრაქტუ-
ლი ცნების – დანაშაულის შემადგენლო-
ბის ყველა ნიშანი. ჯერ ერთი, პასუხ-
ისმგებლობის საფუძველი არ შეიძლება
იყოს ნიშნები და მეორე, იქ, სადაც აბ-
სტრაქტული ცნების ნიშნებია პასუხისმგე-
ბლობის საფუძველი, კანონიერებაზე ლაპა-
რაკიც კი უკანონოა.

რაც შეეხება სახელმწიფო და კოლექტი-
ური ქონების გატაცებისათვის ზოგ შემთხ-
ვევაში დანაშაულის ჩადენის ხერხის. ქონებ-
ის სახეობის, ოდენობის და სხვა მაკვალი-
ფიცირებელი გარემოების გამოყენებას,

ხოლო ზოგჯერ კი ამაზე უარის თქმას,
მიმაჩნია, რომ ამ ნაწილში კანონი უნდა
დაიხვეწოს. არ შეიძლება სახელმწიფოს
მთელი სამხედრო ქონების გატაცებისათვის
სასჯელის მაქსიმუმი იყოს თავისუფლების
აღკვეთა სამ წლამდე. არ შეიძლება აგრეთვე
ყაჩაღობისა და ქურდობისათვის ერთნაირი
სასჯელის გამოყენება და ა.შ.

ჩემი აზრით, ზემოთ აღნიშნულმა საკანონ-
მდებლო განვითარებამ სახელმწიფო, კოლექ-
ტიური და სხვა ფორმის საკუთრების სისხ-
ლისსამართლებრივი წესით დაცვაზე დადებ-
ითი გავლენა უნდა მოახდინოს, მაგრამ
საკუთრების დაცვის დღევანდელი მდგო-
მარეობიდან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩ-
ნია საკუთრების დაცვის ორგანიზაციის
დაწყება თვით ამ ცნების (საკუთრების)
დაზუსტებით, მისი საკანონმდებლო წესით
გამაგრებით, საკუთრების ფორმების საბ-
ოლოოდ განსაზღვრით, მისი დაცვის
ღონისძიებათა საჭირო კონდიციამდე აყვანით.

ალექსანდრე კვაშილავა,

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს აკადემიის პროფესორი.



ზაზა ნანობაშვილი

სასჯელის უფლება

სასჯელის პროცესი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სისხლის სამართლის მეცნიერების დარგში. იურიდიული აზრი დიდი ხანია იკვლევს სასჯელის ცნებასთან დაკავშირებულ საკითხს და ცდილობს გამოარკვიოს მისი შინაარსი, შეისწავლოს მისი ბუნება და საფუძველი, ჩაწვდეს სასჯელის მიზნებს, რომელსაც იგი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში ისახავს.

ყოველ საზოგადოებაში, განვითარების რაღონებულ არ უნდა იმყოფებოდეს იგი, სასჯელის არსებობა ეჭვს არ იწვევს. სასჯელის მუდმივად არსებობის ფაქტმა, აგრეთვე, მისმა სუსელგანობის მდგომარეობამ, თვით ამ ფაქტის რთული თეორიული დასაბუთების გამო, იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრი მკვლევარი პირდაპირ აცხადებს, რომ სასჯელის არსის კვლევის დროს სრულიად ზედმეტია სახელმწიფოსათვის სასჯელის აუცილებლობის დასაბუთება, რადგან სასჯელის მრავალ-საუკუნოვანი არსებობა მისი აუცილებლობის ყველაზე ნათელი დადასტურებაა. ამ თვალსაზრისს იზიარებენ შეიტცე, კოსტიაკოვსკი და სხვა კრიმინალისტები. კოსტიაკოვსკის სასჯელის აუცილებლობის შესახებ დავა მიაჩნია ისევე უსაფუძვლოდ, როგორც დავა ადამიანის საზოგადოებაში ცხოვრების აუცილებლობის შესახებ¹. თუმცა, აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ სასჯელის მრავალსაუკუნოვანი არსებობა მისი იურიდიული დასაბუთებისათვის ჯერ კიდევ არაა საკმარისი.

ცნობილია, რომ სახელმწიფო ადამიანთა ერთობის ისეთი ფორმაა, რომელშიც მოქალაქეებს შორის და სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობა არ ატარებს თვითნებურ და შემთხვევით ხასიათს. იგი მკაცრად არის რეგლამენტირებული სამართლებრივი ნორმებით. სწორედ ამიტომ, თუკი არ იქნება დადგენილი სადამსჯელო საქმიანობის საფუძვლები, სისხლისსამართლებრივი სასჯელების მართლზომიერება ეჭვის ქვეშ იქნება დაყენებული და სავსებით შესაძლებელია, რომ სასჯელი განხილულ იქნას ხელისუფლების ორგანითა ძალმომრეობის აქტად, სახელმწიფოს მიზნებთან შეუსაბამო ისტორიულ ანაქრონიზმად.

ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დასჯითი უფლების ანუ როგორც მას უწოდებენ ius puniendi-ს დასაბუთება. მაგრამ უშუალოდ სასჯელის უფლების დასაბუთებამდე გამორკვეული უნდა იყოს სასჯელის რაობა, მისი არსი.

დღეს ეჭვს არ იწვევს, რომ ყოველ სასჯელს ნებისმიერ ეპოქაში ერთი საერთო თვისება გამოარჩევს: ესაა პირისათვის ზიანის, ვნების მიყენება. თვითონ ვნება კი, რომელიც სასჯელის შინაარსის განმსაზღვრელია, სხვადასხვაგვარი არის: ზოგჯერ იგი ადამიანის მატერიალური, ხოლო

¹ Русское Уголовное право; Пособие къ лекціямъ Н. Д. Сергѣевскаго Часть общая; С-Петербургъ, 1892, стр. 64.

ჭოგჯერ – სულიერი სფეროსაკენ არის მიმართული. ისმის კითხვა: არის კი ეს ვნება ერთადერთი ნიშანი, რაც საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სასჯელისთვისაა დამახასიათებელი? რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ, მაგალითად, სიკვდილით დასჯასა და საეკლესიო შეჩვენებას, თავისუფლების აღკვეთას და ჯარიმას – წერს სერგეევსკი.² ერთადერთი უტყუარი დასკვნა, რაც აქედან შეიძლება გაკეთდეს, ისაა, რომ სასჯელის ფორმები, როგორც ცვალებადი ელემენტი, ასახავს სასჯელის ჭეშმარიტ არსეს.

თუმცადა, სასჯელში, როგორც ისტორიულად, ისე დღევანდელ ეტაპზე, მიუხედავად მისი ფორმებისა და სახეების მრავალგვარობისა, გამოხატულია ერთი საერთო იდეა – ესაა ქმედების დაგმობა და გაკიცხვა, და არა მხოლოდ უბრალო დაგმობა და გაკიცხვა, არამედ ისეთი, რომელიც ჩადენილი ქმედების შესაბამისად ზუსტად განსაზღვრავს ნეგატიური შეფასების მოცულობასა და ხარისხს. გაკიცხვა არის ყოველი სასჯელის ერთადერთი, მყარი, შინაგანი ელემენტი. გაკიცხვა შეადგენს ყოველი სასჯელის არსეს;³ ყოველივე დანარჩენი, როგორადაც უნდა იყოს იგი გარეგნულად წამოწეული წინა პლანზე, არაარსებითი, ცვალებადი დამატებაა.

სერგეევსკის აზრით, სასჯელის ზოგადი იდეის ამგვარი გამოკვეთა, სასჯელის გარეგნი ფორმებისაგან სისხლის სამართლის მართლმსაჯულების არსის გამოცალკევება აადვილებს პასუხს კითხვაზე: რატომ სჯის სახელმწიფო?

ცნობილია, რომ ყოველგვარი დანაშაულებრივი ქმედება ხელყოფს მართლწესრიგს. სასჯელი კი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, არის ამგვარი ქმედების უარყოფითი

შეფასება. უდავოა, რომ მართლწესრიგის, როგორც ასეთის, დარღვევისათვის დაგმობა და გაკიცხვა, აუცილებელია. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, საერთოდ, რომელიმე საზოგადოებრივი წყობილება, ადამიანთა საზოგადოებრივი გაერთიანების რომელიმე ფორმა, რომელსაც შეეძლოს არსებობა მის მიერ დადგენილი წესრიგის დამრღვევი ქმედების განსაზღვრისა და მისი გაკიცხვის გარეშე. საზოგადოებრივი წესრიგის არსებობა უამისოდ შეუძლებელია. ყოველ ოჯახს, ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს, ყოველ კორპორაციას, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული წყობა, თავისი ამოცანებიდან გამომდინარე, განსაზღვრული აქვთ იმ ქმედებათა წრე, რომლებსაც გმობენ და უფარდებენ სასჯელს, როგორც აკრძალული ქმედებისათვის საპასუხო რეაქციას. სხვაგვარად წარმოუდგენელია საზოგადოების არათუ ნორმალური განვითარება, არამედ მისი არსებობაც კი. დასჯის უფლების საფუძველი, ტაგანცევის აზრით, უნდა ვეძიოთ არა ცალკეული პირის თვისებებში, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზმის თვისებებსა და პირობებში, მისი მიზნების გონივრულობაში, ამ მიზნების მისაღწევად საჭირო საშუალებათა თვისებაში, სამართლებრივი წყობის თავისებურებაში.⁴

სახელმწიფო, როგორც მართლწესრიგის ერთ-ერთი ფორმა, დგას გარდუვალი აუცილებლობის წინაშე: დასაჯოს დამნაშავე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ნორმები სავალდებულო ძალას დაკარგავს, რასაც საბოლოო ჯამში მისი დაშლა მოჰყება. უზენაესი ხელისუფლების დასჯითი უფლება ემყარება აუცილებლობას დაიცვას საზოგადოებრივი კეთილდღეობა ცალკეულ პირთა უზურპაციისაგან. იბადება კითხვა: ყოველ ქმედებას უკავშირებს სახელმწიფო სასჯელს

² მითითებული ნაშრომი, გვ. 66.

³ А. Жижленко, Панятие наказания, Журнал "Право", Петроград, 1915. стр. 1372.

⁴ Н. С. Таганцев, Русское Уголовное право, М., 1994, стр. 16.

თუ მხოლოდ ზოგიერთს? რა თქმა უნდა, მართლწესრიგის არა ყოველ დარღვევას სჯის სახელმწიფო. ყოველ საზოგადოებას გააჩნია სოციალური ზნეობის მინიმუმი, რომლის პატივისცემა საზოგადოებრივი წყობილების არსებობის პირობაა. სწორედ ამ მინიმუმის დაცვას მოითხოვს სახელმწიფო, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამაშავეს თავზე სასჯელი „დამოკლეს მახვილივით“ დაეცემა, რადგან სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულება, ზემოაღნიშნულის თანახმად, მართლწესრიგის აუცილებელი ელემენტია. იგი არც აბსოლუტური პრინციპებისა და არც რაიმე სპეციალური მიზნების პოზიციიდან დასაბუთებას არ საჭიროებს. იგი გამომდინარეობს მართლწესრიგის არსიდან და მისი მიზანი მიიღწევა თვით სასჯელის გამოყენებით. ეს მიზანი კი კანონმდებლის მოთხოვნათა ავტორიტეტის მხარდაჭერაში მდგომარეობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შევვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო სასჯელს იმის გამო იყენებს, რომ მას სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების გარეშე არ შეუძლია არსებობა. ეს შეეხება როგორც ისტორიულ პერიოდში არსებულ, ისე დღევანდელ, თვით მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებსაც.

მას შემდეგ, რაც გამოვარკვიეთ სასჯელის საფუძველი, იბადება კითხვა: თუ ვინ არის უფლებამოსილი დასაჯოს დამნაშავე, ანუ ისარგებლოს ius poinendi-ით. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა საკითხის ისტორიულ ჭრილში განხილვა, რაც მის გარკვევაში დაგვეხმარება.

დღეს არავინ დავობს იმაზე, რომ პირველყოფილი, წინარესახელმწიფოებრივი წყობილების დროს ადამიანის თავდასხმა მეორე ადამიანზე ამ უკანასკნელის მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას იწვევდა. განცდილი ტანჯვა, ტკივილი დაზარალებულში აღძრავ-

და სამაგიეროს გადახდის, მტრის განადგურების დაუოკებელ სურვილს, საკუთარი თავისა და შთამომავლობის გადარჩენისაკენ სწრაფვას. ლისტის თქმით, „ამ დროს ადამიანში იღვიძებს თვითგადარჩენის ინსტინქტი“. იგი ხელს უწყობს პირველყოფილი ადამიანის მორალის ფორმირების პროცესს, რომელიც თავის მხრივ აყალიბებს იდეოლოგიას, რომლის თანახმადაც შურისძიება მთელის ჯგუფისა და თითოეული ინდივიდის ვალი ხდება. მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, სასჯელი ატარებდა შემთხვევით, ფაქტობრივ და არა სამართლებრივ ხასიათს.

იმდროინდელი სასჯელის თავდაპირველი ფორმა იყო სისხლის აღება, რომელიც იმდენად პირადული კი არ იყო, რამდენადც ოჯახური ან გვაროვნული შურისძიების აქტი. იგი იყო მოკლულის ან შეურაცხყოფილის გვარის უფლებაც და იმავდროულად მოვალეობაც და მიმართული იყო დამნაშავის გვარის, როგორც ბრალის კოლექტიური მატარებლის წინააღმდეგ. მოგვიანებით სისხლის აღება შეცვალა კომპოზიციების სისტემამ.⁵ მართალია, კომპოზიცია დაზარალებულის სასარგებლოდ გადაიხდებოდა, მაგრამ მისი ზომა განისაზღვრებოდა არა შურისმაბიებელი ინდივიდის ნება-სურვილის მიხედვით, არამედ წინასწარ დადგენილი წესებით. კომპოზიციების სისტემა მხოლოდ დროებით შეიძლებოდა ყოფილიყო და შეეძლო ეარსება საზოგადოების განვითარების გარდამავალ ეტაპზე; ადამიანში, გამომდინარე მისი ბუნებიდან, მძლავრობდა სამაგიეროს მიზღვის სურვილი, რასაც გადახდილი თანხა ვერ ანელებდა. ჩნდება მოთხოვნილება, რომ ადამიანთა ჯგუფმა მთელი გვარის სახელით გამოუტანოს განაჩენი დამნაშავეს და

⁵ Уголовное право; Дополнение къ 2-мъ выпускамъ общей части угол. права. проф. Познишева, М., 1909, стр. 26.

ამით თანდათანობით იკვეთება სახელმწიფოებრივი სასჯელის აუცილებლობა, რაც, როგორც ცნობილია, კავშირშია სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესთან.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების მრავალი თეორია არსებობს, რომელთა განხილვა არ შეადგენს წინამდებარე წერილის მიზანს. ჩენ ვემხრობით იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც თვით ცხოვრებამ დაანახა ადამიანის სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებლობა. ადამიანები მიხვდნენ, რომ სახელმწიფოს გარეშე რთულია, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელიც კია მათი მრავალი არსებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მას შემდეგ, რაც გააცნობიერა ადამიანმა სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებლობა, მასში თანდათანობით მომწიფება სახელმწიფოს მიერ წესრიგის დადგენისა და დამყარების მოთხოვნილება. რასაკვირველია, ეს განაპირობა აუცილებლობამ, რამაც აიძულა ადამიანი დაეთმო პირადი თვისუფლების რაღაც ნაწილი. ცხადია, რომ ამასთან თითოეული ცდილობდა თავისი თვისუფლების მხოლოდ აუცილებელი მინიმუმის შეწირვას.

ამგვარი მინიმალური ნაწილების ერთობლიობა, — ბეკარის აზრით, — შეადგენს სასჯელის უფლებას.⁶ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე არ არსებობდა ისეთი საზოგადოებრივი კავშირი, რომელიც ამაღლდებო-

და ცალკეულ ადამიანებზე, მათ ნებაზე და მას თავის ნებას დაუმორჩილებდა.

სახელმწიფოს ხელში დასჯითი საქმიანობის კონცენტრაცია სხვა მიზეზებითაც იყო განპირობებული. კერძოდ, მხოლოდ მას გააჩნდა საზოგადოებაში საკმარისი მატერიალური ძალა, რათა დაეცვა საზოგადოების წევრთა უსაფრთხოება. გარდა ამისა, თავისი გამორჩეული მდგომარეობის გამო, ცალკეულ ჯგუფებთან შედარებით, და იმის გამო, რომ მას მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული ცალკეულ პიროვნებებს შორის გამართულ კონფლიქტში, ყველაზე უფრო მას ხელმწიფებოდა საზოგადოებასა და დამნაშავეს შორის შუამავლობა და საჭიროების შემთხვევაში ულმობელი განაჩენის გამოტანა. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ გამოტანილ სასჯელს დამნაშავისათვის, ისევე როგორც, მისი ოჯახის წევრებისათვის, ბუნებრივია, უფრო სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: დამსჯელის კონკრეტულად გამოკვეთილი პიროვნების არარსებობის გამო, დამნაშავეში მას არ შეეძლო იმ განაწყენებისა და გაბოროტების გამოწვევა, რასაც ცალკეული პირების მიერ განხორციელებული ძალმომრეობითი აქტი იწვევდა: თუმცა ლიტერატურაში ამ საკითხის გარშემო აზროთ სხვადასხვაობა იყო, მაგრამ დღეს არანაირ უჭვეს არ იწვევს სახელმწიფოსათვის დასჯითი უფლების კუთვნილების საკითხი.

გაგა ნანობაშვილი,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი.

⁶ Чезаре Беккариа, “О преступлениях и наказаниях”, М., 1995, стр. 71.

სისხლის სამართლის პროცესი, კოდინალისტიკა

აპოლონ ფალიაშვილი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედდა, მაბრავ მასში უნდა შევიდეს ცვლილებები

უაქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისს, კოდექსის მიღებიდან (1997 წლის 25 ნოემბერი და 1998 წლის 20 თებერვალი) მის ამოქმედებამდე მასში შეტანილია უამრავი (ხუთასამდე, თუ მეტი არა) ცვლილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია ჩემი შენიშვნების დიდი უმრავლესობა (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წლის 4 და 6 ნოემბერი), აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის წევრთა შენიშვნებიც.

მიუხედავად აღნიშნულისა, ამოქმედებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (გამოცემული 1999 წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ) კვლავ შეიცავს მთელ რიგ შეცდომებს, საწინააღმდეგო დებულებებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია:

1. კოდექსის 162-ე მუხლი ეხება პატიმრობის ვადებს, სადაც მეორე პუნქტში სწორად არის მითითებული, რომ პატიმრობის ვადა განისაზღვრება ეჭვმიტანილის დაკავების ან ბრალდებულის დაპატიმრების მომენტიდან. ამ წესის საწინააღმდეგო და

არასწორ დებულებას აქვს ადგილი იმავე 162-ე მუხლის პირველ პუნქტში, სადაც მითითებულია: „ბრალდებულის პატიმრობის ვადა გამოითვლება ეჭვმიტანილის სახით პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოში მისი მიყვანის მომენტიდან.“

ეჭვმიტანილს კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფლების უფლება ეზღუდება არ პოლიციის ან მოკვლევის ორგანოში მისი მიყვანიდან, არამედ მისი ფაქტობრივადაკავებიდან. ეჭვმიტანილის პოლიციის ან მოკვლევის ორგანოში მიყვანამდე შეიძლება გავიდეს დიდი დრო (პოლიციის ან მოკვლევის ორგანოს სიშორე, უამინდობა, სატრანსპორტო საშუალებების არქონა, ეჭვმიტანილის ავადმყოფობა, მისი ფიზიკური ან ფსიქიური მდგომარეობა და ა.შ.). აღნიშნული დრო კი ითვლება პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის უკანონო დროდ.

მითითებული უხეში შეცდომა უნდა გამოსწორდეს იმგვარად, რომ 162-ე მუხლის მეორე ნაწილს შეესაბამებოდეს ამავე მუხლის პირველი ნაწილი. დაკავებისა და პატიმრობის ვადა ყველა შემთხვევაში უნდა გამოითვლებოდეს პიროვნების ეჭვმიტანილის სახით დაკავების ან მისი ბრალდებულის სახით დაპატიმრების მომენტიდან და არა

პოლიციის ან მოკვლევის ორგანოში მიყვანის მომენტიდან;

2. **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იგივე 162-ე მუხლი ითვალისწინებს პატიმრობის ვადის გაგრძელების წესს. ამ მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად იმავე სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს პატიმრობის ვადა კიდევ 1 თვით (ე.ი. 4 თვემდე) გამომძიებლის მოტივირებული შუაძღვომლობით და პროკურორის თანხმობით.**

პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება ხდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური ორგანიზაციების უმაღლესი სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიების მოსამართლის მიერ 6 თვემდე (ე.ი. კიდევ 2 თვით) გამომძიებლის მოტივირებული შუაძღვომლობით და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის, საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის, ქ. თბილისის პროკურორის და ოლქის პროკურორის თანხმობით.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება კიდევ 2 თვით (ე.ი. 6 თვიდან 8 თვემდე) ხდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლის მიერ მხოლოდ გამომძიებლის მოტივირებული შუაძღვომლობით და არც ერთი პროკურორის თანხმობა უკვე აღარ არის საჭირო.

პატიმრობის ვადის შემდგომი გაგრძელება უკვე ხდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის მოსამართლის მიერ კიდევ 1 თვით (ე.ი. 8 თვიდან 9 თვემდე) და ამ შემთხვევაში გამომძიებლის მოტივირებული შუაძღვომლობის გარდა საჭიროა საქართველოს გენერალური პროკურორის თანხმობა.

პატიმრობის ვადის გაგრძელების არსებითი ხარვეზი იმაში გამოიხატება, რომ

პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის 6-დან 8 თვემდე საკმარისია მხოლოდ გამომძიებლის მოტივირებული შუაძღვომლობა და არც ერთი პროკურორის თანხმობა საჭირო არ არის. ასეთი გამონაკლისის დაშვება და ახსნა არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. ხარვეზი უნდა გამოსწორდეს იმ მხრივ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში გამომძიებლის მოტივირებული შუაძღვომლობა შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილესთან, ხოლო სიტყვები „საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე“ ამოღებულ უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი დგება 6 თვემდე ვადით (ე.ი. 4-დან 6 თვემდე). საკითხის ამგვარი გადაწყვეტა იქნება სწორი და ლოგიკურად გამართლებული;

3. **საპროცესო კოდექსის 509-ე მუხლი ეხება გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის შედგენას. ამ მუხლის 1 „ვ“ პუნქტში მითითებულია, რომ სასჯელის ვადაში ითვლება დაკავებისა და დაპატიმრების ვადები. კანონის ასეთი მითითება არასრულია და არ შეესაბამება 503-ე მუხლის (გამამტყუნებელი განაჩენი) მეოთხე პუნქტს. მე-4 პუნქტში სწორად არის აღნიშნული იმის შესახებ, რომ დანიშნული სასჯელის ვადაში ითვლება აგრეთვე შინაპატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალურ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო.**

აღნიშნული ხარვეზი უნდა გამოსწორდეს იმ მხრივ, რომ 509-ე მუხლის 1 „ვ“ პუნქტში დამატებით უნდა მიეთითოს, რომ სასჯელის ვადაში ითვლება აგრეთვე შინაპატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალურ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადა;

4. **საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი ადგენს წინასწარი გამოძიების სტადიაზე**

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების წესს. ამ მუხლის თანახმად რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ავტონომიური რესპულიკების უმაღლეს სასამართლოებში, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიებში.

აღნიშნული მუხლი საერთოდ არ აღეცნს,
თუ სად უნდა გასაჩივრდეს საოლქო სასა-
მართლოს – მოსამართლის ბრძანება აღკვე-
თის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან
გაუქმების შესახებ. შემდეგ კანონი (243-ე
მუხლის 1 „ბ“ პუნქტი) უკვე უშვებს საქარ-
თველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთ კოლეგიის მოსამართ-
ლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრებას
აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვ-
ლის ან გაუქმების შესახებ საქართველოს
უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართ-
ლის საქმეთა პალატაში.

ამრიგად, პირველი ინსტანციით საქმეს
განიხილავს ქალაქისა და რაიონის სასა-
მართლო (ქვემდგომი რგოლი), საოლქო
სასამართლო, აჭარისა და აფხაზეთის უმაღ-
ლესი სასამართლოები (შუალედი რგოლი)
და საქართველოს უზენაესი სასამართლო
(ზემდგომი რგოლი). საპროცესო კოდექ-
სის 243-ე მუხლი კი უშვებს აღკვეთის
ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან
გაუქმების ერთჯერად გასაჩივრებას ქვემდგო-
მი და ზემდგომი სასამართლოებისა. რაც
შეეხება შუალედ რგოლს, კანონი საერ-
ოოდ არ ითვალისწინებს საოლქო სასა-
მართლოების, აჭარისა და აფხაზეთის უმაღ-
ლესი სასამართლოების მიერ გაცემული
ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრებას
აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვ-
ლის ან გაუქმების შესახებ.

საპროცესო კანონის აღნიშვნული ნაკლი
მოითხოვს გამოსწორებას და შევსებას. შუ-
ალედი რგოლის მოსამართლის ბრძანების
(დადგენილების) გასაჩივრება აღკვეთის
ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან
გაუქმების შესახებ ასევე დაშვებული უნდა
იყოს;

5. კოდექსის 243-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩიგარს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განიხილავს ერთპიროვნულად, ხოლო საკასაციო პალატა – კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. კანონის ასეთი მითითება სავსებით გაუგებარია, რადგან საპროცესო კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს საკასაციო პალატის არსებობას;

6. საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი
ითვალისწინებს აცილების საკითხის გადა-
წყვეტას. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესა-
ბამისად აცილებას ექვემდებარება მოსამარ-
თლე 65-ე მუხლის შესაბამისად. უნდა აღინ-
იშნოს, რომ 65-ე მუხლი არავითარ კავ-
შირში არ არის მოსამართლის აცილებასთან,
იგი ითვალისწინებს მოკვლევის ორგანოე-
ბის ამოცანებს;

7. მთელ რიგ უზუსტობებსა და შეც-
დომებს აქვს ადგილი მოკვლევის ორგა-
ნოების უფლებამოსილების საკითხების
გაშუქების დროს.

საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლის მეხ-
უთე პუნქტში მითითებულია, ორმ დადგე-
ნილება სისხლის სამართლის საქმის აღმ-
ვრის, საქმის აღძვრაზე უარის თქმის, საქ-
მის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გამ-
ოიტანოს მხოლოდ მოკვლევის ორგანოს
ხელმძღვანელმა და იგი უნდა დაამტკიცოს
პროკურორმა, ე.ი. კანონი აღნიშნულ ფუნ-
ქციას აკისრებს მხოლოდ მოკვლევის ორ-
განოს ხელმძღვანელს. ამ დებულებას ეწი-
ნააღმდეგება, მაგალითად, 396-ე მუხლის

პირველი პუნქტი, რომლის თანახმად მოკვლევის (და არა მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის) გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ.

საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის მესამე პუნქტის ძალით მოკვლევის ორგანოს შეუძლია აღმრას სისხლის სამართლის საქმე, რისთვისაც საჭიროა პროკურორის თანხმობა (სანქცია). ჯერ ერთი, მოკვლევის ორგანოს არა აქვს უფლება აღმრას სისხლის სამართლის საქმე. საქმის აღმვრა შეუძლია არა ორგანოს, არამედ კონკრეტულ პროცესის მონაწილეს (მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელს). შემდეგ, გაუგებარია მითითება, რომ საქმის აღმვრის შემთხვევაში „საჭიროა პროკურორის თანხმობა (სანქცია)“. „თანხმობა“ და „სანქცია“ არ არის იდენტური ცნებები. საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 33-ე პუნქტი განმარტავს მხოლოდ სანქციის ცნებას და არ ისენიებს ისეთ ტერმინს, როგორიცაა „პროკურორის თანხმობა“.

261-ე მუხლის პირველ პუნქტში ისევ აღნიშნულია, რომ მოკვლევის ორგანო (და არა კონკრეტული პირი) ვალდებულია აღმრას სისხლის სამართლის საქმე. კოდექსის 276-ე მუხლის პირველი პუნქტი ისევ ანიჭებს მოკვლევის ორგანოს გამოიტანოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღმვრის შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა იყოს შეტანილი შემდეგი ცვლილებები: ა) ყველა შემთხვევაში უნდა მიეთითოს, რომ სისხლის სამართლის საქმის აღმვრის, საქმის აღმვრაზე უარის თქმის, საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის უფლება აქვს მხოლოდ მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელს; ბ) ყველა შემთხვევაში ტერმინი „მოკვლევის ორგანო“ უნდა შეიცვა-

ლოს ტერმინით „მომკვლევი“, „მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელი“, რადგან საქმე უნდა აღმრას პროცესის კონკრეტულმა სუბიექტმა და არა დაწესებულებამ (ორგანომ); გ) უნდა იხმარებოდეს ერთი ტერმინი – „სანქცია“ ან „თანხმობა“. თუ კანონმდებელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტერმინები იდენტური ცნებები არ არის, უნდა მიეთითოს, თუ რა შემთხვევაშია საჭირო პროკურორის სანქცია და რა შემთხვევაში – პროკურორის თანხმობა;

8. საპროცესო კოდექსის თანახმად, ამჟამად მომკვლევი გამომიებას არ ატარებს. მას მინიჭებული აქვს უფლება ჩაატაროს მხოლოდ პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამომიებო მოქმედებანი და საქმე გადასცეს გამომძიებელს გამომიების ჩასატარებლად. საპროცესო კოდექსის 202-ე მუხლი განსაზღვრავს გამომძიებლის და მოსამართლის პასუხისმგებლობას საპროცესო მოვალეობის განზრახ დარღვევისათვის. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი კი, ადგენს მოძვლევის პასუხისმგებლობას, მაშინ, როდესაც მომკვლევი არ არის გამომძიებელი და არ ატარებს გამომიებას. 202-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ მომკვლევი და გამომძიებელი საქმის შემდგომ გამომიებას შეიძლება ჩამოაშოროს პროკურორმა. პროკურორი მომკვლევის გამომიებას ვერ ჩამოაშორებს, რადგან იგი გამომიებას არ ატარებს.

საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველ პუნქტში ისევ მითითებულია, რომ „მომკვლევი... აღმრავს სისხლის სამართლის საქმეს და აწარმოებს გამომიებას.“ ეს დებულებაც ეწინააღმდეგება საპროცესო კანონის 61-ე მუხლს, რომლის თანახმადაც წინასწარ გამომიებას აწარმოებს მხოლოდ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გამომძიებლები;

9. საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის

პირველი პუნქტის შესაბამისად საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას აღძრავს მომკვლევი და ამტკიცებს პროცესორი. ამ მუხლის საწინააღმდეგო დებულებას შეიცავს საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც მომკვლევს ენიჭება უფლება უშუალოდ აღძრას შუამდგომლობა მოსამართლის წინაშე (პროცესორის თანხმობის გარეშე) სისხლის სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ. ეს წინააღმდეგობა დაძლეული უნდა იყოს;

10. დაუშვებელ შეცდომას აქვს ადგილი სხვა შემთხვევაშიც. კერძოდ, 451-ე მუხლის პუნქტში მითითებულია სასამართლოს მიერ საქმის შეჩერების საფუძველი 29-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად. აღნიშნულ 29-ე მუხლს არა აქვს „ვ“ პუნქტი;

11. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-400 მუხლი ითვალისწინებს შეწყვეტილი საქმის წარმოებით განახლებას, მაგრამ კანონში მითითებული არ არის, რომ შეწყვეტილი საქმის განახლებისათვის საჭირო და აუცილებელია დადგენილების გამოტანა საქმეზე წარმოების განახლების შესახებ. აღნიშნული შეცდომა ექვემდებარება გამოსწორებას;

12. საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებით მიღებული მონაცემები შეიძლება გახდეს ამა თუ იმ საპროცესო წყაროს ცნობისა და ფაქტის (დოკუმენტის გარდა) შინაარსი და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება, როგორც მტკიცებულების წყარო. უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, თუ იგი გაფორმებულია შესაბამისად, ექვემდებარება შემოწმებას, თუ მისი უტყუარობა არ იწვევს ეჭვს, შეიძლება დაშვებულ იყოს

პროცესში არა მარტო როგორც ნივთიერი მტკიცებულება, არამედ როგორც დოკუმენტიც. დოკუმენტის, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი წყაროს შინაარსი და განმარტება მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლში. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დოკუმენტად ითვლება ინფორმაცია, რომელშიც აღბეჭდილია ფაქტი სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით, ანდა ფოტო-კინო-ვიდეო, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მიღებული იყოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ამიტომ იგი შეიძლება ცნობილი იყოს დოკუმენტად და დაშვებულ იყოს პროცესში, როგორც მტკიცებულება. კანონი მოითხოვს მხოლოდ მისი უტყუარობის შემოწმებას, მისი წარმოშობის წყაროს დადგენას საქმეში სხვა მტკიცებულებათა მეშვეობით;

13. საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე 16 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა ტარდება პედაგოგის ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის დასწრებით. კოდექსის 309-ე მუხლის პირველი პუნქტის ძალით დაზარალებულის დაკითხვა ტარდება მოწმის დაკითხვისთვის დადგენილი წესით, ე.ი. დაზარალებულის დაკითხვასაც უნდა ესწრებოდეს პედაგოგი ან არასრულწლოვანი დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენელი. ამავე 309-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად 16 წლამდე ასაკის, აგრეთვე ფსიქიკური და ფიზიკური ნაკლის მქონე დაზარალებულის დაკითხვა ტარდება მისი წარმომადგენლის მონაწილეობით.

კანონის ნაკლი გამოიხატება იმაში, რომ 16 წლამდე ასაკის, აგრეთვე ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე დაზარალებულის დაკითხვა ტარდება მისი წარმომად

გენლის მონაწილეობით და ამ დაკითხვას კანონის ძალით არ ესწრება პედაგოგი-სპეციალისტი. ასეთი რამ დაუშვებელია, რადგან აღნიშნული ავალდყოფობით დაა-ვალებულ დაზარალებულის (აგრეთვე მოწ-მის) დაკითხვას აუცილებლად და, პირვ-ელ რიგში, უნდა ესწრებოდეს პედაგოგი-სპეციალისტი.

306-ე მუხლის მეორე პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ არასრულ-წლოვანი მოწმის ან დაზარებულის დაკითხვას ყველა შემთხვევაში უნდა ესწრებოდეს პედაგოგი-სპეციალისტი. კანონიერი წარმომადგენლის დასწრება უნდა იყოს გათვალისწინებული საქმის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე ან უშუალოდ კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე;

14. საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, თუ ჩსრეკა და ამოღება ჩატარდა მოსამართლის ბრძანების გარეშე, ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საფუძვლიანობა უნდა შეამოწმოს მოსამართლემ მათ შესახებ მასალების წარდგენიდან არა უგვიანეს 14 საათისა. კოდექსის აღნიშნულ მუხლში დაშვებულია შეცდომა – 14 საათის ნაცვლად უნდა იყოს 24 საათი.

კოდექსის 407-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, „პროკურორმა საჩივარი უნდა გადაწყვიტოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 48 საათის, ხოლო თუ ამისთვის აუცილებელია საჭირო მასალების გაცნობა – არაუგვიანეს 48 საათისა“. კანონის ასეთი მითითება რედაქციულად უნდა მიეთიოს, რომ თუ საჭიროა მასალების გაცნობა, საჩივარი უნდა იყოს განხილული და გადაწყვიტილი მომდევნო 48 საათის განმავლობაში;

15. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის „6“ პუნქტის ძალით გამომძიებელმა უნდა „შეასრულოს

ბრალდებულისა და დამცველის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ“. აღნიშნული დებულების ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ იგი ავალდებულებს გამომძიებელს შეასრულოს ბრალდებულისა და დამცველის მოთხოვნები. კანონის „6“ პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ გამომძიებელი დაავალდებულოს აღნიშნულ, ასევე ყველა სხვა შემთხვევაში განიხილოს აღძრული შუამდგომლობა (და არა მოთხოვნები) და არსებითად გადაწყვიტოს იგი. გამომძიებელი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს აღძრული შუამდგომლობა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს შუამდგომლობის აღმდვრელ პროცესის მონაწილეს;

16. ამოქმედებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოყენებულია მიუღებელი და კონსტიტუციის საწინააღმდეგო დებულება. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ძალით „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერი ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“. ასეთივე დებულებას შეიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

აღნიშნულ დებულებებს ეწინააღმდეგება საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მეათე პუნქტი, რომლის თანახმადაც გამომძიებელი დაკითხვის დაწყებისთანავე არკვევს საკითხს: „ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში“. ასეთივე მიუღებელი ტერმინის გამოყენებას აქვს ადგილი საპროცესო კოდექსის 472-ე მუხლის მეორე პუნქტში, სადაც მითითებულია შემდეგი: „თავმჯდომარე ეკითხება თითოეულ განსასჯელს, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ“.

ელემენტარული და უხეში შეცდომაა, როდესაც კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ

პირის დამნაშავეობაზე საუბარია მანამ, სანამ განსასჯელის (ბრალდებულის) მიმართ გამოტანილი არ არის გამამტკცუნებელი განაჩენი, რომელიც უკვე კანონიერ ძალაშია შესული. გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს უნდა იყოს გარკვეული არა დამნაშავედ ცნობის საკითხი, არამედ ცნობს თუ არა ბრალდებული ან განსასჯელი წაყენებულ ბრალდებას (და არა დამნაშავეობას);

17. 239-ე მუხლის მეორე პუნქტში ნახ-
მარია ტერმინი „სამართლებრივი დევნა“.
ამ შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული
ტერმინი „სისხლისსამართლებრივი“ დევ-
ნა, რადგანაც საკითხი ეხება სისხლის სა-
მართლის საქმის წარმოებას;

18. საპროცესო კოდექსის 609-ე მუხლი
ეხება განაჩენის აღსრულების გადადებას
სასჯელის ისეთი ზომის გამოყენების დროს,
როგორიცაა გადასახლება და გასახლება.
სასჯელის აღნიშნული სახეები ამჟამად უკვე
აღარ არსებობს, რაც უნდა იყოს გათვალ-
ისწინებული საპროცესო კოდექსით;

19. სისხლის სამართლის პროცესში წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა სასამართლოს უფლება საქმის მომზადებისა და განხილვის დროს გამოითხოვოს მტკიცებულებები, გამოიძახოს მოწმეები, თუ სასამართლოს (მოსამართლეს) მიაჩნია, რომ საქმის სრულყოფილი განხილვა შეუძლებელია დამატებით მტკიცებულებათა გამოთხოვის გარეშე. კანონი არაერთგვაროვნად წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის
მეოთხე პუნქტის შესაბამისად სასამართ-
ლო (მოსამართლე) თავს იკავებს საკუ-
თარი ინიციატივით მტკიცებულებათა
გამოთხოვისგან. კანონის ამ მითითებისაგან
განსხვავებით სხვა მუხლების ძალით სასა-
მართლო უფლებამოსილია გამოითხოვოს
მტკიცებულებები, გამოიძახოს დამატებითი
მოწმეები ჩვენების მიცემის მიზნით, მაგალ-

ითად საქმის სასამართლო სხდომაზე გან-
სახილველად მომზადებასთან დაკავშირებით
მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს
გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები
(იხ. 425-ე მუხლის „ე“ პუნქტი). საპრო-
ცესო კოდექსის 479-ე მუხლის მეხუთე
პუნქტის შესაბამისად სასამართლოს თავი-
სი ინიციატივით უფლება აქვს გამოიძახოს
მოწმე მისი დაკითხვის მიზნით. კოდექსის
531-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის ძალით
სასამართლოს „უფლება აქვს საკუთარი
ინიციატივით გამოიძახოს მოწმები და
ექსპერტები“.

მიღვაჩნია, რომ საკითხის ასეთი არაერთ-გვაროვანი გადაწყვეტა უნდა გამოსწორდეს. სასამართლო (მოსამართლე) არ ახორ-ციელებს არც ბრალდების, არც დაცვის ფუნქციას, იგი იხილავს და არსებითად წყვეტს სისხლის სამართლის საქმეს. თუ სასამართლოს (მოსამართლეს) მიაჩნია, რომ საქმის არსებითი გადაწყვეტისათვის საჭირო და აუცილებელია მტკიცებულებათა გამოთხ-ოვა, მოწმის გამოძახება მისი დაკითხვის მიზნით და ა.შ., იგი არ უნდა იყოს დამოკ-იდებული ბრალდების ან დაცვის მხარის სურვილზე და შეხედულებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ დასკვნამ-
დე უნდა მივიღეთ, რომ სასამართლოს (მო-
სამართლეს) ყველა შემთხვევაში უნდა მიენ-
იჭოს უფლება გამოითხოვოს მტკიცებულე-
ბები, გამოიძახოს მოწმე და ექსპერტი მათი
დაკითხვის მიზნით, თუ ამას მოითხოვს
საქმის არსებითი გადაწყვეტა და საქმეზე
ჭეშმარიტების დადგენა;

20. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლის მეხუთე ნაწილი სააპელაციო წესით საქმის განხილვის დროს ითვალისწინებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას გამამართლებელის ნაცვლად „თუ სააპელაციო ინსტანციით სასამართლომ სასამართლო გამოიძიება სრული მოკლელობით ჩაატარა“.

უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვა ყველა შემთხვევაში ჩატაროს სრული მოცულობით. კანონის 533-ე მუხლი ეხება რა სასამართლო გამოძიების ჩატარებას, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ ითვალისწინებს სასამართლო გამოძიების შეკვეცას. კანონის ძალით სასამართლო გამოძიების შეკვეცა დაშვებულია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში 73-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კანონის ძალით 540-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ამ საკითხზე საჩივარი შეიტანა ბრალდების მხარემ და მას ასეთივე პოზიცია ეკავა საქმის პირველი ინსტანციით განხილვის დროს.

სააპელაციო სასამართლო არ ახორ-

ციელებს ბრალდების ფუნქციას და ამიტომ მას არც ერთ შემთხვევაში საქმის განხილვის შედეგად თვითი ინიციატივით უფლება არა აქვს გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად.

საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლის მეორე ნაწილში სწორედ არის მითითებული, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს გასცდეს ბრალდების ფარგლებს, რომელიც განსასჯელს წაუყენეს წინასწარი გამოძიების დროს და რომელსაც მხარი დაუჭირეს პირველი ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულიდან გამოდინარე, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ სააპელაციო წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს უფლება არა აქვს, არც ერთ შემთხვევაში, თავისი ინიციატივით გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი.

საპროცესო კანონის აღნიშნული ნაკლი მოითხოვს გამოსწორებას.

აკოლონ უალიაშვილი,

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროფესია და კრიმინალისტიკის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დარეჯან ლეპიაშვილი

საიდუმლო თანამშრომლის როლი და მნიშვნელობა ლპრატიულ-სამარხო საქმიანობაში

ლსანიშნავია, რომ დღეს საქართველო-ში მიმდინარე სამართლებრივმა რეფორმამ, შეიძლება ითქვას, „გულნაკლულად“ არც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოები დატოვა. ამას მოწმობს ახლახან პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, რომელმაც სხვა სიახლეებთან ერთად (მაგ., ლეგალიზებული გახდა ადრეტაბულადებული ბევრი ღონისძიება), ახალი ტერმინოლოგიაც დაამკვიდრა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში. ეს სიახლე შეეხო „აგენტის“ ინსტიტუტსაც, რომელ-საც ამჟამად „კონფიდენტი“ ანუ „საიდუმლო თანამშრომელი“ ჰქვია. თუ იურიდიულ ლექსიკონში მოვიძიებთ, სიტყვა: „აგენტი“ (ლათ. „agens“ - „agentis“ - მოქმედი) ნიშნავს ნდობით აღჭურვილ პირს (ფიზიკურს ან იურიდიულს), რომელიც მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს მოქმედებებს სხვა პირის (პრინციპალის) დავალებითა და მისი ინტერესების ასრულების მიზნით (Большой юридический словарь, изд-во М., “Инфра-М.”, 1999 г.). რაც შეეხება სიტყვას „კონფიდენტი“, როგორც მისი საფუძველი მიგვანიშნებს, იგი სიტყვიდან „კონფიდენციალური“ უნდა მომდინარეობდეს.

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის
შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი

მუხლის თანახმად, „ოპერატიულ-სამძებრო
საქმიანობა არის კანონით დადგენილი სახ-
ელმწიფო ორგანოების სპეციალური სამ-
სახურების მიერ თავიანთი კომპეტენციი
ფარგლებში ღია ოუ ფარული მეთოდით
ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომ
ლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და
თავისუფლებების, იურიდიული პირის
უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების
დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მარ-
თლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან“.

დამნაშავეობასთან ბრძოლის ფარული მე-
თოლებიდან, ოპერატორულ-სამძებრო საქმი-
ანობის განხორციელების ერთ-ერთი ყვე-
ლაზე ეფექტური საშუალებაა სწორედ
„აგენტურა“, ანუ „საიდუმლო თანამშრომ-
ლები“. ჯერ კიდევ ძველ საქართველოში
ცნობილი იყვნენ ე.წ. მსტოვრები, რომელთ-
აც ქართველი მეფეები წარმატებით იყ-
ენებდნენ როგორც ინფორმაციის მოწოდე-
ბის საუკეთესო წყაროს და რომლებიც,
როგორც უკვე აღინიშნა, დღესაც ერთ-
ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორები არიან
ოპერატორულ-სამძებრო ღონისძიებების წარ-
მატიკით განხორციელების საქმეში.

კანონმა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ ცალსახად განსაზღვრა, საიდუმლო თანამშროომლობის წესი და პირობები. კერძოდ, კანონში აღნიშნულია, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებს, დამ-

ნაშავეობასთან ეფექტიანად ბრძოლის მიზნით, უფლება აქვთ კონტრაქტის საფუძველზე (სასყიდლით ან უსასყიდლოდ) ფარულად ითანამშრომლონ 18 წელს მიღწეულ ქმედუნარიან პირებთან მათი მოქალაქეობის, ეროვნების, სქესის, სოციალური და თანამდებობრივი მდგომარეობის, ენის, განათლების, საზოგადოებრივი გაერთიანებების წევრობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის მიუხედავად. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან საიდუმლო თანამშრომლობა ნებაყოფლობითია და მათი (კონფიდენტთა) სურვილით შეიძლება შენარჩუნებული იყოს თანამშრომლობის კონფიდენციალობა. კანონი კრძალავს კონტრაქტის საფუძველზე ცალკეული თანამდებობის პირთა, მათ შორის საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების წევრთა, მთავრობის წევრის, სახალხო დაცველის, მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, ადვოკატის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის კონფიდენციალური ხელშეწყობის გამოყენებას.

სახელმწიფომ გაითვალისწინა რა საიდუმლო თანამშრომლის უდიდესი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, მისი როლი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების მუშაობაში, კანონმდებლობით დაადგინა საიდუმლო თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის სპეციალური გარანტიები. ერთ-ერთი ზემოაღნიშნული გარანტიის თანახმად, ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ შესაბამ-

ის ორგანოებთან, სახელმწიფო საიდუმლოება. კონფიდენციალური თანამშრომლობის შესახებ ცნობების გაცემა შეიძლება მხოლოდ ამ პირთა ან მათი მემკვიდრეების წერილობით თანხმობით ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში (კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მე-17 მუხლი), რადგან ასეთი ცნობების „გავრცელებამ ან დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე შედეგები საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის“ (საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, მე-13 მუხლი).

მიუხედავად „საიდუმლო თანამშრომლის“ ინსტიტუტის იმ უდიდესი მნიშვნელობისა, როგორიც მას აქვს დამნაშავეობასთან ეფექტიანად ბრძოლის თვალსაზრისით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები შესაძლოა მაღესად საიდუმლო თანამშრომელთა კონტინგენტის გარეშე დარჩნენ, თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

ამა თუ იმ კანონის შემუშავება და მიღება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს კანონმდებლებს, რადგან მათ უნდა გაითვალისწინონ ყოველი დეტალი, თუ როგორ იმოქმედებს კონკრეტული კანონი ჩვენს დღვეანდელობაში, რა შედეგს მოუტანს იგი მომავალში საქართველოს.

დაახლოებით ამ ერთი წლის წინ საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტში მომზადდა კანონპროექტი „ლუსტრაციის შესახებ“, რომელმაც იმთავითვე ერთგვარი აუიოტაჟი გამოიწვია და რომლის ირგვლივ ჯერ კიდევ გრძელდება დასკუსიები. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, და ალბათ საფუძვლიანად, აღნიშნული კანონპროექტის მიღებას. ამ სტა-

ტიაში არ ვაპირებ „ლუსტრაციის შესახებ“ კანონპროექტის დაწვრილებით განხილვას, თუმცა, მაინც აუცილებლად მიმაჩნია მის შესახებ განსხვავებული მოსაზრების წარმოდგენა.

სიტყვა „ლუსტრაცია“ (ლათინურად - „Illustratio“) განწმენდას, გასუფთავებას ნიშნავს. 90-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ეკროპის მრავალ ქვეყანაში (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, რუმინეთი), მიღეს სპეციალური კანონები ლუსტრაციის შესახებ, რომლებიც განსაზღვრავდნენ იმ პირთა განსაკუთრებული შემოწმების პროცედურას, რომელთაც სახელმწიფო მნიშვნელობის საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავათ ან იყვნენ ასეთ თანამდებობებზე დანიშვნის კანდიდატები. შემოწმების არსი მდგომარეობდა იმ პირთა გამოვლენაში, რომლებიც ფარულად თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან ან იყვნენ კომუნისტური პარტიის წევრები. ამის შედეგად, იმ პირებს, რომლებიც კომპრომეტირებული იქნებოდნენ ასეთ თანამშრომლობაში, ეკრძალებოდათ გარკვეული თანამდებობის დაკავება. შემოწმების წესი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული პროცედურით ტარდებოდა. მაგალითად უნგრეთში, პარლამენტის მიერ არჩეული კომიტეტი სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ ლუსტრაციის პროცესში დააღვენდა შესაბამისი თანამდებობის პირის ტოტალიტარულ რეჟიმთან თანამშრომლობის ფაქტებს, მას სთავაზობდნენ არჩევანს: – ნებაყოფლობით წასულიყო თანამდებობიდან, რითაც შეუნარჩუნდებოდა გამოვლენილი ფაქტების საიდუმლობა, ან ემუქრებოდა თანამდებობიდან იძულებით გადადგომა - მასზე არსებული მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის გამოქვეყნებით.

კანონპროექტი „ლუსტრაციის შესახებ“ ქართველმა კანონმდებლებმა ერთგვარად სხვა სახით შემოგვთავაზეს, მისი არსი,

პირითადად, მოიცავდა იმ პირთა გამოვლენას, რომლებიც: „1990 წლის 28 ოქტომბრამდე აგენტურის სახით დაკავშირებული იყვნენ სსრკ ან საქართველოს სსრუშიშროების ორგანოებთან ...“ და ასეთ პირთათვის გარკვეულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების შეზღუდვას.

თუ ჩვენ დღეს პრეტენზიები გაგვაჩნია დემოკრატიულობაზე და ცივილიზებულობაზე, ვიყოთ ბოლომდე დემოკრატიული და ცივილიზებული ქვეყანა. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ აუცილებელია სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობების დასაკავებლად პირთა ე.წ. „ფილტრაცია“, ანუ მათი ლუსტრაცია. თითოეული პიროვნების შესახებ აუცილებლად უნდა იქნეს გამორკვეული ყოველი დეტალი და მაკომპრომეტირებელი მასალების არსებობისას მას უნდა შეეზღუდოს გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლება, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილ კანონპროექტშია. საამისოდ შეიძლება გავითვალისწინოთ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება. ასეთ ქვეყნებში პირთა შესახებ მონაცემებს აგროვებენ უშიშროების ორგანოებთან არსებული სპეციალური დანაყოფები ყოველგარი „ხმაურის“ გარეშე და მასზე მაკომპრომეტირებელ მასალებს წარუდგენენ ქვეყნის სათანადო თანამდებობის პირს. ეს ალბათ ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ.

ჩემი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, საშუალება მქონდა მომესმინა ამ სფეროში უაღრესად კომპეტენტურ და პროფესიონალ პირთა აზრი „ლუსტრაციის შესახებ“ კანონის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტატიით ჩემს სუბიექტურ პოზიციას გამოვხატავ, მთლიანად ვიზიარებ მათ თვალსაზრისს და თქვენც რამდენიმე კომენტარს შემოგთავაზებთ.

„ლუსტრაციის შესახებ“ კანონპროექტის წაკითხვებისას ნათლად შეიგრძნობა ავტორთა რევანშისტული განწყობა ცალკეულ პირ-

თა მიმართ. კერძოდ, რატომ უნდა ეხებოდეს წარმოდგენილი კანონპროექტი მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც თანამშრომლობდნენ „სსრკ ან საქართველოს სსრ უშიშროების ორგანოებთან“, ასეთ ფარულ თანამშრომლებს ხომ სხვა ძალოვანი უწყებებიც იყენებდნენ და შეიძლება ითქვას, „საკმაო წარმატებითაც“ საქართველოს, მისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერთგული მოქალაქეების წინააღმდეგ. საკითხავია, რატომ არ უნდა ეხებოდეს ლუსტრაცია იმ პირებსაც, რომლებიც ბოროტი შურისა თუ რაღაც სხვა მიზეზით, შეთითხნილ წერილებს აგზავნიდნენ სხვადასხვა სტრუქტურებში თავიანთ მეზობლებზე, კოლეგებზე, თუ უბრალოდ, ნაცნობებზე - მათ „ჩასაშვებად“, ან იმ პირებს, ვისი ხელმოწერითაც იგზავნებოდა კოლექტიური წერილები ამა თუ იმ პირის დასჯის მოთხოვნით.

70 წლის განმავლობაში საქართველო იყო საბჭოთა კავშირის ნაწილი. ამ მთლიანობაში ერთიანი იყო ხელისუფლების სტრუქტურები, მათ შორის სახელმწიფო უშიშროებაც, შეიძლება ითქვას, მცირეოდენი განსხვავებით, ერთიანი იყო სამართალიც და, აქედან გამომდინარე, ერთიანი უნდა ყოფილიყო ხალხის მართლშეგნებაც. ამ მართლშეგნებით ე.წ. სსრკ „კ.გ.ბ.“ - სთან თანამშრომლობით საქართველოს მოქალაქეებიც მაღალ იდეებს ემსახურებოდნენ, მათი წარმოდგენით, ემსახურებოდნენ სამშობლოს. რამდენად მიზანშეწონილი იქნება მათი დასჯა იმ საქმიანობისთვის, რომელიც მაშინ დანაშაულებრივად არ ითვლებოდა, მით უმეტეს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“

ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტკუნებელი განაჩენით.“

ჩვენ დღეს ჩქარი ნაბიჯით მივიწევთ წინ დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე. ამდენად უნდა დავფიქრდეთ, კანონპროექტი „ლუსტრაციის შესახებ“, ხომ არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს, ხომ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას?! ალბათ მომედავებიან, რომ კანონპროექტი არ ითვალისწინებს ამა თუ იმ პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, იგი მოიცავს მხოლოდ ცალკეულ, მაღალ თანამდებობებზე დასანიშნ პირთათოვის გარკვეული უფლებების შეზღუდვას. თუ მხედველობაში მივიღებთ ზოგიერთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში (მაგ., პოლონეთი) ლუსტრაციაზე კანონის მიღებით გამოწვეულ შედეგებს, ჩვენც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა შეიძლება საქართველოს მოუტანოს „ლუსტრაციის შესახებ“ კანონის წარმოდგენილი სახით მიღებამ.

მე პირადად, ყოველივე ზემოხსენებულის გაანალიზების შემდეგ, ეს შედეგები ასე წარმომიდგენია:

1. უპირველეს ყოვლისა, ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ბევრ ჩვენს მოქალაქეს და მათი ოჯახის წევრებს, ალბათ პასუხისმგებლობაზე ბევრად უარესი რამ ემუქრება, როდესაც მათ, როგორც „სუკის აგენტებს“ შესაძლოა იგნორირება გაუწიოს მთლიანად საქართველოს საზოგადოებამ, რაც, დამეთანხმებით, არც ისე ადვილი ასატანი იქნება და გამოიწვევს მათ მორალურ განადგურებას;

2. დღეს საქართველოში არ არსებობს საშუალება „ლუსტრაციის შესახებ“ კანონპროექტით გათვალისწინებულ პირთა გამოსავლენად, რადგან სსრკ და საქართველოს

სსრ უშიშროების ორგანოების არქივები ამჟამად საქართველოში ფიზიკურად არ არსებობს, ხოლო თუ რაიმე არსებობს, ალბათ საქართველოს ფარგლებს გარეთ იქნება და ჩვენ არავითარი გარანტია არ გვაქვს, რომ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მხრიდან დეზინფორმაციას არ ექნება ადგილი ცალკეული მოქალაქეების გადაბირებისა თუ მათი შანტაჟის მცდელობის მიზნით;

3. საქართველოს ხელისუფლებაშ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ასეთი „შერისძიების“ პრეცედენტი თუნდაც სსრკ „კგბ“-ს საიდუმლო თანამშრომელთა მიმართ, რადგან არ არსებობს იმის გარანტია, რომ მომავალი თაობა არ გაუკეთებს მოდერნიზაციას კანონს „ლუსტრაციის შესახებ“ და კანონპროექტით განსაზღვრულ მოთხოვნებს არ შეცვლის თავისთვის სასურველი მოთხოვნებით, თუნდაც ამჟამინდელი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ;

4. საინტერესოა, კანონპროექტში რატომ არის აქცენტი აღებული მაინც და მაინც უშიშროების ორგანოების საიდუმლო თანამშრომლებზე. საქართველოს უშიშროების სამსახურში რიცხული აგენტურა ძირითადად ემსახურებოდა ქვეყნის ინტერესებს და ისინი თავისებურად, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ძლიერადაც იცავდნენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, რადგან უშიშროების სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგენტები თანამშრომლობდნენ დაზვერვის, კონტრდაზვერვის, ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ორგანოებთან. კანონპროექტის ავტორებმა ალბათ ვერ გაითვალისწინეს,

რომ უშიშროების აგენტურის საჯაროდ გამოტანის მცდელობაც კი სავალალო შედეგებს მოუტანს მთლიანად საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს;

5. დღეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ მოპოვებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი მიღებულია სწორედ ოპერატიული წყაროების - საიდუმლო თანამშრომლების გამოყენებით, „ლუსტრაციის შესახებ“ კანონის მიღების პერსპექტივამაც კი უკვე სერიოზული დარტყმა მიაყენა ჩვენი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს, რადგან ლუსტრაციის შიშით, ალბათ მომავალში ბევრი განათლებული პირი აღარ ითანამშრომლებს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან, რაც წერტილს დაუსვამს საქართველოს უშიშროების სისტემის მუშაობის საფუძველს.

და ბოლოს, მინდა ავღანიშნო, რომ არ ვაფარებ ხელს სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლებს, მაგრამ საქართველოს დღეს გააჩნია ძლიერი სამართალდამცავი ორგანოები, რომელთაც ძალუბით გამოვლინონ საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ მოქმედი აგენტურა, გადასცენ სასამართლოს, ხოლო მოსამართლეების შესაბამისი გადაწყვეტილება ამა თუ იმ პირთა დამნაშავეობისა და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ნუ წავართმევთ მათ ამ უფლებამოსილებას და ერთ-ერთი მთავარი, რასაც ამით მივაღწევთ, იქნება ის, რომ მომავალში შესაძლოა თავიდან ავიცილოთ ახალი დაპირისპირებები ქართველთა შორის.

დარეზან ლეპიაშვილი,

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის განყოფილების უფროსი.

გიორგი რობაქიძე

სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილ

დანაშაულია პრიმიტივისტიკური

დახასიათება

სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულის კრიმინალისტიკურ დახასიათებას, მისი ცნებისა და მნიშვნელობის დადგენას, მისი არსისა და დანაშაულების მეცნიერულ კვლევას და ამის შედეგად მიღებული მონაცემების პრაქტიკაში გამოყენებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გამოსაძიებელი საქმის სწრაფი, სრული გახსნისა და ჩადენილი დანაშაულის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის.

სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულების კრიმინალისტიკური დახასიათებას მნიშვნელოვანი და აუცილებელი ადგილი უჭირავს სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულის გახსნის მეთოდიკის სისტემაში და ეს მძლავრი ბერკეტია სატრანსპორტო საგამოძიებო ორგანოების ხელში, სარკინიგზო ტრანსპორტზე, რკინიგზის სადგურებსა და სარკინიგზო გადასარბენების მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რაც გამოიხატება იმით, რომ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება, როგორც თეორიული პრობლემა და მეცნიერული კვლევის ობიექტი, ხელს უწყობს გამოსაძიებელ საქმეზე გამოძიების წარმართვის სწორი მიმართულების შერჩევას. იგი საშუალებას იძლევა, რათა გა-

მომძიებელმა შეარჩიოს და შექმნას საქმის გამოძიების სწორი მოდელი, გამოიყენოს საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, შეძლებისდაგვარად ზუსტად მოახდინოს საგამოძიებო ვერსიების აგება, გამონახოს ის გზები, ტაქტიკური ხერხები და საშუალებები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს გადაამოწმოს მის მიერ გამოსაძიებელ საქმეზე აგებული საგამოძიებო ვერსიები. შეკრიბოს საკმაო მტკიცებულებები მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე; ამასთან იგი გამომძიებელს საშუალებას აძლევს შეარჩიოს ისეთი ზოგადი და კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც მიესადაგება გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეს, შეარჩიოს გამოძიების ისეთი მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს საქმის სწრაფ, სრულ გახსნასა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

1991 წელს გამოცემულ ნაშრომში „დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები“, პროფესორი შოთა ფაფუაშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ „ყველა სახის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება მოიცავს გამოსაძიებელი შემთხვევის ყველა იმ გარემოებებს, რომლებსაც დანაშაულის შემადგენლობის მიუხედავად, გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქმის სრული, ყოველმხრივ გახსნისათვის“. სარკინიგ-

ზო ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულების, და აქედან გამომდინარე, გამოსაძიებელი შემთხვევის ყველა გარემოების აღმოჩენა, შესწავლა და გამოკვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, წინაპირობაა სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულის გახსნისა.

სატრანსპორტო სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულებების გამოძიების ტაქტიკა და მეთოდიკა თავისებური სპეციფიკურობით გამოიჩინება. სწორედ ეს არის საფუძველი, მიზეზი იმისა, რომ სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი – სარკინიგზო ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. მართებულად შენიშნავს პროფესორი შ. ფაფიაშვილი, რომ „დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების საფუძველი, მისი ელემენტები და თავისებურება უნდა ვეძიოთ იმ ფაქტობრივ მონაცემებში, რომლებიც გამომძიებულს გააჩნია შემოსული მასალების შემოწმებისა და სისხლის სამართლის საქმის აღმერის მომენტისათვის“

სწორედ ეს ფაქტობრივი, პირველადი მონაცემები, რომლებიც გამოძიებას გააჩნია, განსაზღვრავს გამოძიების წარმართვის მეთოდიკას. რამდენადაც სრულყოფილად იქნება მოცემული დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება, იმდენად სრულყოფილად წარიმართება გამოძიების მთელი პროცესი და მიღწეული იქნება დასახული მიზანი – დანაშაულის სრული, ყოველმხრივი გახსნა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმის კრიმინალისტიკური დახასიათებისათვის, მისი სწორად აგები-სათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს

ყაჩაღური თავდასხმის ობიექტური მხარის ნიშნებს, დანაშაულის ჩადენის პირობებს, ხერხებს, დროს, ადგილს, იმ მატერიალურ შედეგებს, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო ორგანიზაციებისადმი ან კერძო პირებისადმი მიყენებულ ზიანში.

სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმების კრიმინალისტიკური დახასიათების მთელ კომპლექსში, რაც თავის თავში აერთიანებს ყაჩაღობის ჩადენის მთლიანი მექანიზმის შესახებ მოპოვებულ ფაქტობრივ მონაცემებს, ამ ფაქტობრივი მონაცემების მეცნიერულ ანალიზს, მათ ოპტიმალურ გამოყენებას სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის გათვალისწინებით და დახმარებით, შეიძლება გამოიყოს კრიმინალისტიკური დახასიათების შემადგენელი ელემენტი, მისი როგორც მეცნიერულ-პრაქტიკული სფეროს შემადგენელი ელემენტი, მისი როგორც მეცნიერულ-პრაქტიკული სფეროს შემადგენელი რამდენიმე რგოლი, რომლებსაც სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმების გამოძიების დროს შეიძლება უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭოს. ეს არის დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი. ხოლო ყაჩაღური თავდასხმის შინაარსის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა დამნაშავის პიროვნების კვლევის საკითხი; აქედან გამომდინარე მის მიერ გამოყენებული დანაშაულის ჩადენის ხერხები და საშუალებები. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

დანაშაულის ჩადენის დროისა და ადგილის დადგენას არა მარტო სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმების გამოძიების დროს, არამედ ნებისმიერი დანაშაულის გამოძიების შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეჭვს არ იწვევს მის სიზუსტეზე აქცენტირების აუცილებლობა, მაგრამ, სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილ დანაშაულთა სპეცი-

ფიკიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში ყაჩაღური თავდასხმა სარკინიგზო ტრანსპორტზე (ყაჩაღობა სამგზავრო მატარებელში მიმართული მგზავრების ქონების დაუფლების მიზნით; ყაჩაღური თავდასხმა სატვირთო შემადგენლობაზე) მიმდინარეობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში და თავისთავად ზრდის იმ არეალს, რომელსაც დანაშაულის ჩადენის ადგილი ჰქვია. მაგალითისათვის განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ყაჩაღური თავდასხმა მოხდა მოძრაობაში მყოფი სამგზავრო მატარებლის ერთ კონკრეტულ ვაგონში. გამოძიების დაწყებისთანავე სავალდებულოა ჩატარდეს ადგილმდებარეობის დათვალიერება; თუ გამომძიებელი ადგილმდებარეობის დათვალიერების დროს დანაშაულის ჩადენის ადგილად მიიჩნევს მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ერთ ვაგონს და ჩატარებს მის დათვალიერებას, უმეტეს შემთხვევაში, გამოძიება წარიმართება არასწორი გზით, ყოველ შემთხვევაში, გამოძიებამ შეიძლება დაკარგოს უამრავი მტკიცებულება, მნიშვნელობის მქონე კვალი, დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება და ბოლოს გამოძიებას შეუმცირდება საშუალება ცხელ კვალზე მოახდინოს დანაშაულის ჩამდენი პირების დაკავება.

უმჯობესია დანაშაულის ჩადენის ადგილად მივიჩნიოთ ის ადგილი, რომელ ადგილზეც გარკვეულ დროს დაიწყო დანაშაულის ჩადენა, და დრო, როდესაც დამთავრდა ყაჩაღური თავდასხმა.

აქედან გამომდინარე, სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულების ადგილისა და დროის დადგენა თითქოს გადაჯაჭვულია ერთმანეთთან და ერთ მთლიანობაში მოიაზრება. ვთქვათ, ყაჩაღობა სამგზავრო მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში დაიწყო 12-00 საათზე ქ. მცხეთის რკინიგზის სადგურიდან და დასრულდა 12-45 საათზე თბილი-

სის მისადგომებთან. ამ დროის განმავლობაში დანაშაულის ჩადენის ადგილად მოაზრებული უნდა იყოს ამ დროის განმავლობაში გავლილი მანძილი და ადგილმდებარეობის დათვალიერება უნდა მოხდეს ზემოთ ხსენებული სამგზავრო მატარებლის მიერ განვლილ მანძილზე.

აქედან გამომდინარე, სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმის ფაქტის გამოძიების დროს გამომძიებელმა ზედმიწევნით ზუსტად უნდა განსაზღვროს შემთხვევის ადგილის საზღვრები. უნდა დაადგინოს თუ საიდან და რა მიმართულებით, როგორი თანმიმდევრობით ჩაატაროს იგი. პრაქტიკიდან გამომდინარე, ყოველთვის უმჯობესია, გამომძიებელმა რაც შეიძლება გააფართოვოს, ვიდრე შეავიწროვოს, დათვალიერების საზღვრები, რომელშიც სავარაუდოა, რომ მოხდა დანაშაული, ან შესაძლებელია, რომ აღმოჩნდეს გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე მასალები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია დათვალიერების გარეშე დარჩეს მომხდარი დანაშაულის გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერი მტკიცებულებანი.

სარკინიგზო ტრანსპორტზე მომხდარი დანაშაულის გამოძიების საქმეზე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ადგილმდებარეობის დათვალიერების საორიენტაციო სტადიას, რაც შემთხვევის ადგილის ზოგადი მიმოხილვაა. რადგან ის საწინდარია იმისა, რომ დასათვალიერებელმა ადგილმა ფართოდ და სრულად მოიცვას ყველა ნივთიერი მტკიცებულება და კვალი, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ექნება გამოსაძიებელი საქმისათვის.

სატრანსპორტო-საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც რთულდება დანაშაულის ჩადენის დროისა და ადგილის დადგენა, რადგან მომხდარი ფაქტის შემდეგ სამგზა-

ვრო თუ სატეირო გავონი, კონტეინერი, სადაც დანაშაული მოხდა, აღარ დგას იმ ადგილას და საჭირო ხდება მისი აღმოჩენა და შესწავლა. გულდასმით უნდა შემოწმდეს რკ. სადგურისა და სარკინიგზო გადა-სარბენის ტერიტორია, სადაც შეიძლება დარჩენილიყო ყაჩაღობის ან სხვა დანაშაულის ჩადენის იარაღი, დატაცებული ქონება (იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ჩადენის დროს ან შემდგომ დამნაშავებმა, გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, ვერ მოახერხეს ქონების გატანა დანაშაულის ჩადენის ადგილიდან) ან მისი ნაწილი. შესაძლებელია აღმოჩნდეს ნივთიერი მტკიცებულებანი ან დამნაშავის კვალი, რაც საშუალებას მისცემს გამომძიებელს, ოპერატიული მუშაკების დახმარებით, „ცხელ კვალზე“ მოახდინოს დანაშაულის ჩამდენი პირების დაძებნა-დაკავება. უნდა გატარდეს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებანი დანაშაულის სწრაფი და ეფექტური გახსნის მიზნით;

2. დამნაშავის პიროვნების დადგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ნებისმიერი დანაშაულის საქმეში, მით უმეტეს, დანაშაულისა, როგორიცაა ყაჩაღური თავდასხმა. ყაჩაღობა ისეთი საზოგადოებრივად საშიში განზრახი დანაშაულებრივი ქმედებაა, რომლის სრულყოფილად ჩატარებისათვის საჭიროა დამნაშავე პირმა (ან პირებმა) ორგანიზება გაუკეთოს თავის საქმიანობას – მოამზადოს ყაჩაღური თავდასხმის გეგმა, დანაშაულის ჩადენის იარაღები და საშუალებები. ისინი წინასწარ ადგენენ როგორც თავდასხმის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის ადგილიდან გაცლის, კვალის დაფარვის გეგმას. უმეტეს შემთხვევაში, ყაჩაღური თავდასხმა ხორციელდება პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი, უმეტეს შემთხვევაში წინათ ნასამართლევი

პირები. კვალის დაფარვის, გაცლის გეგმის
აღმოჩენა, შესწავლა და სწორი ანალიზი
არის გამოძიების ერთ-ერთი პირველი მი-
ზანი, რადგან დანაშაულის ჩადენის ორგა-
ნიზაციის გეგმის შედეგნის მანერა, თავის
მხრივ, ავლენს დამნაშავის პიროვნებას, მის
პროფესიულ ჩვევებს და სხვა მრავალ დამ-
ახასიათებელ ნიშნებს.

რაც შეეხება სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმებს, მის ორგანიზატორად შეიძლება მოგვევლინოს ნა-სამართლობის არ მქონე და ყაჩაღურ თავ-დასხმებში გამოუცდელი რკინიგზის მუშა-კი (მაგრამ საკმაოდ კომპეტენტური რკინიგ-ზის ტრანსპორტის მუშაობაში). სწორედ მას შესწევს უნარი, რკინიგზის ტრანს-პორტის მუშაობის სპეციფიკურობიდან გა-მომდინარე, ორგანიზება გაუკეთოს თავდასხ-მის საუკეთესო ვარიანტის შერჩევას, დროს, ადგილს.

სატრანსპორტო-საგამოძიებო ორგანოების საგამოძიებო პრაქტიკიდან გამომდინარე და სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილ დანაშაულთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ სფეროში ჩადენილი დანაშაულების უმეტესი წილი სწორედ რკინიგზის მუშაკების: მტვირთავების, გამცილებლების, ღის-პეჩერების ხელშეწყობით ხორციელდება. ამის მიზეზად კი უნდა მივიჩნიოთ მათ მიერ ამ სისტემის, სარკინიგზო ტრანსპორტზე გავრცელებული და შესაძლებელი დანაშაულის ჩადენის ხერხების ცოდნა და, რა თქმა უნდა, მათი მიღრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ.

სწორედ ასეთ პიროვნებას უნდა დაუჰქირ-
ისპირდეს გამომძიებელი, რომელიც, თავის
მხრივ, აღჭურვილი იქნება სარკინიგზო
ტრანსპორტზე შესაძლებელი დანაშაულების
ჩადენის ხერხებისა და საშუალებების, ამგ-
ვარ დანაშაულთა გახსნის ტაქტიკისა და
მეთოდების ცოდნით. იგი კარგად უნდა

ფლობდეს ტვირთის დამუშავების წესებს, უნდა იცნობდეს რეინიგზის ტრანსპორტზე მომუშავე თითოეული თანამდებობის პირის უფლებებსა და მოვალეობებს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულები: ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა და სხვა, უმეტესწილად, სწორედ საოვეს იღებს რეინიგზის მუშავების მიერ თავისი მოვალეობების არასრულყოფილად შესრულებიდან, ზოგიერთი მათგანის არაკეთილსინდისიერად და დამნაშავე ელემენტებთან დანაშაულში თანამონაწილეობიდან.

სატრანსპორტო პროკურატურისა და პოლიციის ორგანოთა საგამოძიებო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც რეინიგზის მუშავები, ტვირთის მიღებისა და გაცემის წესების დარღვევისა და სხვა მანკიერებათა დაფარვის მიზნით, აკეთებენ ყაჩაღობის, ქურდობის ინსცენირებას, რამაც შეიძლება გამომძიებელი, რომელიც სრულყოფილად ვერ ფლობს რეინიგზის ტრანსპორტზე ტვირთების დატაცების საქმეთა გამოძიების პრაქტიკას, შეიყვანოს შეცდომაში და გამოძიება წარიმართოს არასწორი გზით. სწორედ ამიტომ, გამოძიების დაწყებისთანავე, გამომძიებელმა პიროვნების დადგენის საკითხის გარკვევა უნდა დაიწყოს:

ა) რეინიგზის მუშავთა იმ პიროვნებების დადგენით, ვისაც სამსახურებრივად შეხება ჰქონდა სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობასთან და მის ფუნქციონირებასთან.

უნდა გაარკვიოს, თუ რა დარღვევები აღინიშნებოდა სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობაში, როგორ შეასრულეს მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობები პასუხისმგებელმა პირებმა. გაარკვიოს რა მოქმედების შესრულება არ ევალებოდა მათ და დაადგინოს სხვის ფუნქციებში შეჭრის მიზეზი, რადგან სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობისა თუ სხვა მოქმედების

შესრულება სუსტად არის განსაზღვრული და მათში მონაწილეობას იღებს მრავალი თანამდებობის პირი. თითოეულ მათგანს, კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული, ზუსტად განსაზღვრული მოვალეობები გააჩნიათ და მათი საქმიანობის არეალი ზუსტად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული;

ბ) ხშირია შემთხვევები, როდესაც სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილ დანაშაულს სჩადიან რეინიგზის სადგურების, სარკინიგზო მაგისტრალების ახლომდებარე დასახლებების თუ სოფლების მცხოვრებლები;

გ) და ბოლოს, მგზავრები, მათ შორის დაზარალებულები. მაგალითად, სატრანსპორტო პოლიციის პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც სამგზავრო მატარებელში ფოთი-თბილისი მოხდა ყაჩაღური თავდასხმა ქონების დაუფლების მიზნით. ერთ-ერთი დაზარალებულის დაკითხვის დროს გაირკვა, რომ ყაჩაღებმა, მას შემდეგ, რაც იარაღის მუქარით წაროვეს მათ პირადი ნივთები და ფული, რამდენიმე წუთის შემდეგ, ზოგიერთ პიროვნებას ფარულად დაუბრუნეს უკან წარომეული ნივთები.

დამნაშავეთა პიროვნების დადგენის საკითხი დაიწყო დაზარალებულთა პიროვნების დადგენით. საგამოძიებო ჯგუფი შეუდგა გამორკვევას ზემოთ აღნიშნულ რამდენიმე დაზარალებულს ხომ არ ჰქონდათ რაიმე კავშირი დამნაშავეებთან ან ერთმანეთთან. გამომძიებამ დაადგინა, რომ ის დაზარალებულები, რომლებსაც ნივთები დაუბრუნდათ, იყვნენ მეზობლები ქალაქ ფოთში. გამომძიებას დაებადა ეჭვი, რომ ყაჩაღური თავდასხმის მონაწილეები, რომლებიც ნიღბებში იმყოფებოდნენ, სწორედ მათი მეზობლები უნდა ყოფილიყვნენ. სწორედ ამან განაპირობა მათვის წარომეული ნივთების დაბრუნება. გამომძიების ეჭვი გამართლდა და დამნაშავეები დააკავეს.

მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც თვითონ დაზარალებული აღმოჩნდება დანაშაულის თანამონაწილე და საკუთარი თავის დაზარალებულად წარმოჩენა გარკვეული ტაქტიკური ხერხია გამოძიების თვალის ასახვევად და დანაშაულის დაფარვისათვის.

სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილ დანაშაულთა სწრაფი, სრული გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის გამოძიებელი აუცილებელია იცნობდეს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის სპეციფიკას და ზოგადად მანც უნდა იყოს გარკვეული რკინიგზზე ტვირთების გადაზიდვის წესებში. მას შესწავლილი უნდა ჰქონდეს მოძრავი შემადგენლობიდან ტვირთების, სამგზავრო-სარკინიგზო ტრანსპორტზე მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცების ხერხები და საშუალებები, რადგან ისეთი სპეციფიკური დარგი, როგორიცაა ტრანსპორტი, თავისთავად მოითხოვს ამ დარგში ჩადენილი დანაშაულების გახსნის მეთოდიკის ცოდნას. და არა მარტო ტრანსპორტში ჩადენილი დანაშაულების გამოძიება მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნასა და გამოცდილებას, არამედ ყოველი კონკრეტული დანაშაულის ჩადენა გარკვეული ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდება, რის გამოც, მათი გამოძიებაც ინდივიდუალურია. ყველა მათ გააჩნია მისთვის დამახასიათებელი დანაშაულის ჩადენის ხერხები, რომელთა გამოკვლევა, შეფასება

და შესწავლა დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის მნიშვნელოვანი საკითხია, ერთ-ერთი საწინდარია დანაშაულის სწრაფი, სრული და ყოველმსრივი გახსნისა, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა.

დანაშაულის ჩადენის ხერხების გამორკვევის აუცილებლობაზე, მის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ 1925 წლის, 1929 წლის (იაკიმოვის რედაქციით), 1953წ., 1959წ., 1976 წლის (კრიმინოლოგის რედაქციით) გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებშიც არის საუბარი, მსჯელობა, აზრთა სხვადასხვაობა.

1939 წლს გოლუნსკის და შავერის რედაქციით გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში საუბარია დანაშაულის ხერხებისა და საშუალებების მნიშვნელობაზე დანაშაულის გახსნის მეთოდიკის სისტემაში. ამ სახელმძღვანელოს ავტორთა აზრით, დანაშაულთა ჩადენის ხერხების ცოდნა არის საწინდარი იმისა, რომ ზუსტად იქნება შერჩეული გამოძიების მეთოდიკა; და თუ გამომძიებელი არ იცნობს მის მიერ გამოსაძიებელი დანაშაულის ჩადენის ხერხებს, იგი რა თქმა უნდა, უსუსური აღმოჩნდება დანაშაულის ჩამდენთა წინაშე. მით უმეტეს, თუ საქმე ეხება სარკინიგზო ტრანსპორტზე ჩადენილ დანაშაულს, მაშინ, როდესაც მისი ჩამდენი პირები, ხშირ შემთხვევაში, პროფესიონალები, თავისი საქმის კარგი მცოდნენი და გამოცდილნი არიან.

გიორგი რობავიძე,
თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის ასპირანტი.

სამართლის ისტორია

გიორგი დავითაშვილი

„მიცვალებულისაღმი შეწირვა“, როგორც სასამართლო მფარიზებულების ელემენტი ჩართულ ჩვეულებით სამართალში

3 იდრე სათაურში აღნიშნულ საკითხზე ვისაუბრებდეთ, აუცილებელია გავარკვიოთ, თუ რა იყო „მიცვალებულისაღმი შეწირვა“ და მისი არსი. ამისათვის კი რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ჩვეულებაზე, როგორიცაა სისხლის აღება. ეს ჩვეულება, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ყველა ხალხმა გამოიარა, ზოგნი დღესაც მისდევენ მას. ამ ჩვეულების არსი ზოგადად ასეთია: მოკლულის ნათესაობა, გვარი, ოჯახი, ვალდებულია მოკლას მკლელი, მისი ოჯახის წევრი, მოგვარე (შურისმაძიებელთა და შურისმაძიების ობიექტთა წრე დროთა განმავლობაში იზღუდებოდა). მაგრამ, საინტერესოა, რატომ ჰქონდა მოკლულის ნათესაობას სისხლის აღების ვალდებულება? რას უფრონებოდა ეს ჩვეულება? ისე, როგორც მრავალ ჩვეულებით-სამართლებრივ ინსტიტუტს, სისხლის აღებასაც თავისი სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა. ამ საკითხის გაშუქებას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გამოჩენილი ქართველი რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე. იგი წერს: „ხალხური ჩვეულებრივი შეხედულებით, რომელიც მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული და საქართველოშიც, სადაც ამისი გადმონაშოთ უკანასკნელ ხანამდე იყო შერჩენილი კავკასიელ ხალხთა შორის, მოკლულის სული მოს-

ვნებას მოკლებულია, დახეტიალობს, დაძრწის და თავის ნათესავისაგან თუ სოფლელებისაგან სამაგიერო სისხლის აღებას მოითხოვს. თუ მოკლულის ნათესავებმა, გვარმა ან თემმა შური არ იძია, მაშინ მოკლულის სული თვითონ გარდაიქცევა შურისმაძიების სულად და მისი რისხვა მოელს თემს დაატყდება და თაობათა მანძილზე საშინლად იმოქმედებსო. ამიტომ სულის სურვილის აღსრულება წმინდა ქმედობა იყო. მკვლელი უნდა მოკვდეს, ან მისი ნათესავი უნდა მოიკლას, ან მისი მოგვარე, ან მისი თემის რომელიმე წევრი! მხოლოდ ამ შემთხვევაში მოისვენებს მოკლულის სული¹. ამრიგად, მკვლელის მოკლა, სისხლის აღება, მოკლულის სულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. მიცვალებულის სული კი იმიტომა მოსვენებადაკარგული შურისმაძიების მოლოდინში, რომ მას ესაჭიროება მისი მკვლელის სისხლი. სისხლს თავისი წმინდა მნიშვნელობა ჰქონდა. იგი სიცოცხლესთან იყო გაიგივებული.

„მკვდარი სისხლს ითხოვს, რათა ამ სისხლით გაცოცხლდეს“². სისხლის ამ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული ისეთი ძელი ჩვეულებები, როგორიცაა მფრის სისხლის დალევა, სისხლიანი ხანჯლის გალოკვა,

¹ ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყოსანის“ საზოგადოებათ-მფრისებება, სანტიაგო დე ჩილე, 1958, გვ. 220-221.

² ვიქტორ ნოზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

სისხლით დაძმობილება, მიცვალებულისათვის საფლავზე სისხლის დაღვრა, პირისახის დაკაწვრა, დასისხლიანება მიცვალებულის დატირებისას. მტრის სისხლის დალევა ან ალოკვა ნიშანია ძალის მომატებისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისა. ზოგიერთ ტომებში ავადმყოფს ძალის მოსამატებლად სწორედ სისხლს ასმევდნენ.³ სისხლით დაძმობილებაც სიცოცხლის ერთმანეთთან გაზიარებაა. საფლავზე სისხლის დაღვრაც, პირისახის დაკაწვრაც და „სისხლიანი“ ცრემლებით მიცვალებულის ტირილი, მკვდრის აღდგენის, გაცოცხლების ცდა არის.⁴ ასეთი ჩვეულებები თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული.⁵

მკვლელის სისხლი მაცოცხლებელი ძალის მიმნიჭებელი იყო მოკლულისთვისაც. ამიტომ იყო, რომ მოკლული თავისი ნათესაობისაგან ითხოვდა მისი მკვლელის სისხლს. ზოგადად ასეთი სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა სისხლის აღებას.

ეს ჩვეულება, ისევე როგორც ჩვეულებითი სამართლის სხვა ინსტიტუტები, მათი შესაბამისი სარწმუნოებრივი საფუძვლებით, საქართველოში ყველაზე დიდხანს ქართველ მთიელებში შემორჩა (იგივე ითქმის მეზობელ ჩრდილოეთკავკასიელ მთიელებზეც). სისხლის აღება აქ სულ უკანასკნელ დრომდე არსებობდა და დღესაც არა იშვიათი მისი ცალკეული გამოვლინებანი, რასაკირველია, როდესაც ხევსური, სვანი, ფშაველი და სხვა კავკასიელი მთიელი სისხლს აიღებდა, მას აღარ ჰქონდა გათვითცნობიერებული სისხლის ის მნიშვნელობა, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. თუმცა მის ცნობიერებაში მყარად იყო ჩაბუდებული, რომ სისხლის აღება ეს მამა-პაპური ადათია და იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს: ნათესავის მკვ-

ლელი უნდა მოიკლას, რომ ამას მიცვალებულის სული მოითხოვს. მოსისხლე მტრის მოკვლას მოკლული ნათესავისადმი „შეწირვასაც“ უკავშირებდნენ. „შეწირვა“ აუცილებელი იყო მოკლულის შურისძიებით აღტკინებული სულის სავსებით დასაკმაყოფილებლად, დასაშოშმინებლად.

ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ „...ჩვეულება მთიელთა შორის სისხლის აღებისა, თუ სისხლის ძიებისა, სამღვთო მოვალეობად ჩასათვლელია, თუმცა სისხლის ამღებს ჰქონია – მოვკალი ჩემის ნათესავის მკვლელი და ამით იგი დაუმონე, ყმად გაუხადე ჩემს ნათესავს, რათა მან საიქიოს წყალი უზიდოს მას, ჯდანი (ბანდული, ზუჩა) გაუბანდოსო და სხვა.“⁶

მართლაც, კავკასიელ მთიელთა რწმენით, სისხლის ამღები თუ ნათესავის მკვლელი თავის მიცვალებულ ნათესავს „შეწირავდა“, ამით მის მიერ მოკლულს, ე. ი. ნათესავის მკვლელს ამ ნათესავის მონა-მოსამსახურედ აქცევდა საიქიოში, რომელსაც სხვადასხვაგვარი სამსახური უნდა გაეწია მისთვის. ამით, როგორც აღვნიშნეთ, საბოლოოდ დააკმაყოფილებდა მიცვალებულის სულს. ეს გახლდათ „მიცვალებულისადმი შეწირვის“ არსი კავკასიელ მთიელებში. მისი საფუძველი კი მთიელთა საიქიო ცხოვრების შესახებ წარმოდგენებში უნდა ვეძებოთ. მათი რწმენით, მიცვალებული საიქიოში, გარკვეულწილად, აგრძელებს ხორციელ ცხოვრებას. აქ მას ესაჭიროება წყალი, ცეცხლი, თამბაქო, ტანსაცმელი, საგზალი, ცხენი და სხვა. აგრეთვე სრულიად შესაძლებელია, რომ ერთი მიცვალებული საიქიოში მეორეს მოემსახუროს: უზიდოს წყალი, დაუკეროს ფეხსაცმელი და გაუკეთოს მრავალი სხვა რამ. მსგავსი შეხედულებანი საიქიო ცხოვრებაზე უამრავ ხალხს ჰქონდა (სწორედ ამის გამო ხდებოდა

³ Дж. Дж. Фрэзер, Фольклор в ветхом завете, М., 1990, ст. 462.

⁴ ვიტორ ნოზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 212-213.

⁵ იხ. ჯ. ჯ. ფრეზერი, დასახ. ნაშრ., გვ. 444-463.

⁶ ვაჟა-ფშაველა, თხ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, გვ. 238-239.

მიცვალებულისადმი საფლავში სხვადასხვა
ნივთების, საკვების, ასევე ცოცხალი ადა-
მიანების ჩაყოლება).

მკვლელის მიცვალებულისადმი (მის მიერ
მოკლულისადმი) „შეწირვისათვის“ კი
საჭირო იყო განსაზღვრული რიტუალური
მოქმედების ჩატარება, სათანადო ფრაზე-
ბის წარმოთქმით. მაგალითად, ქისტებში
მკვლელი მის მიერ მოკლულისადმი
„შესაწირად“ ამ უკანასკნელის საფლავზე
უნდა დაეკლათ, რის შედეგადაც იგი საი-
ქიოში მის მონა-მორჩილად გადაიქცეოდა.
თუმცა, ის ვისაც საფლავზე კლავნ, თუ
არ შედრკებოდა, მკვდრისადმი „შეწირუ-
ლად“ არ ითვლებოდა და იგი რომც მომკვ-
დარიყო, ასეთ შემთხვევაში მიცვალებულს
სრულიად ვერ დააკმაყოფილებდა.

ამ რიტუალს შესანიშნავად აღწერს ვაჟა-
ფშაველა თავის „სტუმარ – მასპინძელში“,
ქისტებს თავისი მოსისხლე ზვიადაური მის
მიერ მოკლული ქისტის საფლავზე მიჰყავთ,
რათა დააკლან იქ და ამით სისხლიც აიღონ
და მოკლულსაც შესწირონ:

„...მიჰყავდათ სასაფლაოზე,
სადაც ქისტების მკვდარია,
უნდა თავის მკვდარს შესწირონ,
რომ იქ უზიდოს წყალია,
მსახურად ჰყავდეს, მორჩილად
და გაუბანდოს ჯლანია...“

აქ კარგად ჩანს, თუ რისთვის ხდება
მიცვალებულისადმი „შეწირვა“ – რომ მკვ-
ლელი საიქიოში მის მიერ მოკლულს ემ-
სახურებოდეს, ემორჩილებოდეს, წყალს
უზიდავდეს, ფეხსაცმელს უკერავდეს. ამის-
ათვის ქისტები წარმოთქვამდნენ სათანადო
სიტყვებს, რომელთა პასუხადაც ზვიადაური
ამბობდა: „ძალლ იყოს თქვენის მკვდრისა-
და“. – ეს ფრაზა რომ არ ამოეძახა მას,
„შეწირული“ იქნებოდა, მაგრამ ზვიადაური
არ გატყდა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ
მოიხარა ქედი და დარჩა თავისუფალ ხევ-
სურად, ხოლო მიცვალებული, რომელსაც

სწირავდნენ, სახელად დარღა – გაწილე-
ბული და დაუკმაყოფილებელი.⁷

ქართველი მთიელები მოკლულის საფლა-
ვზე მკვლელის დაკვლას არ იცნობდნენ,
თუმცა სისხლის აღებასთან დაკავშირებუ-
ლი „მიცვალებულისადმი შეწირვა“ მათ-
თვისაც ცნობილი იყო. მაგალითად, ბესა-
რიონ გაბუური გვამცნობს „მიცვალებული-
სადმი შეწირვის“ ჩევულების თაობაზე ხე-
ვსურეთში. მისი თქმით, სისხლის აღები-
სას ხევსური მოკლულს ყურს მოსჭრიდა
და ამით თავის მიცვალებულს შესწირავდა.
ყურის მოჭრის შემდეგ მკვლელი (ამ შემთხ-
ვევაში მიცვალებულისადმი შემწირავი)
წარმოთქვამს შეწირვის გამომხატველ სი-
ტყვებს: „უნცროსიც ხარავ ჩემის მმისაო,
წყალსამც უზიდავა, ტაბლასაც უმზადებავ,
ჯლანთამც უბანდავავ, უნცროსადაც ყვიხ-
არავ“.⁸ როგორც ვხედავთ, მიცვალებული-
სადმი „შეწირვის“ არსი ხევსურეთში იგივეა,
რაც ქისტებში. აქ ძალზედ საინტერესოა
მიცვალებულისადმი „შეწირვის“ არსი ხე-
ვსურეთში იგივეა, რაც ქისტებში. აქ ძალზედ
საინტერესოა მიცვალებულისადმი „შეწირვი-
სას“ „შესაწირისათვის“ ყურის მოჭრა. ეს
სიმბოლური გამოხატულება უნდა იყოს
იმისა, რომ ის, ვისაც ყურს სჭრიან, „ყურ-
მოჭრილი“ მონა-მოსამსახურე ხდება საი-
ქიოში მის მიერ მოკლულისა, ე. ი. იმისა,
ვისთვისაც მას „სწირავენ“. ეტყობა, ძვე-
ლად ხევსურეთში სისხლის აღება სრულ-
ფასოვანი რომ ყოფილიყო, სისხლის ამ-
ღებს მისი ნათესავის მკვლელი თავისი
მიცვალებულისადმი უნდა „შეწირა, “ რასაც
სავსებით უნდა დაეკმაყოფილებინა ამ უკა-
ნასკნელის სული.

შედარების თვალსაზრისით ძალზედ საინ-
ტერესოა დიგორებში დაფიქსირებული ჩვე-

⁷ ვაჟა-ფშაველა, იქვე, გვ. 364.

⁸ ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საქანა-
მცნიერო საზოგადოების წელიწდეული,“ I-II, 1923-1924,
გვ. 178-179.

ულება, რომლის მიხედვითაც თუ მკვლელს მოკლულის ნათესავი მხოლოდ ყურს მოაჭრის, ესეც დამთავრებულ შურისძიებად ითვლება და ყურს ზეიმით მარხავენ მოკლულის საფლავში.⁹ იგივეს ვხვდებით ყაბარდოელებსა და ჩერქეზებშიც.¹⁰

როგორც ჩანს, ამ ხალხებში მკვლელი-სათვის ყურის მოჭრა მისი მოკლის გარეშეც კი აკმაყოფილებს ხალხის ოწმენით მიცვალებულს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მკვლელი მიცვალებულის „ყურმოჭრილი“ მონა იქნება საიქიოში, – მიცვალებულის სურვილი კი სწორედ ეს არის.

თითქმის ანალოგიურ ჩვეულებას ვხვდებით აჭარაშიც. იძრაგიმ აბაშიძე გადმოგვცემს: „იყო შემთხვევები (თუმცა იშვიათად), როცა სისხლის ამღები მკვლელის მიმართ თითქოს ერთგვარ ჰუმანურობას იჩენდა. მიიყვანდა მას (მკვლელს) მოკლულის საფლავზე, შემოატარებდა საფლავს ირგვლივ და ყურს (უფრო მარჯვენას) მოჰკვეთდა, რაც სიმბოლურად მკვლელის მოკლულისათვის მსხვერპლად მიტანას (ყურბნად გახდომას) ნიშნავდა“.¹¹

როგორც ჩანს, ყურის მოჭრა მკვლელი-სათვის ბევრგან იყო გავრცელებული, როგორც სიმბოლური გამოხატულება მისი მოკლულისადმი „შეწირვისა“, ე. ი. საიქიოში მოკლულის „ყურმოჭრილ“ მონად მისი გადაქცევისა.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივ განვითარების გარკვეულ ეტაპზე სისხლის აღების ალტერნატივად იქცევა კომპოზიციათა სისტემა. იგივე პროცესი განხორციელდა ქართველ მთიელებშიც. აქ განვითარდა სამუდამოორო სასამართლოს სისტემა, რომელიც, ძირითადად, ადგენდა კომპოზიციათა

⁹ Н. Берзенов, Дигория “закавказский вестник”, 1852, №39.

¹⁰ М. Ковалевский, Закон и обычаи на кавказе, Т 1 М., 1888 ст. 34.

¹¹ იბ. აბაშიძის არქივიდან აღებული ეს ცნობა მომაწოდა თარი ზოიძემ, რისთვისაც მაღლობას მოვაზნებ.

ოდენობას სხვადასხვა კონკრეტული დანაშაულისათვის, ხოლო მოსამართლენი, რომელთაც მხარეები ირჩევდნენ, უმთავრესად ძველ პრეცედენტებს ეყრდნობოდნენ და ჭეშმარიტების დასადგენად სხვადასხვა სასამართლო მტკიცებულებას იყენებდნენ. ასე რომ, ქართველ მთიელთა ჩვეულებით სამართალში კომპოზიციათა სისტემის ჩამოყალიბებამ გამოიწვია სასამართლოსა და სასამართლო მტკიცებულებების განვითარება. რაც შეეხება „მიცვალებულისადმი შეწირვის“ უძველეს ჩვეულებას, ხალხის ცნობიერებაში იგი კომპოზიციების წარმოშობის შედეგად დარჩა. თუ ხალხი თავდაპირველად მას სისხლის აღებას უკავშირებდა, შემდგომ ხალხმა ეს ჩვეულება სასამართლო მტკიცებულებებსაც მიუსადაგა.

ქართულ ჩვეულებით სამართალში „მიცვალებულის შეწირვასთან“ დაკავშირებულ მტკიცებულებას ვხვდებით ხევსურეთში. მას აქ „ყურის მოჭრა“ ჰქვია. ამ სასამართლო მტკიცებულებას, რომელიც ფიცის ნაირსახეობაა, „რჯულის კაცები“ (ბჭეები) დააკისრებდნენ ხოლმე თავის მართლებისათვის იმ ეჭვმიტანილს, რომელსაც ბრალი ედებოდა ისეთ დანაშაულში, რომლის ჩადენასაც სისხლის აღება მოჰკვებოდა ხოლმე, კერძოდ, მკვლელობაში ეჭვმიტანილს. ძალზედ გავრცელებული იყო ამ სასამართლო მტკიცებულების გამოყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთი პიროვნება დაჭრიდა მეორეს, ეს უკანასკნელი კი გარკვეული დროის შემდეგ გარდაიცვლებოდა, მიცვალებულის ჭირისუფლებს მიაჩნდათ, რომ გარდაცვლილი ჭრილობამ იმსხვერპლა, დაჭრილს კი მიაჩნდა, რომ იგი სულ სხვა მიზეზით გარდაიცვალა. სწორედ ასეთი დავის გადაჭრისათვის აკისრებდნენ „რჯულის კაცები“ ჭრილობის მიმყენებელს თავის მართლებისათვის „ყურის მოჭრას“. ეჭვმიტანილი უნდა მისულიყო იმის საფლავზე, ვის მოკვლასაც აბრალებდნენ თანამოფიცრებთ-

ან* ერთად (მათ ხევსურეთში „ხელის მამკიდებებს“ ეძახდნენ). შემდეგ საფლავზე ტარდებოდა გარკვეული რიტუალი, რომელსაც გასული საუკუნის ცნობილი იურისტი და მეცნიერი ნიკო ხიზანაშვილი (უბნელი) ასე აღწერს: „ბრალდებული მივა საფლავზედ, ...მკვდრის პატრონი კი საფლავზედ სდგას. ბჭე აიღებს ხელში რაიმე ეკალს, ჯერ ბრალდებულს და მერე თითო თითოდ იმის ...ნათესავს (მხედველობაშია თანამოფიცრები – გ.დ.) ყურში ეკალს აძგერებს ...სისხლს გამოუშვებს; სისხლი საფლავს ჩაეწვეთება, მკვდრის პატრონი სისხლის გამოშვების დროს ამბობს: „უმცრომსიც ხარ, ჯლანმსაც უბანდავ, ფეხის სამოსავმც უკეთებ, წყალსაც უზიდავ, ხელზედაც ემსახურები, გახდები იმის მოვალე, რომ არათრით არ დააღონოვო“.¹² ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული მოფიცარი საიქიოს მკვდრის ყმა და მოსამსახურე გახდება, თუკი ტყუილად დაიფიცებს.

როგორც ვხედავთ, თუ ეჭვმიტანილი „ყურის მოჭრის“ დროს ტყუილად დაიფიცებდა (ტყუილად „მოიჭრიდა ყურს“), იგი, ხალხის რწმენით, მიცვალებულს შეწირებოდა, გახდებოდა საიქიოს მისი ხელზე მოსამსახურე, ** ე. ი. სისხლის აღებისას

* თანამოფიცართა რაოდენობას თვით „რჯულის კაცები“ დააღვნიდნენ, მათი რიცხვი სხვადასხვა შემთხვევაში შესაძლოა სხვადასხვა ყოფილიყო, თანამოფიცრები აუცილებლად ეჭვმიტანილის უახლოესი ნათესავები უნდა ყოფილიყნენ მის „მამიშვილობიდან“ (ეს გვარის განტორებაა ხევსურეთში და უახლოეს ნათესავებს აერთიანებს). მათ, მირთადად, პერსონალურად ასახელებდა დაზარალებული მხარე.

12 6. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ.66.

** ჩვეულებით სამართალი, მათ შორის ხევსურული, არ იცნობდა ქონქრეტულ სასჯელს, ტყუილად დაფიცებისათვის. ტყუილად დამფიცებელს, ხალხის რწმენით, ღვთიური, არაამქვეყნიური სასჯელი ელოდა. მოცემულ შემთხვევაში, მიცვალებულის მონა-მოსამსახურულ გადაქცევა საიქიოში, რაც უდიდესი დამცირება და შეურაცხყოფა იყო ხევსურისათვის.

„მიცვალებულისადმი შეწირვას“ და ტყუილად „ყურის მოჭრას“ საფლავზე ერთი და იგივე მნიშვნელობა და შედეგი პქონდა: პირველ შემთხვევაში, სისხლის აღების ობიექტისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში – ეჭვმიტანილისთვის. ასე რომ, ტყუილად „ყურის მოჭრის“ შედეგი, ფაქტობრივად გაივივებულია სისხლის აღებისას „შეწირვის“ შედეგთან.

ეჭვმიტანილი თუ საფლავზე დაიფიცებდა, უფრო ზუსტად კი, „ყურის მოიჭრიდა“, იგი მართლდებოდა მიცვალებულის პატრონის თვალში და ამიტომ ეს უკანასკნელი მას ადარ უმტრობდა. მაგრამ თუ იგი, მიუხედავად ამისა, მაინც იქნებოდა მკვლელი, ე. ი. ტყუილად დაიფიცებდა, მიცვალებულის ნათესავებს არ ექნებოდათ შიში მიცვალებულისაგან შურისძიებისა და განსაცდელის მოვლინებისა, მათ მიერ სისხლის აუღებლობისათვის, რადგანაც მკვლელი საიქიოში მაინც გადაიქცეოდა მოკლულის მონა-მოსამსახურედ, რაც სრულიად საკმარისი იყო მისი სულის დაკმაყოფილებისათვის.

საინტერესოა, თუ საიდან წარმოსდგა სასამართლო მტკიცებულების სახელწოდება – „ყურის მოჭრა“. სათანადო რიტუალის ჩატარებისას ყურის ფაქტობრივი მოჭრა არ ხდება (და არც შეიძლება მოხდეს – ეს სასამართლო მტკიცებულებაა, რომელმაც უნდა განსაზღვროს ეჭვმიტანილი დამნაშავეა, თუ არა და შესაბამისი რიტუალი ვერ იქნება დაკავშირებული პიროვნების დასახიჩრებასთან). ხდება მხოლოდ ყურის ბიბილოს (ხევსურები მას „ცომას“ უწოდებენ – გ. დ.) ეკლიოთ გაკაწვრა და სისხლის საფლავზე დაწვეთება. ეს სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ ხევსურეთში უნდა ყოფილიყო ჩვეულება ფაქტობრივი ყურის მოჭრისა.

ზემოთ უკვე ითქვა (ბ. გაბურის მასალებიდან) ხევსურეთში გავრცელებულ ჩვეულებაზე, რომელიც ფაქტობრივად ყურის

მოჭრასთან იყო დაკავშირებული. სისხლის ამღები, როდესაც მკვლელს მოჰკლავდა და სათანადო ფრაზების „წარმოთქმით თავის ნათესავს „შეწირავდა“, თან ყურს მოსჭრიდა, რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სიმბოლური გამოხატულება იყო იმისა, რომ ვისაც ყური მოსჭრეს, იგი მის მიერ მოკლულის „ყურმოჭრილი“ მონა უნდა გამხდარიყო საიქიოში. როგორც ჩანს, ამ ჩვეულებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სასამართლო სისტემის განვითარების კვალობაზე, გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და გარკვეულწილად სასამართლო მტკიცებულებას მიესადაგა, მისი შემაღებული ელემენტი გახდა. ოღონდ აქ ყურის მოჭრა აღარ იყო და როგორც ვნახეთ, ყურის გაკაწვრადა ხდებოდა. თუმცა ყურის გაკაწვრას და სისხლის წვეთების საფლავზე დაწვეთებას იგივე სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ფაქტობრივ ყურის მოჭრას სისხლის აღებისას. ყურის გაკაწვრა სიმბოლური გამომხატველი იყო იმ სიტყვების შინაარსისა, რომელსაც მიცვალებულის პატრონი წარმოთქვამდა (ეს ფაქტობრივად, იგივე სიტყვებია, რასაც სისხლის ამღები წარმოთქვამდა ნათესავის მკვლელის ფაქტობრივი ყურის მოჭრის შეწირვისას). სახელწოდება „ყურის მოჭრა“, როგორც ჩანს სასამართლო მტკიცებულებამ მიიღო სწორედ იმ ჩვეულებისაგან, რომლის ტრანსფორმირების შედეგიც იყო და რომელიც ფაქტობრივ ყურის მოჭრასთან იყო დაკავშირებული.

ხევსურეთში შურისძიების აღტერნატივად კომპოზიციათა სისტემის დამკვიდრების შედეგად, სისხლის აღების ფაქტები, ბუნებრივია, შემცირდა, ხოლო სისხლის აღებისას ყურის მოჭრის და მოკლულის მიცვალებულისადმი შეწირვის ჩვეულება თანდათანობით დავიწყებას მიეცა, ხოლო „ყურის მოჭრა“, როგორც სასამართლო მტკიცებულება, რომელიც ასევე „მიცვალე-

ბულისადმი შეწირვის“ ელემენტს შეიცავს, დღესაც ცოცხალია ხევსურთა მეხსიერებაში და მას პრაქტიკული გამოყენებაც აქვს. „ყურის მოჭრაზე“, როგორც თანამედროვე მოვლენაზე, საუბარია XX საუკუნის მკვლევართა ნაშრომებში და ეთნოგრაფიულ მასალებში. ამ სასამართლო მტკიცებულებაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან რუსულან ხარაძე, ალექსი ოჩიაური და სხვა ეთნოგრაფები. ხოლო ცნობილმა იურისტმა მიხეილ კეკელიამ „ყურის მოჭრის“ ცოცხალი მაგალითები ჩვენი საუკუნის 70-80-იან წლებშიც კი დააფიქსირა საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგად.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის მასალებში მოყვანილი „ყურის მოჭრის“ რიტუალი ერთგვარად განსხვავდება 6. ხიზანაშვილის გასული საუკუნის ცნობებისაგან ამ მტკიცებულების შესახებ. ძირითადი განსხვავება ის არის, რომ XX საუკუნის ყველა მასალის მიხედვით, უჭვმიტანილი, მას შემდეგ, რაც ყურს გაიკაწრავს, წარმოთქვამს ფიცის სიტყვებს, რომელთა არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ იგი მართლაც მკვლელია, დაე მიცვალებულის ცოდვა აიღოს საიქიოში, ე. ი. ეს სასამართლო მტკიცებულება, „მიცვალებულის შეწირვასთან“ ერთად, რაც სიმბოლური „ყურის მოჭრით“ გამოიხატება, შეიცავს „ცოდვის მოკიდების“ ელემენტსაც.*

თუ რატომ არ გვხვდება 6. ხიზანაშვილის მასალაში ამ მტკიცებულებასთან დაკავშირებით „ცოდვის მოკიდების“ ელემენტი, დღეს ძნელი სათქმელია. ნაკლებად სარწმუნოა, რომ „ცოდვის მოკიდების“ „ყურის მოჭრასთან“ დაკავშირება და მათი ერთ სასა

* „ცოდვის მოკიდება“ ქართული სამართლის ისტორიაში კარგად ცნობილი სასამართლო მტკიცებულებაა. მას ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიც ვწვდებით, თუმცა ხევსურეთში იგი სხვაგვარად ტარდებოდა, ვიდრე ეს ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვითაა და მას მეტი მნიშვნელობაც ენიჭებოდა.

მართლო მტკიცებულებად ჩამოყალიბება XX საუკუნეში მომზღდარიყო. აღსანიშნავია, რომ 6. ხიზანაშვილის მასალაში საერთოდ არ ჩანს ის სიტყვები, რომელსაც წარმოთქვამს ეჭვმიტანილი საფლავზე შედგომისა და ყურის გაკაწვრის („ყურის მოჭრის“) შემდეგ. 6. ხიზანაშვილი თვითონ უწოდებს „ყურის მოჭრას“ დაფიცებას და აღნიშნავს, რომ ბრალდებულმა თავის ნათესავებთან ერთად უნდა დაიფიცოს, ხოლო რაში მდგომარეობს ფიცის სიტყვები, როგორც უკვე ვთქვით, მის მასალებში „ყურის მოჭრის“ რიტუალის აღწერისას არ გვხვდება. XX საუკუნის მასალებით სწორედ ამ სიტყვებშია გამოხატული „ცოდვის მოკიდების“ ელემენტი. აღბათ ეს მტკიცებულება გასულ საუკუნეშიც, 6. ხიზანაშვილის დროსაც შეიცავდა „ცოდვის მოკიდებას“. ეს, ჩემი აზრით, 6. ხიზანაშვილის მასალის გარკვეულ ნაკლოვანებაზე უნდა მეტყველებდეს.

ამრიგად, განსახილველ სასამართლო მტკიცებულებას აქვს ორი ელემენტი: „მიცვალებულისადმი შეწირვა“ („ყურის მოჭრის“ იმიტაციით გამოხატული) და „ცოდვის მოკიდება“. ამიტომაა, რომ XX საუკუნის ყველა ეთნოგრაფიულ მასალაში ორი სახელწოდება აქვს: „ყურის მოჭრა“ ანუ „საფლავზე შედგომით ცოდვის მოკიდება“. ეს ორივე ელემენტი ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული და ერთიან სასამართლო მტკიცებულებას ქმნიან. სასამართლო მტკიცებულება სრულყოფილი რომ იყოს, აუცილებელია ორივე ელემენტის თთქმის ერთდროული შესრულება ეჭვმიტანილის მიერ.

6. ხიზანაშვილის მასალასა და XX საუკუნის მასალებს შორის განსახილველი სასამართლო მტკიცებულების ჩატარების რიტუალთან დაკავშირებით სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიცაა. მაგრამ ჩვენ ამ სტატიაში მხოლოდ „მიცვალებულისადმი შეწირვას“ განვიხილავთ, როგორც აღნიშ-

ნული სასამართლო მტკიცებულების ელემენტს და, ძირითადად, ამ საკითხის ირგვლივ გვაქვს მსჯელობა.

შედარებითი იურისპრუდენციის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა, რომ ხევსურეთში გავრცელებული საფლავზე დაფიცების, ანუ „ყურის მოჭრის“ მსგავსი სასამართლო მტკიცებულება ცნობილი ყოფილა ოსეთშიც. ამის შესახებ მოგვითხოვთ ჯანტემირ შანაევი. მისი თქმით, ეს ფიცი ძალზე პოპულარული იყო ოსეთში და ამიტომ მას ხშირად მიმართავდნენ. იგი შემდეგნაირად ტარდებოდა: პიროვნება, რომელიც ეჭვმიტანილია მკლელობის ჩადენაში, ვალდებული იყო, მრავალრიცხოვანი ხალხის თანდასწრებით, მარტო ან თანამოფიცართა თანხლებით ცალი ხელი მოეკიდა მოკლულის საფლავის ძეგლისათვის და წარმოეთქვა შემდეგი სიტყვები: „მიცვალებულო! თუ მე რაიმეთი მონაწილეობა მივიღე შენს მკლელობაში, დაე, გავხდე შენი ცხენი იმ ქვეყანაზე, დაე, ავიღო შენი ცოდვები იმ ქვეყანაზე“. შემდეგ სამჯერ შემოუვლიდა ირგვლივ საფლავს. ამ ფიცის წარმოთქმისას დაზარალებულნი უწვდიდნენ მას შერიგების ხელს და იგი მართლდებოდა. ამ ფიცის ეწოდებოდა თვითშეწირვა – „კიუელდისრნ“. ხალხის რწმენით, დამფიცებლისათვის იგი დიდი სირცხვილი იყო, ამიტომ ბევრნი არ მიდიოდნენ ამ ფიცზე. ფიცი რომ უფრო სამძიმო გამხდარიყო, დამფიცებელს ყელზე ჩამოაცმევდნენ სისხლით სავსე ცხოველის ნაწლავს და როდესაც დამფიცებელი საფლავს უვლიდა, ხანჯლით ჩხელეტდნენ მას, რომ იქიდან სისხლი გამოსულიყო და სწორედ ამ დროს ათქმევინებდნენ ზემოთ მოყვანილ ფრაზას.¹³

ხევსურულ „ყურის მოჭრასთან“ მსგავსება აშკარაა. ამ ორივე მტკიცებულების გამოყ-

¹³ Дж. Шанаев, Присяга по обычному праву Осетин, „Сборник сведений о Кавказских горцах“, вып. VII, 1873, ст.16-17.

ენება, ძირითადად, ხდება მკვლელობის დროს. მკვლელობაში ეჭვმიტანილი, თანამოფიცრებთან ერთად, მიდის მოკლულის საფლავზე და იქ წარმოთქვაში ფიცს, რომლის დროსაც ორივეგან ადგილი აქვს „მოკლულისადმი შეწირვასაც“ (ოსეთში ეს გამოიხატება სიტყვებით: დაე, გავხდე შენი ცხენი იმ ქვეყანაში) და საიქოში მისი ცოდვების აღებასაც, ე. ი. „ცოდვის მოკიდებას“* ტყუილად დაფიცების შემთხვევაში. ხევსურეთში არსებული ფურის გაკაწვრის ნაცვლად, ოსეთში გვხვდება დამფიცებლისადმი ჩამოცმული სისხლიანი ნაწლავების ჩხვლეტა და იქიდან სისხლის გამოდინება. რ. ხარაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ოსეთში „მოფიცრის მიერ სისხლის გამოდების თავდაპირველი სახე, რომელსაც ხევსურულ მასალაში ვხვდებით, შეცვლილია უკვე სიმულაცით“¹⁴.

„მიცვალებულისადმი შეწირვა“ სასამართლო მტკიცებულების შემადგენელ ელემენტად გვევლინება თუშეთის ჩვეულებით სამართალშიც. ამის შესახებ ცნობებს ვხვდებით ივანე ცისკარიშვილთან და ალექსანდრე ხახანაშვილთან. მათი ცნობების მიხედვით, ბრალდებულს მიიყვანდნენ დასაფიცებლად მისი ახლობლის საფლავებთან, დააჩიქებდნენ მათ წინაშე და დამსწრენი უთითებდნენ მასზე და ჩასძახოდნენ მიცვალებულის სულებს: „ჩვენო წინაპარნო“ მოგვყავს რა თქვენთან სასამართლოში ეს კაცი, უფლებას გაძლევთ მოექცეთ მას, როგორც თქვენ გნებავთ, მიეცით იგი მსხვერპლად და მოსამსახურედ ვისაც გინდათ, თუ იგი არ იტყვის სიმართლეს“. ამის შემდეგ ბრალდებული დაიფიცებდა თავის გამართლების მიზნით.¹⁵

* ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ „ცოდვის მოკიდება“ არა მარტო საქართველოსათვის და ქართველი მთიელებისათვის იყო ცნობილი.

¹⁴ რ. რუხაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტ. I, 1947, გვ. 189.

15 И. Цискаров, Заметки о Тушетии, „Кавказ“, 1849, №11; А.С. Хаханов, Тушины, „Этнографическое обозрение“, 1889, №2.

ეს სასამართლო მტკიცებულება შეიძლება პირობითად გავყოთ ორ ნაწილად, პირველი, ფაქტობრივად, დამსწრეთა დაწყევლაა ბრალდებულისა, თუ იგი ტყუილად დაიფიცებს და მეორე – თვით ბრალდებულის ფიცი თავის მართლების მიზნით (მსგავს რამეს ვხვდებით ფშავში, სვანეთში).

სასამართლო მტკიცებულების პირველ ნაწილში შეიმჩნევა „მიცვალებულისადმი შეწირვის“ ელემენტი. დამსწრეთა სიტყვები: „მიეცით იგი (მსხვეველობაშია ბრალდებული – გ. დ.) მსხვერპლად და მოსამსახურედ ვისაც გინდათ, თუ იგი არ იტყვის სიმართლეს, მაჩვენებელია სწორედ იმისა, რომ თუ ბრალდებული ტყუილად დაიფიცებს, მაშინ იგი „შეწირული“ იქნება საიქიოში მიცვალებულისადმი და იქ რომელიმე მკვდრის მოსამსახურე გახდება“.

საინტერესო შემთხვევას ვხვდებით აჭარაშიც, რომელიც ჩვენი საუკუნის 80-იან წლების ბოლოსაა ჩაწერილი საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგად. აქ მკვლელს იმის დასამტკიცებლად, რომ მან მკვლელობა შემთხვევით ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა და არა განზრას, მას მოკლულის საფლავისთვის სამჯერ უნდა შემოვლო ირგვლივ. ამას აჭარაში „ყურბნად შემოვლება“ ეწოდებოდა. თუ იგი ამას გააკეთებდა, მოკლულის მხარე მას შეირიგებდა, თუ არა და მესისხლეობა გაგრძელდებოდა. არსი „ყურბნად შემოვლებისა“ კი იყო ის, რომ თუ მკვლელი ტყუილად შემოვლიდა საფლავს სამჯერ, ე. ი. თუ განზრას მოკლა, მაგრამ აცხადებს, რომ მოკლა შემთხვევით და მაინც უვლის საფლავს ირგვლივ, იგი ასეთ შემთხვევაში მიცვალებულს „შეწირებოდა“ საიქიოში, მას „ყურბნად“ გაუქდებოდა.¹⁶

ამრიგად, განზრას მკვლელობის ჩამდენი თუ „ყურბნად შემოვლებოდა“ მის მიერ

¹⁶ მ. ზობეგი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, გვ. 26-27.

მოკლულის საფლავს, ამას, ხალხის რწ-
მენით, იგივე შედეგი მოჰყვებოდა, რაც
ტყუილად საფლავზე დაფიცებას ოუშეთში
და ტყუილად „ყურის მოჭრას“ ხევსურეთ-
ში. ცხადია, რომ „ყურბნად შემოვლება“ ეს
მტკიცებულებაა, დამამტკიცებული საბუთია
იმისა, რომ მკვლელმა დანაშაული ჩაიდინა
არა განზრახ, არამედ შემთხვევით (ან
გაუფრთხილებლობით), ხოლო „მიცვალე-
ბულისადმი შეწირვა“ კი ამ მტკიცებულებ-
ის შემადგენელი ელემენტია.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ აჭარაში გავრ-
ცელებულ ჩვეულებაზე, რომლის მიხედვი-
თაც სისხლის ამღებს თავისი ნათესავის მკვ-
ლელი შესაძლოა არ მოეკლა. იგი მიიყვან-
და მას მოკლულის საფლავზე, შემოატარებდა
საფლავს გარშემო და შემდგომ მოჰყვეთდა
ყურს, რაც გამომხატველი იყო იმისა, რომ
მან მკვლელი მოკლულს „შესწირა“. ეს კი
დამთავრებულ სისხლის აღებად ითვლებო-
და. მსგავსება „ყურბნად შემოვლებას“,
როგორც მტკიცებულებას და ამ ჩვეულებას
შორის აშკარაა (რიტუალური თვალსაზრისი-
თაც და შინაარსითაც). ჩემი აზრით, სწორედ
ეს ჩვეულება მიესადაგა „ყურბნად შემოვ-
ლებას“, როგორც მტკიცებულებას, ისევე
როგორც ხევსურეთში სისხლის აღებისას
ყურის მოკვეთით „შეწირვის“ ჩვეულება
„ყურის მოჭრას“, როგორც სასამართლო მტ-
კიცებულებას. მაგრამ ყურის მოკვეთის იმი-
ტაციას, ვთქათ, ყურის გაკაწვრას, როგორც
ეს ხევსურეთშია, ან მსგავს რამეს, რაც
სიმბოლურად გამოხატავს „ყურმოჭრილს“
„მიცვალებულისადმი შეწირვას“, აჭარაში,
აღნიშნულ მტკიცებულებასთან დაკავშირე-
ბით, უკვე აღარ ვხვდებით.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ქართულ ჩვე-
ულებით სამართალში გავრცელებული ზოგი-

ერთი სასამართლო მტკიცებულება, რომელ-
იც თავის ელემენტად „მიცვალებულისად-
მი შეწირვას“ შეიცავს და შეგვიძლია გა-
ვაკეთოთ შეძლები დასკვნები:

1. სასამართლო მტკიცებულება, რომელიც
„მიცვალებულისადმი შეწირვას“ შეიცავს,
ფიცის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს
და გულისხმობის გარკვეული რიტუალის
(სიმბოლური მოქმედებების) შესრულებას და
წინასწარ დადგენილი ფრაზების წარმოთქ-
მას, რაშიცა სწორედ გამოხატული „მიცვალე-
ბულისადმი შეწირვის“ ელემენტები;

2. ამ სასამართლო მტკიცებულებებით
თავის მართლება ეკისრებოდათ პირებს
ისეთი დანაშაულობების ჩადენისას, რომ-
ლებიც თავისთავად იწვევენ სისხლის აღებას
(მაგ. მკვლელობისას);

3. აღნიშნული მტკიცებულებანი არის
სისხლის აღებასთან დაკავშირებული მკვ-
ლელის „მიცვალებულისადმი შეწირვის“
ჩვეულების მისაღაება სასამართლო მტკი-
ცებულებისადმი;

4. ამ სასამართლო მტკიცებულებებთან
დაკავშირებული რიტუალები (სიმბოლური
მოქმედებანი) და სათანადო ფრაზების წარ-
მოთქმა ხდება აუცილებლად საფლავზე;

5. ამ სასამართლო მტკიცებულებებში
გათვალისწინებული „მიცვალებულისადმი
შეწირვის“ შინაარსი გულისხმობს შეძლებს:
თუ ბრალდებული ტყუილად დაითვიცებს
საფლავზე (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ,
მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეა, მაინც
შეასრულებს განსაზღვრულ სიმბოლურ
მოქმედებებს და თუ საჭიროა წარმოთქ-
ვაშს ფიცის სიტყვებს), იგი „შეეწირება“
მიცვალებულს – გახდება მისი „ყურმოჭ-
რილი“ მონა საიქიოში, რაც უდიდესი დამ-
ცირება იქნებოდა მისთვის.

გიორგი დავითაშვილი,
თსუ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის
კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

აპოლონ გალანდია

ზოგიერთი პველგმრმნული ფის-ჩვეულება

დასავლეთ საქართველოში

Dველი ბერძნული მითის მიხედვით ორქომენის მეფის ათამანტის პირველი ცოლი იყო ნეფელი, ოომლისგანაც ჰყავდა ორი შვილი: ვაჟი — ფრიქსელა ქალი — ჰელე. ოოცა ნეფელი გარდაიცვალა, მეფემ მეორე ცოლად შეირთო ინო. ვერაგმა დედინაცვალმა შეიძულა გერები და გადაწყვიტა მათი თავიდან მოშორება.

ინომ მთესველებს მოხალული სათესლე მარცვლეული დაათესვინა. მიწათმოქმედთა შრომამ, ცხადია, ნაყოფი ვერ გამოიღო. მეფემ დელფოში, აპოლონის სამისნოში, ხალხი გაგზავნა, მოუსავლიანობის მიზეზების დასადეგნად. ისინი ინომ მოისყიდა და შეაგონა, დაბრუნებისას ეთქვათ, თითქოს ღმერთს განეცხადებინოს, რომ საჭიროა ნეფელებს შვილების მსხვერპლად შეწირვა. მხოლოდ ამ გზით შეძლებდნენ ორქომენელები თავის დაღწევას შემშილისაგან.

ათამანტმა დაიჯერა ეს მონაჩინი და გადაწყვიტა ფრიქსე და ჰელე მსხვერპლად შეეწირა. ზევსმა შეიბრალა ისინი, ოქროსმატყლიანი ვერძის მეშვეობით ჰაერში აიყვანა და გააქცია. ფრენისას ჰელემ თავის შემაგრება ვერ შეძლო და წყალში ჩავარდა. სწორედ იმ ღროიდან ჰელია იმ ად-

გილს ჰელესპონტის (დღევანდელი ღარდანელის) სრუტე.

ფრიქსემ კი მშვიდობით ჩააღწია კოლხეთის ქვეყანაში, სადაც მეფობდა მზის ღმერთის ჰელიოსის შვილი აიტი. ამ უკანასკნელმა დიდი სიყვარულით მიიღო ფრიქსე და მას ცოლად მისცა თავისი ასული ქალკიოპე. კოლხეთში ჩასული ფრიქსე ოქროსმატყლიან ვერძის მსხვერპლად სწირავს ზევსს. ფრიქსე სამშობლოში არ დაბრუნებულა, იგი კოლხეთში გარდაიცვალა.

იგივე მითის თანახმად თესალიის მეფე ჰელიას უწინასწარმეტყველეს, მორიდებოდა ცალწალიან კაცს. ერთხელ, ოოცა პოსიდონს მსხვერპლშეწირვას უმართავდნენ, ამ რიტუალზე დასასწრებად მეფემ, სხვებთან ერთად, იაზონიც მიიწვია. მან სიამოვნებით მიიღო მიწვევა და სასწრაფოდ გაეშურა სამსხვერპლო დღეობაზე. ოოცა მდინარე ანავაროსზე გადადიოდა, ცალი წალი წყალში დაკარგა. ჰელიას იაზონის დანახვისთანავე გაახსენდა ნაწინასწარმეტყველევი და უბრძანა მას კოლხეთში წასულიყო, რათა იქიდან ჩამოეტანა ოქროს საწმისი, რომელიც ზევსისადმი იყო შეწირული, ინახებოდა არესის ჭალაში და მას

იცავდა დრაკონი, რომელსაც არც დღე ეძინა და არც ღამე.

ძველი ბერძნული მწერლობის ისტორიაში იშვიათად მოიძებნება ავტორი, რომელსაც მოცემულ საკითხზე არ გაემახვილებინოს ყურადღება, ხოლო არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის თემა ძვ.წ. III საუკუნის უდიდესი ალექსანდრიელი პოეტის აპოლონიოს როდოსელის პოეზიის შთაგონების წყარო გახდა.

ჩვენ ვერ შევუდგებით არგონავტების შესახებ მითოლოგიაში დაცული ცნობების დეტალურად შესწავლას. ჩვენი მიზანია ძვ. წ. V საუკუნის უდიდესი ძველბერძნენი პოეტის პინდარეს სქოლიონების ავტორთან დაცული ერთი ცნობის განხილვა. იგი ეხება ისეთ ტრადიციას, რომელსაც ქართველი ხალხის ყოფაში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ჩვენი საუკუნის 70-იან წლებამდე.

პინდარეს სქოლიონების ავტორი კოლხეთში არგონავტების მოგზაურობას არ უარყოფს, პირიქით, იგი ეთანხმება იმ აზრს, რომ არგონავტთა ძირითადი მისია კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამოტანა იყო. ეს ცნობა ჩვენთვის, როგორც ზემოთ ითქვა, ამჟამად ნაკლებად საინტერესოა.

ჩვენთვის საყურადღებოა დასახელებული ავტორის ის ცნობა, სადაც, კოლხეთიდან ფრიქსეს სულის გამოწვევაზე საუბარი: „...იაზონს უბრძანეს, ტყავთან ერთად ფრიქსეს სულიც გამოიწვიოს აიადან. ვითომც ამის გამო საიქიოს ღვთაებები სწყრებიან“!¹ მოცემული ცნობიდან ჩანს, რომ ტრადიციის დამრღვევი საიქიოს ღმერთების წყრომას დაიმსახურებდა.

¹ აკ. ურუშაძე – ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964, გვ. 219.

იგივე ავტორი თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად მეფე პელიას ათქმევინებს: „როცა ფრიქსე კოლხეთში მოკვდა, სიზმარში მიბრძანა, მე მოვედი აიეტის სასახლეში და გამოვიწვიე მისი სული თესალიაში.“²

სადღეისოდ, მნელი გასარკვევია მოცემული ცნობის შედგენის დროს, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ტექსტის ავტორი. თუ იგი ხალხში გავრცელებულ ტრადიციას ეყრდნობოდა, მაშინ ამგვარ ცნობებს რატომ არ ვხვდებით სხვა ავტორებთან? მით უმეტეს, რომ პინდარეს სქოლიონების ავტორი დაბეჭითებით ამბობს: ძველ საბერძნეთში „ჩვეულება იყო, როცა ვინმე უცხო მხარეში მოკვდებოდა, თუ სხეული არა, სული მაინც გამოეწვიათ ზოგიერთი წმინდა საიდუმლოებების აღსრულების გზით და ვითარცა იგი ხომალდზე მყოფი სამშობლოში გადმოეყვანათ.“³

ტექსტის ავტორი ზოგადი ინფორმაციით შემოიფარგლა. მისი აზრით, რაღაც რიტუალის ჩატარება ყოფილა აუცილებელი, მაგრამ, თუ რა წესი უნდა აღსრულებინათ, ამის შესახებ კონკრეტულ ცნობას არ იძლევა: „ზოგიერთი წმინდა საიდუმლოებების აღსრულების გზით“ ეტყობა ეს რიტუალი საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა და ამიტომაც პინდარეს სქოლიონების ავტორმა მისი დაკონკრეტება საჭიროდ არ მიიჩნია.

მოცემული ცნობის შინაარსის ნაწილობრივ აღდგენა შესაძლებელია იმ ეთნოგრაფიული მონაცემებით, რომლებიც

² იქვე, გვ. 220.

³ აკ. ურუშაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 220.

ჩვენი საუკუნის 70-იან წლებამდე არსებობდა სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ძნელი სათქმელია სულის გამოწვევის ტრადიცია საკუთრივ ბერძნული სამყაროს პირმშოა, თუ სხვა ძველაღმოსავლელ ხალხთა გავლენით ჰქონდათ ბერძნებს შეთვისებული. ჩემი ვარაუდით, საკუთრივ ბერძნული არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ეროვნული ზნე-ჩვეულება ყველაზე თანაბრად უნდა გავრცელდეს. მოცემულ სიტუაციაში კი მიცვალებულის სულის გამოწვევის ტრადიცია მხოლოდ ფრიქსეზე გავრცელდა, ჰელეს სულის გამოწვევაზე კი არავის არ უზრუნვია. ეროვნული ზნე-ჩვეულება კი ამას არ დაუშვებდა. მართალია, ფრიქსეზე „ზრუნვა“ ცალწალიანი იაზონის თავიდან მოსაშორებლად იყო მომიზეზებული, მაგრამ ჩემი აზრით, თუ ეროვნულ ტრადიციასთან გვექნებოდა საქმე, ჰელეს სულის გამოსაწვევადაც რაღაცას მოიფიქრებდა ტექსტის ავტორი. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული წეს-ჩვეულება კოლხეთში ბერძნული სამყაროდან შემოვიდა და მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ამიტომ ეს ჩვეულება წმინდა ბერძნული იყო თუ სხვა ხალხებისაგან ნასესხები, კოლხებს ბერძნულად უნდა აღექვათ.

სამეგრელოსა და აფხაზეთში ტრადიციის მიხედვით, თუ ადამიანი თავის სახლს გარეთ გარდაიცვლებოდა (საავადმყოფო-ში, ტრაგიკულად და ა.შ.), სიკვდილის ადგილზე ძაფს გამოაბამდნენ და სახლამდე გამოჭიმავდნენ. რწმენის მიხედვით, მიცვალებულის სული ამ ძაფს გამოყებოდა და ოჯახში დაისადგურებდა. რიტუალის შესასრულებლად მხოლოდ თეთრი

ფერის ძაფი გამოიყენებოდა. სხვა ფერი ამ საქმისათვის დაუშვებლად ითვლებოდა.

საინტერესოა წყალში დამხრჩვალის სულის გამოწვევის წესი. ტრადიციის მიხედვით, წყლიდან სულის „ამოყვანა“ დამატებითი რიტუალის ჩატარებას მოითხოვდა. მიცვალებულის სულის სანაცვლოდ, დახრჩობის ადგილზე მხოლოდ თეთრ (და არავითარ შემთხვევაში სხვა ფერის) თიკანს „დაახრჩობდნენ“, ე.ი. წყალს გაატანდნენ. მხვერპლშეწირვის შედეგად წყალი „გაათავისუფლებდა“ სულს და მხოლოდ ამის შემდეგ იყო ძაფის მეშვეობით აღნიშნული რიტუალის ჩატარება შესაძლებელი, ნებადართული.

სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ისმება საკითხი: თუ რა სახის რეაგირება მოჰყვებოდა ხსენებული ტრადიციის დარღვევას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისთვის არავითარი ადმინისტრაციული ხასიათის სასჯელი არ იყო დაწესებული. რიტუალის ჩატარება მხოლოდ ჭირისუფლის დასამშვიდებლად იყო აუცილებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ პინდარეს სქოლიონების ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს: რიტუალის შეუსრულებლობისათვის ღმერთები სწყრებიანო. გამოდის, რომ ამ ტრადიციის იგნორირება ღვთის ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა და რომელი ადმინისტრაციული სახის სასჯელი შეედრებოდა უზენაესის წყრომას!

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ხანის კოლხეთში კანონთა დაწერილი ნორმები არ არსებოდა (ყველა შემთხვევაში ჯერ-ჯერობით ჩვენამდე არ მოუღწევია), მაგრამ არსებოდა ე.წ. დაუწერელი კანონები, რომელთა დაცვა ყველასათვის აუცი-

ლებელი პირობა უნდა ყოფილიყო და მათი ხელყოფის უფლება არავის არ ჰქონდა.

მიცვალებულის სულის გამოწვევის ტრადიცია სწორედ ის დაუწერელი კანონი იყო, რომლის დარღვევა რელიგიურ ღოგ-მას ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც ხალხი ცდილობდა რიტუალი შეესრულებინა მკაცრად დადგენილი წესების დაცვით. ყოველივე ეს იძლეოდა გარანტიას, რომ მიცვალებულის სული თავის ოჯახში და-ბინავდებოდა.

აღნიშნულმა ტრადიციამ მზეკიცედ მოიკიდა ფეხის სამეცნიელოსა და აფხაზეთის იმ ნაწილებში, სადაც ქრისტიანი მოსახლეობა ცხოვრობს და აგრეთვე, სვანეთშიც. აჭარაში საერთოდ არ გვხვდება ამ ადათის დაცვის აუცილებლობა. ეტყობა ეს უძველესი ტრადიცია ქრისტიანობას შეეთვისა, ხოლო ისლამისათვის მიუღებელი გამოდგა.

პინდარეს სქოლიონების ავტორის ცნობა-ზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მიცვალებულის სულის გამოწვევის ტრადიცია კოლხეთში შემოვიდა ძვ.წ.-აღ. XIII საუკუნეში, არგონავტების მოგზაურობის დროიდან. ასე რომ, აღნიშნული ტრადიციის არსებობა ოცდაცამეტ საუკუ-

ნეს მოითვლის. აქამდე გამომდინარე, წსენებ-ულ რიტუალს არ შეიძლებოდა კანონთა დაუწერელი ნორმის სახე არ მიეღო.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია
დავასკვნათ შემდეგი:

1. ანტიკურ სამყაროში დამკვიდრებული ჩვეულება, მიცვალებულის სულის გამოწვევასთან დაკავშირებით, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფეხს იკიდებს არგონავტების მოგზაურობის დროიდან;

2. პინდარეს სქოლიონების ავტორთან
დაცული ცნობა მიცვალებულის სულის
გამოწვევის შესახებ ერთადერთია, რომელ-
იც სამეგრელოსა და აფხაზეთში მიცვალე-
ბულის სულის ძაფით გამოწვევის ტრადი-
ციას შორეულ წარსულში ეხმაურება;

3. აღნიშნული ტრადიციის საუკუნეთა
მანძილზე არსებობამ დაუწერელი კანო-
ნის ნორმის სახე მიიღო. ხსენებული რიტ-
უალის შესრულება მყაცრად განსაზღვრულ
წესებთან იყო დაკავშირებული;

4. მიცვალებულის სულის გამოწვევის წეს-ჩვეულება დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანაში შემოვიდა, ადვილად შეეთვისა ქრისტიანობას და სავარაუდოა, განსხვავებული ფორმებით, სამ ათასწლეულზე მეტხანს იარსება.



ადამიანის უფლებების ქვეყნის სასამართლო

გადაწყვეტილება საქმეზ კირაკლარი თურქეთის შინააღმდეგ

სტრანდურგი, 1998 წლის 28 ოქტომბერი,
კალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება

I. დავის საგანი:

შემოიზლუდება კომისიის მიერ მისაღებად გამოცხადებული მოთხოვნებით.

II. მთავრობის მხრიდან წინასწარი პასუხი.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პირდაპირი უფლება მოსაჩივრეს არ აქვს – შიგასახელმწიფოებრივი დაცვის სამუალებები შესაბამისად ამოწურულია.

დასკვნა: პასუხი არ იქნება გაზიარებული.

III. კონვენციის მე-6 მუხლი.

A) სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

მოქალაქე, რომელსაც ბრალად ედება თურქეთის ტერიტორიული ან სახელმწიფოებრივი მთლიანობის, დემოკრატიული წესწყობილების, თუ სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, გასამართლდება სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მიერ. სასამართლო კოლეგია შედგება სამი მოსამართლისაგან, რომელთა შორის ერთი სამხედრო მოსამართლეა.

სამხედრო მოსამართლის სტატუსი: – შეიცავს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გარკვეულ გარანტიებს, რაც მას სამოქალაქო მოსამართლის სტატუსთან აახლოებს. მაგრამ, ამავე დროს, სამხედრო

მოსამართლეები მიეკუთვნებიან არმიას, მათ ნიშნავს არმია ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად და ისინი ექვემდებარებიან სამხედრო დისციპლინას.

მოსაჩივრები სამართლიანად ივარაუდა, რომ სასამართლო, რომელიც თავის შემადგენლობაში შეიცავდა სამხედრო მოსამართლეს, შეიძლებოდა მოქცეულიყო საქმესთან კავშირის არმქონე გარემოებების გავლენის ქვეშ.

დასკვნა: დარღვევა დაფიქსირდა (7 ხმით ორის წინააღმდეგ).

B) სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს უარი მოწმის ჩვენების მოსმენაზე.

გათვალისწინა რა მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ სასამართლოზე მოსაჩივრის უფლების დარღვევის დაფიქსირება, სასამართლომ არასაჭიროდ ჩათვალა საჩივრის განხილვა ამ ნაწილში (ერთსულოვნად).

IV. კონვენციის 50-ე მუხლი.

მატერიალური ზიანი: მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა (ერთსულოვნად).

მორალური ზიანი: თვით გადაწყვეტილება საკმარისია (ერთსულოვნად).

საქმეში კირაკლარი თურქეთის წინააღმდეგ.

საქმე განიხილა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კონვენციის 43-ე მუხლისა და A²-ე რეგლამენტის სათანადო მუხლების შესაბამისად შემდეგი შემადგენლობით:

თორ ვილამსონი – თავმჯდომარე; ფ. გოგლუკლუ; კ. რუსო; 6. ვალტიკოსი; მ.ა. ლოპეს როშა; უ. მაკარკციკი; ტ. პანტირუ; ვ. ბუტკევიჩი; ვ. ტუმანოვი; მდივნის პ. პეტროლდის, მდივნის მოადგილის პ.უ. მაჟონის მონაწილეობით.

პროცედურა

საქმე გადაეცა სასამართლოს კომისიისაგან 1997 წლის 10 ივლისს კონვენციის 32-ე და 47-ე მუხლებით გათვალისწინებულ 3 თვის ვადაში. საქმის სათავეში საჩივარი მიმართული თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც კომისიას გადაეცა მოსაჩივრე – თურქეთის მოქალაქისაგან, 1991 წლის 28 ნოემბერს, კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად.

პალატის თავმჯდომარემ (რეგლამენტის მუხლი 21ს ნ-ის შესაბამისად) მდივნის მეშვეობით აუწყა მხარეებს: –თურქეთის წარმომადგენელს, მოსაჩივრის ადვოკატს, ასევე კომისიის წარმომადგენელს მადამ პიონს, პროცესის ორგანიზაციის შესახებ. მდივანმა მიიღო წერილობითი მოხსენებები შესაბამისად (მოსაჩივრისა და თურქეთის ხელისუფლების მხრიდან) 1998 წლის 30 აპრილს და 1998 წლის 1 მაისს. 1998 წლის 19 ივნისს კომისიის წარმომადგენელმა აუწყა მდივანს, რომ მას არ ჰქონდა შენიშვნები.

1998 წლის 22 მაისს მდივანმა მიიღო მოსაჩივრის და თურქეთის ხელისუფლების დამატებითი შენიშვნები ერთობლივის მოხსენებებზე.

საქმის გარემოებები

A. საქმის კონტექსტი.

მოსაჩივრე, თურქეთის მოქალაქე, დაბადებული 1966 წელს, ცხოვრობს იზმირში. ფაქტების მსვლელობისას იგი იყო ეჯენს უნივერსიტეტის სტუდენტი.

1990 წლის 16 მარტს სტუდენტების ჯგუფმა ნებართვის გარეშე მოაწყო მანიფესტაცია უნივერსიტეტის შენობების წინ 1978 წელს დაღუპული სტამბულის უნივერსიტეტის 7 სტუდენტის და 1988 წელს ჩრდილოეთ ერაყში დაღუპული ქურთების ხსოვნის აღსანიშნავად. პოლიციამ აქტიური ჩარევით გაფანტა სტუდენტების ჯგუფი და დააპატიმრა მოსაჩივრე და მასთან ერთად რამდენიმე მანიფესტანტი.

B. პროცესი მიმართული მოსაჩივრის წინააღმდეგ.

1. საქმის წარმოება უშიშროების სასამართლოში.

1990 წლის 20 მარტს ბ-ნი კირაკლარი და მისი თანამონაწილე პირები წარუდგინეს იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს არასანქირებული მანიფესტაციის მოწყობის, წესრიგის დამცველთათვის წინააღმდეგობის გაწევისა და სეპარატისტული პროპაგანდის გავრცელების ბრალდებით.

უშიშროების სასამართლოში წარმოდგენილმა მოსაჩივრემ უარყო პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ფაქტები, ეჭვებეშ დაყენა სასამართლოს მიუკერძოებლობა მისი შემადგენლობის გამო და გამოთქვა პროტესტი, რომ მისი დაპატიმრება იყო სიტყვის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლების უფლების დარღვევა.

დაეყრდნო რა მოსაჩივრის დაპატიმრებაში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს, ასევე ყოველდღიურ უურნალში გამოვეყენებულ ფოტოებს და ვიდეო–ჩანაწერებს, სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ მოსაჩივრე მონაწილეობდა აღნიშნულ მანიფესტაციაში, მან წინააღმდეგობა გაუწია წესრიგის დამცველ ძალებს და დაუშინამათ ქები. ვიდეო–ჩანაწერზე დაყრდნობით სასამართლომ დადასტურებულად ცნო ის ფაქტი, რომ წესრიგის დამცველებმა წინაწარ გააფრთხილეს მანიფესტანტები და მათ უბრძანეს დაშლილიყვნენ.

სასამართლომ ჩათვალა, რომ კირაკლარის მეობრების განცხადებები, რომელთა მიხედვითაც მოსაჩივრე აღნიშნული ინციდენტის უბრალო მაურებლად გვევლინებოდა, ვერ მიიჩნეოდა უტყუარად, ვინაიდან მათ მიხედვით პოლიციამ კირაკლარი და მისი მეობრები დააპატიმრეს 11³⁰ წუთსა და 12⁰⁰-ს შორის, მაშინ როცა მანიფესტაციის საწყის დროიდ დადგინდა 12¹⁵. გარდა ამისა, სასამართლომ არ დაკამაყოვილა შუადგომლობა დაუკითხა დაცვის მოწმე შ. დ. ვინაიდან ეს უკანასკნელი თვითონ იყო განსაჯელი ამ საქმეზე.

1990 წლის 28 დეკემბრის განაჩენით, სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ ორი სამოქალაქო მოსამართლის და პოლკოვნიკის წოდების მქონე ერთი სამხედრო მოსამართლის შემადგენლობით მოქალაქე კირაკლარი დამნაშავედ ცნო – №2911 კანონის დარღვევაში, რაც გამოიჩატა არასანქცირებულ მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღებაში და წესრიგის დამცველთათვის უხეში წინააღმდეგობის გაწევაში და მოუსაჯა მას 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2. საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში.

15 თებერვალს მოსაჩივრემ საქმე გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში. თავის საჩივრაში იგი მიუთითებდა მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაზე და არასწორ კვალიფიკაციაზე. გარდა ამისა, იგი ამტკიცებდა, რომ მისი მსჯავრდება იყო კონვენციის მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევა.

1992 წლის 28 მაისის განჩინებით საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა განაჩენი.

II. შესაბამისი შიგასახელმწიფოებრივი სამართლი.

თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 138-ე მუხლით: „მოსამართლე, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია. მას საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვს საკუთარი რწმენით, კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

არც ერთ ორგანოს, ხელისუფლების წარ-

მომადგენელს, ან ინდივიდს არ აქვს უფლება მოსამართლეს ან სასამართლოს, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, მისცეს განკარგულებანი, ინსტრუქციები, ან რეკომენდაციები”.

სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების შესახებ №2895-ე კანონით:

მუხლი 1.

პროვინციების მთავარ ქალაქებში იქმნება სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ დანაშაულებს მიმართულს სახელმწიფოს მთლიანობის – მათ შორის ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის, დემოკრატიული წესწყობილების, საგარეო თუ საშინაო წესრიგის წინააღმდეგ.

მუხლი 3.

სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები შედგება თავმჯდომარის და ორი წევრისაგან. ყოველ უშიშროების სასამართლოში არის აგრეთვე ორი სათადარიგო წევრი.

მუხლი 5.

სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს თავმჯდომარე, ერთი მუდმივი და ერთი სათადარიგო წევრი ინიშნება სამოქალაქო მოსამართლეებიდან, დანარჩენი ორი მოსამართლე, ანუ ერთი მუდმივი და ერთი სათადარიგო, ინიშნება პირველი თანრიგის სამხედრო მოსამართლეებიდან.

მუხლი 6.

სამხედრო მოსამართლეთა რიგიდან სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს წევრების დანიშვნა მოხდება სპეციალური კანონის მიხედვით.

მუხლი 34.

სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს წევრი სამხედრო მოსამართლეების დანიშვნას, მათ უფლება-მოვალეობებს, მათ წინააღმდეგ დისციპლინარული წარმოების, თუ სისხლის სამართლის საქმის აღმდევრას განსაზღვრავს სპეციალური კანონი „სამხედრო პირების შესახებ”.

სასამართლოს ასევე განიხილა კონი №357 „სამხედრო მოსამართლეების შესახებ”.

სასამართლომ ასევე განიხილა თურქეთის სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლი, რომელიც ამბობს:

„სამხედრო სასამართლოების საქმიანობაში ჩარცება და მათზე რაიმე გავლენის მოხდენა, ჩადენილი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე”.

საქმის წარმოება კომისიის წინაშე

ბ-მა კირაკლარმა საჩივარი შეიტანა კომისიაში 1991 წლის 28 ნოემბერს, იგი ამტკიცებდა, რომ დანაშაულის ნიშნების მადასტურებელი არასაკმარისი ნიშნების არსებობისას, მისი დაპატიმრება არღვევდა კონვენციის 5§1 (გ) მუხლის მოთხოვნებს, მისი პატიმრობისას მასზე გამოყენებული მოპყრობის ფორმები იყო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. იგი დაკავებისას „მაშინვე” არ წარადგინეს მოსამართლის წინაშე, რითაც დაირღვა კონვენციის 5§(3) მუხლი, რომ კონვენციის მე-5§(4) მუხლის დარღვევით მას საშუალება არ მისცეს გაესაჩივრება მისი დაპატიმრების კანონიერება სასამართლოში, უშიშროების სასამართლოს შემადგენლობა არ ქმნიდა მისი დამოუკიდებლობის გარანტიას, რითაც დაირღვა კონვენციის 6§(1) მუხლი, ასევე, მისი მტკიცებით, დაირღვა კონვენციის 6§(3) „გ“ და „დ“ მუხლები, რადგან მან ვერ ისარგებლა ადვოკატის დახმარებით მისი დაკავების განმავლობაში და სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ უარი განაცხადა დაცვის მოწმის მოსმენაზე. და ბოლოს, მისი მტკიცებით, დაირღვა კონვენციის მე-9, მე-10 და მე-11-ე მუხლები, ვინაიდან იგი დასაჯეს რეპრესირებული ჩრდილოეთ ერაყელი ქურთების მხარდაჭერ საპროტესტო მანიფესტაციაში მონაწილეობისათვის.

1995 წლის 19 იანვარს კომისიამ საჩივარი მისაღებად გამოაცხადა იმ ნაწილში,

რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მიუკერძოებლობას და სამართლიან სასამართლო პროცესს. 1997 წლის 20 მაისს მან განიხილა საჩივარი კონვენციის მე-6§1 მუხლის თვალსაზრისით და 30 ხმით 2-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის ეს ნორმა.

სასამართლოსთვის წარდგენილი მოსაზრებანი

თავის საჩივარში მოსაჩივრებ სასამართლოს მოსთხოვა ემსჯელა კონვენციის მე-6§1, მე-6§3 (დ), ასევე მე-3 და მე-5 მუხლების დარღვევასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება თურქეთის ხელისუფლებას, მან სასამართლოს მოსთხოვა დაედასტურებინა, რომ 1) მოსაჩივრეს შიგასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები არ ამოუწურავს და 2) კონვენციის ზემოხენებული მუხლები არ დარღვეულა.

სამართლებრივად:

I. დავის საგნის შესახებ

ბ-ნი კირაკლარი სთხოვს სასამართლოს საქმე განიხილოს კონვენციის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლების კუთხით. კომისიამ, კი, მისაღებად ჩათვალა მხოლოდ კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნები. ასე რომ, სასამართლოში დავის საგანი შემოიზღუდა კომისიის გადაწყვეტილებით საჩივრის მისაღებობის შესახებ და სასამართლომ საქმე განიხილა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის თვალსაზრისით.

II. ხელისუფლების წინასწარი პასუხის შესახებ

როგორც კომისიის, ასევე სასამართლოს წინაშე თურქეთის ხელისუფლებამ დაიცავა ის მოსაზრება, რომ ვინაიდან მსჯავრდებულს არ შეუტანია საჩივარი გენერალურ პროკურორთან საკასაციო სასამართლოს 1991 წლის 28 მაისს განჩინების გადასასინჯად, უფლებების დაცვის შიგასახელმწიფოებრივი საშუალებები ამოწურულად ვერ ჩათვლებოდა.

კომისიის წინაშე მოსაჩივრებ მიუთითა

ამ პროცედურის არაეფექტიანობაზე. გადაწყვეტილებაში საჩივრის მისაღებობის შესახებ, კომისიამ არ გაიზიარა ხელისუფლების ეს არგუმენტი იმ მოტივით, რომ ზემოთ აღნიშნული საჩივარი არ იყო მოსაჩივრისათვის ხელმისაწვდომი დაცვის პირდაპირი საშუალება.

იგივე დასკვნამდე მივიდა სასამართლოც: მხარეებს მართლაც არ შეუძლიათ საჩივრით პირდაპირ მიმართონ საკასაციო სასამართლოს, საჭიროა ასეთი მოთხოვნა წარედგინოს გენერალურ პროკურორს, რომელიც თუ ამას საჭიროდ ჩათვლის, საჩივრით შევა მაღალი ინსტანციის სასამართლოში. ასე რომ, ხელისუფლების მოსაზრება არ იქნა გაზიარებული.

III.კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის შესახებ

მოსაჩივრე ამტკიცებს, რომ იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლო არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და აღნიშნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა, დაკითხა მისი მეგობარი დაცვის მოწმედ. მას მოჰყავს კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილები:

1. ყველას აქვს უფლება, რომ მისი საქმე განხილული იყოს სამართლიანად, (.....) დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ;

3. „ბრალდებულს აქვს უფლება“ (.....)
(...)

დ). მოითხოვოს დაცვის მოწმეების მოწვევა და დაკითხვა, იმავე პირობებში, რომელშიც ბრალდების მოწმეებისა.

A. იზმირის უშიშროების სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ.

1. მონაწილეთა მტკიცებანი.

მოსაჩივრის მიხედვით, იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლო ვერ იქნებოდა „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი“, ვინაიდან მასში შემავალი სამი წევრი-

დან ერთი იყო სამხედრო მოსამართლე.

ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ სამხედრო მოსამართლეების დანიშვნა სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს შემადგენლობაში, ასევე ის გარანტიები, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ უფლებამოსილების განხორციელებისას, სავსებით შეესაბამებოდა სასამართლოსთვის დადგენილ წინაპირობებს.

აღნიშნულ მოსამართლეთა პასუხისმგებლობა სამხედრო ხელმძღვანელობის წინაშე, ასევე მათი პროფესიული ატესტაციის რეჟიმი მათ დამოუკიდებლობას არ ხელყოფდა. მათი, როგორც ოფიცრებისათვის დაკისრებული ვალდებულებანი შემოიფარგლებოდა სამხედრო დისციპლინისა და სამხედრო ეთიკის დაცვით.

იერარქიულად ზემდგომ სამხედრო პირთა მხრიდან ზეწოლისაგან ისინი დაცული იყვნენ სისხლის სამართლის კოდექსით. რაც შეეხება მათი პროფესიული ატესტაციის რეჟიმს, იგი გამოიყენებოდა მხოლოდ მათი არასასამართლო ფუნქციების მიმართ და ყველა შემთხვევაში შეეძლოთ შედეგების გასაჩივრება მაღალ ადმინისტრაციულ სამხედრო სასამართლოში.

უფრო მეტიც, მოცემულ შემთხვევაში, არც სამხედრო მოსამართლეებზე იერარქიულად ზემდგომი ოფიცრების, არც საჯარო ხელისუფლების მხრიდან არ დადასტურდა რამე ფორმით ზემოქმედება საქმის მსვლელობაზე.

კომისიის აზრით, უშიშროების სასამართლოს შემადგენლობაში სამხედრო მოსამართლეთა დანიშვნისა და მათი ატესტაციის სამართლებრივი რეჟიმი სვამდა გარკვეულ შემთხვევებს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. სამხედრო მოსამართლის მონაწილეობა ჩვეულებრივი მოქალაქის მიმართ აღძრულ საქმეში მოწმობდა პროცესის განსაკუთრებულ ხასიათს და შეძლებოდა მიჩნეულიყო, როგორც შეიარაღებული ძალების ჩარევა სამოქალაქი

მართლმსაჯულების სფეროში. აქედან გამომდინარე, მოსაჩივრის ეჭვი სასამართლოს მიუკრძოებლობის მიმართ იყო ობიექტურად გამართლებული და ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-651 მუხლის დარღვევას.

სასამართლოს შეფასება

სასამართლომ გაზიარა კომისიის მოსაზრება და ჩათვალა, რომ სასამართლოს შემადგენლობაში სამხედრო მოსამართლის ყოფნის გამო სასამართლოზე გავლენა შეიძლება მოეხდინათ საქმისთვის უცხო გარემოებებს.

კონვენციის მე-651 მუხლის დარღვევა დაფიქსირებულია.

B. უშიშროების სასამართლოს მხრივ დაცვის მოწმის ჩვენების მოსმენაზე უარის თქმის შესახებ.

მოსაჩივრეს მიაჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-653 მუხლი, ვინაიდან სასამართლომ უარი თქვა დაცვის მოწმის დაკითხვაზე იმ მოტივით, რომ იგი იყო იყო განსასჯელი იმავე საქმეზე.

თურქეთის ხელისუფლებას აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამს.

კომისიის მოსაზრებით, „სასამართლოს, რომლის მიუკრძოებლობა და დამოუკიდებლობაც უზრუნველყოფილი არ არის, ვერ შექმნის სამართლიანი პროცესის ჩატარების გარანტიას”.

სასამართლომ, მე-6-მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევის დაფიქსირებიდან გამომდინარე, არასაჭიროდ ჩათვალა საჩივრის განხილვა ამ ნაწილში.

IV. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენების შესახებ.

კონვენციის 50-ე მუხლით:

„თუ სასამართლო გადაწყვეტილებებით, შეგასახელმწიფოებრივი სასამართლოს ან სხვა სახელმწიფოს ორგანოს მიერ მიღებული ზომა ან გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ ეწინააღმდეგება სახელმწიფო კონვენციურ ვალდებულებებს და

სახელმწიფო შიდა სამართალი შედეგების მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორების საშუალებას იძლევა, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებებით მიაგებს მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.”

მოსაჩივრე მოითხოვს თურქეთის ხელისუფლებისაგან მატერიალური ზიანის ანაზღაურებას 262000 ფრანგული ფრანკის ოდენობით და მორალური ზიანის ანაზღაურებას 500000 ფრანგული ფრანკის ოდენობით.

თურქეთის მხარე სთხოვს სასამართლოს უკუაგდოს ეს მოთხოვნა.

ვინაიდან მოსაჩივრე მხარეს არ დაუზუსტება, თუ რა სახის მატერიალური ზიანი მიიღო, სასამართლომ ეს მოთხოვნა უკუაგდო. რაც შეეხება მორალურ ზიანს, სასამართლომ ის დაკმაყოფილებულად ჩათვალა კონვენციის 651 მუხლის დარღვევის დაფიქსირებით.

ამ საფუძვლების გამო სასამართლო:

1. არ იზიარებს, ერთსულოვნად, ხელისუფლების წინასწარ პასუხს;
2. ადგენს 7 ხმით 1-ის წინააღმდეგ კონვენციის 651 მუხლის დარღვევას;
3. ადგენს ერთსულოვნად, რომ არ არის საჭირო საჩივრის განხილვა 653(დ) მუხლის თვალსაზრისით;
4. ადგენს ერთსულოვნად, რომ ეს გადაწყვეტილება თავად წარმოადგენს სამართლიან მორალურ დაკმაყოფილებას;
5. უკუაგდებს ერთსულოვნად, მოსაჩივრის დანარჩენ მოთხოვნებს.

ინგლისურად და ფრანგულად შედგენილი გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასახლეში 1998 წლის 28 ოქტომბერს. ხელს აწერს:

თორ ვილიამსონი – თავმჯდომარე. ხელს აწერს:

ჰერბერტ ჰეტცოლდი – მდივანი.

ფრანგულიდან თარგმნა პახა წიქარიშვილმა.

კანონმდებლობა

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება № 591

1999 წლის 12 ოქტომბერი, ქ. თბილისი

სასჯელალსრულების სისტემის რეფორმის შესახებ

საქართველოს სასჯელალსრულების ორგანოთა სისტემის რეფორმირებისა და ეკროპის ერთიანი პენიტენციალური წესების მოთხოვნებთან პარმონიზაციის, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (ჯ. ხეცურიანი) უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან სასჯელალსრულების ორგანოების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადაცემის, ახალი პენიტენციალური კანონმდებლობის ამოქმედების სამართლებრივი საფუძვლების მოწესრიგება, რისთვისაც:

ა) მოამზადოს:

1999 წლის 22 ივნისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 414-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული კანონპროექტები:

კანონპროექტი „სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულებასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი;

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი;

„სასჯელალსრულების დაწესებულებების მოსამსახურეთა სამსახურებრივი ფორმის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი;

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბალანსშე სასჯელალსრულების ორგანოების ქონების გადაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი.

ბ) გამოსცეს:

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს

1999 წლის 22 ივნისის კანონის 97-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებები;

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად „მსჯავრდებულთა კვების ნორმების, ტანსაცმლისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესახებ“ ბრძანება;

საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად „მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული სწავლების შესახებ“ ბრძანება.

2. საქართველოს პენიტენციალური სისტემის რეფორმირების საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური საკითხების მომზადების სფეროში:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 1999 წლის ფაქტიური მდგრადი გამოყენიარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (დ. ონფრიშვილი) მიაწოდოს და ფინანსთა სამინისტრომ 2000 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გაითვალისწინოს წინადაღებები საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის სასჯელაღსრულების ორგანოთა დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის შესახებ;

ბ) საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ (მ. უკლება), იუსტიციის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე) 1999 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყონ სასჯელაღსრულების ორგანოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ობიექტებისა (მათ შორის მშენებარე ინიციატივის, აგრეთვე სანიტარულ-სამედიცინო მომსახურების ინფრასტრუქტურის) და ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება, აღნიშნული ობიექტებისა და ქონების შინაგან საქმეთა

სამინისტროს ბალანსიდან იუსტიციის სამინისტროს ბალანსზე გადაცემის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მომზადება;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყონ სასჯელაღსრულების ორგანოთა მშენებარე ობიექტების დაფინანსება დადგენილი ხარჯთანუსხის შესაბამისად;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1999 წლის 1 დეკემბრამდე მოამზადონ ერთობლივი წინადაღებები სასჯელაღსრულების ორგანოების იარაღით, საბრძოლო მასალებით, სპეციალური საშუალებებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და სხვა სპეციალური დანიშნულების ქონებით უზრუნველყოფის შესახებ;

3. საქართველოს პენიტენციალური სისტემის რეფორმირების ორგანიზაციულ, საკადრო და სოციალურ საკითხთა მომზადების სფეროში:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან (კ. ბაბილაშვილი) შეთანხმებით 1999 წლის 15 დეკემბრამდე შეიმუშაონ სასჯელაღსრულების ორგანოებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისა და კოორდინაციის წესი;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და იუსტიციის სამინისტრომ 1999 წლის 1 დეკემბრამდე განახორციელონ სპეციალური დაცვის სამსახურის შექმნისა და სასჯელაღსრულების ორგანოების დაცვის საკითხთა ორგანიზაციული უზრუნველყოფა ამ მიზნისათვის არსებული სამტატო რიცხოვნებისა და გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სასჯელაღ-

სრულების ორგანოების დაცვისა და პატიმართა ბადრაგირების ჯეროვანი განხორციელების მოთხოვნათა გათვალისწინებით;

გ) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე), იუსტიციის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ 1999 წლის 20 დეკემბრამდე მოამზადონ წინადადებები არამართვადი ინფექციური დაავადებებით ინფიცირებულ თავისუფლებააღვეთილ პირთა განთავსებისა და მკურნალობის შესახებ;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და იუსტიციის სამინისტრომ 1999 წლის 20 დეკემბრამდე შეიმუშაონ სასჯელაღსრულების ორგანოთა საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა საინფორმაციო ბაზის, არქივებისა და ინფორმაციის გაცვლის დახურული არხების ერთობლივი გამოყენების მექანიზმი და წესი;

ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1999 წლის 20 დეკემბრამდე მოამზადონ წინადადებები სასჯელაღსრულების ორგანოთა მოსამსახურების სპეციალისტების, პირადი საქმეების წარმოების, სამსახურებრივი მოწმობებისა და ფორმის დამზადებისა და გამოყენების შესახებ;

ვ) ამ ბრძანებულების შესაბამისად სასჯელაღსრულების ორგანოების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადაცემის განხორციელების შემდეგ ჩაითვალოს, რომ სასჯელაღსრულების ორგანოთა მოსამსახურები მოგანიხილავსაყადრო ღონისძიებათა გატარებისა და ახალი დანიშვნების განხორციელების გარეშე განაგრძობენ სამსახურს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დაკავებულ თანამდებობებზე;

ზ) საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ და იუსტიციის სამინისტრომ მოამზადონ წინადადებები სასჯელაღსრულების ორგანოთა მოსამსახურების სოციალური შეღავათებისა და გარანტიების სრულყოფის, საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ;

თ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ (ა. კარტოზია), ფინანსთა სამინისტრომ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 2000 წლის 1 იანვრამდე მოამზადონ წინადადებები იუსტიციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო-კვლევით დაწესებულების შექმნის შესახებ;

ი) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით უზრუნველყოს 1999 წლის სახელმწიფოს ბიუჯეტის სახსრებიდან ამ პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პირველადი ხარჯების შეუფერხებელი გამოყოფა.

4. „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონის მე-40 მუხლის საფუძველზე შეიქმნას საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის სამთავრობო კომისია (შემდგომში - სამთავრობო კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ვაჟა ლორთქიფანიძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

კახა თარგამაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ჯონი ხეცურიანი - საქართველოს იუსტიციის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე კარტოშია - საქართველოს
განათლების მინისტრი;

დავით ონოღორიშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

მიხეილ უკლება - საქართველოს
სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი;

ავთანდილ ჯორბენაძე - საქართველოს
ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

5. სამთავრობო კომისიამ 2000 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს სასჯელალსრულების ორგანოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადაცემის სამართლებრივი, ორგანიზაციული, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა შესაბამისი ღონისძიებების ამ ბრძანებულების შესაბამისად განხორციელების კოორდინაცია და კონტროლი.

6. ამ ბრძანებულებაში მითითებული
სამინისტროების ხელმძღვანელებმა საქმი-
ანობის მიმღინარეობისა და შესრულებული
სამუშაოს შესახებ მოახსენონ სამთავრობო
კომისიას ყოველ სხდომაზე.

7. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს

კანონის ამოქმედებამდე შეჩერდეს სახელმწიფო ბალანსზე რიცხული სასჯელ-აღსრულების ორგანოთა ობიექტებისა და ქონების (ერთობლივი სარგებლობის ობიექტებისა და ქონების ჩათვლით) გასხვისება, გაცემა ან გადაცემა (ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის ჩათვლით).

8. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სასჯელაღსრულების ორგანოთა მოხელეების ფულად ანაზღაურებაზე დანამატების და სხვა სოციალური შეღავათების დაწესება, დროებით, შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე, განხორციელდეს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის N796-44 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

9. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „კანონიერების განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით 1997 წელს გაწეული მუშაობის შედეგებისა და 1998 წლის ამოცანების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 29 იანვრის N48 ბრძანებულების მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

10. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხ ს თ ვ ნ ა



კერსონალური პენსიონერი ოთარ კაციტაძე.

დაბადი 1925 წელს თბილისში, მოსამახურის ოჯახში, 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1960 წლის იანვრიდან მოღვაწეობს გაზეო „კომუნისტის“ რედაქციაში, საიდანაც გადაჰყავთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოსა და პროკურატურის უურნალ „საბჭოთა სამართლის“ ჯერ რედაქტორის მოადგილედ, ხოლო 1962 წლის მაისიდან – ამავე უურნალის მთავარ რედაქტორად, სადაც 25 წლის მანძილზე შეუცვლელად და ერთგულად ემსახურა თავის საყვარელ საქმეს.

ამ წნის მანძილზე უურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, სამართლებრივი აზროვნებისა და კულტურის განვითარების საქმეში. დიდი იყო მისი პირადი წვლილი უურნალის დონისა და ხარისხის გაუმჯობესებაში, ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დახვეწასა და დამკვიდრებაში.

სარედაქტორო საქმიანობის პარალელურად ო. კაციტაძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის, საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს და უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის საკონრდინაციო-მეთოდური საბჭოს წევრი. 1964 წლიდან უურნალისტთა კავშირის წევრია, 1972 წლიდან – საქართველოს უურნალისტთა გამგეობის წევრი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და ურთიერთობის საზოგადოების იურიდიული სექციის ვიცე-პრეზიდენტი.

ო. კაციტაძეს მინიჭებული პქნონდა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენითა და მთავრობის სხვა ჯილდოებით.

ბატონი ოთარის პრინციპულობამ, სამართლიანობამ, კაცომოვარეობამ, საქმისადმი ერთგულებამ და მაღალმა პიროვნულმა ღირსებებმა განაპირობეს ის აღიარება და ავტორიტეტი, რითაც დამსახურებულად სარგებლობდა საქართველოს იურიდიულ საზოგადოებაში.

მის მრავალრიცხოვან მეგობრებსა და ამბანაგებს დიდხანს დარჩებათ უკეთოლმობილესი პიროვნების ხსოვნა.

უურნალ „სამართლის“ რედაქტარი;
საქართველოს იურისტთა კავშირი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

საქართველოს იუსტიციის საბჭო;

საქართველოს გენერალური პროკურატურა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

საქართველოს უზენაესი სასამართლო;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.


ზურაბ

ახვლედიანი

მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა მეცნიერებამ, იურიდიულმა საზოგადოებამ, გარდაიცვალა თვალსაჩინო პედაგოგი და აღმზრდელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი, სამოქალაქო კოლექსის სარედაქტორი ჯგუფის წევრი, ბატონი ზურაბ ახვლედიანი.

იგი 1933 წელს დაიბადა ცაგერში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო პროკურატურის გამომდიებლად. სამეცნიერო საქმიანობა კი 1960 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დაიწყო, მუშაობდა ჯერ ლაბორანტად, შემდეგ კი – მეცნიერ თანამშრომლად. მაღლე სამეცნიერო მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო, იყო ლაბორანტი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1971 წლიდან სამოქალაქო სამართლის კათედრის დოკონტიდა, 1990 წლიდან – პროფესორი, 1992 წლიდან – სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის მოადგილე, ხოლო 1998 წლიდან გარდაცვალებამდე – ამავე კათედრის გამგე.

ბატონი ზურაბი – ახალგაზრდებისათვის საყვარელი პედაგოგი – საუკუთხოსო ლექტორი



და შესანიშნავი მეგობარი იყო. მან კეთილსინდისიერად, გასაოცარი თავდადებით აკეთა თავისი საკეთებელი; უხმაუროდ იღვაწა ქვეყნისა და ხალხის, ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ; უბრალოდ ნიჭისა და არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებების, შინაგანი არისტოკრატიზმის, სისადავისა და უბრალოების წყალობით ღირსეულად ატარა შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის სახელი. ამიტომაც დაიმსახურა საზოგადოების ისეთი დიდი სიყვარული, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

მნელია შეეცა იქ აზრს, რომ დღეს ბატონი ზურაბი ჩვენს შორის აღარ არის. მისი სახელი დღისას დარჩება კოლეგების, ახლობლების, მთელი საზოგადოების ხსოვნაში.

საქართველოს იურისტთა ქავშირი, ეურნალ „სამართლის“ რედაქტორი, გამგეთ „ახალგაზრდა იურისტის“ რედაქტორი, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, სამოქალაქო სამართლის კათედრა, თუ იურიდიული ფაკულტეტი.

REZUME

1. Gia Khubua – Executor of duties of the Director of the State and Law Institute of the Georgian Academy of Sciences.

“Federalism and subsidiarity principle”.

The article reviews practical and theoretical results of realization of subsidiarity principle, as well as the question of relationship of subsidiarity and federalism. The author believes that, under logical necessity, subsidiarity and federalism do not demand each other, though, at the same time, federalism and subsidiarity promote forming of an optimal model for realizing State functions. This especially appears in distribution of competence and in competition of norms. The question is interesting from viewpoint of the future territorial structure of Georgia.

2. David Kereselidze – First Assistant to the First Deputy Chairman of the Parliament of Georgia – Head of the Secretariat, Advisor of Justice, post-graduate of the Law Faculty of Tbilisi State University

“For Creation of Legal Base for Anti-corruption State policy in Georgia”.

In the article the author deals with suppression of corruption, necessity of carrying out complex legislative measures in order to uncover corruptive violations of law and persons in charge of these violations and the necessity of improvement of the legal base in this field. The notion and indicia of corruption are reviewed, as well as concrete directions of the reforms that are to be undertaken in this sphere, specific of effectuation of anti-corruption strategy, and also perspectives of forming a special anti-corruption service in Georgia and its political-legal consequences.

3. Manana Khvedelidze – “Several questions of modern Georgian border policy.”

The article reviews legal aspects of State Border defense, the basis of which is the goal of our State – consistent and peaceful finishing of international legal process of State Border establishment and cooperation with neighbor and other states.

4. Besik Shakiashvili – Candidate of legal sciences.

“Notion of product in the Civil Code of Georgia”.

The article reviews the norms of Civil Code, which regulates questions connected to the notion of product. Actuality of the theme comes out of the comment of the notion. In particular, new Civil Code refers to any moving object as to product and, therefore, comments of norms regulating relations connected to them are very important and necessary.

5. Zviad Gabisonia – Speaker of Students and Post-graduates Union of Tbilisi State University, lawyer.

“Juridical persons as subjects of foreign investments”.

The article reviews possibilities and scale of activity of juridical persons in contemporary trade relations. According to the author, export of capital leads to the occasion that enterprise, created by

the legislation of one state may, in a whole or in part, become the property of companies of other states. The author draws attention to the principle of "residence" of juridical persons.

6. George Tskrialashvili – Deputy Head of GEPLAC.

“International Legal mechanisms for recognition and enforcement of decisions of foreign arbitral courts.”

The author reviews peculiarities of International Private Commercial Arbitrage, which nowadays turned to be one of the parts and the attribute of international economic and trade relations. He draws particular attention to the advantage of International Commercial Arbitrage before state justice and names the main characteristics such as impartiality, procedural flexibility, confidentiality, professionalism of arbiters, effectiveness of mechanism enforcing arbitration decisions and other. The author provides detailed review of the New York Convention.

7. Marina Kvachadze – Manager of the Chair of World Legal System, candidate of legal sciences

"Several questions on protection of Human Rights in biomedicine according to the European Convention of 1996."

The author refers to the most important problem in contemporary medicine, connected with transplantology and to question of its legal regulation. By her viewpoint, protection of human rights in this sphere became one of the effective remedies for saving human life and improving health. The author provides detailed reference to the question of regulation of donors and recipients rights. At the same time, she underlines the trade of human organs, abolished by the Convention of the Council of Europe.

8. Naira Gigitashvili – Judge of the Tbilisi Regional Court

“For improvement of Criminal Legislation against drug crimes”

The article is devoted to question of improving criminal responsibility for drug crimes, as well as to legal regulation of this worldwide problem. The author puts forward a question whether the drug using should be punishable or not. In this respect, the author indicates the experience of foreign countries and suggests the legislator some proposals to overlook the norms regulating the above-mentioned sphere. The actuality of the question stems from its global character.

9. Aleksandr Kvashilava – Prosecutor of the Academy of the Ministry of Interior.

“Criminal legal problems in struggle against stealing of state and collective property”.

The author deals in his article with the new introductions of the new Criminal Code concerning property crimes. The author puts forward the legislator some proposals of terminological improvement to discuss.

10. Zaza Nanobashvili – Post-graduate in the State and Law Institute of the Academy of Sciences of Georgia.

“The right of punishment”.

The article reviews questions related to the notion of punishment. The author draws attention on designation and objectives of punishment, provides critical evaluation of the viewpoints of different authors concerning the above-mentioned question.

11. Apolon Faliashvili – Manager of the Chair of Criminal Procedure and Criminology of Tbilisi State University, doctor of legal sciences, professor.

"Georgian Criminal Procedure Code entered into force, but it still needs to be amended".

The article is devoted to the necessity of improving Criminal Procedure norms. According to the author, despite that from adoption of Criminal Procedure Code till its entering into legal force many amendments were introduced, it still contains quite many principal mistakes and contradictions. The author provides a detailed review of existing disadvantages and suggests the legislator his own ways of improvement.

12. Darejan Lekashvili – Head of the Department of Service for Struggle against Terrorism of the Ministry of State Security.

"Role and importance of secret cooperation in operational-search action".

The author deals with the judicial reforms which are under way in State agencies carrying out operational-search action. In this respect she discusses secret methods of struggle against crime, in particular, the Institute of Agent, which nowadays is called "the confident" or "secret colleague". The author also puts forward for decision such actual question as the "Draft Law about Lustration".

13. George Robakidze – post-graduate of the Chair of Criminal Procedure and Criminology of Tbilisi State University.

"Criminological characterization of crimes committed on a railway transport".

The article is devoted to criminological characterization of crimes committed on a railway transport, to establishing its notion and importance, scientific research of its essence and designation and importance of practical use of the received data. Criminological characterization of crimes committed on a railway transport occupies a very special place in the system of methods uncovering crimes committed on a railway transport.

14. George Davitashvili – Master of the History Chair of the Tbilisi State University, candidate of legal sciences.

"Sacrifice to a dead" as a an element of legal evidence in Georgian Common Law."

The author reviews customary traditions disseminated in Georgia, particularly, in mountainside. He refers to the rule of blood taking, which was quite outspread and was used by every people on a certain stage of development. The author asks: why did the relatives of murdered had an obligation to take blood? This and other interesting questions are comprehensively and exhaustedly answered on the basis of historical analysis.

15. Apolon Kalandia – "Several Greek customs in Western Georgia.

The article reviews those customary traditions, which were disseminated on the territory of Western Georgia from the period of Argonauts' voyage. Some materials in the article have never been published before.



ପିଲାଙ୍ଗ ପତ୍ର

1999 წლის 16 ოქტომბერს
საქართველოს ოუსტიციის მინისტრის
მოადგილემ გარიამ ცაცანაშვილმა
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ-
ელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიე-
რო-საატესტაციო საბჭოს სხდომაზე
წარმატებით დაიცვა დისერტაცია ოუ-
რიდიულ მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
თვაზე - „ინფორმაცია, როგორც სა-
მართლებრივი რეგულირების ობიექტი“.

1999 წლის 23 ოქტომბერს თბილი-
სის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახულმწიფო უნივერსიტეტის იურიდ-
იული ფაკულტეტის დეკანის მოადგ-
ილებმ ზურაბ ძლიერიშვილმა ამავე
ფაკულტეტის სამეცნიერო-სააგესტ-
აციო საბჭოს სხდომაზე წარმატებით
აციო დისერტაცია იურიდიულ მეც-
ნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე –
„უფლების დაცვის სასარჩელო ფორ-
მის ძირითადი პრობლემები“.

საქართველოს იურისცოა კაჯშიტი და ეურნალ „სამართლის“ რეგისტრი გულწრითვად ულოცავს ქალბაფონ მართამ ცაცანაშვილს და მაცონ გურამ ძლიერიშვილს ამ წარმაფებას და უსურებელის მათ შემდგომ ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას და მედიცინურებას პირად ცხოვრებაში.



ქადაგის საყურადღებო:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით ნაბეჭდ 15 გვერდს, სასურველია წარმოადგინოთ კომპიუტერის დისკზე ჩაწერილი სახით.

ურნალი რეგისტრირებულია თბილისის
მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერია – 06/4-190

გადაეცა წარმოებას 01.10.99 წ.,

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.10.99წ.,

ფორმატი 60X84, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6,25.

ტირაჟი 1000.

ფასი ხელშეკრულებით.

6.10/
29

ଓଡ଼ିଆ ଜ୍ୟୋତିଶ୍ଚା
ବିଦ୍ୟାଲୟ

